პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 64, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე,
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 13—89.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი:
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებანი:
საქართველოს ფარგლებში — ტექსტის უკან — 80 კ. ნონპარელის სტრიქონი. ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ., საქართველოს გარეთ— ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

— საბჭოთა დელეგაცია ჩავიდა ჟენევაში.
— გლეხთა აჯანყება იაპონიაში.
— თავდასხმა ვენის ქალაქის თავ ზეიცზე.
— ავსტრიის მუშათა დელეგაცია საბჭ. კავშ. შესახებ.
— ედო ფიმენი სამოქალაქო ომის შესახებ.
— მუშურ-გლეხური ბლოკის მანდატების გაუქმება სამხრეთ-სლავიაში.
— „ცენტროსოიუზის" თავმჯდომარის მოადგილე ამხ. კისინი არ დაუშვეს ჰოლანდიაში.

სამშაბათი, 29 ნოემბერი 1927 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 270 (2015)

კომუნისტი

მიიღება ხელის მოწერა
დეკემბრისათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

მშვიდობიანობის მტრები

პოლონეთ-ლიტვის ურთიერთობა საყოველთაო ყურადღებას იქცევს. საქმის ვითარება შემდეგია: პილსუდსკის მთავრობა ისწრაფვის ლიტვისაგან მიიღოს ფორმალური დასტური, რომ პოლონეთის მიერ 1920 წ. დაპყრობილი ვილნოს ოლქი, რომელიც ლიტვას ეკუთვნოდა პოლონეთის კანონიერ ტერიტორიას შეადგენს. საბოლოო ანგარიშით კი პოლონეთის იმპერიალისტები ცდილობენ მთელი ლიტვის გადაყლაპვას.

ამ მიზანს ისახავდა ფაშისტური გადატრიალება, რომელიც შარშან ლიტვაში მოწყობილ იქნა პოლონეთის მესვეურთა ინიციატივით და დახმარებით. მაგრამ ამ გადატრიალებამ პილსუდსკის სასურველი შედეგები ვერ მოუტანა: ლიტვის მთავრობაში შევიდენ პოლონეთის ორიენტაციის მომხრეებთან ერთად, მისი აშკარა მოწინააღმდეგენიც. რის გამო ვერ მოხერხდა პოლონეთ-ლიტვას შორის „მშვიდობიანი" დამოკიდებულების დამყარება, ე. ი. ვილნოს საკითხის გადაჭრა პოლონეთის სასარგებლოდ და ლიტვის „შეერთება" პოლონეთთან.

ამის შემდეგ პილსუდსკი სხვა ტაქტიკას დაადგა: ის ლიტველ ემიგრანტების ხელით ლამობს თავისი იმპერიალისტური ზრახვების განხორციელებას. ვოლდემარასის მთავრობა სასტიკად დევნის ყოველგვარ არა მარტო რევოლიუციონურ არამედ უბრალო „დემოკრატიულ" მოძრაობას და მის მონაწილეთ. ამიტომ ლიტვიდან მრავალი ემიგრანტია გაძევებული თუ გაქცეული. და აი, ამ ხალხს იყენებს დღეს პილსუდსკი ლიტვის დამოუკიდებლობის მოსასპობად. ემიგრანტები მის ანკესზე ეგებიან და პილსუდსკის საშუალებით ფიქრობენ ლიტვაში „დემოკრატიული" რეჟიმის დამყარებას, იმ პილსუდსკის, რომელმაც თავის ქვეყანაში დემოკრატიის ყოველგვარი ნასახი აღგავა და ფაშისტური დიქტატურა გაამეფა. განა აშკარა არ არის, რომ პილსუდსკის ყველაზე ნაკლებ შეხება ფაშიზმისაგან ლიტვის განმათავისუფლებელის როლი, რომ ეს განთავისუფლება შეიძლება მხოლოდ ლიტვის მშრომელთა დარაზმვით და მასიური რევოლიუციონური ბრძოლის გაჩაღებით თავის ქვეყნის ფაშისტების წინააღმდეგ. მაგრამ მენშევიკები, რომელნიც ემიგრანტებს მეთაურობენ, ცხადია; არ გამოდგებიან ასეთი რევოლიუციონური საქმისათვის, და მათ გადაუწყვეტიათ თავისი სამშობლოს გადაცემა პოლონეთისათვის, ოღონდ ლიტვაში ძალა - უფლება ჩაიგდონ ხელთ. ამ ვაჟბატონებს „ავიწყდებათ", რომ მათი ნაბიჯი; გარდა ლიტვის მიერ დამოუკიდებლობის დაკარგვისა, საბოლოო ანგარიშით არაფერს სახეიროს უქადის ლიტვის ხალხს შინაური რეჟიმის შეცვლის მხრივ, ვინაიდან პოლონეთის ფაშისტები, თუ ლიტვას დაეუფლებიან, იქ პოლონეთის მომხრე ფაშისტების გაბატონებას შეუწყობენ ხელს. ამასთან, რაც მთავარია, ლიტველი ემიგრანტები, პოლონეთის იმპერიალისტებთან ერთად, ასეთი გზით უაღრესად ართულებენ საერთაშორისო მდგომარეობას და უშუალო საფრთხეს ქმნიან მშვიდობიანობისათვის, აღმოსავლეთ ევროპაში და მთელ ევროპაშიც.

და ეს იმიტომ, რომ პოლონეთ-ლიტვის კონფლიქტი გაცილებით შორდება ამ ორ ქვეყნის დამოკიდებულების ფარგლებს. პოლონეთის აგრესიული ზრახვების განხორციელება ლიტვის მიმართ პირველ ყოვლისა აშკარად მიმართულია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ლიტვასთან ჩვენ გვაქვს დადებული საგარანტიო ხელშეკრულება თავდაუსხმელობის შესახებ სხვათა შორის. ამ ხელშეკრულებით ჩვენ ჩავშალეთ ინგლისის გეგმა, რომელიც მდგომარეობს ანტისაბჭოთა მთლიანი ფრონტის შექმნაში. და ამნაირად დიდი ნაბიჯი იქნა გადადგმული მშვიდობიანობის განმტკიცებისათვის. თუ ლიტვის დამოუკიდებლობა მოისპო, ჩვენი ეს მიღწევა გაბათილებული იქნება.

უფრო საყურადღებოა შემდეგი გარემოება: ინგლისი დაინტერესებულია, რომ ლიტვა შეერთებულ იქნეს პოლონეთთან რადგან მას განზრახვა აქვს პოლონეთს სამაგიეროდ გერმანიისათვის დააბრუნებინოს დანციგის კორიდორი, ამ გზით ეს ორი ქვეყანა შეარიგოს, გერმანიის მხრით უზრუნველყოს პოლონეთის ზურგი საბჭოთა კავშირზე გამოლაშქრების შემთხვევაში და, თუ მოხერხდება, გერმანიაც დაიყოლიოს პოლონეთთან ერთად საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომზე, ან მასთან ურთიერთობის გართულებაზე მაინც.

აშკარაა, რომ საბჭოთა მთავრობა გულგრილად ვერ შეხედავდა პოლონეთის აგრესიულ აქტებს ლიტვის მიმართ, რაც მშვიდობიანობას ემუქრება და მიმართულია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგაც. მკითხველი უკვე იცნობს ჩვენი მთავრობის ნოტას პოლონეთისადმი, სადაც აფრთხილებს ლიტვაზე თავდასხმისაგან, და ურჩევს სადაო საკითხების მშვიდობიანად გადაჭრას. დღეს ვათავსებთ პოლონეთის მთავრობის ნოტას ლიტვასთან დამოკიდებულების შესახებ. „პოლონეთის მთავრობა აცხადებს, რომ მას არა აქვს არავითარი განზრახვა ლიტვის დამოუკიდებლობის და ტერიტორიული ხელშეუხებლობის წინააღმდეგ",— ვკითხულობთ ამ ნოტაში.. მაგრამ ეს განცხადება მთლიანად ეწინააღმდეგება სიამდვილეს. რას ნიშნავს ლიტველ ემიგრანტებთან მოლაპარაკება, პოლონეთის მთავრობის და მისი ესტონელი ელჩის როლი ამ ემიგრანტების ყრილობაში, რომელიც რიგაში გაიმართა? ხომ გამორკვეულია, რომ ეს ყრილობა მოწყობილ იქნა პოლონეთის მთავრობის ინიციატივით და მან მისი გავლენით მიიღო რეზოლიუცია პოლონეთისათვის ვილნოს დათმობის შესახებ. ხომ უდავო ფაქტია, რომ პილსუდსკი აპირობს მოაწყოს ლიტველ ემიგრანტების აჯანყების ინსცენიროვკა, თუ აშკარად და ოფიციალურად არა, ფარულად — იარაღით, ფულით და პარტიზანული რაზმებით შეეწიოს მათ ლიტვის მთავრობის ჩამოსაგდებად და თავის იმპერიალისტური მიზნის მისაღწევად. თუ ასეთი ინსცენიროვკა მოწყობილ იქნა, შეიძლება პილსუდსკის მთავრობამ თავი იმართლოს იმაზე მითითებით, რომ თითქო ის არაფერ შუაში იყოს, თითქო ლიტვის შინაურმა ძალებმა დაამხეს ლიტვის ეხლანდელი მთავრობა და ვითომ თვითონ მათ მოისურვეს ლიტვის „დაახლოვება" პოლონეთთან და კერძოდ ვილნოზე უარის თქმა პოლონეთის სასარგებლოდ. რა თქმა უნდა, ასეთ „არგუმენტაციას" არავითარი ღირებულება არ ექნება. და საბჭოთა მთავრობაც აცხადებს, რომ „პოლონეთის შესაძლებელი თავდასხმა ლიტვის დამოუკიდებლობაზე, რა ფორმითაც არ უნდა მოხდეს ეს, წარმოადგენს განუზომელ საშიშროებას"-ო.

მეორე მხრივ, შტრეზემანისა და ამხ. ლიტვინოვის შეხვედრამ ცხადჰყო, რომ გერმანიაც წინაღუდგება პოლონეთის განზრახვებს. გერმანია ოცნებობს [illegible] ლის დაბრუნებაზე, რომელიც [illegible] აქვს გადაცემული, ხოლო ეს ოცნება დაიმსხვრევა, თუ ლიტვა პოლონეთმა დაიპყრო. ამავე დროს გერმანია საფუძვლიანად ეჭვობს, რომ პოლონეთი მას არ დაუბრუნებს დანციგს, თუ გინდ იგი დასთანხმდეს პოლონეთისათვის ლიტვის შეერთებაზე. გარდა ამისა, გერმანიას თავისი ინტერესებისათვის უმჯობესად მიაჩნია საბჭოთა კავშირთან ნორმალური დამოკიდებულების შენარჩუნება.

აღსანიშნავია ისიც, რომ პოლონეთის მიერ ლიტვის დაპყრობა, რაც გააძლიერებს პოლონეთს, მეტად საშიშია ბალტიის სხვა ქვეყნების დამოუკიდებლობისათვის, და ისინიც პილსუდსკის ნაბიჯს, ვფიქრობთ, უარყოფითად შეხვდებიან.

ყველაფერმა ამან შესაძლებელია პილსუდსკის ავანტიურა შეაჩეროს. წინააღმდეგ შემთხვევაში ის სერიოზულ წინააღმდეგობას წააწყდება, რის შედეგი არა [illegible] პოლონეთისათვის სასარგებლო [illegible]. ჯერ - ჯერობით მაინც შექმნილია სერიოზული მუქარა მშვიდობიანობისათვის, და ამას საბჭოთა კავშირის მშრომელები სათანადო ანგარიშს გაუწევენ. საბჭოთა მთავრობამ კი ერთხელ კიდევ დაანახვა მსოფლიოს, რომ ის ყარაულად უდგას მშვიდობიანობის საქმეს და ყოველ ღონეს ხმარობს მისი განმტკიცებისათვის.

შვიდი საათის სამუშაო დღის გატარების პრაქტიკული საკითხები

შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადასვლის შესახებ საკავშირო ცაკის მანიფესტში აღნიშნულია, რომ მისი გატარება ცალკე სამრეწველო დარგებში უნდა დაიწყოს არა უგვიანეს ერთი წლისა. ზოგიერთების აზრით, ასეთი „დიდი" ვადის დაწესება თითქოს იმას ნიშნავს, რომ რეალურათ ეს დადგენილება ცხოვრებაში არ იქნება გატარებული. ამნაირი დასკვნის გამოტანა ამ საკითხისადმი ფრიად ზერელეთ მიდგომის მაჩვენებელია. ის, ვინც პრაქტიკულათ მიუდგება მას და მიიღებს მხედველობაში 7 საათის სამუშაო დღის გატარებასთან დაკავშირებულ მთელ რიგ სერიოზულ საკითხებს, დარწმუნდება, რომ ერთი წელი არა თუ დიდი დროთ უნდა ჩაითვალოს, არამედ ძლიერ მცირეთ.

ამ ხნის განმავლობაში 7 საათის სამუშაო დღეზე გადასვლისათვის სამზადისი უნდა სწარმოებდეს დიდი ინტენსივობით, რომ მანიფესტში აღნიშნულ ვადაში შესაძლებელი გახდეს მისი გატარება. ეს სამზადისი უკვე დაწყებულია, როგორც პროფესიონალური კავშირები, ისე სამეურნეო ორგანოები ამ მხრივ ენერგიულ მუშაობას აწარმოებენ თუ შემდეგშიაც მუშაობა ასეთივე ტემპით გაგრძელდა. ჩვენ შევძლებთ მანიფესტში აღნიშნულ ვადაში განვახორციელოთ 7 საათის სამუშაო დღეზე გადასვლა.

რამდენათ დიდი მნიშვნელობა აქვს 7 საათის სამუშაო დღეს მუშათა კლასისათვის, იმდენათვე მისი გატარება ძნელია. ერთი ხელის დაკვრით და მოუმზადებლათ მისი გატარება დიდ უარყოფით შედეგებს მოგვცემდა და მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესების მაგივრათ ჩვენ მივიღებდით მის გაუარესებას.

უპირველეს ყოვლისა, 7 საათის სამუშაო დღეზე გადასვლა უთუოდ უნდა გატარდეს გეგმითი წესით. სამუშაო დღის გახანგრძლივება ჩვენი წარმოების პროცესის ერთი მთავარი მომენტია. რამდენათაც მრეწველობის საკითხები საბჭოთა კავშირში გეგმიან საფუძველზე წყდება, სამუშაო დღის შემცირების საკითხიც უთუოდ ამ წესით უნდა გადაიჭრას.

მეურნეობის საერთო გეგმიანობა საბჭოთა კავშირში ტარდება არა დაქსაქსულათ—ცალკე რესპუბლიკებში და რაიონებში, არამედ მთლიანათ კავშირის მასშტაბით. შვიდი საათის სამუშაო დღის გატარების საკითხებიც უნდა იქნეს მოგვარებული ცენტრალისტური წესით. ცალკე რესპუბლიკებში უნდა შეგროვდეს მასალები, დამუშავებული იქნეს საკითხი ყოველმხრივად და შემდეგ ცენტრში გადიჭრება საბოლოოთ. ანარქიულათ ამ საკითხის გადაწყვეტა დაუშვებლათ უნდა ჩაითვალოს. საკავშირო სახკომსაბჭოს მიერ უკვე გამოყოფილია 7 საათის სამუშაო დღის გატარებისათვის სპეციალური კომისია. ეს კომისია უნდა იქნეს საბოლოო ინსტანციათ. კომისია დაეყრდნობა ადგილების მიერ დამუშავებულ მასალებს.

7 საათის სამუშაო დღეზე გადასვლისათვის წარმოებულ მუშაობის დროს უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში, რომ მისმა გატარებამ უნდა შედეგათ მოგვცეს: მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესება, წარმოებაში მუშების მეტი რიცხვის ჩაბმა და უმუშევრობის შენელება, წარმოების ძირითადი კაპიტალის უფრო ინტენსიური გამოყენება და გაზრდა და წარმოებითი პროცესის დაჩქარება. შვიდი საათის სამუშაო დღის გატარებამ უარყოფითი გავლენა არ უნდა მოახდინოს შრომის ნაყოფიერების ზრდაზე და ნაწარმოების თვითღირებულების შემცირებაზე. ნაყოფიერების ზრდის და თვითღირებულების შემცირების დასახული ნორმები უთუოდ უნდა იქნენ მიღწეული და მათი არა სრული შესრულება სამუშაო დღის შემცირების გამო დაუშვებლათ უნდა ჩაითვალოს. ამ მთავარ დებულებების დაცვით უნდა დამუშავდეს 7 საათის სამუშაო დღის გატარებასთან დაკავშირებული საკითხები.

7 საათის სამუშაო დღის დროს ისეთივე შრომის ნაყოფიერების უზრუნველყოფა როგორც 8 საათის დროს იყო. შესაძლებელია ერთი მხრივ, რაციონალიზაციის გატარებით და წარმოების ტექნიკური გაუმჯობესებით, მეორე მხრივ—წარმოების არსებულ ტექნიკურ წყობილების ფარგლებში სამუშაო დროის უფრო ინტენსიური გამოყენებით ან შემჭიდროებით. უკანასკნელიც შეიძლება გაიყოს ორ ნაწილათ—მუშების პირადი შრომის ინტენსივობა და წარმოების პროცესში ის ხანმოკლე და ხშირი შეჩერებები, რაც მუშებისაგან არ არის დამოკიდებული. უნდა იქნეს მიღებული ზომები, რომ ამ შეჩერებებს არ იქნეს ადგილი. ეს შესაძლებელი იქნება წარმოების პროცესის და სამუშაო დღის დეტალური შესწავლით. მთელ რიგ წარმოებაში სამუშაო დღე არ არის შემჭიდროებული და ფაქტიურათ 8 საათის განმავლობაში იკარგება არა ნაკლებ ერთი და ერთ-ნახევარი საათისა. უმთავრესათ ამაში ბრალი უძევს თვით ადმინისტრაციას. საერთოდ ნაყოფიერების გაზრდისათვის შეიძლება ჩატარებულ იქნეს მთელი რიგი ზომები — დაწყებული ახალი მანქანების დადგმით და გათავებული წარმოების პროცესის წვრიმალ შეჩერებათა რიცხვის შემცირებით. ყველაფერი ეს მოითხოვს შესწავლას, გამოკვლევას და სანიმუშო ცდების გატარებას.

მთელ რიგ წარმოებებში 7 საათის სამუშაო დღის შემოღებასთან ერთად უნდა გატარდეს მუშაობის ერთი ცვლიდან, ორ და სამ ცვლაზე გადასვლა. ეს საგრძნობლად გაადიდებს წარმოებაში ჩაბმულ მუშების რიცხვს და შეანელებს უმუშევრობას. მეორე მხრივ — შესაძლებლათ გახდის წარმოების ძირითადი კაპიტალის (მოწყობილობის) უფრო ინტენსიურათ გამოყენებას, მაგრამ ამასთან დაკავშირებით, უნდა გადიჭრას სათანადო კვალიფიკაციის მუშების მომზადების საკითხი. საჭირო ტექნიკური პერსონალის გადიდების შესახებაც უნდა იქნეს დამუშავებული საკითხი.

ორ და სამ ცვლათ სამუშაოზე გადასვლა მოითხოვს კიდევ ნედლი მასალის საკითხის გადაჭრას. საჭირო გახდება ნედლი მასალის მომარაგების საკითხის ისე მოგვარება, რომ წარმოება უზრუნველყოფილ იქნეს ყველა ცვლების შეუფერხებელი მუშაობისათვის. ამასთან დაკავშირებით უთუოდ წამოიჭრება ფინანსიური საკითხებიც (კრედიტის გადიდება და სხვ.).

შვიდი საათის სამუშაო დღეზე ტექნიკური გადასვლაც, ზეკით აღნიშნულ საკითხების მოგვარების პირობებშიც, ზოგიერთ საწარმოო დარგებისათვის წარმოადგენს ერთგვარ სიძნელეს. მაგალითად, იქ, სადაც წარმოების პროცესი განუწყვეტელი არის, შვიდი საათის სამუშაო დღის შემოღება უხერხულობას იწვევს, ვინაიდან სამი ცვლა ვერ ავსებს 24 საათს. საჭირო გახდება ზედმეტი მეოთხე—ნაწილობრივი ცვლის შემოღება.

შესაძლებელია მთელ რიგ წარმოებებში წარმოების პროცესის სპეციფიური პირობების მიხედვით, დადგეს საკითხი შემოკლებულ (7 საათიან) სამუშაო დღეზე გადასვლის მაგივრათ შემოკლებულ კვირეულ მუშაობაზე გადასვლის შესახებ. თუ აქამდე 8 საათის მუშაობის დროს კვირეული სამუშაო საათების რიცხვი უდრიდა 46 საათს და შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადასვლის შემდეგ უნდა უდრიდეს 41 საათს,— შესაძლებელია ეს გატარებული იქნეს არა დღიურათ შვიდი საათის მუშაობით, არამედ კვირაში ორი დასასვენებელი დღის დაწესებით. ეს საჭირო გახდება იქ, სადაც ტექნიკურად მოუხერხებელი იქნება შვიდი საათის სამუშაო დღის შემოღება.

მუშაობის რამოდენიმე ცვლაზე გადასვლა გამოიწვევს ღამით მუშაობის გაფართოვებას. ამიტომ წინასწარ უნდა იქნეს შესწავლილი ეს საკითხი და სათანადო ცვლილებები უნდა იქნეს შეტანილი არსებულ კანონმდებლობის ნორმებში, როგორც ღამით მუშაობის დაშვების მხრივ; ისე მისი ჯილდოს ანგარიშის მხრივ. უნდა იქნეს აგრეთვე დამუშავებული საკითხი მოზარდების და დედაკაცების ღამით მუშაობის შესახებ.

უნდა შესწავლილი იქნეს საკითხები ჯანმრთელობისათვის სხვადასხვა წარმოებების შედარებითი მავნებლობის შესახებ. 7 საათის სამუშაო დღეზე პირველ რიგში გადასვლას ნაწილობრივ ეს მომენტიც უნდა დაედვას საფუძვლათ. ამჟამად მთელ რიგ, ჯანმრთელობისათვის საზიანო წარმოებებში უკვე არსებობს შვიდი და ექვსი საათის სამუშაო დღე.

ვინაიდან 7 საათის სამუშაო დღის შემოღებით მუშების ფაქტიური ხელფასი არ უნდა შემცირდეს, საჭიროა ნარდი მუშაობის წარმოებისა და შეფასებების ისე გადასინჯვა, რომ 7 საათის განმავლობაში მუშამ გამოიმუშავოს ხელფასი იმაზე არა ნაკლები, რასაც ის ფაქტიურად იღებდა 8 საათის მუშაობის დროს. მაგალითად, თუ გამომუშავების ნორმათ 8 საათისათვის დაწესებული იყო 16 რაიმე საგნის გაკეთება, 7 საათზე გადასვლის შემდეგ ეს ნორმა უნდა შემცირებულ იქნას თოთხმეტამდე. ნორმების ასეთი გადასინჯვა უზრუნველყოფს მუშას ხელფასის შემცირებისაგან.

7 საათის სამუშაო დღის პრაქტიკულათ გატარებასთან დაკავშირებულია აგრეთვე მთელი რიგი სხვა საკითხებიც.

საჭიროა ამ საკითხების სერიოზული შესწავლა. მათი ყოველმხრივი გამოკვლევა და ერთმანეთთან დაკავშირება. ეს მუშაობა უნდა იქნეს ჩატარებული ყველა ცალკე სამრეწველო დარგებში. ამისათვის უნდა იქნეს გამოყოფილი სპეციალური კომისიები მცოდნე და პასუხისმგებელ პირების შემადგენლობით. გამოკვლევითი მუშაობა უთუოდ უნდა იქნეს დამთავრებული მრეწველობისათვის მომავალ წლის საკონტროლო ციფრების შედგენამდე — დაახლოვებით ივნისში.

მთავარი, რაც საჭიროა 7 საათის სამუშაო დღის სათანადოთ გატარებისათვის, ეს არის გეგმიანობა და წინასწარი სერიოზული შესწავლა. მხოლოდ ამით შეიძლება უზრუნველვყოთ ის ფრიად დიდი მნიშვნელოვანი შედეგები, რომელნიც 7 საათის სამუშაო დღეს მოაქვს მუშათა კლასისათვის.

ს. ბ—ძე.

პოლონეთის ნოტა ლიტვასთან ურთიერთობის შესახებ

პოლონეთი უარყოფს აგრესიულ განზრახვებს ლიტვის მიმართ.—ლიტვის მიმართვა ერთა ლიგისადმი

საბჭოთა მთავრობის მიერ პოლონეთისათვის გაგზავნილ ნოტის გამოძახილი უცხოეთში

პოლონეთ-ლიტვის კონფლიქტის გამწვავება

მოსალოდნელია მოლაპარაკება ზალესკისა და ვოლდემარასს შორის

კოვნო, 27 ნოემბერი. გერმანული გაზეთი, რომელიც გამოდის მემელში, იუწყება პარიზიდან მიღებულ ცნობების თანახმად, **რომ პოლონეთის გარეშე საქმეთა მინისტრ ზალესკის გამზრახული აქვს გამართოს ჟენევაში მოლაპარაკება ლიტვის პრემიერ ვოლდემარასთან.**

თუ მოლაპარაკების მსვლელობაში გამოირკვა, რომ ლიტვა მზად არის უარყოს თავისი პრეტენზიები ვილნოზე, პოლონეთი დათანხმდება საზღვრების მოწესრიგებაზე ორივე სახელმწიფოს შორის. **თუ მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდა, პოლონეთი ულტიმატუმს წარუდგენს ლიტვას. (ადს)**

ვოლდემარასის წერილი ერთა ლიგისადმი

ბერლინი, 27 ნოემბერი. როგორც „ბერლინერ-ტაგებლატ"-ის ჟენეველი კორესპონდენტი იტყობინება, ვოლდემარასმა მიმართა ერთა ლიგის გენერალურ მდივანს ვრცელი წერილით, რომელშიაც იტყობინება, რომ **პოლონეთის მთავრობა აწარმოებს გააფთრებულ საგაზეთო კამპანიას ლიტვის მთავრობის წინააღმდეგ.**

თავის განცხადების დასასაბუთებლად ვოლდემარას მოჰყავს ამონაწერები პოლონურ გაზეთებიდან. არავითარ დასკვნებს და წინადადებებს ვოლდემარასის წერილი არ შეიცავს (ადს).

ვოლდემარასის ნოტა ერთა ლიგისადმი

კოვნო, 27 ნოემბერი. ლიტვის ტელეგრაფის სააგენტო იტყობინება: „ვოლდემარასმა 15 ნოემბრის ნოტის შემდეგ დამატებით გაუგზავნა ერთა ლიგის გენერალურ მდივანს ახალი ნოტა, **რომელშიაც არის ცნობები პოლონეთის მტრული მოქმედების შესახებ ლიტვის მიმართ.**

ნოტაში მოყვანილია მთელი რიგი ადგილები პოლონეთის და ლიტვის გაზეთებიდან, პოლონეთის როლის შესახებ რიგაში ლიტვის ემიგრანტების კონგრესის ორგანიზაციის საქმეში და ლუკასევიჩის განცხადება. **რომ პოლონეთის მთავრობა მზათ არის დახმარება გაუწიოს ლიტვის მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლას".**

ნოტა აღნიშნავს აგრეთვე, რომ პილსუდსკი თანახმაა სამხედრო დახმარება გაუწიოს პლეჩკაიტისის მეთაურობით კოვნოში მთავრობის დაარსებას, თუ ის და მისი მომხრეები შესძლებენ მღელვარება გამოიწვიონ ლიტვაში.

არის ცნობები აგრეთვე იმის დასადასტურებლათ, **რომ პილსუდსკისთან ახლო მდგომ წრეებში ირჩეოდა საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენი დღე დასჭირდება იმას, რომ სამხედრო წესით მიაღწიონ კოვნომდე და დაამყარონ ლიტვაში ახალი ხელისუფლება.**

ამ ცნობებთან ერთად ლიტვის მთავრობა ერთა ლიგისადმი მიმართულ ნოტაში აღნიშნავს მოყვანილი ფაქტების სერიოზულობას (ადს).

მდგომარეობა ლიტვაში

რიგა, 27 ნოემბერი. რიგაში გავრცელდა **ხმები, რომ კოვნოში უახლოეს საათებში მოელიან მთავრობის შეცვლას. სამხედრო წრეები მოითხოვენ ვოლდემარასის და პლეხავიჩიუსის გადადგომას** (ადს).

მდგომარეობა გამწვავდა

ბერლინი, 27 ნოემბერი. გაზეთი „ახტ ურ ამ მიტაგ" აღნიშნავს, რომ **პოლონეთ-ლიტვის საზღვარზე მდგომარეობა უაღრესად გამწვავდა და ეს ევროპის ყველაზე უფრო საჭირბოროტო საკითხს წარმოადგენს. „საუბარი ლიტვინოვსა და შტრეზემანს შორის** — ამბობს გაზეთი,— იყო სიგნალი, რომელმაც ევროპის ყურადღება მიაქცია აღმოსავლეთში შექმნილ საშიშ მდგომარეობას. შტრეზემანმა დაწვრილებითი მოხსენება გაუკეთა თავის მთავრობას ლიტვინოვთან საუბრის შესახებ. გერმანიის მთავრობა ერთსულოვნად ადგას იმ აზრს, რომ ყოველივე ზომები უნდა იქნეს მიღებული ევროპის აღმოსავლეთში კრიზისის დასაძლევათ. საჭიროა, რომ ერთა ლიგის საბჭოში შემავალმა სახელმწიფოებმა აიძულონ კოვნო და ვარშავა, რომ მათ უარყონ ყოველგვარი ნაბიჯი, რომელთაც შეუძლიათ კონფლიქტის გამწვავება (ადს).

ხმები გადატრიალების შესახებ კოვნოში

ბერლინი, 27 ნოემბერი. ვოლფის სააგენტო იუწყება:

„**აქ მიღებული კერძო დეპეშა ვარშავიდან ავრცელებს ხმებს, თითქოს კოვნოში მოხდა გადატრიალება. ჯერ-ჯერობით სარწმუნო წყაროებიდან არ არის მიღებული ამ ხმების დამადასტურებელი ცნობები** (ადს).

გერმანია ემუქრება პოლონეთს

ბერლინი, 27 ნოემბ. „დაიჩე ტაგესცეიტუნგი" სწერს:

„თანდათან უფრო შესაძლო ხდება ლიტვის პოლონეთთან ნებაყოფლობით შეერთების სიმულაცია პოლონელების მიერ ლიტველ ემიგრანტების აჯანყების გზით. ემიგრანტებს შეუმჩნევლად გააძლიერებენ პოლონელ მოხალისეებით. თავის თავად ცხადია, რომ ლიტვის ანექსია პოლონეთის მიერ სერიოზულად ემუქრება გერმანიის და რუსეთის სასიცოცხლო ინტერესებს და რომ გერმანიას ამ შემთხვევაში არ შეუძლია არ მიიღოს სათანადო ზომები (ადს).

ვოლდემარასის დეპეშა რეიტერის სააგენტოსადმი

ლონდონი, 27 ნოემბ. რეიტერის სააგენტო იუწყება: „ლიტვის პრემიერმა ვოლდემარასმა რეიტერის სააგენტოს ბერლინის განყოფილებას გაუგზავნა დეპეშა, რომელშიაც ამბობს:

„როგორც სჩანს, პოლონეთის მთავრობა სარგებლობს ზოგიერთი პირებით, რომლებიც გაიქცნენ ლიტვიდან ტაუროგენში აჯანყების ცდის შემდეგ სექტემბერში. ამ პირებს პოლონეთის მთავრობა იყენებს რევოლიუციონურ მოძრაობის ორგანიზატორებად ლიტვის მთავრობის წინააღმდეგ. მე მზად ვარ აღვადგინო ნორმალური ურთიერთობა პოლონეთთან მას შემდეგ, რაც მიღწეული იქნება დამაკმაყოფილებელი შეთანხმება ვილნოს შესახებ და მას შემდეგ, რაც პოლონეთი დაამტკიცებს, რომ ის მზად არის პატივი სცეს ლიტვის დამოუკიდებლობას" (ადს).

მთელს ლიტვაში სიწყნარეა

ბერლინი, 27 ნოემბ. ვოლფის სააგენტო იუწყება:

„როგორც „ლიტაუშე რუნდშაუ" იუწყება, ცნობები კოვნოში პუტჩის მოხდენის შესახებ მოკლებულია ყოველ საფუძველს. მთელს ლიტვაში სიწყნარეა. მთავრობის მოლაპარაკება პარტიების ლიდერებთან გრძელდება" (ადს).

პოლონეთის მთავრობის ნოტა

მოსკოვი, 28 ნოემბერი. გარეშე საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ. ჩიჩერინმა 28 ნოემბერს პოლონეთის რწმუნებულისაგან მოსკოვში, ზალეზინსკისაგან, მიიღო ნოტა, რომელშიაც ნათქვამია:

„ჩემი მთავრობის დავალებით, პატივი მაქვს გაცნობოთ იმ ნოტის ტექსტი, რომელიც პოლონეთის მთავრობამ გაუგზავნა ყველა მთავრობებს, რომლებთანაც მას აქვს დიპლომატიური ურთიერთობა.

„საკითხი პოლონეთ-ლიტვის ურთიერთობის შესახებ აღმოჩნდა შეტანილი ერთა ლიგის საბჭოს უახლოესი სესიის დღის წესრიგში, ლიტვის მთავრობის მიერ პოლონეთის მთავრობაზე შეტანილ საჩივრის გამო. ამ პირობებში. პოლონეთის მთავრობას საჭიროდ მიაჩნია ხელახლა გაუსვას ხაზი თავის პოზიციის საკითხში ორივე ქვეყნის ურთიერთობის შესახებ.

პოლონეთის მთავრობა აცხადებს, რომ მას არა აქვს არავითარი განზრახვა ლიტვის რესპუბლიკის პოლიტიკურ დამოუკიდებლობისა და ტერიტორიალურ ხელშეკრულების წინააღმდეგ და რომ მისი ერთად-ერთი მიზანია—დაამყაროს ლიტვასთან სავსებით მშვიდობიანი ნორმალური კეთილმეზობლური ურთიერთობა. პოლონეთის მთავრობის ეს სურვილი ხვდება კატეგორიულ წინააღმდეგობას ლიტვაში ერთი-ერთმანეთის მიყოლებით შეცვლილ მთავრობების მხრით, რომლებიც ახლაც ისე, როგორც უწინ ამტკიცებენ, რომ მათი ქვეყანა იმყოფება პოლონეთთან საომარ მდგომარეობაში.

პოლონეთის მთავრობის აზრით, საქმის ასეთი განსაკუთრებით უმაგალითო მდგომარეობა, რომელიც დაკავშირებულია სერიოზულ საფრთხესთან ხალხთა მშვიდობიან თანამშრომლობისათვის არ შეიძლება გაგრძელდეს მომავალში. პოლონეთის მთავრობა დარწმუნებულია, რომ მის თვალსაზრისს გაიზიარებენ ყველა მთავრობები და მთელი მსოფლიოს განათლებული საზოგადოებრივი აზრი და რომ ეს მთავრობები მიმართავენ ყველა მათ განკარგულებაში მყოფ საშუალებებს, რათა ბოლო მოუღონ საომარ მდგომარეობას, რომელსაც ესოდენ დაჟინებით აცხადებს ლიტვის მთავრობა".

საბჭოთა ნოტის გამოძახილი

ინგლისში

ლონდონი, 27 ნოემბერი. რეიტერის სააგენტო იუწყება:

„ინგლისის მთავრობას არ მიუღია საბჭოთა მთავრობის მიერ პოლონეთისათვის გაგზავნილ ნოტის ტექსტი, მაგრამ, სააგენტოს მიერ სარწმუნო წყაროებიდან მიღებულ ცნობების თანახმად, ლონდონში იმედი აქვთ, რომ პოლონეთის და ლიტვის მთავრობა იმოქმედებენ უდიდესი სიფრთხილით და თავს შეიკავებენ ყოველგვარ გამომწვევ აქტებისაგან, განსაკუთრებით იმიტომ, რომ პოლონეთ-ლიტვის კონფლიქტი განხილულ იქნება მომავალ კვირაში ჟენევაში. ლონდონში მდგომარეობას საშიშად არ სთვლიან, მაგრამ სავსებით გათვალისწინებული აქვთ ის, რომ მან შეიძლება საშიში სახე მიიღოს. გარდა ამისა, **ლონდონში სთვლიან, რომ საბჭოთა კავშირს სრული საფუძველი აქვს დაინტერესებული იყვეს კონფლიქტით, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს მშვიდობიანი მდგომარეობის დარღვევა ბალტიის პროვინციებში"** (ადს).

გერმანიაში

ბერლინი, 27 ნოემბ. ვილნოში მომხდარმა თათბირმა და ბოგომოლოვის ნოტამ გერმანიის საზოგადოებრივობის ყურადღება მიაქცია აღმოსავლეთ ევროპაში მომხდარ ამბებს. 26 ნოემბერს საღამოს გაზეთები გამოვიდა სენსაციურ სათაურებით.

შტრეზემანთან დაახლოვებულმა „ტეგლიშე რუნდშაუმ" ამ ცნობებს გაუკეთა სათაური, რომელიც აწყობილია მსხვილი შრიფტით და ამბობს:

„ომის სერიოზული საფრთხე აღმოსავლეთში".

კომენტარიებში გაზეთი სწერს:

„თუ საბჭოთა მთავრობამ საჭიროდ სცნო გამაფრთხილებელ და მუქარის ნოტის გაგზავნა პოლონეთის მთავრობისათვის, მდგომარეობა, როგორც სჩანს, უაღრესად გამწვავებულია.

ბალკანეთზე [illegible] სავსეა. ნუთუ ჩვენ უნდა ვცდიდეთ სანამ ვინმე [illegible] რომ პაპიროსს ნამწვავს არ ჩააგდებს ამ წამალში. „იზვესტია" მართალია, როცა გაფრთხილებას იძლევა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ გაფრთხილებას გაიგონებენ ჟენევაში და სხვაგანაც".

„ფოსიშე ცეიტუნგ" სწერს: „ხმები პოლონეთ - ლიტვის ურთიერთობის გამწვავების შესახებ კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას ღებულობენ საბჭოთა კავშირის გამაფრთხილებელ ნოტასთან დაკავშირებით. ამ კონფლიქტში საჭიროა განსხვავება ვიპოვოთ იმ ფორმას შორის, რაც ირკვევა ლიტვის ემიგრანტების და პოლონეთის პოლიტიკოსების ფარულ ზრახვების შესახებ".

„ფორვერტს"-მა გამოაქვეყნა შინაარსი „იზვესტიას" წერილის „ომის საფრთხე აღმოსავლეთში" (ადს).

პოლონეთში

ვარშავა, 27 ნოემბ. ოფიციოზური „ეპოქა" აცხადებს, რომ ნოტა ეკუთვნის საბჭოთა დიპლომატიის იმ ნაწარმოებთა რიცხვს, რომლებიც გამოხატავენ მის მოქნილობას, ხშირად ნაკლებ საქმიანს.

„ჩვენ გვახსოვს, — სწერს გაზეთი, — ასეთი ნოტები მემელისა და ტანჟერის შესახებ. ფრაზებს პოლონეთთან მეგობრულ ურთიერთობისა და აღმოსავლეთ ევროპაში მშვიდობიანობისაკენ მისწრაფების შესახებ არ ამართლებს თვით ნოტის ჩაბარების ფაქტი. მეგობრულ ურთიერთობისაკენ მისწრაფება არ იძლევა საკმაო საფუძველს ისეთი დიპლომატიური კორესპონდენციისათვის, როგორიცაა უკანასკნელი ნოტა".

„გლოს პრავდი" აცხადებს, რომ ნოტა, ალბათ, უპასუხოდ დარჩება პოლონეთის მხრივ და დასძენს, რომ საბჭოთა ნოტები არაერთხელ დარჩენილა უპასუხოდ.

„პოლსკა ზბროინა" აცხადებს, რომ მთავრობის მეთაურის გამგზავრება ვილნოში ჯერ არ არის საკმაო მიზეზი ევროპის მშვიდობიანობის ჩაშლისათვის და პოლონეთის აგრესიულ გამოსვლის დაწყებისათვის (ადს).

სამხრეთ-სლავიის ციხეებში

ვენა 27 ნოემბ. **ბელგრადის ციხეების პოლიტიკურ პატიმართა დამცველმა ჯუკიჩევიჩმა ყველა პარტიებს და პოლიტიკურ ორგანიზაციებს** მიმართა ღია წერილით, რომელშიაც მოითხოვს დანიშნულ იქნეს კომისია იმ არაადამიანურ ტანჯვის და წამების გამოსაძიებლად, რომელიც მიაყენეს დაპატიმრებულ 35 მუშას და ინტელიგენტს, მათ რიცხვში ვუიოვიჩს, სიმა მარკოვიჩს და სტეფანოვიჩს. წერილი დაბეჭდილია გაზეთებში.

სკუპშჩინის სხდომაზე ოპოზიციამ შეიტანა სასწრაფო ინტერპელიაცია ამ საქმეზე საგამომძიებლო კომისიის დანიშვნის მოთხოვნით. სკუპშჩინის უმრავლესობამ ეს წინადადება უარყო.

სხდომაზე ადგილი ჰქონდა მღელვარე საპროტესტო სცენებს ოპოზიციის ზოგიერთ მოღვაწეთა მხრივ, რომელთაც დახატეს ჩერნოგორიაში გამეფებულ ტერორის ნათელი სურათი და პროტესტი განაცხადეს კუსოვაცის დაპატიმრების წინააღმდეგ. დაპატიმრებულია რადომირ კუიოვიჩის ძმა გრიგოლი (ადს).

ედო ფიმენი სამოქალაქო ომის შესახებ

ლონდონი, 27 ნოემბერი. თავის სიტყვაში პაციფისტურ ორგანიზაცია „ძირს ომი"-ს კონფერენციაზე ედო ფიმენმა (ტრანსპორტის მუშათა საერთაშორისო გაერთიანების, გენერალური მდივანი) განაცხადა:

„ერთა ლიგას არ შეუძლია და არც სურს ომის თავიდან აცილება. ლიგა არის ქურდების ხროვა, არც მეტი, არც ნაკლები. ომი კაპიტალისტური სისტემის აუცილებელი შედეგია და, ვინც ომის წინააღმდეგია, სოციალისტი უნდა იყვეს. მუშათა მოძრაობა უნდა მოემზადოს იმისათვის, რომ საყოველთაო გაფიცვა გამოაცხადოს გადამწყვეტ მომენტში. ჯერ-ჯერობით მუშები ამისათვის არ არიან მომზადებულნი. მუშებისათვის უმჯობესი იქნებოდა ბრძოლა საკუთარ ბურჟუაზიის წინააღმდეგ, ვინემ მათი ძმების—მუშების წინააღმდეგ, რომლებიც იმყოფებიან საზღვარს იქით. **საყოველთაო გაფიცვა იქნება სისხლის ღვრა და, შეიძლება, სამოქალაქო ომიც, მაგრამ უმჯობესია ასეული ათასი დაიღუპოს ომის თავიდან ასაცილებლად, ვინემ 10 მილიონი დაიღუპოს ომში"** (ადს).

უკანასკნელი ცნობები

ზეიპელი თავს იმართლებს

ვენა, 28 ნოემბერი. პარლამენტის საბიუჯეტო კომისიაში კანცლერ ზეიპელმა, პასუხად რენნერის (სოციალ-დემოკრატი) შეკითხვაზე მოსკოვიდან ავსტრიის ელჩის პოლის უკან გამოძახების შესახებ განაცხადა: რომ ეს სრულიადაც არ მოწმობს სახელმწიფო სამსახურიდან სოციალ-დემოკრატების მოხსნის სისტემას. პოლის დამსახურება მოსკოვში უაღრესად დიდია, ვინაიდან მან თავისი დიპლომატიური მოღვაწეობა საბჭოთა კავშირში დაიწყო იმ მომენტში, როდესაც თითქმის ყველაფერი დამოკიდებული იყო ელჩის პირადი გავლენისაგან. ეხლა კი საბჭოთა კავშირში შეიცვალა დიპლომატიური მუშაობის ეს განსაკუთრებული პირობები. (ადს).

პოლონეთის პროვოკაცია

კოვნო, 28 ნოემბერი. ლიტვის დეპეშათა სააგენტომ გამოაქვეყნა ცნობა, რომელშიაც ნათქვამია: „პოლონელები უკიდურესად არიან დაინტერესებული იმით, რომ ლიტვაში მღელვარება გამოიწვიონ იმ მომენტში, როდესაც ერთა ლიგის საბჭოს სესიაზე იწარმოებს ლიტვის საჩივრის განხილვა. ამის გამო პოლონეთის აგენტები, პლეჩკაიტისის მეთაურობით, დაჟინებით ავრცელებენ ხმებს იმის შესახებ, რომ თითქოს ლიტვაში სერიოზულ ამბებს აქვს ადგილი. ლიტვის მთავრობა აცხადებს, რომ ასეთი ხმები მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს. მთავრობა უზრუნველჰყოფს წესრიგის დაცვას. ყოველი მოქალაქის მოვალეობაა— დაეხმაროს მთავრობას ამ საქმეში და აქტიური მონაწილეობა მიიღოს ბრძოლაში პოლონეთის პროვოკატორების წინააღმდეგ. (ადს).

ლორდები და ინგლისის პროფკავშირები

ლონდონი, 27 ნოემბერი. ლორდ ებერკანვეიმ, ლორდ ლონდონდერიმ და ინგლისის მრეწველთა მთელ რიგ სხვა გამოჩენილმა წარმომადგენლებმა პროფკავშირთა გენერალურ საბჭოს მიმართეს წერილით, რომელშიაც წინადადებას იძლევიან მოწვეულ იქნეს გაერთიანებული თათბირი, რომელიც განიხილავს საკითხს იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც საჭიროა, რათა ინგლისის მრეწველობას შეეძლოს უცხოეთის კონკურენციისათვის წინააღმდეგობის გაწევა. გენერალური საბჭო ამ წინადადებას 20 დეკემბერს განიხილავს. (ადს).

ძველ ბოლშევიკების საზოგადოებაში

მოსკოვი, 26 ნოემბერი. 25 ნოემბერს შესდგა ძველ ბოლშევიკთა საზოგადოების წევრთა საერთო კრება. კრებას დაესწრო 155 კაცი. კრებამ ყველა ხმების უმრავლესობით 7 წინააღმდეგ (7 თავი შეიკავა) დაადგინა გამორიცხოს საზოგადოებიდან ოპოზიციონერები: ტროცკი, ზინოვიევი, პრეობრაჟენსკი, კამენევი, სმირნოვი, ი. ნ. კასპაროვი, მურალოვი, შილოვსკი, ვორონსკი, რავიჩი, კანატჩიკოვი და შლიაპნიკოვი. გარდა ამისა, საზოგადოების კრებამ დაავალა საზოგადოების ბიუროს გაეცნოს 83-ის პლატფორმაზე ხელისმომწერთა სიას და თუ მათ შორის აღმოჩნდება საზოგადოების წევრი, მათი სია წარმოადგინოს საზოგადო კრებაზე მათ გამოსარიცხად საზოგადოების წევრთა შემადგენლობიდან. (ადს).

ზექია-ბეის გამგზავრება

მოსკოვი, 28 ნოემბერი. 28 ნოემბერს ოსმალეთში გაემგზავრა ოსმალეთის ელჩი საბჭოთა კავშირში ზექია-ბეი, რომელიც სტოვებს თავის თანამდებობას მოსკოვში. გამგზავრების წინ ზექია-ბეი გამოემშვიდობა საბჭოთა მთავრობის წარმომადგენლებს. (ადს).

ლენინის ლოზუნგით

ბერლინი, 27 ნოემბერი. გერმანიის კომპარტიის ბერლინ-ბრანდენბურგის ორგანიზაციის საოლქო კონფერენცია გაიხსნა გუშინ პიკის შესავალი სიტყვით. პიკმა წამოაყენა ლენინის ლოზუნგი: „მტკიცე ცენტრალიზაცია და მკაცრი დისციპლინა არის ერთი უმთავრესი პირობათაგანი ბურჟუაზიის დასამარცხებლად". საკ. კომ. პარ. (ბ) მე-15 ყრილობისათვის გასაგზავნი მისასალმებელ წერილის ტექსტი მიღებულია ყველა ხმების უმრავლესობით 8 წინააღმდეგ, ხოლო ბერლინ-ბრანდენბურგის ორგანიზაციის შეფობის ქვეშ მყოფ წითელი არმიის ათასეულის კომუნისტური უჯრედისათვის გასაგზავნ მისალმების ტექსტი მიღებული იქნა ერთხმად (ოთხმა თავი შეიკავა).

ორივე მისალმებაში კონფერენცია კატეგორიულად გმობს ოპოზიციას საკ. კომ. პარ. (ბ) შიგნით. საოლქო კომიტეტის საანგარიშო მოხსენებიდან სჩანს, რომ ერთიანი ფრონტის ტაქტიკის სწორად გატარების შედეგად გაძლიერდა პარტიის გავლენა გერმანიის მუშათა კლასზე, სამ ჯგუფად დაყოფილ ოპოზიციის გავლენა ბერლინის ორგანიზაციაში ძალიან ეცემა. ორი წლის წინად ოპოზიციას საოლქო კონფერენციაზე ჰყავდა ყველა ხმების 30 პროც.; შარშან — 18 პროც.; წელს კი ჰყავს 10 პროცენტზე ნაკლები. კონფერენცია მქუხარე ტაშით შეხვდა ტელმანის მოხსენებას ს. კ. პარ. (ბ) რიგებიდან და კომინტერნიდან ტროცკისა და ზინოვიევის გამორიცხვის შესახებ. კამათში გამოვიდნენ სამივე ოპოზიციონერი ჯგუფის წარმომადგენლები.

კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც სავსებით იწონებს საკ. კომ. პარ. (ბ) და კომინტერნიდან ტროცკისა და ზინოვიევის გამორიცხვას, მთლიანად ადასტურებს გერმანიის კომპარტიის სოლიდარობას საკ. კომ. პარ. (ბ) პოლიტიკასთან და ჰკიცხავს ახალი ოპოზიციის მენშევიკურ ხასიათს. რეზოლიუცია მიღებულ იქნა ყველა ხმების უმრავლესობით ოპოზიციის 14 ხმის წინააღმდეგ. ვედინგის ოპოზიციის მომხრეთა მიერ წარდგენილმა რეზოლიუციამ მიიღო 6 ხმა, ხოლო ურბანსის ჯგუფის პლატფორმამ—5 ხმა. (ადს).

ოპოზიცია საფრანგეთის კომპარტიაში

პარიზი, 28 ნოემბერი. საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა, პარტიის მომავალ ყრილობასთან დაკავშირებით, დაიწყოს ფართე პარტიული დისკუსია. პარტიის აქტივისათვის „მდგომარეობის გაშუქების" საბაბით ოპოზიციონერები ავრცელებდენ ყალბ ხმებს და ბრალდებებს საკავშირო კომპარტიის და კომინტერნის წინააღმდეგ. ოპოზიციონერებმა გამოუშვეს ბროშიურა, რომელშიაც აშკარად ილაშქრებენ პარტიისა და კომინტერნის პოლიტიკის წინააღმდეგ. საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიურომ დაადგინა საკონტროლო კომისიას გადასცეს საკითხი იმათ შესახებ, ვინც ჯერ კიდევ პარტიის წევრად ითვლება. (ადს).

გოტო მიემგზავრება მოსკოვში

ტოკიო, 27 ნოემბერი. 5 დეკემბერს ბარონი გოტო მიემგზავრება მოსკოვში. (ადს).

მანიუს ულტიმატუმი

ვენა, 27 ნოემბერი. როგორც ბუქარესტიდან იუწყებიან, 25 ნოემბერს გრძელდებოდა მოლაპარაკება პრემიერსა და ოპოზიციის ბელადებს შორის. მოლაპარაკებაში მონაწილეობა მიიღო სარეგენტო საბჭომ.

ნაციონალურ გლეხთა პარტიის აღმასრულებელ კომიტეტის სხდომაზე მანიუმ გააკეთა მოხსენება მოლაპარაკების მდგომარეობის შესახებ. აღმასკომმა დაადგინა დასთანხმდეს კოალიციონურ მთავრობაში მონაწილეობაზე მხოლოდ იმ პირობით, თუ დაუყოვნებლივ შეცვლილი იქნება საარჩევნო კანონი. (ადს).

საბჭოთა დელეგაცია ჟენევაში

საბჭოთა დელეგაციის გამგზავრება

ბერლინი, 27 ნოემბერი. **ლიტვინოვს და კრესტინსკის 25 ნოემბერს საუბარი ჰქონდათ შტრეზემანთან და შუბერტთან.** იმავე საღამოს მოლაპარაკება გრძელდებოდა საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებსა და შტრეზემანს შორის.

26 ნოემბერს, საბჭოთა დელეგაცია სრული შემადგენლობით გაემგზავრა ჟენევაში (ადს).

საბჭოთა დელეგაცია ჩავიდა ჟენევაში

ჟენევა, 27 ნოემბერი. (საკავშირო დეპეშათა სააგენტოს სპეციალურ კორესპონდენტისაგან) საბჭოთა დელეგაცია 25 ნოემბერს ჩავიდა ჟენევაში. საპოლიციო ზომები, მიღებული საბჭოთა დელეგაციის ჩამოსვლასთან დაკავშირებით, არ ატარებენ ისეთ მკაცრ და გამომწვევ ხასიათს, რომელსაც ადგილი ჰქონდა საერთაშორისო ეკონომიური კონფერენციის დროს მაისში (ადს).

ჟენევა, 27 ნოემბერი საბჭოთა დელეგაციის გადასვლა შვეიცარიის საზღვარზე მოხდა უინციდენტოდ. სადგურებზე შვეიცარია - გერმანიის საზღვარსა და ჟენევის შორის, საბჭოთა დელეგაციის ვაგონს გარს ერტყმოდენ სამოქალაქო ტანთსაცმელში გამოწყობილი პოლიციის აგენტები. ასეთივე ამბავი მოხდა სალონ-ვაგონის ჟენევაში ჩასვლისას. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა დელეგაციის ჟენევაში ჩამოსვლის დროს ხელისუფლება საიდუმლოდ ინახავდა, ჟენევის სადგურზე მატარებლის ჩამოსვლის წინ თავი მოიყარა საკმაოდ მრავალრიცხოვანმა საზოგადოებამ. მანიფესტაცია არავითარი არ მომხდარა. პოლიცია სავსებით ზრდილობიანად უჭირავს თავი. (ადს)

ერთა ლიგის წრეებში

ჟენევა, 27 ნოემბერი. ერთა ლიგის წრეებში გაცხოველებით უკეთებენ კომენტარიებს საბჭოთა დელეგაციის ჩამოსვლას, ამსთანავე ხაზს უსვამენ მისი შემადგენლობის პოლიტიკურ ავტორიტეტულობას. ყველა წრეებში უდიდეს მნიშვნელობას აძლევენ საბჭოთა დელეგაციის მომავალ გამოსვლას, მის პროგრამას და ტაქტიკას. **ზოგი წრეები შეშფოთებული არიან ამის გამო და ფიქრობენ, რომ საბჭოთა კავშირი წამოაყენებს განიარაღების კონკრეტიულ გეგმას, რომელსაც პირდაპირი პასუხი უნდა გაეცეს.** ეს პასუხი მით უფრო აუცილებელია გაეცეს, რომ ამჟამად ფართო მასებში იზრდება შიში მდგომარეობის გართულების გამო პოლონეთ-ლიტვის საზღვარზე და აგრეთვე საფრანგეთ-იტალიის ურთიერთობის გამწვავების გამო (ადს).

ანტი-საბჭოთა გაზეთები

ჟენევა, 27 ნოემბერი. 3 დეკემბრიდან ჟენევაში გამოვა ანტი-საბჭოთა გაზეთი, თეთრგვარდიელ კუბალოვის რედაქციით და ორი ჟენეველი რეაქციონური ჟურნალისტის უახლოეს მონაწილეობით.

სარწმუნო წრეებში „ბნელს" უწოდებენ იმ წყაროს, საიდანაც ეს გაზეთი მიიღებს ფულებს (ადს).

საფრანგეთ-სამხრეთ-სლავიის ხელშეკრულების რატიფიკაცია

ვენა, 27 ნოემბერი. ბელგრადიდან მიღებული ცნობით, სამხრეთ-სლავიის მეფემ დაამტკიცა საფრანგეთ-სამხრეთ-სლავიის ხელშეკრულება (ადს).

თავდასხმა ზეიცზე

ზეიცზე თავდამსხმელი ფაშისტია

ვენა, 27 ნოემბერი. გამოირკვა, რომ ვენის ბურგომისტრზე—სოციალ-დემოკრატ ზეიცზე თავდამსხმელი არის ომის ყოფილ მონაწილეთა ფაშისტური კავშირის წევრი.

ავსტრიის სოციალ-დემოკრატიულმა პრესამ თავდასხმის გამო გამოაქვეყნა მოწოდება, რომელშიაც დუმილით უვლის გვერდს თავდასხმის პოლიტიკურ მნიშვნელობას და წინადადებას აძლევს მუშებს თავი შეიკაონ რაიმე მანიფესტაციებისაგან. (ადს).

ვენა, 27 ნოემბ. ავსტრიის დეპეშათა სააგენტო იუწყება:

„26 ნოემბერს საღამოთი მოხდა თავდასხმა ვენის ბურგომისტრ ზეიცზე. თავდამსხმელმა ისროლა რევოლვერიდან. ზეიცი უვნებლად გადარჩა. თავდამსხმელი დაპატიმრებულია" (ადს).

ვენა, 27 ნოემბ. ავსტრიის დეპეშათა სააგენტოს დამატებითი ცნობების თანახმად ზეიცზე თავდამსხმელმა ოთხჯერ გაისროლა რევოლვერიდან ავტომობილისაკენ, რომელშიაც იჯდა ზეიცი. ამის შემდეგ თავდამსხმელი შეეცადა მიმალულიყო, მაგრამ ის დააკავეს და აღმოჩნდა 28 წლის მექანიკოსი შტრებინგერი, რომელიც უკანასკნელ დროს უმუშევრად იყო. თავდასხმის მიზეზები ჯერ გამოურკვეველია. შეკითხვაზე თავდასხმის შედეგების შესახებ თავდამსხმელმა განაცხადა, რომ თუ მოუყვა ამის შესახებ ლაპარაკს, დაკითხვა დიდ ხანს გაგრძელდება.

ბურგომისტრი ზეიცი შეუძლებლად სთვლის პოლიტიკურ მოტივების არსებობას.

ავსტრიის დეპეშათა სააგენტო იუწყება:

„თავდამსხმელი, როგორც სჩანს, ფსიქიური ავადმყოფია. ის დიდ ხანს თამაშობდა სცენაზე, უკანასკნელ დროს იყო უმუშევარი და ღებულობდა დახმარებას. ბურგომისტრი ზეიცი თავდასხმას არავითარ მნიშვნელობას არ აძლევს. დაკითხვაზე თავდამსხმელმა განაცხადა, რომ მას არ ჰყოლია არავითარი თანამონაწილე ამ საქმეში. ზეიცს მან ესროლა იმისათვის, რომ ამით მთელი ქვეყნის ყურადღება მიექცია ავსტრიის ხალხის ეკონომიურ გაჭირვებაზე, ვინაიდან ამაში პასუხისმგებლად ის სთვლის უცხოეთის სახელმწიფოებს, რომელთაც ომის დამთავრების შემდეგ ავსტრიას თავზე მოახვიეს ეკონომიურად გამანადგურებელი საზავო პირობები. თავდამსხმელმა განაცხადა აგრეთვე, რომ ამჟამად ის არ ეკუთვნის არც ერთ პოლიტიკურ პარტიას, ხოლო წინად იზიარებდა სოც. - დემოკრატიულ პარტიის შეხედულებებს. ამჟამად ის არის ომის ყოფილ მონაწილეთა გაერთიანების წევრი" (ადს).

ავსტრიის მუშათა დელეგაციის დაბრუნება ვენაში

ვენა, 27 ნოემბ. პოლიციამ, რომელმაც ალყა შემოარტყა სადგურს, აკრძალა საბჭოთა კავშირიდან ვენაში დაბრუნებულ ავსტრიის მუშათა დელეგაციის შეხვედრა.

დელეგაციის ჩამოსვლის გამო კომპარტიამ მოაწყო მიტინგი. დელეგატებმა, რომლებსაც სავსე დარბაზი ოვაციებით შეხვდა, განაცხადეს, რომ ყველაფერი, რაც მათ ნახეს საბჭოთა კავშირში, აქარწყლებს ბურჟუაზიის და სოციალ-დემოკრატების ცილისწამებას და ადასტურებს იმ ფაქტს, რომ საბჭოთა კავშირში სწარმოებს ინტენსიური სოციალისტური აღმშენებლობა. დასასრულ დელეგატებმა განაცხადეს, რომ პროლეტარიატმა მთლიანი ფრონტით უნდა დაიცვას საბჭოთა კავშირი.

დელეგატები საანგარიშო მოხსენებებით გამოდიან მუშების მრავალ კრებებზე (ადს).

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საბჭოთა სომხეთის 7 წლის თავი

სომხეთის ყველა მშრომელთ

სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შვიდი წლის თავზე, საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტი ძმურ სალამს უგზავნის სომხეთის ყველა მუშებს, გლეხებს და ყველა მშრომელთ.



ამხ. კარინიანი

სომხეთის ცაკის თავმჯდომარე

ამ მცირე ხნის განმავლობაში სახელოვან მიღწევათა დიდი გზაა განვლილი. საბჭოთა ხელისუფლებამ ძმობის და მეგობრობის დამოკიდებულება დამყარა სომხეთის ხალხებს შორის, შექმნა ერთა შორის ნაციონალური ზავი და უშიშროება მშრომელთათვის. გასაქანი მისცა შემოქმედებით ძალებს და წასწია ქვეყანა ეკონომიური და კულტურული პროგრესისაკენ. ერევნის ელექტრო-სადგური ძორაჰესი, „აიგერ ლიის“, საფეიქრო ფაბრიკა ლენინაკანში, ზამბის ქარხანა და სხვა. ამ მიღწევებთან ერთად ვითარდებოდა ფართო სასკოლო და საკლუბო აღმშენებლობა. დაარსდა მუზეუმები, ბიბლიოთეკები, კონსერვატორიები, უნივერსიტეტი, საგლეხო გაზეთები, ჟურნალები, განვითარდა ხელოვნება და ლიტერატურა.

ყველა ეს მიღწევები მოწმობენ იმ დაუსრულებელ შესაძლებლობაზე, რომელნიც მარხია სომხეთის მშრომელთა მასებში, საბჭოთა სისტემის უდიდესი როლის შესახებ, რომელმაც მისცა გასაქანი ყველა ამ შესაძლებლობებს და გაატარა ის ცხოვრებაში და აგრეთვე იმ დიდი მუშაობის სწორ ხელმძღვანელობაზე, რომელსაც ატარებდა მშრომელთა ბელადი და მათი ავანგარდი სომხეთის კომუნისტური პარტია.

დაშნაკური პოლიტიკის წყალობით განადგურებული, დასისხლიანებული და გაპარტახებული ქვეყნის სამეურნეო და კულტურული აღდგენა, კიდევ ერთხელ ამტკიცებს ამიერ-კავკასიის ფედერაციის არსებობას და მის საბჭოთა კავშირის დიდ ოჯახში მთლიანად შესვლის აუცილებლობას.

გაუმარჯოს საბჭოთა სომხეთს!

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის ფედერაციას!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს.

საკავშ. კომპარტიის (ბ) ამ.-კავკ. სამხარეო კომიტეტი.

სომხეთის კომპ. (ბ) ცეკას

ჩვენი მხურვალე სალამი წითელ მშრომელ სომხეთს მისი გასაბჭოების მე-7 წლისთავზე!

7 წლის წინად სომხეთის მშრომელებმა კომპარტიის ხელმძღვანელობით დამხეს დაშნაკური დიქტატურა მისი შოვინისტური სისხლის მღვრელი პოლიტიკა, რომელიც სომხეთის მშრომელთ მოელოდათ ფიზიკური განადგურება, ეკონომიური გაღატაკება და აუცილებელი კატასტროფა!

მხოლოდ კომპარტიის ხელმძღვანელობით პროლეტარიატის დიქტატურის დროშის ქვეშ და ა.-კ. ფედერაციის ფარქვეშ საბჭოთა სომხეთი გამოვიდა დიდი სოციალიზმის შენებლობის, საბჭოთა კულტურული და ეკონომიური სწრაფი განვითარების ფართო გზაზე.

გაუმარჯოს პროლეტარიატის დიქტატურას, რომელმაც მშრომელი სომხეთი გამოგლიჯა ბურჟუაზიისა და კლერიკალურ დაშნაკური დიქტატურის კლანჭებიდან.

გაუმარჯოს სომხეთის კომპარტიას, რომელიც ურყეველი ნებისყოფით მისი რიგების ფოლადისებურ მთლიანობას იცავს ტროცკისტული ოპოზიციის თავდასხმებისაგან და მხნედ აშენებს სოციალიზმს!

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის ფედერაციას—ამიერ-კავკასიის ერთა ძმური თანამშრომლობის საწინდარს!

საქ. კომ. პარ. (ბ) ცეკა.

ამხ. ამბარცუმიანი

სომხეთის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე

საქართველოს ცაკის მისალმება

სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს და სახალხო კომისართა საბჭოს

სომხეთის გამარჯვების მეშვიდე წლის თავზე და მერვე წლის თავის მიჯნაზე ძმურ სალამს უგზავნი სომხეთის მშრომელთ, რომლებიც მძიმე პირობებში გზას იკაფავენ საყოველთაო ბედნიერებისაკენ—სოციალიზმისაკენ. სოციალიზმისაკენ მიმავალი გზა მიდის ამიერ-კავკასიის ერთა მჭიდრო კავშირზე დიდი საბჭოთა კავშირის ყველა ერებთან.

გაუმარჯოს ამ მთლიანობას და ამ კავშირს!

გაუმარჯოს საბჭოთა სომხეთს!

გაუმარჯოს ჩვენს სოციალისტურ მშენებლობას.

საქ. ცაკის თავმჯდომარე—ფ. მახარაძე.

სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 7 წლისთავის შესრულების გამო, ა.-კ. ცაკის თავმჯდომარეებმა ამხ. ალამდარ-ოღლიმ და კახიანმა და ა.-კ. ცაკის მდივანმა ამხ. შავერდოვმა მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნეს სომხეთის სახკომსაბჭოს და ცაკს.

საღამოს თბილისის რადიო-სადგურის მიერ გადაცემული იყო მისალმებები სომხეთისადმი ქართულ, სომხურ და რუსულ ენებზე. ამიერ-კავკასიის ცაკის სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა ა.-კ. ცაკის თავმჯდომარემ ამხ. კახიანმა. —

სპარსეთის სავაჭრო დელეგაციის მუშაობა

მოსკოვი, 28 ნოემბერი. 28 ნოემბერს სპარსეთის სავაჭრო დელეგაციისა და სპარსეთის უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს თავმჯდომარე ამინ-ზარიმ, საკავშირო დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში დელეგაციის მუშაობის შედეგების შესახებ შემდეგი განაცხადა:

„სპარსეთის სავაჭრო დელეგაციის გამგზავრება საბჭოთა კავშირში ღრმად შეუწყობს ხელს ორთავე ქვეყნის ეკონომიურად დაახლოვების საქმეს. მთელი რიგი მოუწესრიგებელი საკითხები, საბჭოთა მთავრობის წრეებთან მოლაპარაკების შემდეგ მოსკოვში, ორთავე ქვეყნისათვის დამაკმაყოფილებლად გადაწყდა.

გარდა ამისა სპარსეთის სავაჭრო წრეები საკმაოდ არ იცნობდნენ საბჭოთა კავშირის უკანასკნელ მიღწევებს. აქ ჩამოსვლით ჩვენ დავრწმუნდით, თუ რამდენად მნიშვნელოვანი და სერიოზული წარმატება აქვს საბჭოთა ხელისუფლებას სახალხო მეურნეობის აღორძინების საქმეში. მე დარწმუნებული ვარ, რომ საბჭ. კავშირის მრეწველობა მომავალშიაც განვითარდება და ის მჭიდრო კავშირს განამტკიცებს აღმოსავლეთთან და განსაკუთრებით კი სპარსეთთან. საბჭოთა მრეწველობის თანამშრომლობას სპარსეთის სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა ექნება. ამიტომ ჩვენ დავსვით საკითხი სასოფლო-სამეურნეო მანქანების შეტანის შესახებ საბჭოთა კავშირიდან სპარსეთში.

სპარსეთი, განაცხადა დასასრულ ამინ-ზარიმ,—პირველი სახელმწიფო იყო, რომელმაც მეგობრული ხელი გაუწოდა საბჭოთა ხელისუფლებას და მას შემდეგ ჩვენ ერთგულად ვიცავთ ამ მეგობრობას. დელეგაცია ბრუნდება უკანვე იმ შეგნებით, რომ მისი მისია ბოლომდე შესრულებულია“. (ადს).

სამხედრო საჰაერო აკადემიის იუბილე

მოსკოვი, 28 ნოემბერი. მუშურ-გლეხურ წითელი არმიის პროფ. ჟუკოვსკის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემიაში შესდგა საზეიმო სხდომა, რომელიც მიძღვნილი იყო სამხედრო-საჰაერო აკადემიის 5 წლის თავისათვის. აკადემიის უფროსმა წაიკითხა ბრძანება მუშურ-გლეხური წითელი არმიის სამხედრო-საჰაერო ძალებისადმი აკადემიის იუბილეს გამო და აგრეთვე ამხ. ვოროშილოვის მისალმება.

შემდეგ სიტყვები წარმოსთქვეს მოსკოვის მე-15 საგუბერნიო პარტკონფერენციის წარმომადგენლებმა ამხ. გორშკოვმა და პეტროვმა. (ადს).

ფრანგი მხატვრების გამოფენა მოსკოვში

მოსკოვი 28 ნოემბერი. მოსკოვში იხსნება ფრანგ მხატვრების გამოფენა. პარიზში [illegible] თავმჯდომარეობით და მოსკოვში ამხ. ლუნაჩარსკის თავმჯდომარეობით შექმნილია კომისიები გამოფენის მოსაწყობად. გამოფენის გახსნა განზრახულია 1928 წლის თებერვალში ტრეტიაკოვის გალერეიაში. მოსკოვში ფრანგ მხატვრების გამოფენის მოწყობასთან ერთად სწარმოებს მუშაობა საბჭოთა დარბაზის გასახსნელად „ლუქსემბურგის“ მუზეუმში პარიზში. (ადს).

ჩერვონეცის 5 წლის თავი

საუბარი ამხ. რიკოვთან

მოსკოვი, 28 ნოემბერი. ჩერვონეცის გამოშვების დღიდან შესრულებულმა ხუთი წლისთავმა ურწმუნოთაც კი დაუმტკიცა, რომ ჩვენ სწორედ მივუდექით ფულის ტრიალის გაჯანსაღების საქმეს და რომ წარმატებით გადაწყვეტილი იქნა ვალუტით უზრუნველყოფილ მტკიცე ფულის საკითხი. ეხლა ჩერვონეცის სიმტკიცე მაჩვენებელია ჩვენი სამეურნეო ანგარიშიანობისა და სამეურნეო გეგმების სისწორის.

ჩერვონეცის წარმატებით გავრცელებამ, როგორც ვიცით, საშუალება მოგვცა დავყრდნობოდით მას ფულის რეფორმის გატარების დროს 1924 წელში, სახაზინო ფულის, როგორც ჩერვონეცის ხურდავებლის ერთეულის გამოშვება და ტრიალი ექვემდებარებოდა საბანკო ემისიას, რომლის რაოდენობაც განისაზღვრებოდა საქონლის ბრუნვის მოცულობით. წარსულ წლებში მთელი სახალხო მეურნეობის სწრაფი განვითარების აუცილებელ პირობად გახდა მტკიცე ფულის სისტემის შემოღება. ხანამ არ იყო შესავსები ფულის ტრიალის „ცარიელი“ ადგილები, ჩერვონეცის ემისია არა თუ ემსახურებოდა ფულის ტრიალს, არამედ ამასთან ერთად იყო კაპიტალური დაგროვების წყარო სახალხო მეურნეობის განსაზოგადოებულ სექტორში. მაგრამ ფულის ბაზრისათვის სასურველი საშუალებათა მოწოდებასთან ერთად შემცირდა ჩერვონეცის ემისიის მოთხოვნილება და შესაძლებლობა.

მთელი საფინანსო და საკრედიტო პოლიტიკა აგებული უნდა იყოს ჩერვონეცის სყიდველობითი ძალის ურყეობის ხაზზე. ჩერვონეცი არ შეიძლება იყოს უნივერსალური წყარო სამეურნეო გეგმების განსახორციელებლად, იქნება ეს სახელმწიფო ბიუჯეტი თუ ბანკების საკრედიტო გეგმები, თუ მასში ადგილი აქვს, ანგარიში შეცდომას. ბიუჯეტის სიმტკიცე—ეს არის ჩერვონეცის სიმტკიცე; სიმტკიცე და რეალობა სამეურნეო გეგმების, რომლებიც ეყრდნობიან უდიდეს მომჭირნეობით და წინდახედულობით,—ეს არის ჩერვონეცის სიმტკიცე; კაპიტალური აღმშენებლობის გეგმის შედგენის სისწორე და მისი გადაუხვევლად შესრულება—ეს არის ჩერვონეცის სიმტკიცე. გასულ ხუთი წლის განმავლობაში ჩერვონეცს არა ერთი და ორი სერიოზული დაბრკოლება უნახავს, რომლებიც მან წარმატებით გადალახა სახალხო მეურნეობის ზრდის ჯანსაღი საფუძვლის მეოხებით.

მეორე ხუთი წლის დასაწყისში უნდა აღინიშნოს, რომ ჩერვონეცის სყიდვითი ძალის გადიდების ამოცანა ჯერ არ არის საბოლოოდ გადაწყვეტილი. საბჭოთა სახელმწიფოს სამეურნეო პოლიტიკამ, რომელიც ეყრდნობა წარსულ გამოცდილებას ფულის ტრიალის მოწესრიგების და მთელი სახალხო მეურნეობის გეგმიანად მოწყობის სფეროში, უნდა მიიღოს ყოველივე ზომები იმისათვის, რომ ჩვენი ვალუტის სყიდვითი ძალის გაუწყვეტელ გადიდების საშუალებით, რაც თავის მხრივ გააძლიერებს ფულადი საშუალებების დაგროვებას, სახალხო მეურნეობის განვითარება მიმართოს რადიკალური გადაკეთების და სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის გზით.

პირველი შეხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ ფულის ტრიალის და ბანკის სისტემის, კრედიტის ორგანიზაციას არა აქვს უშუალო კავშირი სოციალისტური მეურნეობის მოწყობასთან. აქამდე არსებობს შემცდარი შეხედულება, რომ გარდამავალი პერიოდის ბედს სწყვეტს მხოლოდ გარდამავალი პერიოდის საკითხები. სწყვეტს მხოლოდ უშუალო საწარმოო ხასიათის საკითხები. ეს უდიდესი შეცდომაა. სოციალისტური აღმშენებლობის წარმატება, როგორც ეს უკვე დაამტკიცა წარსულ გამოცდილებამ, მჭიდროდ დაკავშირებულია ბრუნვის ორგანიზაციასთან საერთოდ და ფულის ტრიალთან კერძოდ. ფულისა და კრედიტის პოლიტიკის შეცდომები გავლენას ახდენს მთელ მეურნეობაზე, მაშინ, როცა შეცდომებს სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში ან აქვთ ლოკალური ხასიათი ან, ყოველ შემთხვევაში, მათ უფრო ნაკლებ შეუძლიათ გამოიწვიონ საერთო სამეურნეო დაბრკოლებები. საკრედიტო და საბანკო სისტემა და ფულის ტრიალი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე უფრო მგრძნობიარე მექანიზმს, რომელზედაც განსაკუთრებით გავლენას ახდენს ყოველგვარი ცვლილება სახალხო მეურნეობაში.

ჩერვონეცის გამოშვების ხუთი წლისთავზე არ შეიძლება ხაზგასმით არ აღინიშნოს ის დიდი დადებითი როლი სოციალისტური აღმშენებლობის საქმეში, რომელიც შეასრულა სახელმწიფო ბანკმა. უკანასკნელის მნიშვნელობა ახლო მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება. (ადს).

საზეიმო სხდომა

მოსკოვი. 28 ნოემბერი. ჩერვონეცის გამოშვების დღიდან (27 ნოემბრიდან) ხუთი წლისთავის შესრულების გამო, 26 ნოემბერს შესდგა საემისიო საბჭოს საზეიმო სხდომა სახელმწიფო ბანკის გამგეობასთან ერთად. საემისიო განყოფილების მიერ 27 ნოემბრისათვის შედგენილ ბალანსის მიხედვით, საემისიო ფულების თავისუფალი ნარჩენი უდრის 17,3 მილიარდ მანეთს. ემისიის მთელი მოცულობა ჯამი უდრის 388,2 მილიარდ მანეთს. (ადს).

ამკ მრეწველობის ხუთწლიანი საპერსპექტივო გეგმის შესახებ

რეზოლუცია ამხ. ელიავას მოხსენების გამო

მიღებული ამკ. კომუნისტურ ორგანიზაციების 5-თე ყრილობაზე.

ამიერ-კავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების მე-5 ყრილობა, მოისმინა რა მან ამხ. ელიავას მოხსენება სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი პერსპექტიული გეგმის შესახებ, სავსებით და მთლიანად იწონებს საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას ოქტომბრის პლენუმის დირექტივებს, ა.-კ. ს. ფ. ს. რ. გეგმის მიმართ კი ყრილობას საჭიროდ მიაჩნია შემდეგი დებულებების აღნიშვნა.

ა.-კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო მეურნეობა პირველი ათი წლის თავზე იმყოფება აღდგენითი პროცესის დამთავრების სტადიაში. პროლეტარიატის გმირული ღონისძიებანი, რომელმაც ძველი რეჟიმისა და მენშევიკებისა, დაშნაკებისა და მუსავატების ოთხი წლის ბატონობისაგან მიიღო მძიმე მემკვიდრეობა, გამარჯვებით დაგვირგვინდა. ჩვენ ვხედავთ, რომ მეურნეობის თითქმის ყველა დარგი აღდგენილია, ხოლო მრავალ შემთხვევაში ბევრმა დარგმა წინ გაუსწრო ომის წინა დროის დონეს. ეროვნული შუღლი, რომელსაც ასე გულმოდგინედ აღვივებდენ ნაციონალურ - მენშევიკური პარტიები, — გაქრა. ამიერ კავკასიის ერები გატაცებული არიან საერთო შემოქმედებითი მუშაობით — სოციალისტური მეურნეობის შესაქმნელად. ამ საერთო მისწრაფებამ თავისი გამოხატულება ჰპოვა პოლიტიკურ-სამეურნეო გაერთიანებაში ამიერ - კავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის სახით.

მაგრამ აღდგენითი პერიოდის დამთავრება ჩვენს წინაშე აყენებს სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის მეტად რთულ ამოცანას, რომელიც მოითხოვს პარტიისა და ხელისუფლების მთელი ძალების დაჭიმვას. თუ წარსულში ჩვენ გვქონდა ზედმიწევნით და რაოდენობრივად განსაზღვრული მიზანი — ომამდე არსებულ დონის მიღწევა — ამჟამად ჩვენს წინაშე სდგას მეტად ფართო ამოცანა — მთელი ტეხნიკური ბაზის თვისობრივი შეცვლა, საწარმოო ძალების განვითარება, სამეურნეო მოღვაწეობისათვის უაღრესად ხელსაყრელ პირობების შექმნა და ძველი სამეურნეო წყაროებიდან მემკვიდრეობით მიღებულ დისპროპორციის აღმოფხვრა. ამ ამოცანების განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ მთელი სახალხო მეურნეობის მოწყობით. მაქსიმალურად გეგმიან საფუძველზე.

საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი საპერსპექტივო გეგმა აგებულია შემდეგ საფუძვლებზე:

ა) მუშებისა და გლეხური მასების მოხმარების გაფართოება;

ბ) წარმოების აღდგენისა და სახელმწიფო მრეწველობის დაგროვების გაფართოება; გ) განვითარების უფრო სწრაფი ტემპი, ვიდრე კაპიტალისტურ ქვეყნებშია და დ) სოციალისტური სექტორის ხვედრითი წონის გადიდება. მაგრამ, გეგმის შედგენის დროს საჭიროა მხედველობაში გვქონდეს ის ძირითადი დისპროპორციები, რომლებიც გეგმიანმა მეურნეობამ უნდა დასძლიოს. ეს დისპროპორციები შემდეგია: ა) დისპროპორციები მრეწველობისა და სასოფლო მეურნეობას შორის, ბ) სამრეწველო და სასოფლო მეურნეობის ფასებს შორის (მაკრატელი), გ) სამრეწველო ნედლეულის მოთხოვნილებისა და მიწოდების შორის და დ) სოფლად მუშა-ხელის რაოდენობისა და მისი გამოყენების შესაძლებლობას შორის (მოსახლეობის აგრარული სიჭარბე).

ზემოაღნიშნული დებულებები რთულდება და დისპროპორციები იზრდება ა.-კ. ს. ფ. ს. რ. სარაიონო გეგმის შედგენის დროს.

ამიტომ საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის ორგანიზაციების მე-5 ყრილობა, მიუთითებს რა ყველა ზემოაღნიშნულ სიძნელეებზე, ფიქრობს, რომ ერთად - ერთი საშუალება ამ სიძნელეების გადასალახავად იქნება ისეთი ხუთწლიანი გეგმის შედგენა, რომელიც როგორც სარაიონო გეგმა, გაითვალისწინებდა რა ჩვენი მეურნეობის განვითარების ყველა თავისებურ პირობებს, ამავე დროს დააკმაყოფილებდა ს. ს. რ. კ. გეგმის ყველა მთავარ მოთხოვნილებებს.

ამასთანავე ყრილობა განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ ხუთწლიანი გეგმის შედგენის დროს აუცილებლად საჭიროა საპერსპექტივო გეგმის ფარგლებს გარეშე ა.-კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო მეურნეობის განვითარების მსვლელობის გარკვევით გათვალისწინება. ეს საჭიროება მოითხოვს გენერალური გეგმის შედგენის დაჩქარებას. ამიტომ ყრილობა შესაფერ ორგანიზაციებს წინადადებას აძლევს დააჩქარონ ამიერ - კავკასიის სამეურნეო განვითარების ძირითადი პრობლემები და მახლობელ ხანში შეადგინონ თუნდაც გენერალური გეგმის ზოგადი სქემა.

რაც შეეხება თვით საპერსპექტივო გეგმის შინაარს, — ყრილობას საჭიროდ მიაჩნია შემდეგი სახელმძღვანელო დებულებების აღნიშვნა:

1) ელექტროფიკაცია წარმოადგენს რეკონსტრუქციის მთავარ ღერძს, ამიტომ ამიერ - კავკასიამ, რომელსაც ხელსაყრელი პირობები აქვს ჰიდროენერგიის დიდი მარაგის სახით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს სამეურნეო განვითარების ამ საფუძველს. ამასთანავე ყრილობა სავეგმო ორგანიზაციებს, ჰიდროელექტრო სადგურების ქსელის შემუშავების დროს, დაწყებული რაიონული სადგურებიდან და გათავებული განსაკუთრებით სასოფლო - სამეურნეო სადგურებით, — წინადადებას აძლევს არ შეიტანონ გეგმაში არარენტაბელური სადგურები.

2) ელექტროფიკაციის ბაზისზე ჩვენმა გეგმამ უნდა უზრუნველყოს ა.-კ. ს. ფ. ს. რ. ინდუსტრიალიზაცია, მაგრამ ვინაიდან ამიერ - კავკასია ერთ-ერთი ყველაზე უფრო ჩამორჩენილი რაიონია მრეწველობის მხრით, ამიტომ ინდუსტრიალიზაციის ტემპი აქ უფრო სწრაფი უნდა იქნეს, ვიდრე საბჭოთა კავშირის ცენტრალურ, სამრეწველო რაიონებში. ა.-კ. ს. ფ. ს. რ. ინდუსტრიალიზაცია უნდა მიდიოდეს შემდეგ ხაზით: მთავარი მიმართულებით საჭიროა ქვეყნის ძირითადი ფონდების, სახელდობრ, მეურნეობისა და ტყის ნედლეულის მოპოებითი და დამუშავებითი მრეწველობის განვითარება. აქ შედის სამთამადნო და სამთო - ქიმიური მრეწველობა, კერძოდ ტყვარჩელი - დაშქესანის კომბინატი, ფერადი ლითონები, საამშენებლო მასალის მრეწველობა, აბრეშუმის და ტყის მრეწველობა. შემდეგ აუცილებელია იმ მრეწველობის შექმნა, რომელიც მოითხოვს იაფ და უხვ ელექტროენერგიას —ციანამიდისა და გოგირდის სიმჟავის წარმოების შექმნა. დაბოლოს იქნება მრეწველობა, რომელიც რენტაბელობის მოსაზრებითა და ზედნადები ხარჯების, განსაკუთრებით სატრანსპორტო ხარჯების, შემცირების მიზნით, უნდა დაუახლოვდეს ნედლეულის წყაროებს. პირველი რიგში აქ მხედველობაში გვაქვს საფეიქრო მრეწველობა.

3) გარდა ამ დარგებისა, რომლებიც მეთაურობენ და განსაზღვრავენ ინდუსტრიალური ამიერ - კავკასიის სახეს, საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს წვრილ შინაურ და ადგილობრივ მრეწველობას. დღემდე სამეურნეო მშენებლობის გეგმები ამ მრეწველობას გეგმისა და მოწყობის გარეშე სტოვებდენ, ამავე დროს კი წვრილი შინაური და ადგილობრივი მრეწველობა ყველაზე უფრო აკავშირებს მუშებსა და გლეხებს. ამიტომ როგორც სამეურნეო ცხოვრების მომწესრიგებელ უმაღლეს ორგანოებს, ასე უშუალოდ ადგილობრივი მეურნეობის ოპერატიულ ორგანიზაციებს ევალებათ ყოველგვარი ზომა მიიღონ ადგილობრივ, წვრილ და შინამრეწველობის შესატანად გეგმაში.

4) შემდეგ საჭიროა ყოველგვარი ზომების მიღება იმისათვის, რომ ბოლო მოეღოს უგეგმო მშენებლობას. ამ მიზნით დაევალოს ოპერატიულ ორგანიზაციებს, რომ მშენებლობა, მასალის შეძენა და მოწყობილობისათვის დაკვეთების გაცემა დაიწყონ მხოლოდ მას შემდეგ, როცა ტეხნიკური პროექტი გაივლის ყველა იმ დაწესებულებებს, რომლებმაც უნდა დაამტკიცონ იგი.

5) ა.-კ. ს. ფ. ს. რ. სამრეწველო მშენებლობას ყრილობა თვლის, როგორც მთელი რაიონის მთლიან მშენებლობას. რომელიც შეტანილია საბჭოთა კავშირის შრომის რაიონული განაწილების სისტემაში. ამ დებულებიდან გამომდინარეობს ვალდებულება, რომელსაც პარტია აკისრებს ყველა მომწესრიგებელ და ოპერატიულ ორგანიზაციებს ებრძოლონ, ერთი მხრით, პარტიზანშჩინას, მთელი გეგმიდან ცალკე წარმოებების გამოგლეჯისა და ამ წარმოებების სხვათა ხარჯზე განვითარების ცდებს და მეორე მხრით — უნივერსალიზმს, სურვილს იქონიოს პატარა რაიონებში ყველა დარგები და წარმოებები, თუნდაც პატარა, შინამრეწველურ წარმოებების სახით, რომლებიც ძვირი ჯდება და არა რენტაბელურია.

6) ყრილობა აღნიშნავს ა.-კ. ს. ფ. ს. რ. გეგმით აღებულ სწორს ხაზს, რომელიც მიმართულია ძვირფასი და ტეხნიკური კულტურების ხვედრითი წონის გადიდებისაკენ ჩვენს სასოფლო მეურნეობაში და სასოფლო მეურნეობის სამომხმარებლო მეურნეობიდან საქონლის მეურნეობად გადაქცევისაკენ. ამასთანავე ერთად ყრილობა ხაზს უსვამს ინდუსტრიალიზაციის ტენდენციის გაძლიერების აუცილებლობას სოფლის მეურნეობის სხვა დარგებშიაც. ამ მიზნით საჭიროა გლეხური მეურნეობის მაშინიზაციის დაჩქარებით გატარება, მეურნეობაში მინერალური და ქიმიური სასუქის შეტანა, გაუმჯობესებული, სელექციური თესლის ხმარება და გლეხური მეურნეობისათვის აგრონომიული დახმარების ყოველგვარი ზომებით ხელის შეწყობა ინტენსიურ მეურნეობაზე გადასასვლელად.

7) მესაქონლეობის დარგში საჭიროა ხელი შევუწყოთ ჩვენი საქონლის ჯიშების გაუმჯობესების უკვე დაწყებულ პროცესის დაჩქარებას, გავადიდოთ ზოოტეხნიკურ დაწესებულებათა რიცხვი, მთელი სიგრძე-სიგანით წამოვაყენოთ [illegible] ამიერ-კავკასიის ცხვრების ჯიშის გაუმჯობესება [illegible] ქონლის მეურნეობათა კოოპერატიულად შეკავშირება, მივიღოთ ყველა ღონისძიებანი იმისათვის, რომ ბოლოს და ბოლოს, გადაიჭრას ამიერ კავკასიის ორგანიზაციების წინაშე დიდი ხნის წინად წამოჭრილი საკითხი საზოვართა მოწესრიგებისა და მომთაბარე და ნახევრად მომთაბარე მოსახლეობის მკვიდრ მდგომარეობაზე გადაყვანის შესახებ.

8) აღნიშნავს რა აგრარულ მოსახლეობის სიჭარბეს ამიერ-კავკასიის მნიშვნელოვან ნაწილში, ყრილობა საჭიროდ სთვლის დაჩქარებული იქნას მუშაობა მიწათმოწყობისა, და, საერთოდ, სოფლის მეურნეობის ტერიტორიის მოწყობისათვის. საჭიროა აგრეთვე რაც შეიძლება სწრაფად და ორგანიზაციულად გადაიჭრას გადასახლებისა და განსახლების საკითხები.

9) სოფლის მეურნეობისა და წვრილ შინამრეწველობის ორგანიზაციული მშენებლობის დარგში საჭიროა აღებულ იქნას მტკიცე კურსი სასოფლო-სამეურნეო და შინამრეწველურ კოოპერაციის შემდგომ განვითარებაზე.

10) ყველა ზემოაღნიშნული ამოცანები სოფლის მეურნეობის დარგში შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ სამელიორაციო სამუშაოთა გატარებით ამიერ-კავკასიაში. ამიტომ, მიაჩნია რა მელიორაცია ყველა სავეგმო ვარაუდების სრული განხორციელების აუცილებელ პირობად, როგორც სოფლის მეურნეობის დარგში, ისე მრეწველობის ზოგიერთ დარგებშიაც, ყრილობა ავალებს ამიერ-კავკასიის ორგანიზაციებს მიაქციონ ამ საკითხს ისეთივე დიდი ყურადღება, როგორც ელექტროფიკაციას.

11) ამასთან ერთად ყრილობა აღნიშნავს, რომ ამ, ლენინის სიტყვებით „განსაკუთრებით მნიშვნელოვან“ დარგში, ბევრად უფრო, ვიდრე რომელიმე სხვა დარგში, არის შესაძლებელი გეგმიან ფრონტის გარღვევა. ასეთი გარღვევები, განსაკუთრებით საშიშია აქ, ვინაიდან წყლის რესურსები ისედაც განისაზღვრება და ემსახურება ჩვენი ქვეყნის მთელ რიგ უაღრესად მნიშვნელოვან მოთხოვნილებებს, დაწყებული ელექტროფიკაციით და გათავებული სოფლის მეურნეობის ყველა დარგებით. ამ რესურსების გეგმიანობის გარეშე, გაუფრთხილებელ ხარჯვას შეუძლია ჩაშალოს მთელი დასახული სამეურნეო მუშაობა:

ამიტომ ყრილობა მოითხოვს სამელიორაციო მშენებლობის დარგში სრულ და ურყევ გეგმიან დისციპლინას და ანდობს უმაღლეს ორგანოებს შეიმუშაონ მკაცრი ზედამხედველობის ზომები დისციპლინის დამრღვევთა წინააღმდეგ. ამავე დროს, აღნიშნავს რა სამელიორაციო საქმეში ხუთწლიან პერსპექტივებზე უფრო შორეულ პერსპექტივების გათვალისწინების საჭიროებას, ყრილობა ავალებს სავეგმო ორგანოებს, რაც შეიძლება მოკლე ვადაში შეადგინონ მელიორაციის გენერალური გეგმა.

12) საგზაო-სატრანსპორტო საქმეში ყრილობა იზიარებს რა გეგმას მთლიანად, მაგრამ საჭიროდ სთვლის აღნიშნოს შემდეგი ცალკე მომენტები: 1) საჭიროა ხუთწლედის განმავლობაში მთლიანად ჩატარდეს მუშაობა რკინის გზის ტრანსპორტის გაუმჯობესებისა და გაფართოებისათვის, რაც გეგმაში გათვალისწინებულია ტვირთბრუნვის ზრდასთან დაკავშირებით, 2) საჭიროა დამთავრებულ იქნას ჯულფა-ბაქოს, შავი ზღვის, ევლახ-სტეპანაკერტის, ერევან-აღსტაფის რკინის გზების მშენებლობა, 3) ავტოტრანსპორტის გაძლიერების გამო გზატკეცილებისა და სასოფლო გზების ქსელი უნდა შეუფარდდეს ამ გაძლიერებას, ამჟამად კი საჭიროა დაყენებულ იქნას ცდები გზების დატკეპნა-გამაგრების ახალი წესების გამოსაყენებლად. ამას გარდა გეგმით უნდა გათვალისწინებულ იქნას შიგაგან წყლის გზების გაფართოება და გაუმჯობესება; 4) ნავსადგურების [illegible] ისე უნდა იქნეს გეგმით მოწესრიგებული, რომ ნავსადგურებმა შესძლონ არა მარტო ხუთწლიან გეგმით გათვალისწინებული ტვირთბრუნვის დაკმაყოფილება, არამედ იქნეთ მარაგი მისი შემდგომი გაფართოებისათვისაც.

13) ვინაიდან აღმშენებლობის სპეციალური დარგებში ამიერ-კავკასია ყოველთვის ძლიერ ჩამორჩებოდა ჩვენი კავშირის ცენტრალურ ნაწილებს, საჭიროა ეხლავე იქნეს მიღებული გადამჭრელი ზომები კომუნალურ, საბინაო, სამკურნალო-სანიტარო, საკურორტო, კოოპერატიულ მშენებლობის გაძლიერებისათვის.

ამიერ-კავკასიის პირობებში ყურადღება უნდა მიექცეს საკურორტო მშენებლობას. ამიერ-კავკასია ისე მდიდარია სხვადასხვა კურორტებით, რომ ეს მუშაობა არა მარტო შეასრულებს სოციალურ-კულტურულ ამოცანას, არამედ ჩვენი მეურნეობის შემოსავლიან დარგადაც იქცევა.

14. მუშათა საბინაო მშენებლობის დარგში ყრილობა აღნიშნავს გასულ წლებში მიღწეულ მნიშვნელოვან შედეგებს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ყრილობას ეს დარგი მიაჩნია ჩვენი მეურნეობის ერთ-ერთ უძნელეს დარგად. მუშათა საბინაო მშენებლობა მოითხოვს უდიდეს ხარჯებს და გეგმაშეწონილად თანდათანობით გატარებულ ღონისძიებებს. საბინაო პრობლემის გადაჭრა წარმოადგენს მუშის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვის აუცილებელ პირობას. საბინაო მოწყობილობის გაუმჯობესება არის მთელი ყოფის გაუმჯობესების ძირითადი წინასწარი პირობა. ამიტომ მუშათა საბინაო მშენებლობის პრობლემას, ყრილობა სთვლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად და მოუწოდებს ყველა ორგანიზაციებს მიიღონ მაქსიმალური ღონისძიებები ამ საკითხის რაც შეიძლება სწრაფად გადასაჭრელად.

15) ყრილობა აღნიშნავს, რომ ხუთწლედისათვის შედგენილი არ არის კულტურულ-სოციალური გეგმები. ყრილობა ავალებს სათანადო ორგანიზაციებს შეადგინონ სახალხო განათლების, სამკურნალო-სანიტარო საქმის, ადმინისტრატიულ და სამოსამართლო მშენებლობის გეგმები.

16) ვინაიდან, გეგმის განხორციელებით წამოყენებულია მნიშვნელოვანი საკითხი კვალიფიციური მუშებისა და ხელმძღვანელების მომზადების შესახებ, ყრილობა განსაკუთრებით უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ სავეგმო დაწესებულებათა მოვალეობას შეადგენს დაუყოვნებლივ შეუდგნენ პროფტეხნიკური განათლების სხვადასხვა საორგანიზაციო ფორმებისა და მეთოდების შემუშავებას, კერძოდ ყურადღება უნდა მიექცეს ქალთა პროფტეხნიკურ განათლებას.

ეს მუშაობა ისე უნდა ჩატარდეს, რომ ჩვენი მეურნეობის თვითეულ ძირითად დარგში—ელექტროფიკაციაში, სოფლის მეურნეობაში, მელიორაციაში. სამთო საქმეში; მშენებლობას შეეფერებოდეს განსაზღვრული კარგად დაყენებული და წესიერად მოწყობილი ფაკულტეტი.

17) საქონლის ბრუნვის განვითარების დარგში, გეგმამ უნდა გაითვალისწინოს სოციალისტურ სექტორის შემდგომი განუწყვეტელი ზრდა ვაჭრობაში, რაც უნდა მოხდეს, ერთი-ერთი, კერძო მოვაჭრის ბრუნვის განდევნით კოოპერაციის მიერ და მეორე, —სახელმწიფო ვაჭრობის ბრუნვის შეცვლით კოოპერატიულ ბრუნვის მიერ.

18) ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად და გეგმის გატარების ერთ-ერთ აუცილებელ პირობად ყრილობას მიაჩნია სამეურნეო-ადმინისტრატიულ რაიონებად დაყოფის გატარება. ეს მუშაობა აუცილებლად უნდა დამთავრდეს საპერსპექტივო გეგმის განხორციელების პირველსავე წლებში, სათანადო დაწესებულებებმა უნდა გამოყონ საჭირო ძალები და საშუალებები, რათა რაიონებად დაყოფის საქმე დამთავრებულ იქნეს შეუფერხებლად და დაუბრკოლებლად.

დასასრულ ყრილობა ერთხელ კიდევ აღნიშნავს, რომ საპერსპექტივო გეგმა წარმოადგენს ამ.-კავკ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის მთლიან სამეურნეო გეგმას. ამ გეგმის ცხოვრებაში გატარება წარმოადგენს სოციალისტური მშენებლობის ძირითად გამოხატულებას.

ტროცკისტული პარტიის მუშაობა ლენინური პარტიის წინააღმდეგ

ყოფ. ცნობილი ოპოზიციონერი კუზოვნიკოვი ააშკარავებს ამ მუშაობას

ქვემოდ მოყვანილი მასალა წარმოადგენს სტენოგრამას კუზოვნიკოვის განცხადებისას, რომელიც მან გააკეთა ქ. სვერდლოვსკის საოლქო-საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის სხდომაზე.

კუზოვნიკოვი აცხადებს: ტროცკისტულ ჯგუფებს თავისი მუშაობა არ შეუწყვეტიათ 1917 წლიდან.—არსებობს არა ფრაქცია ტროცკისტების, არამედ გარკვეული პარტია, რომელსაც ყრილობა არ მოუწვევია საკავშირო მასშტაბით, თორემ ყავს თავისი ცეკა, იწვევდა საკუთარ საკავშირო კონფერენციებს, რომლებიც მიმდინარეობდენ საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას პლენუმების პარალელურად; ტროცკისტულ ცეკას ჰყავს თავისი აგენტურა ადგილებზე. —მუშები ჩვენს წინააღმდეგ წინადაც იყვენ, მაგრამ ახლა ჩემზე გავლენა იმან მოახდინა, რომ ტროცკისტულმა ფრაქციამ ბრძოლა ქუჩაზე გადაიტანა და დააყენა საკითხი მეორე პარტიის შექმნის შესახებ. სვერდლოვსკში ჩვენ, ოპოზიციონერებმა, გადავწყვიტეთ ერთ თათბირზე 1926 წ., რომ შემოგვეკრიბა ჩვენს ირგვლივ ყველა აქტიური ელემენტები და გადამწყვეტ მომენტში, როდესაც გაუარესდებოდა მუშათა მდგომარეობა, ჩავდგომოდით სათავეში მოძრაობას, როგორც „რევოლუციონური შტაბი“ და გვეხელმძღვანელებია მიმდინარე ამბებისათვის.

ამხანაგებო, ის, რაც მე მომივიდა, უეჭველია, მომივიდა არა დღეს. კაცი, რომელიც პარტიაში იყო ათი წელი და რომელიც ებრძოდა და ანგრევდა ამ პარტიას ყოველგვარი საშუალებებით, მეთოდებით, უეჭველია არ შეიძლება ერთ დღეს გარდაიქმნას არა მარტო იდეურად, არამედ ტაქტიკურადაც. ჩემზე გავლენას ახდენდა არა მარტო ადამიანთა ის წრე, რომელთა შორისაც მე ვიმყოფებოდი, რომელიც მე მიხელმძღვანელებდა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, — ჩემზე უშუალო გავლენას უკანასკნელ ხანებში, უეჭველია, ახდენდა მუშათა კლასიც. მე ვფიქრობ, რომ არა მარტო ის, რაც ხდება კომუნისტური პარტიის შიგნით, არამედ ისიც, რაც ხდება საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის შიგნით, მაიძულებს ერთხელ კიდევ გადავაფასო ყოველივე ის, რისთვისაც აუცილებლად ვსთვლიდი მებრძოლა, გადავაფასო ყველა ის საშუალებანი, რომლებითაც მე აუცილებლად ვსთვლიდი გამეტარებია ცხოვრებაში ჩემი შეხედულებანი. ჩემი მოქცევა დღევანდელი დღის საქმე როდი არის. თუ დღემდე ყოველივე ეს ცნობილი არ არის პარტიული ორგანიზაციებისათვის, პირველი, ჩემი ხასიათის გამო და მეორე, იმ დისციპლინის გამო, რომელიც არსებობდა ტროცკისტულ ოპოზიციაში. მე ვფიქრობ, რომ არსებობს არა ფრაქცია, არამედ განსაზღვრული **პარტია**, რომელსაც ჯერ კიდევ არ ქონია სრულიად საკავშირო ყრილობა. მაგრამ რომელსაც ჰყავს ცენტრალური კომიტეტი, რომელსაც ქონდა სრ. საკავშირო პარტიული კონფერენციები, ეს კონფერენციები ტარდებოდა საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას პლენუმების პარალელურად, სათანადო პარტიული აპარატის შექმნით ადგილებზე.

ის, რამაც განსაკუთრებით მოახდინა გავლენა ჩემზე და მაიძულა დაუყოვნებლივ დამდგარიყავი პარტიულ გზაზე, დაუყოვნებლივ გამეწყვიტა კავშირი ტროცკისტულ პარტიასთან, ეს იყო — დემონსტრაცია მოსკოვში, ეს იყო „მოსკოვის ორგანიზაციის აქტივი“, რომელზედაც თავმჯდომარეობდა ლ. ბ. კამენევი და მოხსენება, ანუ სწორედ რომ სიტყვა დასკვნა გააკეთა ლ. დ. ტროცკიმ (მე დამავიწყდა წინასწარ ჩემი სიტყვის დაწყებისთანავე განმეცხადებინა რომ ამ მოხსენებისათვის არ მომზადებული ვარ და ვამბობ იმას, რასაც განვცდი).

ამ ორმა ფაქტმა, რომლებსაც ადგილი ქონდა უკანასკნელ ხანებში, გადამწყვეტი გავლენა მოახდინა ჩემზე.

თქვენ იცით, რომ **ტროცკისტული ჯგუფები პარტიაში თავის მუშაობას არ სწყვეტდენ დაახლოებით 1917 წლიდან. ამ პერიოდის განმავლობაში ისინი ხან ფართოვდებოდნენ, ხან ვიწროვდებოდნენ. ხანდახან გარკვეულად აწარმოებდენ თავის საორგანიზაციო მუშაობას და ცოტად თუ ბევრად ფართო მასშტაბით იწყოდენ მუშაობას პარტიის შიგნით, ასე ვსთქვათ, იყო აღორძინებისა და დაცემის პერიოდები, იყო ხანგრძლივი შეჩერების პერიოდებიც.**

მე ტროცკისტულ პარტიაში შევედი 1923 წელში და 1923 წლიდან ვასრულებდი ყველა მის დავალებებს. მე ვფიქრობ, რომ ჩვენს პარტიას შეუძლია პატივისცემით მოეკიდოს პარტიის იმ წევრებს, რომელნიც ათეული წლობით იბრძოდენ მის რიგებში და ასრულებდენ მის დავალებებს უკანასკნელ ხანამდე, პარტია მიხვდება იმ მოტივებს, რომლებითაც მე ვხელმძღვანელობ, როცა მე ეხლა, პარტიიდან გამორიცხვის შემდეგ, ვბრუნდები ამავე პარტიაში და არა სხვა რომელიმე პარტიაში. ჩემთვის პირადად დიდი მნიშვნელობა არ აქვს აღმადგენს თუ არა საკონტროლო კომისია, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს. მნიშვნელოვანია ის, რომ მე შევასრულო რევოლუციონერის მოვალეობა. ჩემთვის პირადი საქმე არ არსებობს, მხოლოდ იცოცხლოს პროლეტარულმა რევოლუციამ და შეურყევლად განმტკიცდეს და გაფართოვდეს იგი.

მე თითქმის 1915 წლიდან ვარ პარტიაში და გონებრივი განვითარების პარალელურად ვაყალიბებდი ჩემს პოლიტიკურ შეხედულებებს, და ის, რომ მთელი რიგი წლების განმავლობაში ვიბრძოდი კომპარტიის რიგებში, მაიძულებს მივიდე პარტიაში და უამბო მას ყოველივე. საკონტროლო კომისია განსჯის და გამოიტანს ამა თუ იმ საორგანიზაციო ან პრაქტიკულ ღონისძიებებს და დასკვნებს.

1923 წელში, როცა რაიცენტრის წევრი ვიყავი, მე ვხელმძღვანელობდი სვერდლოვის უნივერსიტეტის ფრაქციულ ჯგუფს. მაშინ დისკუსიას ჩემზე არავითარი გავლენა არ მოუხდენია 1923 წელში შინაპარტიულ საკითხებში მე სავსებით ვიდექი ტროცკისტული ფრაქციის მხარეზე. მაშინ საპრონოვი, როცა იგი ცეკას მდივანი იყო, გვაძლევდა ხოლმე სახალხო კომისართა საბჭოს და ცაკის ავტომობილს, და საკმაო იყო ავტომობილის სათანადო ნომრით, და ავტომობილი მაშინვე ჩვენს განკარგულებაში იყო.

როგორ ვაწარმოებდით მაშინ მუშაობას? თუ რომელიმე უჯრედში შეუძლებელი იყო უმრავლესობის მიღება, ჩვენი ორატორების გამოშვებით, ჩვენ იქ ვგზავნიდით ჩვენი მომხრე ამხანაგები. და ჩვენ მოვახდინეთ სოციალური აღზრდის აკადემიაში. **ჩვენ იქ გავგზავნეთ არა მარტო ორი დესანტი ავტომობილებით. ჩვენ იქ გავგზავნეთ აგრეთვე** სვერდლოვის უნივერსიტეტის საუკეთესო ორატორები და ამის შედეგად სოციალური აღზრდის აკადემიამ თითქმის აბსოლუტური უმრავლესობით ხმა მისცა პარტიის ცეკას ხაზის წინააღმდეგ იმიტომ, რომ იქ უმთავრესად ხმას აძლევდენ სვერდლოველები, რომელნიც ჩვენს ფრაქციაში შედიოდენ.

მე მონაწილეობას ვიღებდი იმ წერილის რედაქციაში, რომელსაც როგორც თქვენ გახსოვთ, მიზნად ქონდა ტროცკის რეაბილიტაცია ორი თათბირის საქმეში. მე გავუკეთე რედაქცია ამ წერილს, შევკრიბე ხელმოწერები, ვაწარმოებდი საორგანიზაციო მუშაობას ცეკას უმრავლესობის საწინააღმდეგო კონტრწერილების შესაკრებად და შევადგინე.

ყოველივე ეს მე შემიძლია თავის დროზე წერილობით გავაცნოთ. ეხლა საკითხი ეხება იმას, პარტიის ყოველი წევრი პასუხს უნდა აგებდეს მსოფლიო რევოლუციის ბედისათვის, კომუნისტური ინტერნაციონალის ბედისათვის. ეხლა ტროცკისტულმა პარტიამ გააფართოვა თავისი მუშაობა არა მარტო ჩვენი კომუნისტური პარტიის, არამედ კომინტერნის შიგნიც. იყენებდენ ყოველგვარ საშუალებას, ყველას, ხანდახან იყენებდენ არა მარტო პარტიის, არამედ რევოლუციისათვის უცხო ელემენტებს, რომელნიც ზიანს აყენებენ საერთაშორისო პროლეტარულ მოძრაობას. მე მივედი იმ რწმენამდე, რომ ასე მოქმედება, ასე ბრძოლა შეუძლებელია. **მუშები ხომ დიდი ხანია ჩვენს წინააღმდეგ იყვენ, პარტიის სულისკვეთება ხომ დიდი ხანია ჩვენს წინააღმდეგაა მომართული. ამან კი არ მოახდინა ჩემზე გავლენა, არამედ იმან, რომ ტროცკისტულმა ფრაქციამ გადასწყვიტა თავისი ბრძოლის გადატანა ქუჩაში, ერთის მხრით და მეორეს მხრით დასვა საკითხი მეორე პარტიის შექმნის შესახებ.** ამან მე საბოლოოდ მაიძულა კავშირი გამეწყვიტა მასთან. მე ეხლა წავალ პარტიასთან ერთად, მე შევძლებ დავსძლიო ზოგიერთი უთანხმოებანი საერთაშორისო და შინაურ საკითხებში.

მაგრამ ძირითადი რომ, რაც მე მაშორებდა პარტიისთან, აღმოფხვრილია. მე მოვალედ ვსთვლი თავს ვაცნობო ის პარტიას, რომელშიაც წევრადაც ვიყავი ათი წლის განმავლობაში, ვაცნობო ის, რაც მაქვს უშუალოდ: მე ეხლა ვილაპარაკებ ურალის შესახებ.

ჩვენ ურალზე 1921 წელში გვქონდა ტროცკისტული ჯგუფი მე მაშინ არ ვიყავი ტროცკისტი, და ტროცკისტი გავხდი 1923 წლიდან, ასე რომ მე არ შემიძლია ვიკისრო დანაშაული ამ დრომდე, დანაშაული პარტიის წინაშე მე ისედაც ბევრი მაქვს. 1923 წლიდან ურალზე ისახება ოპოზიციონური ჯგუფები, სწორედ რომ ვსთქვა, ფრაქციული ჯგუფები, პატარა, მაგრამ მტკიცე ჯგუფები, იმდენად მტკიცე, რომ ისინი უკანასკნელ ხანამდე არ იყვენ გამოაშკარავებული.

აქ, ურალზე, არ იყო ღრმა ნიადაგი ტროცკისტული პარტიის მუშაობისათვის. მთელი ჩვენი მუშაობა აქ პირველ პერიოდში და უკანასკნელ პერიოდში დაფუძნებული იყო პირად კავშირზე: პირადად ვიცნობდი მრაჩკოვსკის, უფიმცევს და სხ., მიცნობდენ მე. ის ხალხი, რომელნიც ჩვენთან იყვენ არმიაში, გვემსახურებოდენ ჩვენ პერსონალურად. ისინი ჩვენ გვენდობოდენ, არ ერკვეოდენ, საჭიროდ არ სცნობდენ გარკვეულიყვენ იმ საკითხებში, რომლებსაც ჩვენ ვსვამდით.

ჩვენ გვქონდა აქტივის თათბირი, რომელმაც, როგორც მე პირადად ვსცნობ, საძირკველი ჩაუყარა არალეგალურ ტროცკისტული პარტიის შექმნას. თათბირი შესდგა ტრესტ „ურალ - ზოლოტოს“ შენობაში, ლენინის ქუჩაზე. მე მიძნელდება დატების დასახელება იმიტომ, რომ ჩვენი კონსპირაცია მოითხოვდა, რომ არც ერთ ჩვენგანს არ უნდა შესძლებოდა სწორი დატების აღდგენა: იყო მეტად სასტიკი დისციპლინა, და მე არ შემიძლია სწორი დატების მოყვანა, მაგრამ ვენდობი ჩემს მეხსიერებას და თუ შევცდები, ყოველ შემთხვევაში, არა უმეტეს ერთი კვირის ვადისა. **აქტივის ეს თათბირი შესდგა 1926 წლის შემოდგომაზე.** აქ დაახლოვებით შეიკრიბა ათი — თორმეტი კაცი. თავმჯდომარეობდა ს. ვ. მრაჩკოვსკი, მოხსენება გააკეთა ვლადიმერ ვორობიოვმა. მოვახდინეთ აზრთა გაცვლა - გამოცვლა. მაშინ დავადგინეთ, რომ საჭიროა თანდათანობით ფრთხილად შევაგროვოთ ჩვენს ირგვლივ ხალხი, რომელნიც გადამჭრელ მომენტში, იმ მომენტში, როდესაც მუშათა კლასის ეკონომიური მდგომარეობა გაუარესდება, როცა მუშათა კლასის მდგომარეობის გაუარესების ნიადაგზე ჩვენ გვექნება ბაზა (ჩვენ, ე. ი. ტროცკისტულ პარტიას), რომ ასეთ გადამჭრელ მომენტში ეს ჯგუფი, როცა სულისკვეთება აშკარად ჩვენს მხარეზე გადაიხრება, გამოვიდეს მოძრაობის მეთაურად და შექმნას რევოლუციონური შტაბი ამ მოძრაობის ხელმძღვანელობისათვის. მდგომარეობა აქტივის ამ თათბირზე იყო ისეთი, რომ აზრთა მთლიანობა არ არსებობდა. ურალელმა „ბელადებმა“ მრაჩკოვსკიმ და ვორობიოვმა დასვეს საკითხი, იმის შესახებ, რომ ბრძოლაში ყოველგვარი საშუალება კარგია, ჩაებღაუჭენ რატომღაც ლენინის სახელს. თქვენ იცით, ლენინი მეურნეობის შესახებ ამბობდა, რომ ყველ დიდ მეურნეობაში ცუდი თავკაციც გამოდგება. ისინი ამბობდენ, რომ ყველა საშუალებანი უნდა გამოვიყენოთ პარტიის წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

მე ამის წინააღმდეგ გავილაშქრე. მე არ შემიძლია ამის დოკუმენტით დამტკიცება, მაგრამ მე მაშინაც ვიბრძოდი მუშათა ოპოზიციასთან ბლოკის წინააღმდეგ. მე საკითხს მაშინაც ვსვამდი წმინდა პოლიტიკურად და პრინციპიალურად. როცა მრაჩკოვსკიმ დაინახა, რომ საერთო სულისკვეთება ისეთია, რომ მათ არ შეუძლიათ დღესვე განახორციელონ ბლოკი მუშათა ოპოზიციასთან, მოხსნა ეს საკითხი და სთქვა, რომ ამ საკითხს შეათანხმებს ცენტრთან. ეს კრება დაიხურა ისე, რომ არ გამოუყვია ცენტრი. ე. ი. არალეგალური კომიტეტი. არალეგალური კომიტეტი დანიშნა მრაჩკოვსკიმ ტროცკისტული პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან შეთანხმებით მოსკოვში. ვინაიდან მე მქონდა ოპოზიციონური სულისკვეთება ჩვენი საკუთარი პარტიის შიგნით, მრაჩკოვსკი სცნობდა. რომ ჩემი შეყვანა ეხლავე არ შეიძლება კომიტეტის შემადგენლობაში, მაგრამ ამავე დროს ფიქრობდა, რომ ასეთი თითქმის ერთადერთი მომზადებული თეორეტიკოსი სვერდლოველი, რომელიც მათ ჰყავთ არ შეიძლებოდა დარჩენილიყო გარეთ და მან დამავალა სხვადასხვა რეზოლიუციების და თეზისების დაწერა; გადასწყვიტეს კომკავშირის საოლქო კომიტეტის შექმნა და მდივნად დამნიშნეს მე, რომ ამით მოვემადლიერებინეთ და ნაწყენი არ დავრჩენილიყავი. მაგრამ მე ბოლოს მაინც შემიყვანეს ხელმძღვანელ საოლქო ცენტრში.

თქვენ იცით, რომ 1925 წლიდან 1926 წლის შემოდგომამდე თითქმის არავითარი, ყოველ შემთხვევაში თვალსაჩინო ოპოზიციონური მუშაობა არ სწარმოებდა. არალეგალურმა კომიტეტმა ვერ შესძლო იმ ამოცანების შესრულება, რომლებსაც ჩვენს წინაშე სვამდა ცენტრი — მოსკოვი, და საჭირო შეიქნა, — მე მოვალედ ვსთვლი თავს აქ განვაცხადო, — ფრაქციული მუშაობის ტემპის გაძლიერება 1925 წლის პერიოდში. ნადირობის საგაზაფხულო პერიოდთან დაკავშირებით გაზაფხულზე ჩამოდიოდა მრაჩკოვსკი. იწვევდა თათბირს და ამ თათბირით გამოიწვია ერთგვარი ამოძრავება, მაგრამ ალბად საჭირო იქნებოდა კიდევ საშემოდგომო ნადირობა, რომ ვ. ს. მრაჩკოვსკის ხელმეორედ გამოეცოცხლებია ეს მუშაობა.

განსაკუთრებით გამოცოცხლება იწყება 1926 წლის შემოდგომიდან. 1926 წლის შემოდგომაზე ფრაქციულმა ჯგუფმა ნათლად შეითვისა თავისი საორგანიზაციო ფუნქციები, შეიგნეს, თუ როგორ უნდა აეშენებია ჩონჩხი გარკვეული იყო მხოლოდ ზოგიერთი შეხედულებანი, რომელნიც უნდა გვეტარებია, რომელნიც უნდა დაგვეცვა, მაგრამ თუ ვინ გააკეთებდა ამას ტაქტიკურად, თუ ვინ შეასრულებდა ამას. ეს მაშინ ნათელი იყო.

1926 წლის შემოდგომაზე ჩვენ გვქონდა კრება, შეიკრიბა აქტივი და ამ აქტივზე ჩვენ გვაწვდიდენ იმ დოკუმენტებს, რომელთა გამოქვეყნებას მასებში პარტია არ სცნობდა შინაპარტიული ბრძოლის ამ სტადიაში, იმ ცნობებს. რომელნიც ჩვენ არ გვქონდა და არ შეიძლება გვქონოდა ტროცკისტული პარტიის გარეშე.

ყველა ამ ამბების ცენტრი ურალზე იყო ქალ. სვერდლოვსკი; ჩვენ აქ ფართოდ გავშალეთ ჩვენი მუშაობა და კერძოდ ნოვო-ტაგილის მაზრაში. თქვენ იცით ზოგიერთი ეტაპები, და მე უმთავრესად შევჩერდები ამ მუშაობის უკანასკნელ ამბებზე, იმ ბრძოლის ეტაპზე, რომელიც თქვენ აწარმოეთ ტროცკისტულ პარტიასთან. ჩვენ აქ გვქონდა ისეთი მდგომარეობა, რომ წვრილი საკითხები, რომლებსაც ერთსულოვნად არ იზიარებდენ ოპოზიციის წევრები, ცენტრს ალბად არ უნდოდა მწვავედ დაესვა, ეშინოდა რა განხეთქილებისა. ე. ი. ჩვენს ფრაქციას, ჩვენს, ტროცკისტულ ფრაქციას არ ქონდა ასე ვსთქვათ ხერხემალი, არ ყავდა მასა, არ ქონდა ერთსულოვნება, რომელსაც თავის აქტივშიაც მას არ შეეძლო საკუთარივე აქტივი მიეჩნია ასპროცენტიან ოპოზიციონურ აქტივად. ჩვენთან მოდიოდენ საპრონოველები, შლიაპნიკოველები და სხვ. და მიდიოდენ.

ისეთი საკითხი, როგორც საკითხი საწევრო გადასახადის შესახებ, არც ერთხელ არ დასმულა აქტივის საერთო კრებებზე, მიუხედავად იმისა, რომ, მთელი რიგი ამხანაგები, უფრო გაბედულები, გამოქექილნი ამ არალეგალურ დოკუმენტებზე, მივიდენ იქამდე, რომ ამბობდენ: უნდა წავიდეთ ქერ-ქვეშ, მოტყუების, სხვადასხვაგვარი საშუალებით, არაპარტიული, თითქმის არადამიანური მეთოდების მოხმარებით უნდა შევქმნათ ისეთი მდგომარეობა, რომ საჭირო მომენტში გამოვიდეთ ასპარეზზე და ჩავუდგეთ სათავეში მოძრაობას.

იდგა არა მარტო საწევრო გადასახადის საკითხი, არამედ საკითხი იმის შესახებ, თუ ვინ უნდა ჩაგვება ჩვენს რიგებში, ამ საკითხმა ჩვენში დიდი დებატები და უთანხმოება გამოიწვია. 1926 წელში ჩვენს წინაშე დაისვა საკითხის, გარკვეული პერსპექტივა: უნდა შეგვექმნა ჩონჩხი ამ ჩონჩხის ირგვლივ უნდა შეგვექმნა აქტივი, უნდა გაგვება კავშირი და სხვ., რათა ჩვენი მექანიზმს ყოველ მომენტში შესძლებოდა მოქმედება. მაგრამ ამის შექმნა შეუძლებელი იყო, ეს აღემატებოდა იმ ძალებს, რომელნიც მაშინ ტროცკისტული პარტიის განკარგულებაში იყო. საქმე დამთავრდა იმით, რომ **რამოდენიმე კაცი, რომელნიც მზად იყვენ პერსონალურად ამხ. მრაჩკოვსკისთან ერთად წასულიყვენ.** არ ერკვეოდა იმაში, რომ პოლიტიკურად ამას ეწოდებოდა არა ბრძოლა, არამედ ავანტიურიზმი, ეს ხალხი, რომელსაც უნდა იარონ ლენინის დროშის ქვეშ და არიან ლენინის მოწაფენი, ძირს უთხრის ამ მოძრაობას, როცა ასეთი მეთოდებით იწყებს ბრძოლას. ნიადაგის უქონლად, გარკვეული პროგრამისა და მასიური ორგანიზაციის უქონლად ბრძოლა შეეძლო მხოლოდ ავანტიურისტებს.

მე ვამბობ, რომ საკითხს საწევრო გადასახადის შესახებ არ მიუღია არავითარი მასიური სანქცია. ეს საწევრო გადასახადი გროვდებოდა, მე ვფიქრობ, ჩვენს სასურსათო კომისარიატის სისტემით რაც უფრო ძლიერი იყო წევრი, მით უფრო მეტს ახდევინებდენ მას, „ჩვენი“ პარტიის ღარიბ წევრებს ანთავისუფლებდენ „გადასახადისაგან“. ჩვენ პარტიის წევრთაგან ღარიბთა ასი პროცენტი გავანთავისუფლეთ ყოველგვარი საწევრო გადასახადისაგან.

მაშინვე დადგა საკითხი სტამბის შესახებ. სტამბას უწოდებ მე იმას, რომ გვქონდა მანქანები და სტეკლოგრაფი. ეს ინახებოდა განსაზღვრულ ბინაზე. მთელი მუშაობა სწარმოებდა იმგვარად, რომ საოლქო კომიტეტის წევრიც კი რომელიც განაგებდა საორგანიზაციო მუშაობას, ბინებს და სხ. (თქვენ ეს იცით თქვენი არალეგალური მუშაობიდან არალეგალურ ბოლშევიკურ პარტიაში) არაფერი არ უნდა სცოდნოდა არც ტეხნიკისა, არც სტამბის შესახებ, ე. ი. თუ ეს ამხანაგი გადავიდოდა მოწინააღმდეგის მხარეზე, მას შეეძლო გაეცა აპარატის მხოლოდ ის ნაწილი, რომელსაც იგი უშუალოდ განაგებდა და არა მთელი აპარატი. ეს საქმე არაჩვეულებრივად მაგრად იყო მოწყობილი.

თქვენ იცით, რომ ჩვენ გამოვედით შემოდგომის აქტივზე (1926 წლის ოქტომბერში) და თუ თქვენ მიაქციეთ ყურადღება იმას თუ ვინ გამოვიდა და როგორ გამოვიდა, თქვენ მაშინაც გქონდათ საშუალება გაგეგოთ, თუ ვინ გამოდიოდა იდეურ - პოლიტიკურად და ვინ არა. მე აქ ამჟამად არ მსურს თავი ვიმართლო თქვენს წინაშე, მაგრამ თუ თქვენ აიღებთ იმ სიტყვის სტენოგრამას, რომელიც მაშინ წარმოვსთქვი, ნახავთ, რომ უპირველესად ყოვლისა მე გავემიჯნე შლიაპნიკოვისა და ოსოვსკისაგან; შემდეგ ვმსჯელობდი იდეურად და კრებამ [illegible] მომისმინა. სულ სხვა ბედი ეწია ჩემს სხვა მომხრეებს.

უნდა განვაცხადო, რომ ის, რაც ჩაიდინეს ჩვენმა მოსკოვის ბელადებმა „ავიაპრიბორის“ უჯრედის კრებაზე, მოულოდნელი იყო ჩვენთვის. ჩვენ აქ შევიკრიბეთ და გადავწყვიტეთ, ჩვენი არალეგალური ცენტრის სხდომაზე, რომ რაკი გამოვედით „ავიაპრიბორზე“, საჭიროა ბრძოლა, მაგრამ სინამდვილეში სულ სხვა აღმოჩნდა: აღმოჩნდა, რომ ისინი მხოლოდ სინჯავენ ნიადაგს, ჩვენ—კი გადავწყვიტეთ, რომ საჭიროა აშკარა გამოსვლა. მაშინ გადავწყვიტეთ შეგვეტია ლენინგრადში, მოსკოვში და ურალზე. თუ მოსკოვში ლევ დავითის-ძე დამარცხდა „ავიაპრიბორზე“, იქ იყო ამხ. ზინოვიევის უფრო მომზადებული, უფრო ენერგიული ჯგუფი; მაგრამ ზინოვიევს, მისი ქალური ხმით და გულუბრყვილო ბუნებით, არც—კი მოუსმინეს. მაშინ ზინოვიევმა მოიგონა, რომ მამა ჰყავს ავათ და უნდა წავიდე ლენინგრადში. ჩვენ მაშინ ურალზე ბევრად უკეთ გვქონდა საქმე, ვიდრე მოსკოვსა და ლენინგრადში და რომ ტროცკისტულ პარტიას კურსი აეღო ურალზე, ჩვენ იქ უფრო მეტს გავაკეთებდით, ვიდრე მოსკოვსა და ლენინგრადში.

როდესაც ზინოვიევი დაბრუნდა ლენინგრადიდან, ლევ დავითის-ძე „ავიაპრიბორიდან“, ისინი შეთანხმდენ, რომ საჭიროა 16 ოქტომბრის განცხადების შეტანა. იმ დროს, როდესაც ზინოვიევი ლენინგრადში იმყოფებოდა **ჩვენთან მოვიდა უფიმცევი, რომელმაც მოგვცა დირექტივა იმის შესახებ, რომ ლურსმანი უნდა ჩავარჭოთ ისე, რომ მისი ამოღების დროს მას ხორცი უნდა ამოყვეს. (ეს იყო ტროცკის დირექტივა). ჩვენ მოვიწვიეთ მთელი ჩვენი ხალხი, მივეცით დირექტივა, რომ ბოლომდე ჩაერჭოთ ლურსმანი და დავგზავნეთ ეს ხალხი ადგილებზე.** ნიკოლოზ ივანეს-ძე უფიმცევი გავგზავნეთ ნოვო - ურალსკში, ვოლოდია მელოვი, ტაქტიკური მოსაზრებით, უნდა დასწრებოდა პარტიის საოლქო კომიტეტის ბიუროს სხდომას. იმ დროს, როდესაც აქ ვითარდებოდა დისკუსია, როდესაც „პარტიის ცეკას წევრი“ უფიმცევი გამოდიოდა კრებებზე, **იმ დღეს ჩამოვიდა ალექსანდრა ხემაჩკა დირექტივით მუშაობის შეკვეცის შესახებ.** ჩვენ ვერ მოვასწარით მუშაობის გაშლაც, როდესაც უკვე გვითხრეს, რომ საჭიროა მუშაობის შეკვეცა, როდესაც გვითხრეს რომ მოსკოვში საქმე ცუდათაა, ლენინგრადში საქმე ცუდათაა და რომ საჭიროა საქმის დაყენება ისე, რომ შეგვენარჩუნებია კადრები. თუ გავარჩევთ ამ დირექტივას — დირექტივას კადრების შენარჩუნების შესახებ — ვნახავთ, რომ არსებითად ამას ისახავდა მიზნად 16 ოქტომბრის განცხადება. 16 ოქტომბრის განცხადება იყო მანევრი, რომელსაც მიზნად ქონდა გენერალური შეტაკების გადადება განსაზღვრული ხნით და ამიტომ საჭირო იყო კადრების შენარჩუნება იმისათვის, რომ განსაზღვრულ პერიოდში ეს კადრები გამოგვეყენებია პარტიის წინააღმდეგ. მე პირადად 16 ოქტომბრის განცხადება ღალატად მიმაჩნდა; მე ვლაპარაკობდი, რომ ბელადები წაიჩხუბებენ, ხოლო კოზაკი—კი შუაში იჭყლიტება. მე მაშინ ვსთქვი, რომ თუ ეს ასე გაგრძელდება, მაშინ მე წავალ ჩვენს პარტიაში და ვეტყვი მას ყველაფერს, რასაც საჭიროთ დავინახავ. უნდა მოგახსენოთ, რომ იმ დისკუსიის დროს ჩვენ ხელთ გვქონდა მეტად დიდი მასალა: იმ ცნობებს, რომელსაც თქვენ გაძლევდათ სახ. პოლიტსამმართველო, ჩვენ ვღებულობდით თქვენზე უფრო ადრე — პარტიულ ორგანიზაციებზე უფრო ადრე, — ეს ცნობები იწერებოდა მხოლოდ ჩვენთან შეთანხმების შემდეგ, ის ხალხი, რომელიც გიდგენდა თქვენ ამ ცნობებს, ჩვენთან მოდიოდა წინასწარ შესათანხმებლად. საკონტროლო კომისიაში ჩვენ გვყავდა პრეზიდიუმის რამდენიმე წევრი, რომლებიც არ იყო თქვენი ხალხი. ნაწილი ამ ხალხისა მერყეობდა, ნაწილი—კი აქტიურად გვითანაგრძნობდა და ხელს გვიწყობდა ჩვენ. ჩვენ გვყავდა საკონტროლო კომისიის მდივანი ტოლია გორნოვი, ბუნებით მხდალი ადამიანი, რომელიც ჩვენ ყველაფერს გვატყობინებდა. რაც ხდებოდა თქვენში. ჩვენ ამ პერიოდში მოგვეპოვებოდა ისეთი შესაძლებლობანი, რომ შეგვეძლო მიზანშეწონილი მოქმედება, შეგვეძლო უფრო ადრე, ვიდრე ჩვენს წინააღმდეგ მოამზადებდენ ამა თუ იმ ღონისძიებას, იმის გაგება თუ რა ძალა აქვს ამ ღონისძიებას, რა პუნქტში და როდის იქნება გამოყენებული ეს ღონისძიება ჩვენს წინააღმდეგ. ამრიგად თქვენთვის ცხადი იქნება, რომ ამ პერიოდში ჩვენთვის უფრო ადვილი იყო ბრძოლის წარმოება.

(გაგრძელება იქნება).

საკავშირო კომპარტიის (ბ) მეხუთმეტე ყრილობის წინ

ტროცკისტული ოპოზიციის კონტრ-თეზისები სახ. მეურ. ხუთ წლიან გეგმის შესახებ*)

VII. მუშათა მდგომარეობა და 7 საათის სამუშაო დღეზე გადასვლა

სამუშაო ხელფასი. სამუშაო ხელფასის გადიდების რაოდენობისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის შესახებ უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში ყველა ხუთწლიანი გეგმები სხვადასხვაგვარ პასუხს იძლევიან. ცეკას თეზისები ამ დარგში არ იძლევა არავითარ, თუნდაც დაახლოებითი ციფრობრივ დირექტივას, ის მხოლოდ რამოდენიმე უშინაარსო ფრაზით განსაზღვრავს თავის დამოკიდებულებას ამ საკითხისადმი.

ამასთან ერთად, დღემდე შედგენილ ხუთწლიან გეგმებში შრომის საკითხი სრულიად არადამაკმაყოფილებლად არის დასმული.

ხუთწლიანმა გეგმამ უნდა გაითვალისწინოს რეალური სამუშაო ხელფასის ისეთი გადიდება, რომელიც საქმით, სისტემატიურად, ხოლო ხუთი წლის ბოლოს მნიშვნელოვნად გაადიდებს მუშათა კლასის საარსებო დონეს. მაგრამ სახელმწ. საგეგმო კომისიის მიერ შემუშავებული ხუთწლიანი გეგმის ვარიანტები არ იძლევიან მუშათა ყოფა-ცხოვრების ნამდვილად, სერიოზულად გაუმჯობესების გარანტიას, თუ არაფერს ვიტყვით იმაზე, რომ სახელმწ. საგეგმო კომისიის ხუთწლიანი გეგმა სრული დუმილით უვლის გვერდს ისეთ მნიშვნელოვან დარგს, როგორიც არის შრომის დაცვა. ამ გეგმების მიხედვით, ნორმალური სამუშაო ხელფასი ხუთი წლის განმავლობაში გაიზარდა დაახლოვებით 33 პროცენტით,—პირველი ვარიანტი, 26 პროცენტით—უკანასკნელი ვარიანტი; რეალური სამუშაო ხელფასის ზრდა 50 პროცენტს უდრის — პირველი ვარიანტით, 40 პროცენტი უკანასკნელი ვარიანტით. ამგვარად, სამუშაო ხელფასის ეს სრულიად არა საკმაოდ გადიდებაც კი განზრახულია განხორციელდეს ფასების დაკლების ხარჯზე.

ეხლანდელი პოლიტიკა—საქონლის ნაკლებობის პოლიტიკა—სავსებით საეჭვოდ ხდის ფასების მნიშვნელოვნად დაკლებისა და მაშასადამე რეალური სამუშაო ხელფასის აწევის შესაძლებლობას. ამის დამამტკიცებელია იმ ვარაუდის უნიადაგობა, რომელიც დასახულია ხუთწლიანი გეგმის პირველი წლისათვის. 1927-28 წლისათვის განზრახულია ნომინალური სამუშაო ხელფასის ზრდა 6,5 პროცენტით და რეალური ხელფასის ზრდა 11—12 პროცენტით. მაგრამ ფასების მოძრაობა უკანასკნელ ხანებში თავდაყირა აყენებს ამ ვარაუდს—რეალური სამუშაო ხელფასის გადიდებას.

რეალური სამუშაო ხელფასის მნიშვნელოვანი შემცირება, რომელიც დაიწყო 1926 წელში, დაძლეულ იქნა მხოლოდ 1927 წლის დასაწყისში. თვიური ხელფასი 1926-27 სამეურნეო წლის პირველ ორ კვარტალში საშუალოდ შეადგენდა: მსხვილ მრეწველობაში—მოსკოვის მანეთებში—30 მან. 67 კაპეიკს და 30 მან. 33 კაპეიკს წინააღმდეგ 29 მანეთისა და 68 კაპეიკისა 1925 წლის შემოდგომაზე. მესამე კვარტალში ხელფასი, წინასწარი გამოანგარიშებით შეადგენდა 31 მან. 62 კაპ.. ამგვარად, რეალური ხელფასი ამ წელში მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობით აღემატება 1925 წლის შემოდგომის დონეს, რასაკვირველია, ცალკე კატეგორიის მუშებისა და ცალკე რაიონების, უპირველეს ყოვლისა დიდი ქალაქების—მოსკოვისა და ლენინგრადის,—სამუშაო ხელფასი და საერთო მატერიალური დონე, უეჭველია აღემატება ზემო ხსენებულ საშუალო დონეს. მაგრამ მეორეს მხრით, მუშათა ფართო ფენების ნივთიერი დონე გაცილებით დაბალია ამ საშუალო ციფრებთან შედარებით. სამუშაო ხელფასის ზრდა ჩამორჩა შრომის ნაყოფიერების ზრდას. შრომის დამძაფრება მატულობს, მუშათა კუნთების დაძიმვა იზრდება. უმუშევრები პირდაპირ ან არაპირდაპირ აწვებიან თავზე მუშათა ბიუჯეტს. წარმოების რაციონალიზაცია, რომელიც ეხლა ტარდება, აუცილებლად აუარესებს მუშათა კლასის მდგომარეობას, რამდენადაც მას არ ხდევს თან მრეწველობის, ტრანსპორტის და სხ. ისეთი გაფართოება, რომელიც სამუშაოს მისცემს დათხოვნილ მუშებს. განსაკუთრებით მძიმეა შავი მუშების, სეზონური მუშების, ქალების და მოზარდი ახალგაზრდობის მატერიალური მდგომარეობა.

რაც შეეხება **საბინაო პირობებს მუშებისათვის**, ამ ჟამად მუშათა მოსახლეობის სულზე მოდის 9 კვადრატიული არშინი (იხ. სახელმწ. საგეგმო კომისიის საკონტრ. ციფრები 1926-27 წლისათვის). ბინის სივრცე, რომელიც მოდის მუშებზე, ნაკლებია, მოსახლეობის ყველა დანარჩენი ფენების ბინის სივრცეზე. ამასთანავე, მუშათა ბინის სივრცე განუწყვეტლივ კლებულობს. უკვე ეს ერთი ფაქტი უდავოდ მოწმობს, რომ სხვა კლასები ნივთიერად ავიწროებენ პროლეტარიატს. კიდევ მეტი, სახელმწ. საგეგმო კომისიის მიერ გამოქვეყნებული ხუთწლიანი გეგმის თანახმად, როცა საბინაო აღშენებლობისათვის დაიხარჯება 700 მილიონი მანეთი, 1931 წლის ბოლოს ბინის სივრცის საერთო ნორმა ნაკლები იქნება, ვიდრე 1926 წელში იყო, თუ დახარჯულ იქნა 1 მილიარდი, როგორც ამას ითვალისწინებს ს. მ. უ. საბჭოს ხუთწლიანი გეგმა, მაშინ ხუთი წლის შემდეგ შენარჩუნებულ იქნება მხოლოდ ამ ჟამად არსებული ნორმა, იმის მაგივრად, რომ ან მიიღოს სახელმწ. საგეგმო კომისიის ეს გეგმა, ან უარყოს იგი, როგორც პესიმისტური, და მიუთითოს ამასთანავე, თუ რომელ ხარჯზე უნდა მოხდეს საბინაო მშენებლობის გადიდება, ცეკას თეზისები ამ მტკივნეული საკითხის გამო კმაყოფილდება საერთო სიტყვების გამოთქმით, რომ ბინის სივრცე მუშებისათვის უნდა იქნას გადიდებული. როგორ უნდა მივაღწიოთ ამას ინდუსტრიალიზაციის ეხლანდელი ტემპის დროს, ამაზე ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი თეზისებში.

კიდევ უფრო დაუშვებელი სახით უხვევენ გვერდს თეზისები უმუშევრობის საკითხს. სახელმწ. საგეგმო კომისიის ხუთწლიანი გეგმის უმუშევრობის შემცი- წინასწარმეტყველებანი რების შესახებ 1927 წელში, უკვე გაცრუვდა. სახელმწ. საგეგმო კომისიის ციფრის მაგივრად 1,171 ათასი, ჩვენ ამ წლის აპრილში გვქონდა —1.478 ათასი რეგისტრაციაში გატარებული უმუშევარი, ხოლო სახელმწ. საგეგმო კომისიის ცნობებით, 1927 წ. დასაწყისში უმუშევართა რიცხვი უდრიდა 2.275 ათას კაცს, ამას თან ერთვის 600 ათასი სეზონური მუშები (ს. მ. უ. საბჭოს მიერ გამოქვეყნებული ხუთწლიანი გეგმა, გვ. 93). ამხ. სტრუმილინის გამოანგარიშებით, ხუთწლიანი გეგმის პირველ პროექტში ნათქვამია, რომ სოფლის ჭარბი მოსახლეობა, (თუ სასოფლო მეურნეობაში სამუშაოს იშოვნის ახალი 8 მილიონი კაცი და ქალაქში წავა 3 მილიონი). „უკეთეს შემთხვევაში არ გაიზრდება ეხლანდელ დონეზე მეტად" (სახელმწ. საგეგმო კომისიის ხუთწლიანი გეგმა, გვ. 16). აქედან გამოდის, რომ უმუშევრობის თუნდაც ეხლანდელი დონის შესანარჩუნებლად ქალაქში და სოფლად, საჭიროა მრეწველობის უფრო სწრაფი გაფართოება, ვიდრე ეს ყველა ხუთწლიანი გეგმებშია გათვალისწინებული.

2 მილიონი უმუშევარი ქალაქებში და ერთი მილიარდი ფუთი პურის მარაგი სოფლად, რომელსაც ვერ ვიყენებთ,—ეს არის ყველაზე უფრო ნათელი და თვალსაჩინო სურათი იმ წინააღმდეგობათა, რომელთა წინაშე დგას ჩვენი მეურნეობა და რომელნიც დაგროვდა ეხლანდელი ხელმძღვანელობის შეცდომათა გამო.

რა არის უმუშევრობა სახელმწიფო მეურნეობის დროს?

ეს, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფოს აკლია ახალი საწარმოო საშუალებანი, ახალი კაპიტალი.

რა არის მილიარდი ფუთი გამოუყენებელი პურის მარაგი?

ეს არის საბჭოთა საზოგადოების მკვდარი კაპიტალი, რომელიც უმთავრესად იმყოფება სოფლის შეძლებული ფენების—კულაკების ხელში, 150 მილიონი ფუთი პური, ნახევარი მილიარდი ფუთიდან (რომელიც დარჩება დასაზღვევი მარაგის გადიდების შემდეგ), მოგვცემდა ჩვენ ასეული მილიონი მან. ღირებულების ახალ საწარმოო საშუალებებს (თუ ამ საწარმოო საშუალებებს ჩვენი შინაური ფასების მიხედვით ვიანგარიშებთ).

ეს უდიდესი ახალი კაპიტალი მოგვცემდა საშუალებას სამუშაო მიგვეცა მრავალი ათი ათასი უმუშევრებისათვის, გადაგვესროლა ბაზარზე ასეული მილიონობით დამატებითი საქონელი და მიგვეცა მძლავრი იმპულსი მთელი მეურნეობის განვითარებისათვის. ოპოზიცია ერთ წუთითაც არ დაიწყებდა ყოყმანს, რომ ეკისრა მას ამ გეგმის გატარება ცხოვრებაში, რომელიც ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია მისი საერთო პროგრამის, პროგრამის, რომელიც იძლევა გამოსავალს კრიზისიდან. ცეკას უმრავლესობა უილაჯოდ სტკეპნის ერთსა და იმავე ადგილს, ჯიუტობს თავის შეცდომებში, რითაც კიდევ უფრო ართულებს ისედაც ძნელ მდგომარეობას. არაფრად არ ვარგა ის პოლიტიკა, რომელიც ერთ ადგილას უილაჯოდ ტკეპნის სოფლის უაღრეს „სიფრთხილეს"!

თავის პლატფორმაში ოპოზიცია გამოდიოდა იმ მარტივი აზრიდან, რომ სოციალიზმის მშენებლობის წარმატებისათვის საჭიროა, რომ მუშათა კლასი მშენებლობის და შემოქმედების ყველა დარგში, საქმით, ყოველდღიური განცდილებით თვიდან თვემდე, წლიდან წლამდე გრძნობდეს და ხედავდეს თავის ნივთიერი და კულტურული მდგომარეობის ამაღლებას და თავის როლის გაძლიერებას. აი რატომ ამხედრდა ოპოზიცია იმის წინააღმდეგ, რომ განხორციელებათ მომჭირნეობის რეჟიმი, ან რაციონალიზაცია მუშების ხარჯზე და მათი შევიწროებით. აი რატომ მოითხოვდა ოპოზიცია მუშათა ხელფასის უფრო გაბედულ მომატებას და მთელ რიგ სხვა ზომებს, როგორიც წინასწარ პირობას საწარმოო ძალების გადიდებისათვის.

მუშათა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად პრაქტიკული ღონისძიებათა პროგრამა მოყვანილია ოპოზიციის პლატფორმაში.

გამოდიოდა რა თავის პროგრამიდან, საიუბილეო მანიფ. განხილვის დროს, ოპოზიცია წინადადებას აძლევდა მანიფესტის პროგრამის მუშური ნაწილი აგებული ყოფილიყო შემდეგ პრაქტიკულ წინადადებაზე:

1) ძირშივე აღიკვეთოს ყოველგვარი ცდა 8 საათიანი სამუშაო დღის გადიდებისა. არ იქნეს დაშვებული ბოროტმოქმედება მუშა ხელის დროებითი დაქირავების დროს და მუდმივ მუშების სეზონურ სამუშაოებზე გადაყვანა. გაუქმდეს სამუშაო დღის გაგრძელება ყველა მავნებელ ცეხებში, სადაც ეგი დაშვებული იყო, წინააღმდეგ წინანდელ დადგენილებისა.

2) უახლოეს ამოცანად ცნობილ იქნეს **სამუშაო ხელფასის გადიდება.** ყოველ შემთხვევაში შრომის ნაყოფიერების გადიდებასთან შეფარდებით მაინც.

3) აღიკვეთოს ბიუროკრატიული უმზგავსოება რაციონალიზაციის დარგში.

რაციონალიზაცია მჭიდროდ დაკავშირებული უნდა იქნეს მრეწველობის სათანადო განვითარებისა, მუშა ხელის გეგმიან, განაწილებისა, და ბრძოლასთან მუშათა კლასის საწარმოო ძალების გაფლანგვის წინააღმდეგ, კერძოდ კვალიფიციურ მუშათა კადრის გაფლანგვის წინააღმდეგ.

4. მიღებულ იქნეს მთელი რიგი ღონისძიებანი უმუშევრობის შედეგების შესანელებლად: გადიდდეს დახმარება უმუშევრობისათვის, პირველ რიგში ინდუსტრიალურ უმუშევარ მუშებისათვის. გადიდდეს უმუშევრობისათვის დახმარების გაცემის ვადა ერთი წლიდან წლიწად ნახევრამდე; სწარმოებდეს ენერგიული ბრძოლა დაზღვეულთა ხარჯზე მომჭირნეობის გატარების წინააღმდეგ.

5. სწარმოებდეს მუშობა მუშათა საბინაო პირობების გასაუმჯობესებლად და მტკიცეთ ტარდებოდეს კლასიური პოლიტიკა ბინის ქირის საკითხებში. აღიკრძალოს შემცირებულ და დათხოვნილ მუშების ბინებიდან გასახლება.

6) მუშათა კრებებზე უნდა სწარმოებდეს კოლექტიურ ხელშეკრულებათა ნამდვილი განხილვა და არა საჩვენებელი.

7) ბოლო მოეღოს ნორმების და განაკვეთების დაუსაბუთებელ ცვლილებებს.

8) გადიდდეს ასიგნების გადადება უშიშროების ტეხნიკისა და შრომის პირობების გასაუმჯობესებლად.

9) მოხდეს შრომის კანონთა კოდექსის ყველა განმარტებათა გადასინჯვა და გაუქმდეს ისეთი განმარტებები, რომლებიც გამოიწვევს შრომის პირობების გაუარესებას.

10) მუშა ქალების შესახებ—თანაბარი შრომისათვის დაწესდეს თანაბარი ხელფასი.

11) დაუშვებლად იქნეს ცნობილი უსასყიდლო შეგირდობის შემოღება. დაუშვებელია მოზარდ მუშათა ხელფასის შემცირება, რომელიც ფაქტიურად ტარდება.

12) მომჭირნეობის რეჟიმი არავითარ გზით არ უნდა ტარდებოდეს მუშათა სასიცოცხლო ინტერესების ხარჯზე. აუცილებელია მუშებს დაუბრუნდეს წართმეული „წვრილმანები" (საბავშო ბაგები, ტრამვაის ბილეთები, უფრო ხანგრძლივი შვებულება და სხვა).

13) გაძლიერდეს მუშათა სამკურნალო დახმარება წარმოებებში (ამბულატორიები, საავადმყოფოები და სხვ.).

14) მუშათა რაიონებში გადიდებულ იქნეს სკოლების რიცხვი მუშათა ბავშვებისათვის.

ოპოზიციამ ეს წინადადება შეიტანა საბჭოთა კავშირის ცაკის მეორე სესიის კომუნისტური ფრაქციის სხდომაზე (1927 წლის 15 ოქტომბერს), სადაც პირველად ირჩეოდა საკითხი მანიფესტის შესახებ.

და იქვე ამ წინადადებაში ცალკე პუნქტად გამოყოფილი ჰქონდა:

„ამის შემდეგ რიგში დაისვას სამუშაო დღის რეფორმის პრაქტიკული გატარება სამუშაო დღის 7 საათამდე შემცირების მიზნით".

ასეთია ოპოზიციის პასუხი მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ მოცემულ კითხვაზე.

ცეკას უმრავლესობა ამის გამო მუდამ ბრალდებდა ოპოზიციას დემაგოგიაში, პროლეტარიატის „ცეხური" ინტერესების დაცვაში და აძლევდა ყოველთვის ერთსა და იმავე კითხვას: სად გამოვნახოთ საშუალებანი?

რასაკვირველია, ყოველი კომუნისტი იცავს სამუშაო დღის შემცირებას, სოციალისტურ სახელმწიფოს შეუძლია და კიდეც უნდა მიდიოდეს 8 საათიან სამუშაო დღიდან 7 და 6 საათიან სამუშაო დღემდე. ამის შესახებ არ შეიძლება დავა არსებობდეს. საკითხი 7 საათის სამუშაო დღის შემოღების შესახებ რომ პრაქტიკულად, სერიოზულად დასმულიყო, თვითეული ჩვენგანი თავის მოვალეობად ჩასთვლიდა ხელის შეწყობა მის ცხოვრებაში გატარებისათვის.

მაგრამ მანიფესტმა ეს საკითხი მეტად გაურკვევლად დასვა. მართლაც, რა არის ნათქვამი მანიფესტში ამის შესახებ.

„უახლოეს წლებში საწარმოო და საფაბრიკო საქარხნო მუშები გადაყვანილ იქნან 8 საათის სამუშაო დღიდან 7 საათის სამუშაო დღეზე სამუშაო ხელფასის შეუმცირებლად; ამ მიზნით საკავშირო ცაკის პრეზიდიუმს და სახ. კომ. საბჭოს დაევალოს არა უგვიანეს ერთი წლისა შეუდგნენ ამ დადგენილების თანდათანობით განხორციელებას მრეწველობის ცალკე დარგების მიმართ, საფაბრიკო - საქარხნო წარმოებების რაციონალიზაციასა, გადაკეთებასა და შრომის ნაყოფიერების ზრდასთან დაკავშირებით".

ამგვარად, არა უგვიანეს **ერთი წლისა** „შეუდგნენ" ამ დადგენილების „თანდათანობით" განხორციელებას მრეწველობის **ცალკე დარგების მიმართ** (სახელდობრ რომელ დარგების—არაა ნათქვამი).გატარდეს ყველა ეს ღონისძიებები რაციონალიზაციის ზრდის, წარმოებათა გადაკეთების და შრომის ნაყოფიერების გაუმჯობესების მიხედვით. საზოგადოთ კი 7 საათის სამუშაო დღის გატარება უზრუნველყოფილი იქნეს უახლოესი (სახელდობრ რამდენი?) წლებისათვის".

აქ არაფერი არ არის გარკვეული, სისწორით განსაზღვრული და კატეგორიული.

ჩვენი სამეურნეო ორგანოების 5 წლიან გეგმებში ეს საკითხი არ არის შეტანილი. არავითარი წინასწარი განხილვა მუშების მხრით ამ საკითხისა არ მომხდარა არც პროფესიონალური და არც პარტიული ხაზით,— ყოველი მუშა და, მათ რიცხვში, ყველა ჩვენ, რასაკვირველია, დავიცავთ 7 საათიან სამუშაო დღეს, თუ კი ეს არ იქნება ფუჭი სიტყვები, ყრილობის წინ გადმოსროლილი „წითელი კვერცხი", თუ კი ამასთანავე არ შემცირდება შრომის ხელფასი.

ორი წლის განმავლობაში ყოველ გზაჯვარედინზე უყვიროდენ ჩვენ მოჩვენებით „დემაგოგიაზე" სწორედ იმისათვის, რომ პირველ ყოვლისა, ჩვენ ვაყენებდით საკითხს ხელფასის შესახებ. — სად გამოვნახოთ საშუალებანი?—გაისმოდა ჩვენ საპასუხოთ. მაშ, სად ნახულობთ საშუალებას 7 საათიანი სამუშაო დღის შემოსაღებად. თუ თქვენ 7 საათს შემოიღებთ შრომის ხელფასის შეუმცირებლად, მაშინ 7 საათიანი სამუშაო დღის შემოღება უნდა დაჯდეს წლიურად 500 მილიონი მანეთი მრეწველობისა და ტრანსპორტისათვის. თუ ჩვენ ამ თანხების გამონახვა შეგვიძლია, მაშინ საჭიროა დაეკითხოთ თვითონ მუშებს: პირველ ყოვლისა, რაზე დაიხარჯოს ეს თანხა — ხელფასის გადიდებასა და საბინაო მშენებლობაზე, თუ 7 საათიანი სამუშაო დღის შემოღებაზე? რატომ ცეკა არ ეკითხება ამის შესახებ მუშებს? აქ ხომ საქმე არ ეხება დიპლომატიურ საიდუმლოებას, უცხო სახელმწიფოებთან ურთიერთობას, სადაც შესაძლებელია მიზეზად საიდუმლოების გამომჟღავნება მოიყვანო? ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ საშუალებათა გამონახვა **შეიძლება**, თუ საქმით და არა ლიტონი სიტყვებით, დავაწვებით კულაკს, ნეპმანს, ბიუროკრატს, თუ სერიოზულად მოვახდენთ გადაჯგუფებას ბიუჯეტში.

თუ როგორ ჰქონდათ წარმოდგენილი ერთი წლის წინ საკითხი შვიდი საათის სამუშაო დღის შესახებ ეხლანდელი უმრავლესობის ხელმძღვანელებს, ამას საუკეთესოდ მოწმობს ამხ. ბუხარინის სიტყვა მე-15 პარტ. კონფერენციაზე. 1926 წლის 2 ნოემბრის სხდომაზე.

ამხ. ბუხარინმა შემდეგნაირად დაახასიათა ოპოზიციის ხაზი:

„ჩვენ გვაქვს სოციალ - დემოკრატიული გადახრა, — ეს რანაირად? ჩვენ ხომ მოვითხოვთ მეტ ჯამაგირს მუშებისათვის, მოვითხოვთ ღარიბი გლეხობის 40 პროც. განთავისუფლებას გადასახადისაგან და არ გვინდა შესვლა ამსტერდამის ინტერნაციონალში".

ამაზე ამხ. ბუხარინმა უპასუხა:

„ხოლო მე თქვენ გეკითხებით... ჩვენ რომ საბჭოების ყრილობაზე გვყავდეს წმინდა პარლამენტარული ბურჟუაზიული ფრაქცია? (სტალინი: „მენშევიკური") მე არ ვლაპარაკობ მენშევიკურზე. მაგრამ ჩვენ რომ გვყავდეს კიდეც ბურჟუაზიული ფრაქცია? როგორ გგონიათ,არ გამოიჩენდა ის უდიდეს მუშათა მოყვარეობას? დიახ, ის მოითხოვდა 7 საათის სამუშაო დღეს... რატომ მოითხოვდა ამას? იმიტომ, რომ მისთვის საჭიროა მასებზე დაყრდნობა ჩვენს დასამხობად, ხოლო შემდეგ კი ცხვირში ძმრად ამოგვადენდა ამ 7 საათის სამუშაო დღეს!...

ამხ. ტროცკი (ოპოზიციის შეხედულებების გამო) ამბობს: „რა არის აქ სოციალ-დემოკრატიული?". მაგრამ ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ თქვენ ვერ მიმხვდარხართ პოლიტიკურ ძალთა განვითარების ძირითად მექანიკას".

(სტენოგრაფ. ანგარიში, გვ. 592—593)

ეს შესანიშნავი სიტყვები თითქოს სპეციალურად იმისათვის ითქვა, რომ პარტიისათვის გაადვილებულიყო იმ ფრაქციის პოლიტიკური განვითარების „მექანიკის" გაგება, რომლის თეორეტიკოსიც ბუხარინია. ჯერ კიდევ ერთი წლის წინ სოციალური დემაგოგიის ყველაზე აშკარა, ყველაზე თვალსაჩინო მაგალითად ბუხარინს მოჰყავდა 7 საათის სამუშაო დღის ლოზუნგი. ამ ლოზუნგს ის იმეორებდა არა მარტო მენშევიკური, არამედ წმინდა ბურჟუაზიული ფრაქციის პირით. ასეთ აშკარა ავანტიურაზე,—ბუხარინის აზრით,—შეიძლება წასულიყო ესა თუ ის ჯგუფი იმისათვის, რომ დაეპყრო (ან და, შესაძლებელია, შეენარჩუნებია თავის ხელში?) ძალა-უფლება, ხოლო შემდეგ იჩვენებდა მუშებისათვის, თუ ნამდვილად რას ნიშნავს 7 საათის სამუშაო დღე (ბუხარინისტურად: ცხვირში ძმრად ამოდინა). ამნაირად პოლიტიკური დემაგოგიის მექანიკა 7 საათის სამუშაო დღესთან დაკავშირებით ბუხარინმა ზედმიწევნით გარკვევით და კონკრეტულად გამოშუქა ერთი წლით ადრე მანამდე, სანამ თვით იძულებულ გახდებოდა მიემართნა მისთვის.

ამ შემთხვევაში ვეღარ უშველის ბუხარინის მიერ ჩვეულებრივ მომარჯვებული „შეცვლილი პირობები", რომელიც რეალურად აქცევს იმას, რაც ერთი ან ორი წლის წინ ვითომ იყო ოპოზიციონური დემაგოგია. ხომ 7 საათის სამუშაო დღე დღესაც არ არის გატარებული ცხოვრებაში: ის მხოლოდ დასახულია გასატარებლად „უახლოეს წლებში". და თუ სულ რაღაც ერთი წლის წინ ბუხარინს 7 საათის სამუშაო დღის ლოზუნგი მოჰყავდა როგორც უბრალოები დემაგოგიის უკიდურესი გამოხატულება, საჭირო ხდება დასკვნის გამოტანა, რომ მდგომარეობა მართლაც ძალიან შეიცვალა—მხოლოდ არა სამეურნეო, არამედ პარტიულ-პოლიტიკური მხრივ: პროლეტარული ავანგარდის გამოღვიძება და ოპოზიციის ზრდამ აიძულა სტალინის ფრაქცია რეპრესიების პოლიტიკა შეევსო უპასუხისმგებლო დემაგოგიის პოლიტიკით.

ყოველ შემთხვევაში პარტიას აქვს უფლება სთქვას:

ან ცეკა მართალი იყო გუშინ, როდესაც ამტკიცებდა, რომ მასების მატერიალური დონის სწრაფი ამაღლებისათვის არ არის საშუალებები; ამ შემთხვევაში უდიდესი წინდაუხედაობა 7 საათის დღის გამოცხადება:

ან და შესაძლებელია 7 საათის სამუშაო დღის განხორციელება,—და ამ შემთხვევაში თავიდან ბოლომდე შეუცდარია დემაგოგიის დაბრალება ოპოზიციისათვის, რომელიც მოითხოვდა მასების საცხოვრებელი დონის უფრო გეგმაშეწონილ და გადაჭრით ამაღლებას.

ინდუსტრიალიზაციის ტემპის აჩქარება, მუშათა მასების საცხოვრებელი დონის გაუმჯობესება და პირობების მომზადება შვიდი საათის სამუშაო დღეზე არა სიტყვიერად,არამედ ნამდვილად გადასვლისათვის პარტიის მთელი ხაზის გასწორების საშუალებით.

VIII. ჩვენი სიძნელეების საფუძვლები

ჩვენი სამეურნეო სიძნელეების ზოგადი, ძირითადი მიზეზები მოკლედ შეიძლება განისაზღვროს ასე:

უკანასკნელ წლებში **მრეწველობა** ვითარდება ძალიან ნელა, ჩამორჩება სახალხო მეურნეობის განვითარებას მთლიანად, ასე რომ ქალაქს არ ჰყოფნის საქონელი სოფლის პროდუქტზე გადასაცვლელად, არასწორი პოლიტიკური ხაზი—კერძოდ არასწორი საგადასახადო პოლიტიკა უადვილებს კულაკობას პურისა და სხვა მარაგის მეტი წილის მოქცევას მის ხელში.

ეს დისპროპორცია არის პარაზიტულ ელემენტების ზრდის, სპეკულაციის, კაპიტალისტურ ფენების დიდი მოგების მუდმივი წყარო.

ამავე დროს მიწადმოქმედებების წვრილი -საქონლის წარმოების ნიადაგზე სწრაფად იზრდებიან კაპიტალისტური ელემენტები. ამის მეოხებით, იზრდება სახელმწიფო მეურნეობის დამოკიდებულება კულაკურ-კაპიტალისტურ ელემენტებისაგან ნედლეულის, ექსპორტის, სასურსათო მარაგის დარგში და სხვ.

კულაკური ელემენტები, დაყრდნობილი თავის ეკონომიურ პოზიციებსა და მოზრდილ მარაგზე, თავის ქალაქელ კაპიტალისტურ მოკავშირეებთან ერთად არღვევენ საბჭოთა ხელისუფლების სამეურნეო გეგმებს, ფაქტიურად კულაკურად ზღუდავენ ექსპორტს, ხოლო ამითვე ზღუდავენ კაპიტალურ ხარჯებს და ინდუსტრიალიზაციის ტემპს, ე. ი. ფაქტიურად სოციალისტური მშენებლობის ტემპს.

ამ ძირითად მოვლენებთან პირდაპირ დაკავშირებულია ექსპორტის სუსტი განვითარება. საწარმოო საშუალებათა არადამაკმაყოფილებელი იმპორტი, თავისუფალ თანხების უქონლობა ახალ ქარხნების ასაშენებლად, ძველი ქარხნების გასაფართოებლად. და ხელახლა მოსაწყობად და უმუშევრობის შეუჩერებელი ზრდა როგორც ქალაქში, ისე სოფელში.

ამის შედეგად, ათი წლისთავის ბოლოსთვის ჩვენ გვაქვს არა მარტო სამეურნეო მიღწევები, როგორიცაა. სახელმწიფო მრეწველობის პროდუქციის შეუჩერებელი ზრდა, კაპიტალურ ხარჯებისა და ახალი მშენებლობის ზრდა, ქალაქსა და სოფელს შორის საქონლის ტრიალის გადიდება კოოპერაციის და სახელმწიფო ვაჭრობის აბსოლიუტურ და შედარებით ზრდასთან ერთად საშუალო გლეხობის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება,—არამედ ყველა ამასთან ერთად ადგილი აქვს სოციალურ-კლასიური ხასიათის სიძნელეების აშკარა ზრდას.

ოპოზიცია მოითხოვდა მრეწველობის უფრო სწრაფ განვითარებას კულაკსა და კერძო ვაჭარზე მტკიცე და სისტემატიური საგადასახადო ზეგავლენისა და გაბერილი ბიუროკრატიული აპარატის შეკუმშვის გზით. ცეკას უმრავლესობა ოპოზიციას აბრალებდა „ზეინდუსტრიალიზმს" და „პანიკიორობას" კულაკის წინაშე. უმეტესობა დაცინვით შემოიყურებოდა? პრაქტიკულად და ფიალქნიდ და ბოლოს აზარა მქონდა მოვეიგუნებული თავი. არსებული სიძნელეების გადატანა პარტიას უძნელდება იმიტომ, რომ ის კუდში მისდევდა ფაქტებს.

მიმდინარე წლის დასაწყისათვის პურის **ნატურალური მარაგის** დაგროვებამ სოფლად, უმთავრესად კულაკებთან და შეძლებულებთან, მიაღწია 800—900 მილ. ფუთს. ეს მარაგი, რომელიც ბევრად აღემატება საჭირო დამზღვევ ფონდებს, ძლიერ იზრდება და მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო წლის დასასრულისათვის კიდევ გადიდდება 200—300 მილ. ფუთით და საერთოდ მარაგი გადააჭარბებს ერთ მილიარდ ფუთს. ეს ფაქტი მოასწავებს სოფელთან საქონლის ბრუნვის შეჩერებას და ამას აუცილებლად მოჰყვება სათესი მიდამოს ზრდის შეჩერება. ეს არის იმის შედეგი, რომ მრეწველობა არასაკმაოდ ვითარდება და ვერ ქმნის საქონლის საკმაო ფონდს სოფლის მარაგზე გადასახცვლელად. მრეწველობის განვითარების ნელი ტემპი აფერხებს სოფლის მეურნეობის განვითარებას.

სოფლად ნატურალური მარაგის დაგროვებასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული საკითხი ჩვენი ექსპორტის სისუსტის შესახებ და ჩვენი საექსპორტო-საიმპორტო გეგმების ჩაშლის შესახებ სოფლის შეძლებულ და კულაკურ ფენების მიერ. როდესაც 1925 წ. შემოდგომაზე ამხ. კამენევმა პურის საექსპორტო გეგმის შეუსრულებლობა სავსებით სამართლიანად ახსნა იმ გარემოებით, რომ კულაკმა შეაჩერა პურის მარაგი ადგილობრივ და ამით ჩაშალა საექსპორტო გეგმამ, მის წინააღმდეგ გაილაშქრა ყველამ—სპეციალურად მისი დებულების „უარსაყოფად" შეკეთილ სტატისტიკურ ნუსხებით. მაგრამ დღეს ნატურალური მარაგის დაგროვებამ სოფლად, იმ მარაგის, რომელიც მიუწვდომელია ჩვენი დამამზადებელი ორგანიზაციებისათვის, ამხ. კამენევის დებულება აქცია ანბანურ ჭეშმარიტებად ყველა სამეურნეო მუშაკებისათვის.კიდევ მეტი,კამენევის მემკვიდრეს ამხ. მიქოიანს დღეს საქმე აქვს მიმდინარე წლისათვის დასახულ საექსპორტო გეგმის ჩაშლასთან და ის ხედავს ისედაც შემცირებულ საიმპორტო გეგმის ჩაშლის პერსპექტივას წინაშე. ეს მეორე „შეცდომა" მით უფრო დაუშვებელია,რომ ის დაშვებულია ორი წლის შემდეგ, ე. ი. ისეთ პირობებში, როდესაც სოფლის დიფერენციაციის შედეგი სავსებით ნათელი გახდა ყველასათვის. თავის წერილში რომელიც მოთავსებული იყო „პრავდა"-ს მე-252 №-ში, ამხ. მიქოიანი სამართლიანად აღნიშნავს, რომ „ჩვენი საგარეო ვაჭრობის ბრუნვა წარმოადგენს **ლიმიტებს** (საზღვარს), რომელიც ზღუდავს ჩვენი ინდუსტრიალური განვითარების ტემპს". ვინ აწესებს ამ ლიმიტებს? ჩვენი საგარეო ვაჭრობის ბრუნვა ნაწილობრივ შეზღუდება ჩვენი სამრეწველო ექსპორტისაგან (85,8 პროცენტი 1925—26 წ.), უმთავრესად—კი ჩვენი სასოფლო-სამეურნეო ექსპორტისაგან, რომელმაც 1925—26 წ. მოგვცა მთელი ექსპორტის 64,2 პროცენტი. მაგრამ ვინიდან ჩვენ საექსპორტო პურს და სხვა ნედლეულ ვღებულობდით უმთავრესად სოფლის შეძლებულ ფენებისაგან და ვინიდან სწორედ ეს ფენები აჩერებენ პურს ადგილობრივ, გამოდის, რომ ექსპორტის საზღვრებით ჩვენზე გავლენას ახდენს უპირველესად ყოვლისა კულაკი და შეძლებული ელემენტი. საგარეო ვაჭრობა სამართლიანად ითვლება ჩვენში სახელმწიფო მეურნეობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მბრძანებელ სიმაღლეთ, ჩვენი სოფლის კაპიტალისტური განვითარება კი იწვევს იმას, რომ ამ მბრძანებელ სიმაღლის განსაზღვრული და მეტად მნიშვნელოვანი ნაწილი (მნიშვნელოვანი იმდენად, რამდენად ჩვენ უმთავრესად აგრარულ ქვეყანას წარმოვადგენთ), გადადის ჩვენი კლასიური მტრების ხელში. აქ პარტიის და მუშათა კლასის წინაშე წამოიჭრა მთლიანად იმ პოლიტიკის ყველაზე უფრო საშიში შედეგი, რომელსაც ატარებდა ცეკა მე-14 პარტყრილობის შემდეგ ლოზუნგით „ცეცხლი მარცხნივ". ეს დამღუპველი შედეგი დღეს გასაგები ხდება ყველა მუშისათვის. ეს შედეგი მოასწავებს: ექსპორტის შემცირებას მაშინ, როდესაც ჩვენს ქვეყანას მოეპოება ერთი მილიარდი ფუთი პურის ნატურალური მარაგი, საჭირო ნედლეულის შემოზიდვის შეფერხებას, კერძოდ საფეიქრო, მატყლის და ტყავეულობის, ე. ი. ისეთი ნედლეულის, რომელიც საჭიროა მასიური მოხმარების საგნების დამამზადებელ მრეწველობისათვის, ეს იწვევს საჭირო მანქანების შემოზიდვის შეფერხებას, შეფერხებას კრედიტების განაღდების დარგში საზღვარგარეთ, და საქონლის ნაკლებობას ქალაქად და სოფლად.

ცეკას. სამეურნეო პოლიტიკის ობიექტიური შინაარსი უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში გამოიხატა იმაში, რომ ამ პოლიტიკის მეოხებით ქვეშ სწარმოებდა კაპიტალისტური სექტორის პოზიციების განმტკიცებული ზრდა, უმთავრესად სოფლის მეურნეობაში და კაპიტალისტური სექტორის პოზიციების და ეს ზრდა დღეს აშკარა გავლენას ახდენს საბჭოთა ხელისუფლების სამეურნეო გეგმებზე და ანადგურებს ამ გეგმებს. ამას დღეს უკვე ბრმებიც ამჩნევენ (ამხ. მიქოიანის მოყვანილი განცხადება და სხვ. ადგილები იმავე წერილიდან).

მაგრამ მხოლოდ იმათ, ვისაც სურს მომავალშიაც ბრმა იყოს, შეუძლია არ შეამჩნიოს. რომ ზემოაღნიშნულ სიძნელეებს პირდაპირი გზით მივყავართ **საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის საკითხისაკენ.**

შექმნილ მდგომარეობას, რომელიც შეუძლია ლიდმან გაგრძელდეს, მხოლოდ ორი გამოსავალი აქვს.

პირველი გამოსავალი—ეს ისაა, რომელსაც იძლევა ოპოზიცია—უნდა გამოცხადდეს სავალდებულო პურის სესხი, რომლის საშუალებით სოფლის შეძლებულ და კულაკურ ელემენტებს 10 პროც. უნდა ჩამოერთვას 150—200 მილ. ფუთი პური. ამ პურით დაკმაყოფილებული უნდა იქნენ ქალაქები, დანარჩენი რაოდენობა კი უნდა გაიგზავნოს საზღვარ-გარედ. საზღვარგარედ გაგზავნილ პურში მიღებული ვალიუტით შეძენილი უნდა იქნეს მრეწველობისათვის საჭირო ნედლეულის დამატებითი რაოდენობა და მოწყობილობა და ამ რიგათ ჩვენს ქვეყანაში უნდა შეიქმნეს საქონლის დამატებითი მარაგი სოფლად, საქონლის ნაკლებობის და ქალაქად ტურსათ-სანოვაგის ნაკლებობის შესამცირებლათ.

ის, ვინც უარს ამბობს ამაზე, უარი უნდა სთქვას საგარეო ვაჭრობის მონოპოლიაზე, უნდა მოიწვიოს უცხო კაპიტალი საექსპორტო-საიმპორტო საქმეში, უნდა შემოიზიდოს უცხოეთიდან საქონელი სოფლისათვის და გაიზიდოს პური. ამის მარაგი. ცეკას დღევანდელ უმრავლესობას, რომელსაც ახასიათებს ყოყმანი ყოველგვარი რთული საკითხების გადაწყვეტის დროს, ორგანიულად არ შესწევს ნიჭი იმისათვის, რომ **დროზე** აირჩიოს მემარცხენე, ან მემარჯვენე გზა. მაგრამ თვით ეს ყოყმანი იმის მოსაწავებელია, რომ გადაწყვეტილება მიღებული იქნება სიჩქარით, პანიკის პირობებში და აუცილებლად მემარჯვენე ხაზით.

ოპოზიციას არსად, არასოდეს არ უთქვამს თითქოს ცეკას მიღებული ქონდეს დადგენილება საგარეო ვაჭრობაზე მონოპოლიის გაუქმების შესახებ, თითქოს მას გადაწყვეტილი ქონდეს ეხლავე ძველი ვალების ცნობა და სხვ. საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის გაუქმების, ან „შერბილების" იდეა, ოფიციალურად არსად იქნა გამოქვეყნებული არც კრებებზე და არც პრესაში. მაგრამ სხვადასხვა უწყების კანცელარიებში და საქმიან წრეების, მათ რიცხვში კომუნისტურ წრეების ვიწრო ჯგუფში, საგარეო ვაჭრობის სისტემის „რეფორმის" იდეა, მისი „შერბილების" მიზნით უფრო და უფრო იკიდებს ფეხს და ამ „რეფორმამ" სულ უფრო და უფრო მეტ გულმხურვალე აღიარებით აუცილებელ პირობად სასოფლო-სამეურნეო ექსპორტის და სხვა საწარმოო ძალების განსავითარებლად (რასაკვირველია, კაპიტალისტური და არა სოციალისტური გზით).

ცეკას პოლიტიკის საერთო მიმართულება და ამ პოლიტიკის ობიექტიური შედეგი ყოველგვარ სიტყვიერ დაპირებაზე უფრო ძლიერია. ოპოზიცია აფრთხილებს პარტიას მარჯვენივ მოსალოდნელ დაძაბების წინააღმდეგ საგარეო ვაჭრობის საკითხში,

როგორ პასუხს იძლევა ცეკას თეზისები მუშების და სოციალისტური აღმშენებლობის ამ უმნიშვნელოვანეს საკითხებზე? არავითარს! პასუხად ყველა დაბრკოლებებზე ცეკას თეზისები ამბობს შემდეგს:

„ერთად-ერთი სწორი გზა ზემოდ აღნიშნულ დისპროპორციის დასაძლევად არის მრეწველობის პროდუქციის თვითღირებულების შემცირება ინდუსტრიის მტკიცე რაციონალიზაციის და მისი გაფართოების საფუძველზე, და მაშასადამე, სამრეწველო ფასების დაკლების პოლიტიკის საფუძველზე; სოფლად შრომის ტევად კულტურების განვითარება და თვით სასოფლო მეურნეობის ინდუსტრიალიზაცია (პირველ რიგში, სასოფლო მეურნეობის პროდუქტების წინასწარ დამმუშავებელ ინდუსტრიის განვითარების გზით); წვრილ დანაწევრების (საბინაო სესხები, შემნახველი სალაროები, ანაბარების მოზიდვა კოოპერაციაში, კოოპერატიულ ქარხნების აგება) ყოველმხრივი მოზიდვა და მათი შეთანხმება საკრედიტო სისტემასთან".

რამდენად შეეფერება ამ ბუნდოვან დირექტივებს საგეგმო პრაქტიკა, რამელმაც თავისი გამოხატულება ჰპოვა სახელმწიფო საგეგმო კომისიის და ს. მ. უ. საბჭოს ხუთწლიან გეგმებში?

სახელმწიფო საგეგმო კომისიის გამოქვეყნებულ ხუთწლიან გეგმით მრეწველობის სფეროში დასახულია საგასაცემო ფასების შემცირება 16,8 პროცენტით და შრომის ნაყოფიერების გადიდება 50,5 პროც. (იხ. სახელმწიფო საგეგმო კომისიის ხუთწლიანი გეგმა გვ. 155). ს. მ. უ. საბჭოს გამოქვეყნებულ გეგმით დასახულია სამრეწველო ფასების დაკლება 17,5 პროცენტით (გვ. 648) და შრომის ნაყოფიერების გადიდება 50,7 პროც. (გვ. 102). ს. მ. უ. საბჭოს ხუთწლიანი გეგმის ახალ ვარიანტში, რომელიც ჯერ არ არის გამოქვეყნებული, დასახულია საგასაცემო ფასების შემცირება 22 პროცენტით და შრომის ნაყოფიერების გადიდება 66 პროცენტით.

ფასების დაკლებასთან ერთად ხუთწლიანი გეგმები გულისხმობენ თვითღირებულების შემდეგ შემცირებას: სახელმწიფო საგეგმო კომისიის ხუთწლიანი გეგმა—17,7 პროცენტით (გვ. 155), ს. მ. უ. ს.—16,5 პროც. (გვ. 407), ს. მ. უ. ს. ახალი ვარიანტი—24.4 პროც.

ყველა ეს ხუთწლიანი გეგმები ეყრდნობიან იმას, რომ სასოფლო მეურნეობაში ფასები რჩება უცვლელი, ხოლო შრომის ნაყოფიერების ზრდა მიწათმოქმედებაში შეადგენს 15 პროცენტს სოფლის მოსახლეობის თითო სულზე (სახელმწიფო საგეგმო კომისიის ხუთწლიანი გეგმა, გვ. 12).

ამ პროექტების შესახებ პირველ ყოვლისა უნდა ითქვას, რომ თვითღირებულების შემცირების ცდა, რომელიც სწარმოებდა უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში, სრულიად არ გვაძლევს იმის იმედს, რომ ეს ამოცანა—ეხლანდელ ხელმძღვანელობის დროს—შეიძლება გადაჭრილ იქნეს. 1925-26 წ. განზრახული იყო თვითღირებულების შემცირება—5-7 პროცენტამდე; სინამდვილეში კი მოხდა მათი გადიდება 1,7 პროცენტით.

დირექტივა 1926-27 წელში სამრეწველო საქონლის თვითღირებულების შემცირების შესახებ 5 პროცენტით განუხორციელებელი დარჩა.

1926-27 წლის პირველ ნახევარში სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულება არამც თუ არ შემცირდა, როგორც ეს დასახული იყო გეგმით, არამედ გაიზარდა 1,2 პროცენტით. საეჭვოა, რომ მეორე ნახევარი წლის შედეგებმა არსებითად შესცვალონ სურათი. უკეთეს შემთხვევაში 1 წლის განმავლობაში მოსალოდნელია ფასების დაკლება 1,5—2 პროცენტით.

მიუხედავად ამ მარცხისა, მრეწველობამ, ფასების დაკლების კამპანიის გატარების წესით, თავისი საგასაცემო ფასები დაახლოვებით 5 პროცენტით შეამცირა. ამას შედეგათ მოჰყვა სამრეწველო დაგროვების მნიშვნელოვანი შემცირება. ფასების დაკლება გაატარეს აგრეთვე კოოპერაციამ და სახელმწიფო ვაჭრობამ არა მომჭირნეობის და აპარატის გაიაფების ხარჯზე, არამედ უმთავრესად დაგროვების შემცირების ხარჯზე.

ეს იმას ნიშნავს, რომ ფასების დაკლების კამპანია ეყრდნობოდა წმინდა ადმინისტრატიულ ზეგავლენის ზომებზე და არა ეკონომიურ ღონისძიებათა მოფიქრებულ სისტემაზე. სწორედ ამიტომ ძლიერ ხშირად ხდება ფასების დაკლებისათვის ფორმალურად გვერდის ავლება.

მოჰყავს რა ფასების ოფიციალური ინდექსები სახელმწიფო საგეგმო კომისია (კონიუნქტურის ბიუროს მიმოხილვაში) იძულებულია თვითონვე აღიაროს, რომ

„მრეწველობის ნაწარმოების ფასები, იმყოფებიან რა ფასების დაკლების პოლიტიკის გავლენის ქვეშ არა საკმაო საქონელზე ფასების აწევის აკრძალვის გამო არ გამოხატავენ სამრეწველო საქონლის ბაზარზე მოთხოვნილებასა და მიწოდებას შორის არსებულ შეუფარდებლობის მთელ სიმწვავეს („ეკონომიჩესკაია ჟიზნ" 1927 წ. 27 ოქტ.).

ეს არის აღიარება იმის, რომ სინამდვილეში მასიურ მომხმარებელს არ უგრძვნია ფასების რეალური დაკლება.

იმავე დროს მეტად მნიშვნელოვანი განსხვავება ჩვენი ფასების დონესა და მსოფლიო ფასების დონეს შორის 1927 წლის განმავლობაში კიდევ უფრო გაიზარდა 1926 წლის შემოდგომასთან შედარებით. 1927 წლის 1 ივლისისათვის ჩვენი საბითუმო ფასები 2 ნახევარჯერ აღემატებოდა მსოფლიო საბითუმო ფასებს, რომ არაფერი ვსთქვათ საცალო ფასებზე, სადაც განსხვავება კიდევ უფრო დიდია, („ფინანსები და სახ. მეურნეობა" № 43).

თვითღირებულების შემცირების, საგასაცემო და საცალო ფასების დაკლების, შრომის ნაყოფიერების გადიდების პოლიტიკა არის ერთად ერთი პოლიტიკა, რომელიც უნდა გაატაროს საბჭოთა ხელისუფლებამ. მაგრამ ცეკას თეზისებში აქაც ავიწყდებათ წვრილმანი: ჩვენი სამეურნეო განვითარების წინააღმდეგობანი, საბჭოთა კავშირის კლასობრივი პირობები, პროლეტარიატის სოციალისტური აღმშენებლობის და ჩვენი მეურნეობის კაპიტალისტური სექტორის ინტერესების წინააღმდეგობა.

სავსებით ნათელია, რომ თვითღირებულების და ფასების შემცირების წინასწარი პირობა ქარხნების გადაკეთება და ახალი ქარხნების აგება. ცეკას თეზისები კი გულმოდგინეთ გვერდს უვლიან საკითხს იმის შესახებ, რომ ამისთვის საჭიროა სახალხო შემოსავლის წინასწარი გადანაწილება. მისი მნიშვნელოვანი ნაწილის გადატანა კაპიტალისტური სექტორიდან სოციალისტურზე, კულაკურ მეურნეობიდან—სახელმწიფო მრეწველობაში, ნეპმანურ დაგროვებიდან—მუშათა კლასის მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, რაც უზრუნველყოფს შრომის ნაყოფიერების გადიდებას. ამის შესახებ ოპოზიცია დიდი ხანია ლაპარაკობს, და ეს ჩვენში უმიდოთ დაჰყავდათ იმ ხაზამდე, რომ თუ შევავიწროვებთ კულაკს და შეძლებულს, საშუალო გლეხს ეწყინებათ.

არაფერს ამბობს რა ამის შესახებ, ცეკას თეზისები მთელ ამ ამოცანის სიმძიმეს აკისრებს მუშათა კლასს.

და მართლაც, ს. მ. უ. საბჭოს ხუთწლიან გეგმის ახალი ვარიანტი გულისხმობს თვითღირებულების შემცირებას უმთავრესად შრომის პირობების გაუარესების ხარჯზე, სამუშაო ხელფასზე ზედნადებ ხარჯების შემცირებით (წარმოებათა განთავისუფლება იმ ხარჯებიდან, რომლებსაც ისინი ეწევიან კომუნალურ სამსახურზე, დასასვენებელ სახლებზე, ბაგებზე და სხვ.) და სოციალურ დაზღვევის პროცენტულ ანარიცხების შემცირებით.

კიდევ მეტი, ცეკას თეზისებს არ უნდათ გაიგონ, ყოველ შემთხვევაში, პარტიას არაფერს უბნებიან იმის შესახებ, რომ ფასების დაკლების პოლიტიკა გამოიწვევს არა მარტო საქონლის ბრუნვის, საქონლის გაცვლა-გამოცვლის გართულებას სოფელთან, რაც საჭიროა და სასარგებლო, არა მარტო კავშირის გაძლიერებას ღარიბი და საშუალო შეძლების გლეხობასთან და მათი მეურნეობის გამაგრებას, რაც უდიდეს მიღწევას წარმოადგენს, არამედ აუცილებლად შექმნის ხელსაყრელ პირობებს კულაკური ზედაფენების სიმდიდრის დაგროვებისათვის. კულაკი შესძლებს თავის მარაგის გაცვლას სამრეწველო საქონლის მეტ რაოდენობაზე და ამით კიდევ უფრო გააძლიერებს თავის დაგროვებებს, ე. ი. საშუალო შეძლების და ღარიბ გლეხობაზე თავის ზეგავლენის იარაღს და გაადიდებს თავის ხვედრით წონას. ცეკას თეზისებს რომ ეს გათვალისწინებული ქონდეს, თვითღირებულების და ფასების შემცირების პოლიტიკასთან ერთად მათ უნდა დაესახელებიათ ის ღონისძიებები, რომლებიც მიმართული უნდა ყოფილიყვენ ამ სწორი პოლიტიკის შედეგების ჩვენი მეურნეობის კაპიტალისტური ელემენტების მიერ გამოყენების წინააღმდეგ.

რა უნდა გაკეთდეს ასეთი შედეგების თავიდან ასაცილებლად?

არ არსებობს და არც შეიძლება იყოს დავა იმის შესახებ, რომ საჭიროა ვეცადოთ მრეწველობაში თვითღირებულების სისტემატიურ შემცირებას და სამრეწველო საქონლის ფასების სისტემატიურ დაკლებას ისე, რომ უცვლელი დარჩეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ფასები. მაგრამ ეს მარტო არ სწყვეტს საკითხს დისპროპორციის დაძლევის შესახებ. ამავე დროს საჭიროა ყველა ხუთწლიან გეგმებით გათვალისწინებული იქნეს წლიდან წლამდე უფრო და უფრო მეტი თანხების, ამოქაჩვა ქვეყნის საინდუსტრიალიზაციოდ, მტკიცე, შეძლებულ და განსაკუთრებით კულაკური მეურნეობის მიერ დაგროვილ ქონებიდან. ამასთან ერთად განთავისუფლებული უნდა იქნეს თანხების გადიდება კერძო კაპიტალის ხარჯზე და ბიუროკრატიის „შეუვიწროებების" ხარჯზე. სხვანაირად მრეწველობის გაფართოების მთელი სიმძიმე სამრეწველო ფასების შემცირების პირობებში დააწვება მხრებზე მუშათა კლასს. არც ერთ ხუთწლიან გეგმაში, არც ცეკას თეზისებში დასმული არ არის საკითხი იმის შესახებ, რას უნდა მოხმარდეს სოფლის შეძლებული ნაწილის მიერ დაგროვილი დიდი ქონება, რომელიც წლიდან წლამდე იმატებს, სხვა გარემოება რომ არ მივიღოთ მხედველობაში, იმის გამოც, რომ ხდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გაცვლა სამრეწველო საქონელზე, რომლის ფასები შეუჩერებლად დაიკლებს.

IX. საიდან გამოვნახოთ საშუალებანი

კითხვაზე, თუ საიდან უნდა ვიშოვოთ თანხები ნამდვილი ინდუსტრიალიზაციის ამოცანების უფრო გაბედულად, უფრო რევოლუციონურად გადაწყვეტისა და მასების კულტურის უფრო სწრაფად აწევისათვის, ე. ი. იმ ამოცანების, რომელთა გადაწყვეტაზე არის დამოკიდებული სოციალისტური დიქტატურის ბედი,—ოპოზიცია უპასუხებს:

თანხების ძირითადი წყარო არის სახალხო შემოსავლის გადანაწილება ბიუჯეტის, კრედიტის და ფასების სისწორით გამოყენების გზით. თანხების დამატებითი წყარო უნდა მოგვცეს მსოფლიო მეურნეობასთან არსებული კავშირის სისწორით გამოყენებამ.

1. ბიუჯეტიდან გადადებულმა წმინდა ხარჯებმა ინდუსტრიალიზაციის საჭიროებისათვის შეიძლება მიაღწიონ და უნდა მიაღწიონ 500—1000 მილიონ მან. ყოველწლიურად მიმდინარე ხუთი წლის განმავლობაში.

2. საგადასახადო სისტემის გზით აუცილებელია: ა) კერძო მეწარმეების ყოველგვარი სახის ზედმეტების ნამდვილი დაბეგვრის გატარება არა ნაკლებ 150—200 მილიონი მან. რაოდენობით, და არა 5 მილიონი მან., როგორც ეხლა არის; ბ) ექსპორტის გაძლიერების მიზნით, შეძლებულ-კულაკური ფენების, გლეხთა მეურნეობების დაახლოებით 10 პროცენტის ნატურალური მარაგიდან სესხის წესით უნდა გამოვართვათ 150 მილიონი ფუთი პური. ქალაქების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების შემდეგ, ეს პური მოგვცემს საშუალებას საზღვარ-გარეთიდან შემოვიტანოთ მრეწველობისათვის საჭირო ნედლეული და მოწყობილობის დამატებითი რაოდენობა.

3) **საგასაცემო და საცალო ფასების** სისტემატიურად და შეურყევლად დაკლებისა და საბითუმო საცალო „მაკრატლის" დაახლოვების გადაჭრილი პოლიტიკა საქმით უნდა გატარდეს იმგვარად, რომ ფასების დაკლება პირველ რიგში გავრცელდეს მუშათა და გლეხთა მასების მოხმარების საგნებზე (ფასების დაკლება არ უნდა სწარმოებდეს, როგორც დღემდე წარმოებდა, საქონლის ხარისხის გაუარესებით, რომელიც ისედაც ძალიან დაბალია) და რომ ფასების ეს დაკლება სახელმწიფო მრეწველობას არ ართმევდეს კაპიტალის დაგროვების აუცილებელ რაოდენობას და უმთავრესად სწარმოებდეს საქონლის მასის გადიდების, თვითღირებულების დაკლების, ზედნადები ხარჯების შემცირების, ბიუროკრატიული აპარატის შემოკლების და სხ. საშუალებით.

საგასაცემო ფასების პოლიტიკას, თუ იგი უფრო იქნება შეთანხმებული ბაზრის პირობებთან, ექნება უფრო მოქნილი, უფრო ინდივიდუალიზაცია ქმნილი, ე. ი. ანგარიშს გაუწევს ცალკეული საქონლის მდგომარეობას ბაზარზე, შეუძლია სახელმწიფო მრეწველობას შეუნარჩუნოს უდიდესი თანხები, რომლებიც ეხლა [illegible] კერძო კაპიტალს და სავაჭრო პარაზიტიზმს საერთოდ.

4) **მომჭირნეობის რეჟიმმა**, რომელსაც სტალინ-რიკოვის შარშანდელი მოწოდების თანახმად უნდა მოეცა 300—400 მილიონი მან. წლიწადში, ნამდვილად მოგვცა სრულიად უმნიშვნელო შედეგები. მომჭირნეობის რეჟიმი კლასობრივი პოლიტიკის შედეგს და შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მასების უშუალო ზეგავლენის მეოხებით. ამისათვის მუშებმა უნდა **გაბედონ** ზეგავლენის მოხდენა. უნაყოფო ხარჯების შემცირება 400 მილიონი მანეთის რაოდენობით სავსებით შესაძლებელია.

5) თუ სისწორით გამოვიყენებთ ისეთ ფაქტორებს, როგორიც, მაგ. **საგარეო ვაჭრობის** მონოპოლია, უცხოეთის კრედიტები, კონცესიები, ტეხნიკური დახმარების ხელშეკრულებანი და სხ., მათ შეუძლიათ მოგვცენ დამატებითი თანხები და, რაც უმთავრესია, შეუძლიათ უზრუნველყონ ჩვენი სახელმწიფო დაბანდებათა მიზანშეწონილება, გაანაყოფიერონ ისინი ახალი ტეხნიკით, დააჩქარონ მთელი ჩვენი განვითარების მსვლელობა და ამით განამტკიცონ ჩვენი ნამდვილი სოციალისტური დამოუკიდებლობა კაპიტალისტური გარემოცვისაგან.

6) საკითხი **ადამიანთა შერჩევისა**—ქვევიდან ზევით,—და საკითხი მათ შორის არასწორი ურთიერთობისა, მნიშვნელოვანი საფინანსო საკითხია. რაც უფრო ცუდია ეს შერჩევა, მით უფრო ბევრი თანხებია საჭირო. სწორ შერჩევას და სწორ ურთიერთობის დამყარებას ხელს უშლის ბიუროკრატიული რეჟიმი.

7) სამეურნეო ხელმძღვანელობაში **მანჭვრალობა** პრაქტიკაში ნიშნავს მრავალი ათეული მილიონის დაკარგვას, როგორც საწყისი წინდაუხედაობისა, შეუთანხმებლობისა, წვრილმანების გამოკიდებას უკან ჩამორჩენის გამო. მაგალითად, ჩვენი სამრეწველო, სავაჭრო და სხ. წარმოებების მხოლოდ მუშათა შემადგენლობის ცვალებადობა, რომელიც უმთავრესად, გამოწვეულია წინდაუხედაობით და უვარგისობით, სახელმწიფო მეურნეობებს უჯდება, ზოგიერთი გამოანგარიშებით, თითქმის ნახევარი მილიარდი მანეთი („ტორგოვო-პრომიშ. გაზეტა" 1927 წ. 2 აგვისტო, № 173).

8) საგადასახადო საშუალებებს არ შეუძლიათ დააკმაყოფილონ სახალხო მეურნეობის მოთხოვნები, რომლებიც სულ უფრო და უფრო იზრდება. **კრედიტი** სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ბერკეტი უნდა გახდეს სახალხო შემოსავლის გადანაწილებისათვის სოციალისტური მშენებლობის მიზნით, რაიც უპირველეს ყოვლისა ნიშნავს მტკიცე ვალიუტის და ჯანსაღი ფულადი ბრუნვის რეჟიმის გამაგრებას.

9) კლასიურად მტკიცე სამეურნეო პოლიტიკა, რომელიც შეავიწროებს სპეკულიაციისა და ნეპმანობის ფარგლებს, გაადვილებს **კერძო კაპიტალის დაგროვების** წარმატებით მობილიზაციას სახელმწიფო და საკრედიტო დაწესებულებათა მიერ და გაცილებით უფრო გააძლიერებს ფინანსების მიწოდებას მრეწველობისათვის გრძელვადიანი კრედიტის სახით.

10) მნიშვნელოვან თანხებს მოგვცემს აგრეთვე ბრუნვის უდიდესი ხარჯების შემცირება, ხარჯების, რომლებიც სახალხო შემოსავლის თითქმის 19 პროც. შთქავენ, წინააღმდეგ ომამდე არსებული 8,5 პროცენტისა, და სახელმწიფო კაპიტალის ბრუნვის აჩქარება.

11) არაყის გაყიდვა სახელმწიფოს მიერ პირველად შემოღებულ იქნა ცდის სახით, და იმ მიზნით, რომ უმთავრესი შემოსავალი ამისაგან მოხმარებოდა ინდუსტრიალიზაციის საქმეს და, უპირველეს ყოვლისა, ლითონის მრეწველობის გაუმჯობესებას. ნამდვილად კი ინდუსტრიალიზაციის საქმე დაზარალდა სახელმწიფოს მიერ არაყის გაყიდვით. უნდა იქნას აღიარებული, რომ ეს ცდა სრულებით დამარცხდა. არაყის სახელმწიფოებრივი გაყიდვა საბჭოთა წყობილების დროს ნიშნავს მინუსს, არა მარტო კერძო მეურნეობისათვის, როგორც ცარიზმის დროს, არამედ უმთავრესად სახელმწიფო მეურნეობისათვის. სამუშაოს გაცდენის შემთხვევათა გადიდება, დაუდევარი მუშაობა, უვარგისი ნაწარმოების გადიდება, მანქანების გაფუჭება, უბედურ შემთხვევათა, ხანძარის, ჩხუბის, დასახიჩრებათა შემთხვევების ზრდა და სხ. წლიწადში იწვევს ასეული მილიონი მან. ზარალს. სახელმწიფო მრეწველობა არაყით ჰკარგავს არა ნაკლებს იმისა, რასაც იღებს ბიუჯეტი არაყისაგან და რამდენიმეჯერ მეტს იმაზე, რასაც თვითონ მრეწველობა იღებს ბიუჯეტიდან. არაყის სახელმწიფოებრივი გაყიდვის შეწყვეტა უახლოეს ხანში (2-3 წელში) ავტომატიურად გაადიდებს ინდუსტრიალიზაციის მატერიალურ და სულიერ რესურსებს.

ასეთია პასუხი კითხვაზე, თუ საიდან უნდა ვიშოვოთ თანხები. არ არის მართალი, თითქოს ინდუსტრიალიზაციის ტემპი უშუალოდ ეჯახება რესურსების უქონლობას. თანხები ცოტაა, მაგრამ მაინც არის. საჭიროა სწორი პოლიტიკა.

⁂

სახელმწ. საგეგმო კომისიისა და სახ მეურნ. უმაღ. საბჭოს ხუთწლიანი გეგმა კატეგორიულად უნდა იქნას უარყოფილი და დაგმობილი, როგორც ისეთი, რომელიც სრულიად არ შეეფერება „ახალი ეკონომიური პოლიტიკის რუსეთის სოციალისტურ რუსეთად გადაქცევის" ამოცანას.

აუცილებელია საგადასახადო სიმძიმის სხვაგვარად განაწილება კლასებს შორის: კიდევ უფრო მეტად უნდა დაიბეგროს კულაკი და ნეპმანი, და გადასახადი უნდა შეუმსუბუქდეს მუშებსა და ღარიბებს. უნდა შემცირდეს არაპირდაპირი გადასახადების ხვედრითი წონა.

უზრუნველყოფილ იქნას ფულის ერთეულის აუცილებელი სიმტკიცე. ჩერვონეცის განმტკიცება მოითხოვს ფასების დაკლების ერთის მხრით და უდეფიციტო ბიუჯეტს მეორეს მხრით. დაუშვებელია ემისიის გამოყენება ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად.

საჭიროა მტკიცე მიზნობრივი ბიუჯეტი, უდეფიციტო, მტკიცე, სასტიკად განსაზღვრული ბიუჯეტი.

1927-28 წლის ბიუჯეტში მნიშვნელოვნად უნდა იქნას გადიდებული თანხების გადადება თავდაცვისათვის (უმთავრესად სამხედრო მრეწველობისათვის), საერთოდ მრეწველობისათვის, ელექტროფიკაციისა, ტრანსპორტისა, საბინაო მშენებლობისა, სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის.

მტკიცედ იქნას დაცული საგარეო ვაჭრობის მონოპოლია. აღებულ იქნას მტკიცე კურსი ინდუსტრიალიზაციაზე, ელექტროფიკაციაზე და რაციონალიზაციაზე, რომელიც აგებული უნდა იყოს მეურნეობის ტეხნიკური ძლიერებისა და მასების ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესების ნიადაგზე.

X. ორი გზა

ჩვენს ქვეყანაში არსებობს ორი ერთი მეორის საწინააღმდეგო ძირითადი პოზიცია. ერთი—პროლეტარიატის პოზიცია, რომელიც სოციალიზმს აშენებს, და მეორე—ბურჟუაზიის პოზიცია, რომელიც ცდილობს განვითარება მიმართოს კაპიტალისტური გზით.

ბურჟუაზიის და წვრილი ბურჟუაზიის იმ ფენების ბანაკის მთელი იმედი, რომელნიც მას მიჰყვებიან, დამყარებულია კერძო ინიციატივაზე და საქონლის მწარმოებლის პირად დაინტერესებაზე. ეს ბანაკი იმედს ამყარებს „ღონიერ გლეხზე" და მისი ცდა მიმართულია იქითკენ, კოოპერაციამ, მრეწველობამ და საგარეო ვაჭრობამაც დახმარება გაუწიონ მხოლოდ ამ „ღონიერ გლეხს", ეს ბანაკი ფიქრობს, რომ სოციალისტურ მრეწველობას არ უნდა ქონდეს სახელმწიფო ბიუჯეტის იმედი, რომ მისი განვითარების ტემპმა არ უნდა დაარღვიოს საფერმერო-კაპიტალისტური დაგროვების ინტერესები. ბრძოლა შრომის ნაყოფიერების ასაწევად წვრილი ბურჟუასათვის, რომელიც მტკიცდება, ნიშნავს მუშების შევიწროებას. ბრძოლა ფასების დაკლებისათვის მისთვის ნიშნავს სოციალისტური მრეწველობის დაგროვების შემცირებას კერძო კაპიტალის სასარგებლოდ. ბრძოლა ბიუროკრატიზმთან წვრილი ბურჟუასათვის, ნიშნავს მრეწველობის დაქსაქსვას, გეგმიანი საწყისების შესუსტებას, მძიმე ინდუსტრიის მეორე ხარისხოვან ადგილზე დაყენებას, ე. ი. ნიშნავს ისევ „ღონიერ გლეხთან" შეგუებას და ამასთანავე ერთად საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის ლიკვიდაციის უახლოეს პერსპექტივას. ეს არის უსტრიალოვიზმის გზა. ეს მიმდინარეობა, რომელიც ძლიერია ჩვენს ქვეყანაში, გავლენას ახდენს ჩვენი პარტიის ზოგიერთ წრეებზე.

როგორი იქნებოდა ამ წრეების პროგრამა **დღევანდელი** დღისათვის? სრულიად თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ პროგრამაში დაახლოვებით იქნებოდა შემდეგი მუხლები:

პირველი,—კაპიტალურ ხარჯების უკვე დასახული მინიმალური გეგმის შემოკლება.

მეორე,—ამ უკვე შემცირებული ხარჯების გადანაწილება საწარმოო საშუალებათა და მოხმარების საშუალებათა წარმოების შორის, უკანასკნელის სასარგებლოდ.

მესამე,—დამზადებული საქონლის იმპორტი საზღვარ-გარეთიდან.

მეოთხე,—კრედიტების მხრივ მრეწველობის შევიწროება.

მეხუთე,—თანხების გადადების შემცირება მრეწველობისათვის.

ამ პროგრამას მხარს დაუჭერენ ყველა სახის კონდრატიევები. მათთვის იგი გაცილებით უფრო „ცხოველმყოფელი", ვიდრე ბუხარინის „გაძლიერებული შეტევა" კულაკზე და კაპიტალისტურ ელემენტებზე საერთოდ. მისი განხორციელება საქმით ნიშნავს ეხლანდელი დაბრკოლებების გაფართოებას, გართულებას, ახალ კიდევ უფრო მემარჯვენე მანევრს, ახალი მარცხის ჩაცემას პროლეტარიატისა და სოციალისტური მშენებლობისათვის.

პროლეტარული გზა გამოხატულია ლენინის შემდეგ სიტყვებში:„სოციალიზმის გამარჯვება კაპიტალიზმზე, სოციალიზმის განმტკიცება შეიძლება უზრუნველყოფილად ჩაითვალოს მხოლოდ მაშინ, როცა პროლეტარული სახელმწიფო ხელისუფლება საბოლოოდ დაამსხვრევს ექსპლოატატორთა წინააღმდეგობას და უზრუნველყოფს სრულ სიმტკიცეს მსხვილი კოლექტიური წარმოებისა და უახლოესი (მთელი მეურნეობის ელექტროფიკაციაზე დამყარებული) ტეხნიკური ბაზის საფუძველზე. მხოლოდ ეს მოგვცემს შესაძლებლობას, რათა ქალაქმა ისეთი რადიკალური და ტეხნიკური დახმარება გაუწიოს ჩამორჩენილ და ფენებად დაყოფილ სოფელს, რომ ამ დახმარებამ შექმნას მატერიალური საფუძველი სამიწათმოქმედო და საზოგადოდ სასოფლო-სამეურნეო შრომის უდიდესი აწევისათვის და, ამნაირად, მაგალითით და საკუთარი სარგებლობით წვრილ მიწადმოქმედებს მისცეს იმპულსი მსხვილი კოლექტიური, მანქანით მიწადმოქმედებაზე გადასვლისათვის". (კომინტერნის მეორე კონგრესის რეზოლუცია). ამ პოლიტიკის თვალსაზრისით უნდა აშენდეს პარტიის მთელი პოლიტიკა (ბიუჯეტი, გადასახადები, მრეწველობა, სასოფლო მეურნეობა, საშინაო და საგარეო ვაჭრობა და სხ.). ასეთია ოპოზიციის ძირითადი პრინციპი, ეს არის გზა სოციალიზმისაკენ.

ამ ორ პოზიციას შორის—პირველთან სულ უფრო დაახლოვებით—მიდიოდა პარტიული ხელმძღვანელობის ხაზი უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში, რომელიც შესდგებოდა მცირე გადახრებისგან მარცხნივ და დიდი გადახრებისაგან მარჯვნივ. არც გაზეთის ფურცლებზე მოულოდნელად გამოცხადებული „ერთბაშად შებრუნება", არც ცეკას თეზისები ყრილობისათვის სრულიადაც არ უზრუნველყოფს პარტიის სწორ, ლენინურ პოლიტიკას მომავალში. პირიქით, მიუხედავად სიტყვიერი „შებრუნებისა", იერიშები კვლავ უფრო და უფრო მკაცრად მიმართულია მარცხნივ, და არა მარჯვნივ.

მაინც მიუხედავად მძიმე მდგომარეობისა, რომელსაც ამწვავებს ეხლანდელი ხელმძღვანელობის უხეში შეცდომები, საქმე მაინც შეიძლება იქნას გამოსწორებული. მაგრამ პარტიული ხელმძღვანელობის ხაზი უნდა შეიცვალოს, არსებითად უნდა შეიცვალოს იმ მიმართულებით, რომელიც ლენინმა გვიჩვენა.

იმისათვის, რომ სახალხო შემოსავალი სისწორით განაწილდეს საწარმოო ძალთა უფრო აწევის განვითარებისა, პროლეტარული დიქტატურის განმტკიცებისა და სოციალისტური მშენებლობის დაჩქარებისათვის, პირველ რიგში აუცილებელია:

ა) დაგმობილ იქნას ლოზუნგი „იერიშები მარცხნივ";

ბ) შეგნებულ და აღიარებულ იქნას, რომ საფრთხე მემარჯვენე, ე. ი. ქალაქისა და სოფლის ბურჟუაზიული კლასებისა და მათი მომხრე უსტრიალოვისტური ელემენტების მხრივ, როგორც პარტიის ფარგლების გარეთ, ისე მის შიგნით;

გ) არ იქნას დამალული პარტიის წინაშე არც ერთი არსებული დაბრკოლებანი;

დ) შეწყდეს გალაშქრება ოპოზიციის წინააღმდეგ, რომელიც პარტიას მოუწოდებს მოაწყოს პროლეტარული შეტევა ბურჟუაზიული, და ბიუროკრატიული საფრთხის წინააღმდეგ და მთელი პარტიის გასაცნობად გამოცეს ბოლშევიკ-ლენინელების (ოპოზიციის) პლატფორმა.

---

*) დასასრული, იხ. „კომუნისტი" № 269.

ლენინის ხაზის დასაცავად სამეურნეო პოლიტიკაში

პარტიის პოლიტიკა მუშათა საკითხში და ოპოზიციის დემაგოგია

ცენტრალური კომიტეტის მიერ მე-14 ყრილობიდან წარმოებულ მუშაობის საერთო შეფასებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმ პოლიტიკას, რომელსაც აწარმოებდა ცენტრალური კომიტეტი მუშათა კლასის მატერიალური და კულტურული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ჩვენს ქვეყანაში. ამას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს იმ დემაგოგიურ ბრალდებებთან დაკავშირებით, რომლებსაც აყენებს ტროცკისტული ოპოზიცია. ოპოზიცია ამტკიცებს თავის პლატფორმაში, რომ მუშათა კლასის რაოდენობის ზრდა და მისი მდგომარეობის გაუმჯობესება თითქმის შეჩერდა, მისდამი მტრულად განწყობილი ძალების ზრდა გრძელდება და ამასთანავე ეს ზრდა სწარმოებს დაჩქარებით რაც აუცილებლად იწვევს არა მარტო მუშის მდგომარეობის გაუარესებას ქარხანაში, არამედ პროლეტარიატის ხვედრითი წონის შემცირებასაც საბჭოთა საზოგადოებაში, რამდენად შეეფერება სინამდვილეს ეს ბრალდებები? ვიხელმძღვანელოთ შემდეგი ცნობებით მუშათა რიცხვის ზრდის შესახებ მსხვილ სახელმწიფო მრეწველობაში უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში:

წლები.	მუშათა რიცხვი ათასობით.	ზრდა ათასობ.	ზრდა პროცენტებით 1924—25 წელთან შედარებით.
1924-25	1529,9	—	100
1925-26	1919,8	389,41	125
1926-27	2021,0	101,7	132

ამ ცნობებში ჩვენ ვხედავთ, რომ იმ მუშების რიცხვი, რომლებიც ჩაბმული არიან მსხვილ მრეწველობაში, გაიზარდა 491,1 ათასი კაცით, **ანუ 32 პროცენტით.** ამავე დროს ხდებოდა იმ პირთა ხვედრითი წონის ზრდა, რომლებიც გაერთიანებულნი არიან პროფკავშირებში. პროფკავშირებში ჩაბმულ პირთა რიცხვმა მიაღწია დაქირავებით მომუშავე პირთა საერთო რაოდენობის 94 პროცენტს. ჩვენ აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ ამ პერიოდში ადგილი ჰქონდა აღმშენებელ მუშების უდიდეს ზრდას, რომელთა რიცხვი 2 წლის განმავლობაში გაიზარდა 62 პროცენტით.

მუშათა კლასის მატერიალური მდგომარეობის შესახებ, ოპოზიციის მიერ ჩვენი პარტიის პოლიტიკის წინააღმდეგ წამოყენებულ ცილისწამებას საუკეთესოდ აბათილებს შემდეგი ფაქტები: დაწყებული წარსულ ყრილობიდან გასული წლის მე-4 კვარტალამდე მუშათა კლასის სამუშაო ხელფასი გაიზარდა **18,5 პროცენტით,** სამუშაო ხელფასის ნომინალი კი გაიზარდა 22,8 პროცენტით; რეალური ხელფასი ამჟამად ხდება 111,3 პროცენტის დონეზე 1913 წლის სამუშაო ხელფასთან შედარებით, სამუშაო დღე კი 23 პროცენტით არის შემცირებული ომის წინადროსთან შედარებით. აქ არ შედის დამატებითი დარიცხვები და ზედნადები ხარჯები სამუშაო ხელფასზე. რაც საშუალოდ მთელ მრეწველობაში აღემატება 31 პროცენტს. თუ მხედველობაში მივიღებთ ამ ხარჯებსაც, სამუშაო ხელფასი საშუალოდ მთელ მრეწველობაში უდრის 134 პროცენტს 1913 წლის დონესთან შედარებით, რაც დასტურდება შემდეგი ცნობებით:

მიმდინარე სამეურნეო წელში განზრახულია როგორც ნომინალური ხელფასის (6,5 პროც.). ისე მით უფრო რეალური ხელფასის (11—12 პროც.) შემდგომი ზრდა. ეს ზრდა იწარმოებს როგორც მუშათა ჩამორჩენილ ჯგუფების ხელფასის მომატების ხაზით; ისე ნარდად მომუშავეთა ხელფასის ზრდის ხაზით, რომელიც დაკავშირებულია შრომის ნაყოფიერების ზრდასთან.

მიმდინარე წლის სამუშაო ხელფასის პოლიტიკისათვის დამახასიათებელია არა მარტო ჩამორჩენილ მუშათა ხელფასის მომატების პოლიტიკის გაგრძელება,არამედ ის მიმართულებაც, რომ უზრუნველყოფილ იქნას რეალურ სამუშაო ხელფასის ზრდა ნომინალურ ხელფასზე მეტი რაოდენობით; ეს საჭიროა იმისათვის, რათა უზრუნველყოფილ იქნას თვითღირებულების შემდგომი შემცირება და მუშათა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ინგლისში 1925 და 1926 წლის განმავლობაში სამუშაო ხელფასი გაიზარდა 3 პროცენტით, ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში—0,8 პროცენტით, ამავე დროს ამ ქვეყნებში სამუშაო დრო თანდათან გრძელდება და მთელ რიგ სხვა სახელმწიფოებში ხელფასი რამოდენიმედ დაეცა, თუ მხედველობაში მივიღებთ ყოველივე ამას, თვითეულისათვის, რომელიც დაბრმავებული არ არის ფრაქციული ბრძოლით ჩვენი პარტიის პოლიტიკის წინააღმდეგ, ნათელი და უდავო გახდება უდიდესი მიღწევები,რომლებიც ჩვენ გვაქვს უკანასკნელ წლებში მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესების დარგში.

ყველა ეს ფაქტები საუკეთესოდ აბათილებენ იმ ცილისწამებას, რომ მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესება შეჩერდა და რეალური სამუშაო ხელფასი 1927 წელში უკეთეს შემთხვევაში ხდება იმავე დონეზე, როგორც 1925 წლის შემოდგომაზე. უაღრესად დამახასიათებელია, რომ ეს ცილისწამება ჩვენი პარტიის წინააღმდეგ, რომელიც წამოაყენა ოპოზიციამ, საოცრად ჰგავს „სოციალისტიჩესკი ვესტნიკ"-ის მე-12 ნომრის მოწინავეს (იხ. მენშევიკ შვარცის წერილი). ამ წერილში ნათქვამია, რომ „მრეწველობაში ჩაბმულ მუშათა რიცხვის ზრდა თითქმის შეჩერდა" და „სამუშაო ხელფასის უკანასკნელ შესამჩნევ აწევას ადგილი ჰქონდა 1925 წლის შემოდგომაზე... მის შემდეგ სამუშაო ხელფასის ზრდა შეჩერდა და სამუშაო ხელფასი დროდადრო კიდეც ეცემა". თანამედროვე ოპოზიცია, რომელსაც მეთაურობს ტროცკი, თავისი ცილისწამებით პოლიტიკით ჩვენი პარტიისა და მის ცეკას წინააღმდეგ აჭარბებს ყველაზე უფრო დაშავებულ მენშევიკებსაც კი. დამახასიათებელია, რომ მას შემდეგ, რაც ოპოზიცია ამხილეს მუშათა კრებებზე, რომ პლატფორმის ეს ნაწილი გადმოწერილია მენშევიკურ „სოციალისტიჩესკი ვესტნიკ"-იდან, მენშევიკების ცეკას ორგანოდან, ოპოზიციამ თავის კონტრ-თეზისებში პლატფორმის ეს ნაწილი ამოაგდო და ამით თითონ აღიარა **მისი** მენშევიკური შთამომავლობა და მისი ამ დებულების **სინამდვილესთან შეუსაბამობა.** თუ რამდენად „დასაბუთებულია" ოპოზიციის განცხადება იმის შესახებ, რომ მუშათა კლასის ნაწილი ჩვენი ქვეყნის საერთო შემოსავალში შემცირდა, მაშინ, როდესაც სხვა კლასების ნაწილი გაიზარდა,—სჩანს იმ ფაქტიდან, რომ პროლეტარიატის შემოსავალის ხვედრითი წონა საერთო ნაციონალურ შემოსავალში 1924—25 წელში უდრიდა 24,1 პროცენტს, მიმდინარე სამეურნეო წელში კი გაიზარდა 29,4 პროცენტამდე; ამასთანავე ამ წელში **დაქირავებულ შრომის პირთა ხვედრითი წონა ჩვენი ქვეყნის ნაციონალურ შემოსავალში 30 პროცენტით აჭარბებს იმ ხვედრით წონას, რომელიც მათ ჰქონდა 1913 წელში.**

ის ფაქტი, რომ სამუშაო ხელფასის ფონდები 1926—27 წ. განსაზოგადოებულ სექტორში იზრდებოდა **3-ჯერ უფრო სწრაფად** (ზრდა 19,2 პროც.) კერძო სექტორთან შედარებით (ზრდა 6,3 პროც.), და ამავე დროს კი არა მარტო შედარებით, არამედ აბსოლიუტურად კლებულობდა კერძო მესაკუთრეთა ჯგუფების შემოსავალი ქალაქში და კიდევ უფრო ნელი ტემპით იზრდებოდა გლეხობის შემოსავალი (+8,? პროც.), ეს ფაქტი წარმოადგენს საუკეთესო საბუთს იმის დასამტკიცებლად, რომ პროლეტარიატის ხვედრითი წონა მნიშვნელოვნად გაიზარდა, როგორც წარმოებაში ჩაბმულ პირთა რიცხვის ზრდის გამო, ისე მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების გამო.

ოპოზიცია ეარშიყება ყველაზე უფრო ჩამორჩენილ მუშებს, რომლებსაც ჯერ კიდევ არ გაუწყვეტიათ კავშირი სოფელთან, და ამიტომ აცხადებს, რომ შრომის პირობების „შევიწროებას" გამო ყველაზე უფრო მეტი ზარალი მოსდის უსუსურ ჯგუფს: შავ მუშებს, სეზონურ მუშებს, ქალებს და მოზარდებს და რომ დაუშვებელია მოზარდთა სამუშაო ხელფასის შემცირება. რაც ფაქტიურად ტარდებაო. ვნახოთ რამდენად უძლებს ფაქტების კრიტიკას ეს ცილისწამება. სამუშაო ხელფასის საერთო ზრდის პოლიტიკის გარდა, ჩვენი პარტია სისტემატიურად ატარებდა მრეწველობის სხვადასხვა დარგების მუშების ხელფასის გათანასწორების პოლიტიკას და აგრეთვე იმ მუშების ხელფასის მომატების პოლიტიკას, რომლებიც იღებენ მცირე ხელფასს. ჩამორჩენილ მუშათა ჯგუფების ხელფასის მომატების ეს პროცესი ხასიათდება შემდეგი ცნობებით, რომლებიც ემყარება საკავშირო პროფსაბჭოსა და შრომის სახალხო კომისარიატის ყოველწლიურ გამოკვლევებს.

წლები.	30 მანეთამდე	30—50 მან.	50—70 მან.	70—100 მან.	100—150 მან.	150 მან. ზევით	პროც.
1924 წ. მარტი	39,6%	33,5%	15,6%	8,0%	2,5%	0,8%	100 პროც.
1925 „ „	29,8%	37,4%	18,3%	8,7%	3,7%	1,1%	100 „
1926 „ „	15,8%	31,0%	24,2%	17,7%	8,8	2,6%	100 „
1926 „ „	9,4%	28,3%	27,5%	22,2%	10,6%	20,0%	100 „

ამ ცხრილიდან ჩვენ ვხედავთ, რომ იმ მუშათა რიცხვი, რომლებიც თვიურად ღებულობენ 30 მანეთამდე, შემცირდა 39,6 პროცენტიდან 9,4 პროცენტამდე; მცირდება აგრეთვე იმ ჯგუფის ხვედრითი წონაც, რომელნიც თვიურად ღებულობენ 30-დან 50-მდე მანეთს. ამასთან ერთად ვხედავთ იმ ჯგუფების დიდ ზრდას, რომლებიც ღებულობენ 70 მანეთზე მეტს. ამ ჯგუფების ხვედრითი წონა ამავე პერიოდში 11,3 პროცენტიდან გაიზარდა 34,8 პროცენტამდე. მაღალ ხელფასის ჯგუფების ხვედრითი წონის ზრდის ეს პროცესი ხდება როგორც ამ ჯგუფის ხელფასის ზრდის ნიადაგზე, ისე მცირე ხელფასიან მუშათა ჯგუფების ხელფასის დონის კიდევ უფრო სწრაფი მომატების ნიადაგზე, რაც დაკავშირებულია ჩამორჩენილ მუშათა ჯგუფების ხელფასის მომატების პოლიტიკის მტკიცედ გატარებასთან. ეს ცნობები ამტკიცებს, რომ უაღრესად შემცირდა იმ მუშათა ხვედრითი წონა, რომლებიც ღებულობენ მცირე ხელფასს—50 მანეთამდე და სწორედ ამ ჯგუფებში შედიან მოზარდები, შავი მუშები.

აქედან ჩვენ ვხედავთ, რომ ოპოზიციას დაჭირდა ყირამალა გადაებრუნებია ფაქტები იმისათვის, რომ ამ მეთოდით მოეპოებია მომხრეთა ერთი-ორი ნაწილი არაკვალიფიციურ მუშებში, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ჩამოსულია სოფლიდან და პირველად ებმის წარმოებაში.

ასეთივე სასირცხო საქმე გამოდის ოპოზიციის ლოზუნგიდან მუშა-ქალების შესახებ, ვინაიდან ჩვენში ყველაზე უფრო ჩამორჩენილ მუშასაც კი ესმის ის ფაქტი, რომ ერთისა და იმავე კვალიფიკაციის მუშები და მუშა-ქალები,რომლებიც მუშაობენ ერთგვარ წარმოებაში. და ამზადებენ

(გაგრძელება იხ. მე-4 გვერდზე)

ერთნაირ პროდუქციას, ღებულობენ თანასწორ სამუშაო ხელფასს. მუშა-ქალთა საერთო ხელფასი კი უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში 1925 წლის მარტიდან 1927 მარტამდე (ცენტრ. სტატისტ. სამმართველოს და საკ. პროფსაბჭოს სტატისტიკური სამმართველოს და საკავშირო პროფსაბჭოს ყოველწლიური გამოკვლევების ცნობები) გაიზარდა 32,6 მან. 45,7 მანეთამდე, ანუ 40 პროცენტით.

ოპოზიციის წინადადება კი, რომ დაუშვებელი, უფასო შეგირდობის შემოღება, გადაწერილია პოლიტბიუროს დადგენილებიდან. **ფაქტების სრულ დამახინჯებას წარმოადგენს იმის მტკიცება, თითქოს სწარმოებს მოზარდ მუშათა სამუშაო ხელფასის შემცირება**, ვინაიდან ჩვენში თვითეულმა მოზარდმა იცის, რომ მოზარდთა სამუშაო ხელფასის შემცირებას ადგილი არ ჰქონია,—პირიქით, ადგილი ჰქონდა მათი სამუშაო ხელფასის ზრდის პროცესს, რომელთან დაკავშირებით იმ მუშათა პროცენტი, რომლებიც თვიურად ღებულობენ 30 მანეთამდე, შემცირდა თითქმის 4 ჯერ.

ამდენადვე ყალბია იმის მტკიცება, თითქოს მომჭირნეობის რეჟიმის გატარება ხდება მუშათა საარსებო ინტერესების ხარჯზე, ვინაიდან თვით ის ფაქტი, რომ მრეწველობა კისრულობს ხარჯებს მუშა ხელისათვის დამატებითი სამსახურის გასაწევად, როგორიცაა კომუნალური, მიმოსვლის, სოციალურ დაზღვევის და სხვ. ხარჯები რომელთა ღირებულება მიმდინარე წელში სჭარბობს 500 მილიონ მანეთს,—მოწმობს იმას, რომ ეს მტკიცებაც წარმოადგენს მორიგ სიცრუეს.

ყველა ეს ფაქტები საუკეთესოდ ამტკიცებენ თუ რამდენად არის „დასაბუთებული" ყველა განცხადებები მუშათა საცხოვრებელი დონის აშკარა დაწევის შესახებ.

ეს ფაქტები, რომლებიც აბათილებენ ჩვენი პარტიის წინააღმდეგ მუშათა საკითხში წამოყენებულ ცილისწამებას ასურათებენ მხოლოდ ნაწილს იმ უდიდეს მუშაობისას, რომელსაც უკანასკნელ წლებში ატარებდა პარტია მუშათა კლასის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

მშრომელთა მდგომარეობის სისტემატიური გაუმჯობესება ჩვენს კავშირში, დაკავშირებულია არა მარტო სამუშაო ხელფასის ნომინალის ზრდასთან, არამედ აგრეთვე ამ მიღწევებთან რომლებიც ჩვენ გვაქვს მუშათა ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის გაუმჯობესების დარგში ჩვენი სახალხო მეურნეობის სხვა ხარჯების ხაზით. ასე, მაგალითად, 1924—25 წელში სოციალურ დაზღვევის ბიუჯეტი უდრიდა 461,3 მილიონ მანეთს, მიმდინარე სამეურნეო წელში კი გაიზარდა 938 მილ. მან. რაც იძლევა იმის საშუალებას, რომ ყოველწლიურად დაიხარჯოს 300 მილიონამდე მანეთი. **მუშის სრული ხელფასის უზრუნველსაყოფად ავადმყოფობის დროს**, რამაც მოგვცა იმის საშუალება, რომ გასულ წელში 513 **ათასზე** მეტი მშრომელი გაგვეტარებია დასასვენებელ სახლებსა და სანატორიუმებში, რაც იძლევა იმის საშუალებას, რომ უზრუნველყოფილ იქნას დახმარება 460 ათასზე მეტ უმუშევრისათვის 1926—27 წელში და 725 ათასისათვის 1927—28 წელში და ამავე დროს სახელმწიფო დახმარება აღმოჩენილ ომისა და შრომის 700 ათასამდე პენსიონერ—ინვალიდს.

ეს ფაქტები თითონ მეტყველებენ თავის სასარგებლოდ, რომ არაფერი ვთქვათ იმის შესახებ, რომ არც ერთი კაპიტალისტური ქვეყანა, ყველაზე უფრო განვითარებული და მდიდარიც კი, არ უზრუნველყოფს მშრომელებს ისე, როგორც უზრუნველყოფს მათ ჩვენი პროლეტარული სახელმწიფო.

ოპოზიცია არ კმაყოფილდება ცილისწამებით, ზოგიერთ ფაქტების შეგნებულად გვერდის ავლით და დანარჩენების შულერული გაყალბებით, რათა სახელი გაუტეხოს პარტიის წარსული დროის პოლიტიკას მუშათა საკითხში; ის სცდილობს ავანსად გაუტეხოს სახელი პარტიის ხაზს მუშათა საკითხში მომავალ ხუთწლედისათვისაც და აცხადებს: 1) რომ **განზრახულია სამუშაო ხელფასის სრულებითაც არა საკმაო ზრდა**; 2) რომ ამ ზრდის განხორციელება განზრახულია **უმთავრესად** ფასების დაკლების ხარჯზე.

პირველ ბრალდებაზე პასუხის გასაცემად შევადაროთ მომავალ ხუთწლედისათვის განზრახული **რეალურ ხელფასის ზრდა** რეალურ ხელფასის ზრდას მეფის რუსეთში ცამეტი წლის განმავლობაში ომის წინ. უახლოეს 5 წლისათვის ჩვენ ნავარაუდევი გვაქვს რეალურ ხელფასის ზრდა 46 პროცენტით, სამუშაო ხელფასის ნომინალის ზრდა კი 24,6 **პროცენტით***) მაშინ, როდესაც მეფის რუსეთში საშუალო წლიური ხელფასი, რომელიც სახელმწიფო საგეგმო კომისიის ცნობებით 1900 წელში უდრიდა 255,2 მანეთს, 1913 წლამდე ჩათვლით გაიზარდა 263,6 მანეთამდე, ანუ 3 პროცენტით. ჩვენ ხუთი წლისთვის ნავარაუდევი გვაქვს სამუშაო ხელფასის ისეთი ზრდა, რომელიც **15-ჯერ სჭარბობს სამუშაო ხელფასის ზრდას ომის წინა ცამეტი წლის განმავლობაში**. ამ ტემპების შედარება თითონ მეტყველებს თავის შესახებ და კომენტარიები არ ესაჭიროება.

პარტიის ხაზი რეალურ სამუშაო ხელფასის ზრდის დარგში, რომელიც აგრეთვე ფასების დაკლებასთანაც არის დაკავშირებული, გამომდინარეობს პარტიის მიერ აღებულ გეზიდან თვითღირებულების შემცირებისა და ჩერვონეცის სყიდვითი უნარის აწევაზე. ამის წინააღმდეგ ოპოზიცია ილაშქრებს არსებითად, ვინაიდან ორში ერთი: ან უნდა ავიღოთ გეზი **თვითღირებულებისა და ფასების შემცირებაზე** და სისტემატიურად ავწიოთ ჩვენი მანეთის სყიდვითი უნარი (ცეკას ხაზი), მაშინ ამასთან დაკავშირებით მოხდება რეალური სამუშაო ხელფასის ზრდაც, ან უარი უნდა ვთქვათ ფასების დაკლებაზე (ოპოზიციის ხაზი) და მაშინ ამასთან დაკავშირებით არ **შეიძლება** სამუშაო ხელფასის ზრდის გათვალისწინება ამდენადვე არ შეეფერება სიმართლეს ოპოზიციის მტკიცებაც იმის შესახებ, რომ „**რეალური არ არის**" 1927—28 წლისათვის რეალური სამუშაო ხელფასის ნავარაუდევი ზრდა 11—12 პროცენტით და ნომინალის ზრდა 6,5 პროცენტით, ეხლანდელი საბიუჯეტო ინდექსი გვიჩვენებს, რომ სამუშაო ხელფასის ნავარაუდევ ზრდიდან 5—6 პროცენტით ფასების დაკლების ხარჯზე, ორი პროცენტი უკვე განხორციელებულია ამჟამად, მთელ მიმდინარე სამეურნეო წელში კიდევ უნდა შევძლოთ ფასების დაკლება 3—4 პროც.

სიმართლეს არ შეეფერება აგრეთვე მტკიცება იმის შესახებ, რომ ჩვენ გვქონდა „რეალურ სამუშაო ხელფასის" „**მნიშვნელოვანი შემცირება**, რომელიც დაიწყო 1926 წელში, და რომელიც თითქოს დაძლეულია მხოლოდ 1927 წლის დასაწყისისათვის". რომ ეს მტკიცება სიმართლეს არ შეიცავს, სჩანს იმ ფაქტიდან, რომ რეალური დღიური სამუშაო ხელფასი 1925 წლის დეკემბრიდან (14 ყრილობა) 1926—27 წლის მე-4 კვარტალამდე გაიზარდა 19 ნახ. პროცენტით, თვიურ სამუშაო ხელფასის ერთგვარი რყევა კი, რომელიც დაკავშირებულია სამუშაო დღეების სხვადასხვა რაოდენობასთან სხვადასხვა თვეებში, შრომის სანარდო მუშაობის დროს აუცილებელია და ამას არავითარი დამოკიდებულება არა აქვს ცეკას პოლიტიკასთან სამუშაო ხელფასის საკითხში, ვინაიდან ასეთ რყევას ადგილი ექნება მანამდე, სანამ არსებობს შრომის სანარდო გასტუმრება, რომლის შესახებ ლენინი ამბობდა, რომ ის წარმოადგენს მრეწველობის განმტკიცების აუცილებელ პირობას. რეალურ სამუშაო ხელფასის ზრდის ფაქტი კი 1925 წლის შემოდგომიდან 1926—27 წლის მე-4 კვარტალამდე 18,5 პროცენტით, მოწმობს იმას, რომ ეს „**უმნიშვნელო**" ზრდა ორი წლის განმავლობაში, **ექვსჯერ** აღემატება სამუშაო ხელფასის ზრდას ომის წინა **ცამეტი წლის** განმავლობაში, კიდევაც რომ არაფერი ვთქვათ იმ ფაქტზე, რომ ათწლიან პერიოდში 1903 წლიდან 1913 წლამდე რუსეთის მუშის საშუალო რეალური სამუშაო ხელფასი დაეცა 1,5 პროც.

მართალი არ არის ის მტკიცებაც, რომ „**შრომის სიმძაფრე იზრდება, მუშის ქუნთების დატვირთვა მატულობს**". საუკეთესო საბუთს იმის დასამტკიცებლად, რომ ეს დებულება არ შეეფერება სიმართლეს, წარმოადგენს ჩვენი მრეწველობის ძირითადი კაპიტალის განახლება 30 პროცენტით, ჩვენს კავშირში ელექტრონის ენერგიის გამომუშავების 2,7 ჯერ გადიდება ომის წინა დროსთან შედარებით, ქვანახშირის მრეწველობის მექანიზაციის გადიდება 14-ჯერ (21 პროცენტი ამჟამად ომის წინა დროის 1 ნახ. პროცენტის ნაცვლად), ნავთის მრეწველობის ტეხნიკურ მოწყობილობის სრული გამოცვლა და უდიდესი მუშაობა წარმოების ტეხნიკის გასაუმჯობესებლად და უფრო გაუმჯობესებულ მანქანა ავტომატების შემოსაღებად მრეწველობის მთელ რიგ დანარჩენ დარგებში. ეს ფაქტები მოწმობენ, რომ ჩვენში მუშის ქუნთების ძალა სულ უფრო და უფრო იცვლება მანქანების მუშაობით, პარტიის ხაზი კი, რომელიც მიმართულია მუშის სამუშაო დღის რაც შეიძლება სრულად და უკეთ გამოყენებისაკენ, დაკავშირებულია მუშაობის ისეთი რეჟიმის შექმნის საჭიროებასთან, რომლის დროსაც მოწყობილობისა და მუშა ხელის გაცდენას მინიმალურად უნდა ექნეს ადგილი, ჩვენი ალორძინების საერთო ტემპის დაჩქარების მიზნით.

გასულ პერიოდში ჩვენ გვქონდა მნიშვნელოვანი გაუმჯობესება არა მარტო მუშათა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების ხაზით, არამედ სამუშაო დროის შემცირების ხაზითაც. მაშინ, როდესაც დასავლეთ ევროპაში კაპიტალისტურ ქვეყნების მუშები იძულებული არიან აწარმოონ მედგარი ბრძოლა სამუშაო დროის გაგრძელების წინააღმდეგ, საბჭოთა კავშირში გასულ პერიოდში ჩატარებულია სამუშაო დროის მნიშვნელოვანი შემცირება.

რევოლუციის წინა დროში სამუშაო დღის სიგრძე რუსეთის მრეწველობაში საშუალოდ უდრიდა 10 საათს. საბჭოთა პირობებში ჩვენ გვაქვს არა მარტო კანონმდებლობით განსაზღვრული რვა საათის სამუშაო დღე. კიდევ მეტი. სამუშაო დროის დინამიკა უკანასკნელ წლების განმავლობაში გარკვეულად აღნიშნავს, რომ სამრეწველო მუშების სამუშაო დროის საშუალო სიგრძე (ცენტრ. სტატისტ. სამმართველოს ცნობებით) სისტემატიურად წლიდან წლამდე მცირდება; 1923 წელში ის უდრიდა 7,8 საათს, 1925 წ. 7,6 საათს, გასულ წელში კი 7,4 საათს. ამასთან ერთად ამავე პერიოდში ზედმეტ საათებში მუშაობაც შემცირდა 26 პროცენტით. ზედმეტ საათებში მუშაობის სრული შეწყვეტაც კი (9 წუთი მუშაზე) სამუშაო დროს ვერ შეამცირებს 2 პროცენტზე უფრო მეტად. ყველას შეუძლია განსაჯოს, თუ როგორ მოსჩანს ამ ფაქტების გაშუქებით ოპოზიციის წინადადება იმის შესახებ, რომ ძირშივე იქნეს აღკვეთილი ყოველივე ცდა 8 საათის სამუშაო დროის გაგრძელებისა და დაშვებული არ იქნეს ზედმეტ საათებში მუშაობა.

ჩვენს პრაქტიკულ გეზს საკითხში სამუშაო დროის სიგრძის შესახებ სამუშაო დროის არსებულ დონის დაცვის პოლიტიკა კი არ წარმოადგენს, არამედ სისტემატიური ბრძოლა ისეთი მატერიალური პირობების შესაქმნელად, რომლებმაც უნდა უზრუნველჰყონ სამუშაო დროის მნიშვნელოვნად უფრო გაძლიერებული შემცირება, უზრუნველჰყონ სრული გადასვლა უახლოეს წლების განმავლობაში 7 საათის სამუშაო დღეზე. ამ პოლიტიკის მიზანს შეადგენს როგორც მუშათა მეტი რიცხვის ჩაბმა წარმოებაში, ისე სამუშაო დროის გამოყენების გაუმჯობესებაც მუშათა მასების კულტურულ დონის შემდგომი აწევისათვის და მათი კიდევ უფრო მეტი ჩაბმისათვის წარმოებისა და ჩვენი ქვეყნის უშუალო მმართველობაში.

იმ ფაქტმა, რომ ჩვენ ამჟამად ომის წინა დროის სამუშაო დღის მნიშვნელოვან შემოკლებასთან ერთად შევძელით მიგვეღწია გამომუშავების ზრდისთვისაც, რომელიც **აღემატება ომის წინა დრის 10 საათის სამუშაო დღის გამომუშავებას**, შესაძლებელი და ეკონომიურად განსახორციელებელი გახადა უახლოეს წლების განმავლობაში რვა საათის სამუშაო დღიდან შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადასვლა. იმ მიღწევებმა, რომლებიც ჩვენ გვაქვს ჩვენი პარტიის პოლიტიკის შედეგად, საშუალება მისცეს პარტიას დაესვა ეს საკითხი, როგორც პრაქტიკული ამოცანა. მაშინ, როდესაც დასავლეთ ევროპისა და ამერიკის უმდიდრეს კაპიტალისტურ ქვეყნებში სულ უფრო და უფრო მოჩვენებითი ხდება 8 საათის სამუშაო დღე, რომელსაც თანდათან სცვლის 9 და 10 საათის სამუშაო დღე, რომ არაფერი ვსთქვათ კოლონიებზე, სადაც დღემდე ადგილი აქვს 14 საათის, და მთელ რიგ შემთხვევებში 16 საათის სამუშაო დღეს, **ჩვენში ხდებოდა და ხდება საწინააღმდეგო მოვლენა—სამუშაო დროის შემცირება**.

სამუშაო დღის შემცირების პრაქტიკულ გატარებასთან ერთად ჩვენში იწარმოებს შემდგომი გაძლიერებული მუშაობაც წარმოების რაციონალიზაციისა და მოწყობილობის უკეთესი გამოყენების დარგში **წარმოებაში უფრო ხშირი ცვლის შემოღების საშუალებით**, რამაც უნდა შეამციროს უმუშევრობა, დააჩქაროს კაპიტალების ბრუნვა ჩვენს მეურნეობაში და ამით უზრუნველჰყოს კაპიტალების მეტი დაგროვების შესაძლებლობა ახალი აღმშენებლობის გაძლიერების მიზნით. სამუშაო დღის ეს შემდგომი შემოკლება იქნება უდიდესი სტიმული მუშათა კლასის კულტურული ზრდისათვის და მისი კიდევ უფრო მეტად ჩაბმისათვის ბრძოლაში სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და სოციალისტურ აღმშენებლობის საწარმოებლად.

ამ უდიდეს მიღწევებთან ერთად მუშათა ცხოვრების მატერიალურ და კულტურულ გაუმჯობესების დარგში ჩვენ გვაქვს მუშათა საკითხში მთელი რიგი უდიდესი სიძნელეებიც, რომელთა დაძლევასაც პარტიამ შემდეგში უნდა მიაქციოს მთელი თავისი ყურადღება. ეს სიძნელენი დაკავშირებულია საბინაო საკითხთან, უმუშევრობასთან და იმ გარემოებასთან, რომ საჭიროა უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს წარმოების რაციონალიზაციის საკითხებს.

საბინაო მშენებლობის დარგში სახელმწიფოს ხარჯები განსაზოგადოებულ სექტორში 1924-25 წლიდან მიმდინარე სამეურნეო წლამდე გაიზარდა **სამჯერ უფრო მეტად**, რამაც უკანასკნელ სამ წელში შესაძლებელი გახადა განსაზოგადოებულ სექტორში საბინაო სივრცის გადიდება 4,2 მილიონ კვ. მეტრით. ეს მოწმობს იმას, რომ შეწყდა ძირითად საბინაო ფონდის ხარჯვა და რომ დაწყებულია შეტევა ამ უბნის ფრონტზე.

ოპოზიციის ის ცდებიც, რომ სპეკულიაცია გაწიოს საბინაო საკითხსა და უმუშევრობასთან დაკავშირებულ სიძნელეებით, აგრეთვე სავსებით დამარცხებულად უნდა ჩაითვალოს. ოპოზიცია თავის კონტრთეზისებში ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ „1931 წლის ბოლოს საერთო საბინაო სივრცის ნორმა უფრო დაბალი იქნება, ვიდრე 1926 წელში". საბჭოთა კავშირის მრეწველობის განვითარების ხუთწლიან გეგმის საკონტროლო ციფრების ცნობებით*) კი ხუთწლედის განმავლობაში ნავარაუდევია: მრეწველობის სახლებში მცხოვრებთათვის საბინაო სივრცის გადიდება 1931-32 წლისათვის 11,5 კვ. არშინამდე ნაცვლად ამჟამად არსებულ 10,2 კვ. არშინისა, ამავე დროს 1931-32 წლისათვის ბინები უნდა მიეცეს დაახლოვებით 300 ათას ახალ მუშას. ხუთწლედის განმავლობაში 1.065 მილიონ მანეთის დახარჯვამ უნდა უზრუნველჰყოს მრეწველობაში ახალი საბინაო სივრცის მომატება 9 მილიონ კვ. მეტრის რაოდენობით, ამჟამად არსებულ 7.650 ათას კვ. მეტრის ნაცვლად. **რაც იძლევა მუშათა საერთო საბინაო სივრცის ისეთ ზრდას, რომელიც 2,1-ჯერ აღემატება ამჟამად არსებულ საბინაო სივრცეს.**

ეს ცნობები გვიჩვენება იმას, თუ როგორი კონკრეტული განხორციელება უნდა ჰპოვოს ცეკას თეზისების დირექტივამ მუშათა საბინაო სივრცის გადიდების შესახებ. სიმართლეს არ შეეფერება აგრეთვე ოპოზიციის მტკიცება იმის შესახებ, რომ ქალაქებში მუშათა საბინაო სივრცე თანდათან მცირდება, ვინაიდან არ მოგვეპოვება საერთო ცნობები საბინაო სივრცის განაწილების შესახებ ქალაქებში მცხოვრებთა სხვადასხვა კატეგორიების მიხედვით, ჩვენ იძულებული ვართ მივმართოთ ცნობებს მთელ რიგ უდიდეს ტრესტების შესახებ. ეს ცნობები მოწმობენ, რომ ოპოზიციის ეს მტკიცება არ არის სწორი. ასე, მაგალითად, აზნავთში მუშის საბინაო სივრცე უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში გაიზარდა 15 პროცენტით, „დონუგოლში" საერთო საბინაო სივრცე გაიზარდა 19 პროცენტით, რის გამოც შესაძლებელი გახდა 28.000 მუშისა და 60 ათასზე მეტ მათი ოჯახის წევრისათვის ბინის მიცემა და ამავე დროს თვითეულ სულზე მომავალ ნორმის რამოდენიმედ გადიდებაც. ასეთივე სურათი გვაქვს მთელ რიგ სხვა უდიდეს ტრესტებშიც.

ეს ფაქტები მოწმობენ იმას, რომ მიუხედავად ამ საკითხში არსებულ მთელ რიგ სიძნელეთა, ჩვენ ამჟამად უკვე გვაქვს ერთგვარი გაუმჯობესება, რომელმაც განსაკუთრებით უნდა იჩინოს თავი მომავალ ხუთწლედში (მუშათა საბინაო სივრცის გაორკეცება).

თუ არ ვიანგარიშებთ ცენტრალური კომიტეტის თეზისებიდან გადაწერილ წინადადებას მუშათა საბინაო პირობების სისტემატიურ გაუმჯობესების შესახებ და წინადადებას კლასობრივი პოლიტიკის გატარების შესახებ ბინის ქირის საკითხებში,—ოპოზიციის სპეციფიური „პრაქტიკული" წინადადება საბინაო საკითხში გამოიხატება მით, რომ „გამოსახლებული არ იქნენ ბინებიდან ის მუშები, რომლებსაც ამოკლებენ და ითხოვენ სამუშაოდან". ამ წინადადებით ოპოზიციას სურს ჩაშალოს პარტიისა და სამეურნეო ორგანოების მუშაობა, რომელიც სწარმოებს მუშახელის გეგმიან გადაყვანისათვის იმ რაიონებიდან, რომლებშიაც მოიპოვება ზედმეტი მუშა ხელი, იმ რაიონებში, სადაც მუშათა ნაკლებობაა. ეს მუშაობა დაკავშირებულია ერთი კვალიფიკაციის მუშების შეცვლასთან სხვა კვალიფიკაციის მუშებით, რომლებიც საჭირო არიან წარმოების მექანიზაციის გატარებასთან დაკავშირებით.

განსაკუთრებით დიდ დემაგოგიას აწარმოებს ოპოზიცია უმუშევრობის ხაზით. ეს შემოტევა იწყება იმის აღნიშვნიდან, რომ „სახელმწ. საგეგმო კომისიის ხუთწლიან გეგმაში ნაჩვენებ 1.181 ათას უმუშევრის მაგიერ, ამა წლის აპრილში ჩვენში ითვლება 1.478 ათასი რეგისტრაციაში გატარებული უმუშევარი", თუმცა ოპოზიციამ უნდა იცოდეს ის ფაქტი, რომ ოქტომბერში უმუშევართა რიცხვი ნაკლები იყო აპრილის ციფრზე 327 ათასით და შეადგენდა 1.150 ათას კაცს. იმისათვის, რომ მიიღოს კიდევ უფრო განსაცვიფრებელი ციფრი იმ უმუშევართა რაოდენობის შესახებ, რომლებიც აღრიცხული არიან შრომის ბირჟებში და რომელთა რიცხვში შედიან პროფკავშირთა წევრებიც, ოპოზიცია ხელმეორედ სთვლის პროფკავშირთა უმუშევარ წევრებს და ამასგარდა უმატებს სეზონურ მუშებსაც. ერთი და იმავე უმუშევართა სწორედ ეს ორმაგი აღრიცხვა აძლევს ოპოზიციას საშუალებას მოიყვანოს თავის კონტრთეზისებში ისეთი ციფრი უმუშევართა რიცხვის შესახებ, რომელიც სინამდვილეს არ შეეფერება. სახელმწ. საგეგმო კომისიის ხუთწლიანი გეგმა, განხილული მუშაობის მეტ ცვლაზე და შემცირებულ სამუშაო დროზე გადასვლის თვალსაზრისით, ითვალისწინებს უმუშევართა ამჟამად არსებულ რაოდენობის 10 პროცენტით შემცირებას.

სრულებით არ შეეფერება სინამდვილეს ოპოზიციის მტკიცება, რომ „დახმარების საშუალო რაოდენობა უდრის დაახლოვებით 5 ომის წინა დროის მანეთს" და რომ „ეს დახმარება ეძლევა პროფკავშირთა უმუშევარ წევრების მხოლოდ 20 პროცენტს". უწინარეს ყოვლისა უმუშევრობის დახმარების საერთო სიდიდე, რომელიც 1924-25 წელში უდრიდა 8 მანეთს თვიურად, გაიზარდა 11 მანეთამდე 1925-26 წელში და 15,1 მანეთამდე 1926-27 წელში, ე. ი. **ორი წლის განმავლობაში ზრდა შეადგენს 90 პროცენტს**; ამასთან ერთად გაგრძელდა დახმარების გაცემის ვადა 6 თვიდან 9 თვემდე და გადიდდა უმუშევართა დახმარების საერთო ხარჯების რაოდენობა სოციალურ დაზღვევის ფონდიდან: ეს ხარჯები 1924-25 წელში შეადგენდა 81,3 მილიონ მანეთს, მიმდინარე სამეურნეო წელში კი 125 მილიონ მანეთს (ზრდა უდრის ოთხმაგზე მეტს); ამან შესაძლებელი გახადა დახმარების გაწევა გასულ წელში 450 ათას კაცისათვის, მიმდინარე წელში კი ნავარაუდევია დახმარების აღმოჩენა კიდევ 275 ათას კაცისათვის. ეს უზრუნველჰყოფს შრომის ბირჟებში აღრიცხულთა ნახევარზე მეტს იმათი ჩათვლითაც კი, რომლებიც არ არიან პროფკავშირთა წევრები. თუ როგორ მოსჩანს ამ ფაქტების გაშუქებით ოპოზიციის განცხადება იმის შესახებ, რომ უზრუნველყოფილია პროფკავშირთა უმუშევარ წევრების მხოლოდ 20 პროცენტი—შეუძლია განსაჯოს ყველამ.

ოპოზიციამ დაიგვიანა თავის წინადადებებით უმუშევრობასთან დახმარების გადიდებისა და დახმარების გაცემის ვადის გაგრძელების შესახებ, ვინაიდან პარტიის დირექტივების მიხედვით, ეს უკვე გატარებულია ბევრად უფრო ადრე ოპოზიციის კონტრთეზისების დაწერამდე. ასევე დაიგვიანა ოპოზიციის წინადადებამ იმის შესახებ, რომ გაძლიერებულ იქნეს თანხების გადადება უშიშროების ტეხნიკისა და შრომის პირობების გაუმჯობესების საჭიროებისათვის, ვინაიდან პარტიის დირექტივების თანახმად ეს თანხები უკანასკნელ ორ წელიწადში გადიდდა 59 პროცენტით (27 მილიონი მანეთი 1925-26 წელში და 43 მილიონი მიმდინარე წელში).

თანამედროვე ტროცკისტული ოპოზიცია სცდილობს სახელი გაუტეხოს ჩვენი პარტიის პოლიტიკას არა მარტო იმ საკითხებში, რომლებიც დაკავშირებულია მუშათა კლასის მატერიალური მდგომარეობის დონესთან, არამედ აგრეთვე იმ საკითხებშიაც, რომლებიც დაკავშირებულია **წარმოების რაციონალიზაციის, როგორც ჩვენი სოციალისტური მრეწველობის შემდგომი განვითარების საფუძვლის** გატარებასთან. ოპოზიცია, რომელიც მთელი გასული წლების განმავლობაში განუწყვეტლივ ჰყვიროდა „დაღუპვის", „კრიზისის", „პროლეტარიატის შეკუმშვის" და სხვ. შესახებ, ოპოზიცია, რომელიც ვერ ხედავს ჩვენს მიღწევებს და საშინლად უფრთხის იმ სიძნელეებს, რომლების დაძლევა კიდევ მოუხდება ჩვენს სახელმწიფოს,—სცდილობს ცილი დასწამოს ჩვენი პარტიის პოლიტიკას აგრეთვე ყოველმხრივი რაციონალიზაციის (მრეწველობის და ტრანსპორტის მმართველობის სისტემის, მთელი სახელმწიფო აპარატის, საქონლის ბრუნვის და სხვ. რაციონალიზაციის საკითხებში, სცდილობს სახელი გაუტეხოს რაციონალიზაციას, რომელიც უზრუნველყოფს ჩვენი პარტიის იმ დირექტივების შესრულებას, რომლებიც ითხოვენ, რომ რაც შეიძლება მოკლე ვადაში დავეწიოთ და გავუსწროთ ყველაზე უფრო განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს.

ოპოზიცია ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ პრაქტიკაში რაციონალიზაცია ხშირად განისაზღვრება მუშათა ერთი ნაწილის შემცირებით და დანარჩენ ნაწილის მატერიალური მდგომარეობის გაუარესებით. იმ ცნობებიდან, რომლებიც მეტყველებენ მუშების რიცხვის სისტემატიურ ზრდას და განსაკუთრებით ჩამორჩენილ მუშათა ჯგუფების ხელფასის სისტემატიურ ზრდას, ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ ეს აბსოლიუტურად ეწინააღმდეგება იმას, რაც ჩვენ ფაქტიურად გვქონდა სინამდვილეში.

წარმოების პრაქტიკული რაციონალიზაციის გატარების თვალსაზრისით პირდაპირ უაზრობაა ოპოზიციის პლატფორმაში მოყვანილი პრაქტიკული წინადადება, რომელიც შეიცავს მოწოდებას კოლექტიურ ხელშეკრულებებში ისეთი მუხლის შეტანის მოთხოვნისაკენ, რომლითაც მუშა მოსამსახურეთა არსებული შემადგენლობა დაცული უნდა იყოს შემცირებისაგან. იმ დროს, როდესაც ჩვენი პარტია ყველა ღონეს ხმარობს ადმინისტრატიულ-სამეურნეო და სამმართველო აპარატის შესამცირებლად (დირექტივა ამ აპარატის 20 პროცენტით შემცირების შესახებ), ოპოზიცია, რომელიც მოკლებულია იმედს, რომ მუშები მხარს დაუჭერენ მის „პრაქტიკულ წინადადებებს", სცდილობს დაიმყაროს მოსამსახურეები, რომლებიც ამ დირექტივის თანახმად შემცირებულ უნდა იქნენ, და წინადადებას აძლევს მათ წამოაყენონ მოთხოვნა მათი შეუმცირებლობის შესახებ კოლექტიურ ხელშეკრულებათა მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში.

წარმოების ნამდვილი რაციონალიზაციის გატარება, მმართველობის სისტემის გაუმჯობესება, მუშების ფიზიკური შრომის შეცვლა მანქანების მუშაობით შეუძლებელია ისე, თუ არ მოხდა მუშების გადაჯგუფება ერთი წარმოებიდან მეორეში, თუ ერთი კვალიფიკაციის (ხელით მომუშავე) მუშები არ იქნენ შეცვლილნი რთულ მანქანა-ავტომატებზე მუშაობის შემძლე მუშებით. მოთხოვნა შემცირებისაგან ყველას უზრუნველყოფის შესახებ პრაქტიკულად აუცილებლად გამოიწვევს მუშაობის შეფერხებას წარმოების რაციონალიზაციის დარგში. ეს თეზისი მუშა-მოსამსახურეთა შეუმცირებლობის შესახებ კოლხელშეკრულებათა მოქმედების მთელ პერიოდში წარმოადგენს პროლეტარიატისათვის არასასურველ გამოსვლას იმ მუშაობის წინააღმდეგ, რომელსაც პროლეტარული სახელმწიფო ატარებს ადმინისტრატიულ სამმართველო აპარატის შემცირების დარგში.

ასევე ეწინააღმდეგება წარმოების სოციალისტური რაციონალიზაციის ინტერესებს, ჩვენი საერთო განვითარების სწრაფი ტემპისა და სხვადასხვა კატეგორიის მუშების ხელფასში სწორი შეფარდების დაწესების ინტერესებს ოპოზიციის წინადადება იმის შესახებ, რომ არ იქნას გადათვალიერებული **გამომუშავების ნორმები**. რადგან ჩვენი სამრეწველო **ფრონტის** ყველა ნაწილებში ერთნაირად არ ტარდება წარმოების მექანიზაცია და ორგანიზაციულ ტეხნიკური გაუმჯობესებანი, ამიტომ გამომუშავების ნორმებისა და განაკვეთების გადაუთვალიერებლობა კოლექტიურ ხელშეკრულებათა მოქმედების პერიოდში. წარმოების მექანიზაციასთან და ორგანიზაციულ-ტეხნიკურ გაუმჯობესებასთან დაკავშირებით აუცილებლად გამოიწვევს იმას, რომ რაციონალიზაციაქმნილ წარმოებებში [illegible] გაიზრდება მუშების ხელფასი. და ეს იმ დროს, როდესაც მუშების ხელფასი მტკიცე დონეზე უნდა იდგეს იქ, სადაც საშუალებათა ნაკლებობის გამო ჯერ კიდევ არაა ჩატარებული ტეხნიკური რაციონალიზაცია.

ჩვენს პარტიას აღებული აქვს კურსი ყველა მუშების, ხოლო უფრო სწრაფი ტემპით ყველაზე ჩამორჩენილ მუშების სამუშაო ხელფასის გათანასწორებაზე ოპოზიცია კი თავისი პრაქტიკული წინადადებებით სცდილობს გაატაროს **მუშათა არისტოკრატიული ჯგუფის შექმნის პრინციპი**; ეს ჯგუფი იქნება ყველაზე კარგ პირობებში. ჩვენი პარტია ვერ მიიღებს ამ პოლიტიკას, როგორც პოლიტიკას, რომელსაც არაფერი საერთო არა აქვს სოციალისტურ პრინციპებთან, და უარჰყოფს მას, როგორც აშკარა დემაგოგიურ წინადადებას.

სამეურნეო ფრონტის ყველა ნაწილებში ჩვენი პარტია ამჟამად ატარებს უდიდეს, უურთულეს და უმძიმეს მუშაობას როგორც მრეწველობის ნაწარმოების თვითღირებულების დაკლების, ისე სამმართველო აპარატის ხარჯების შემოკლების დარგში. ჩვენს პარტიას აღებული აქვს კურსი სამუშაო ხელფასის სისტემატიურ გადიდებაზე არა მარტო ნომინალური სამუშაო ხელფასის ზრდასთან დაკავშირებით, არამედ ფასების აუცილებელ, სისტემატიურ დაკლებასთან დაკავშირებითაც; ამასთან ფასების დაკლების საფუძველს წარმოადგენს თვითღირებულების დაკლება, სწორად ჩატარებულ წარმოების რაციონალიზაცია, რომელიც დაკავშირებულია ახალ წარმოებათა მშენებლობასთან, მოქმედ წარმოებათა რეკონსტრუქციასთან და ტეხნიკურ და ორგანიზაციულ გაუმჯობესებათა განხორციელებასთან,—აუცილებელ შედეგად უნდა მოჰყვეს **ნაწარმოების თვითღირებულებაში სამუშაო ხელფასის წილის შემცირება. მუშების საცხოვრებელი დონის ამაღლებასთან ერთად.**

აშკარა ცილისწამებას წარმოადგენს ოპოზიციის მტკიცება, რომ „სამუშაო ხელფასის ზრდა ჩამორჩება შრომის ნაყოფიერების ზრდას" ჩვენ არ შევჩერდებით იმის ანალიზზე, თუ რა [illegible] შეფარდებას ჰქონდა ადგილი სამუშაო ხელფასისა და შრომის ნაყოფიერების დინამიკაში. ამ ანალიზის შედეგად პარტიამ 1924—25 წელში დაიწყო შრომის ნაყოფიერების კამპანია. ქვემომოყვანილი ცხრილი ახასიათებს გამომუშავების მოძრაობას მუშასა და სამუშაო ხელფასზე უკანასკნელ ორ წელში.

	1924—25 წ.	1925—26 წ.	1926—27
1. გამომუშავება კაც-დღეზე ომის წინადროინდელ მანეთებში	5,65	6,32	6,94
იგივე %-ულ შეფარდებით 1924 25 წელთან	100	112,8	123
2. გამომუშავება ქ. დ. ჩერვონულ მანეთებში	12,43	13,91	15,58
იგივე %-ული შეფარდ. 1924—25 წელთან	100	112,2	125,6
3. დღიური სამუშაო ხელფასი ჩერვონ. კაპეიკებში	192	243	264
იგივე %-ული შეფარდ. 1924—25 წელთან	100	126	140
4. დღიური სამუშაო ხელფასი რეალურ კაპეიკებში	110	129,8	143,0
იგივე %-ული შეფარდ. 1924—25 წელთან	100	116	129

ამ ცხრილიდან ჩვენ ვხედავთ, რომ **იმ დროს, როდესაც უკანასკნელ 2 წელში ერთი მუშის გამომუშავება გაიზარდა 23 პროცენტით ომის წინადროინდელ მანეთებში და 25,6 პროც. ჩერვონულ მანეთებში, ამავე პერიოდში სამუშაო ხელფასი ჩერვონულ მანეთებში გაიზარდა 40 პროცენტით, რეალური სამუშაო ხელფასის 29 პროც. ზრდასთან ერთად** თუ ერთი მუშის გამომუშავებას ჩერვონულ მანეთებში შევადარებთ ხარჯთან, რომელსაც სახელმწიფო უწევს სამუშაო ხელფასზე, ამ ცხრილიდან დავინახავთ, რომ ერთ-ერთ არა ნაკლებ მნიშვნელოვან მიზეზს იმისას, რომ უკანასკნელ ორ წელში მეტად ნელა კლებულობდა თვითღირებულება (ხოლო მთელ რიგ დარგებში ის უცვლელი მდგომარეობაში იყო), წარმოადგენდა პროდუქციის ერთეულზე სამუშაო ხელფასის ხაზით გაწეული ხარჯის სიდიდე. ის, ვინც, ამ საყოველთაოდ ცნობილ ფაქტების მიუხედავად, ციფრობრივ დასაბუთებისა და ანგარიშის გარეშე სცდილობს საქმის ნამდვილი მდგომარეობის დამახინჯებას პარტიის საწინააღმდეგო ბრძოლის დემაგოგიური მიზნებით,—ის ობიექტიურად ასრულებს იმავე საქმეს რასაც მუშათა კლასის საზღვარგარეთელი მტრები, რომლებიც ანალოგიური მეთოდებით სცდილობენ ჩირქი მოსცხონ ჩვენს სახელმწიფოს მუშაობას წარმოების რაციონალიზაციის თვითღირებულების დაკლების და ჩვენი სამეურნეო ზრდის ისეთი ტემპის უზრუნველყოფის დარგში, რომელიც მნიშვნელოვნად გადააჭარბებდა უაღრესად განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნების ტემპს.

თუ ამ ფაქტების მიხედვით როგორ გამოიყურებოდა ოპოზიციის პრაქტიკული წინადადება იმის შესახებ, რომ „უახლოეს ამოცანად აღიარებულ იქნას **სამუშაო ხელფასის გადიდება**, მიღწეულ შრომის ნაყოფიერების ზრდასთან შეფარდებით მაინც", შეგვიძლია დავინახოთ თუნდაც იქიდან, რომ ოპოზიციის ბელადებმა, პარტიის წინააღმდეგ ფრაქციული არალეგალური მუშაობით დატვირთულებმა, თავიც კი არ შეიწუხეს იმ ფაქტის შემოწმებით, რომ მათი ეს წინადადება პრაქტიკულად **ნიშნავს კურსს სამუშაო ხელფასის დაკლებაზე**: როგორც ერთ შემთხვევაში თუ ვიხელმძღვანელებთ უკანასკნელი ორი წლის დინამიკით, ისე მეორე შემთხვევაში, თუ ავიღებთ შედარებას 1913 წელთან, ვინაიდან იმ ხანებში შრომის ნაყოფიერების დარგში ჩვენ მცირეოდნად გადავაჭარბეთ ომის წინადროინდელ დონეს, დავინახავთ, რომ ეხლა რეალური სამუშაო ხელფასის დონე დანარიცხებით საშუალოდ შეადგენს მრეწველობაში 134 პროც. ომის წინადროინდელ ხელფასისას.

ჩვენი პარტიის მტკიცე ხელმძღვანელობით შრომის საკითხებში მიღებული ჩვენი მიღწევები საუკეთესოდ მოწმობენ პარტიის კლასობრივი, პროლეტარული პოლიტიკის სისწორეს შრომის საკითხებში.

დიდმა ოქტომბერმა მოგვცა მთელი სახალხო მეურნეობის განვითარების პრინციპიალურად სულ სხვა სოციალურ-კლასობრივი შინაარსი. კლასობრივ პროლეტარული ხაზი, რომელიც ეკონომიურ პოლიტიკის დარგში ტარდება ჩვენი ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, უზრუნველჰყოფს ნაციონალური შემოსავლის ისე წარმართვას ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის კალაპოტით, რომლის დროსაც **სისტემატიურად იზრდება პროლეტარიატის ხვედრითი წონა საბჭოთა საზოგადოებაში, რომლის დროსაც სისტემატიურად სწრაფი ტემპით** (მოსახლეობის დანარჩენ ფენებთან— გლეხობასთან, ხელოსნებთან, ბურჟუაზიასთან და სხვ. შედარებით) **უმჯობესდება მუშათა კლასის მატერიალური და კულტურული მდგომარეობა.** ეს ხაზი უზრუნველჰყოფს მრეწველობის ხელმძღვანელობით მთელი ჩვენი მეურნეობის რეკონსტრუქციას უფრო მაღალ სოციალისტურ საფუძველზე, რომლის დროსაც უზრუნველყოფილია (ყველა სიძნელეების გადალახვით) ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის შესახებ ილიჩის მოძღვრების სისტემატიური და მტკიცედ გატარება ცხოვრებაში. მიუხედავად ტროცკისტულ ოპოზიციონერების მენშევიკური ცდისა ჩაშალონ პროლეტარიატის შემოქმედებითი მუშაობა, ჩვენი პარტია არ გადაუხვევს ამ გზას.

ივ. კრაველ.

---

*) იხ. საბჭოთა კავშირის მრეწველობის განვითარების ხუთწლიან გეგმის საკონტროლო ციფრები 1927-28 წლ.—1931—32 წლამდე. სახელმწ. ტეხნ. გამომცემლობის გამოცემა, გვ. 37.

*). იხ. მრეწველობის განვითარების ხუთწლიან გეგმის საკონტროლო ციფრები სახელმწ. ტეხნ. გამომცემლობა. 1927 წ. გვ. 41.

„სად გამოვნახოთ საშუალებები?"

I. ოპოზიცია, ბიუჯეტი და სახალხო შემოსავალი

„სახელმწიფო ბიუჯეტის საშუალებებიდან მრეწველობისათვის გაღებული წმინდა ხარჯები ხუთწლიანი გეგმის მიხედვით 220. მილ. მანეთიდან ამავე წლების მანძილზე 90 მილ.-დე ეცემა!"... „ეს იმას ნიშნავს, რომ რაც მეტი ხანი გავა, ბიუჯეტი ინდუსტრიალიზაციის დაჩქარებისა და კულაკისა და ნეპმანის საშუალების მრეწველობაში მოზიდვის უფრო სუსტი იარაღი იქნება".

ჩვენ არ შევჩერდებით სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ შედგენილ ხუთწლიანი გეგმის მასალებიდან ამოღებულ იმ ციფრებზე, რომელთაც ოპოზიცია აკრიტიკებს, ვინაიდან ეს გეგმა არაა დამტკიცებული არც პარტიისა და არც მთავრობის მიერ,—ამ უკანასკნელებმა აუცილებლად სცნეს მიეცათ დირექტივები იმ ახალ ხუთწლიან გეგმის შესადგენად, რომელიც მუშათა კლასის მიერ დაპყრობილ ახალ გამოსავალ წერტილებს დაეყრდნობოდა.

პროლეტარული დიქტატურის პირობებში, როცა მუშათა სახელმწიფოს ხელშია სახალხო მეურნეობის ყველა მბრძანებელი მაღლობები წარმოებისა და ბრუნვის დარგში: მსხვილი მრეწველობა, ტრანსპორტი, ვაჭრობა, ფულის ტრიალი;—მაშინ სახალხო შემოსავლის განაწილება ხდება სულ სხვა პრინციპიალურ საფუძვლებზე, ვინემ კაპიტალისტური სისტემის დროს, გადანაწილების მეთოდებს წარმოადგენს ფასების პოლიტიკა, როგორც სამრეწველო, ისე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე ბიუჯეტი, საკრედიტო სისტემა და ნაწილობრივ ფულის ემისია.

ამასთანავე დაგროვების ყველაზე უფრო ძლიერ საშუალებას წარმოადგენს სახელმწიფო მრეწველობა და ტრანსპორტი; რომელთაც მეტი წილი უდევთ სახალხო შემოსავალში. ფასებისა და რკინის გზის ტარიფების მოწესრიგება შესაძლებლობას იძლევა გადიდებულ იქნეს იმ სახალხო შემოსავლის წილი, რომელსაც მუშათა სახელმწიფო წარმართავს მისი სოციალისტური მშენებლობის პოლიტიკით განსაზღვრულ მიზნისაკენ.

სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო საქონლის ფასების შეფარდება თავისი მნიშვნელობით წარმოადგენს სახალხო შემოსავლის გადანაწილების მეორე საშუალებას. სახალხო მეურნეობის სოციალისტური სექტორის მნიშვნელობის თანდათანობითი ზრდის პირობებში ბიუჯეტი წარმოადგენს დაგროვების განაწილების საშუალებას სახალხო მეურნეობის ცალკე დარგებს შორის, რომლებიც სავსებით ან მეტწილად სახელმწიფოს ხელშია.

ბიუჯეტის შემოსავლის იმ ნაწილს, რომელიც არა განსაზოგადოებულ სექტორიდანაა მიღებული აქვს შემცირების ტენდენცია იმის და მიხედვით, რაც უფრო ეცემა კაპიტალისტური სექტორის ხვედრითი წონა და აბსოლიუტური ფარგლები და რაც უფრო იზრდება განსაზოგადოების ელემენტები (კოოპერაცია) კერძო მეურნეობაში. საკრედიტო სისტემასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს დაგროვების განაწილებისათვის სახელმწიფო მეურნეობის ცალკე დარგებს შორის და განსაკუთრებით კი სახელმწიფო მოწესრიგების სფეროში სოფლისა და ქალაქის მოსახლეობის მიერ შემონახულ თანხების მოზიდვისათვის, თანხების, რომელიც ცხოვრების მატერიალური დონის ზრდასთან ერთად სულ უფრო და უფრო იზრდება.

ამ დებულებების საილუსტრაციოთ მოვიყვანოთ „სახელმწ. საგეგმო კომისიის 1927—28—31—32 წ. საპერსპექტივო გეგმის" ციფრები: სახალხო მეურნეობის სახელმწიფო სექტორის 5 წლის დაგროვების საერთო ჯამიდან—14,5 მილიარდ მანეთიდან მრეწველობის დაგროვება შეადგენს 6,4 მილიარდ მან.; ტრანსპორტის—2,7 მილიარდ მანეთს, ან ერთად მთელი დაგროვების ორ მესამედამდე. გადასახადები ბიუჯეტის მიხედვით ამ ხნის განმავლობაში შეადგენს 5,3 მილიარდ მან.; ხოლო შინაური სესხები, ამ სესხებისათვის გაწეულ ხარჯების გამოკლებით—1,2 მილიარდ მან. სახელმწიფო სექტორის დაგროვებაში სამეურნეო წარმოებების მონაწილეობის საერთო წილი შეადგენს 66,8 პროც., აქედან 29,7 პროცენტს შეადგენს მრეწველობის დაგროვება და 12,6 პროც. ტრანსპორტის დაგროვება. სახელმწიფო ბიუჯეტის წილად რჩება 24,5 პროც., შინაური სესხების წილად კი—5,6 პროცენტი.

ეს ციფრები სავსებით ნათლად გვიჩვენებენ, რომ სახელმწიფო ბიუჯეტი არ თამაშობს მთავარ როლს სახ. შემოსავლის გადანაწილების დროს იმ საშუალებათა მთელი მასის თვალსაზრისით, რომელთაც სახელმწიფო წარმართავს სოციალისტური მშენებლობის განსახორციელებლად. სხვანაირად არც შეიძლება იყოს იმ ქვეყანაში, სადაც სახალხო მეურნეობის სოციალისტური ელემენტები მუდამჟამ დევნიან და ამარცხებენ კაპიტალისტურ ელემენტებს და უბრალო საქონლის მეურნეობას სხვა საფუძველზე აგებენ.

განაწილებისა და ამ განაწილებაში სახელმწიფო ბიუჯეტის როლის ოპოზიციონური თეორიის დედა აზრი იმაში მდგომარეობს რომ, ოპოზიცია მთელ თავის იმედებს ამყარებს ბიუჯეტის საშუალებით სასოფლო მეურნეობისა და კერძო სავაჭრო-სამრეწველო სექტორიდან შემოსავლის მიღებაზე და სრულიად არა აქვს სახელმწიფო მრეწველობის, ტრანსპორტისა და განსაზოგადოებული ვაჭრობის წარმატებით განვითარების შესაძლებლობის იმედი.

ოპოზიცია ვერ ხედავს ძირითად ცვლილებებს ოქტომბრის რევოლუციით შექმნილ სახალხო მეურნეობის წყობაში და ააშკარავებს თავისი კონტრთეზისების პოლიტიკანობას გლეხობის საკითხის შესახებ, სავსებით ივიწყებს რა სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო ფასების დაცილების მნიშვნელობას სახალხო შემოსავლის განაწილების საქმეში.

სახალხო მეურნეობის კერძო სექტორიდან ბიუჯეტით მიღებული საშუალებები, ოპოზიციის „თეორეტიკოსების" აზრით, მხოლოდ იმ შემთხვევაში გაუწევენ სამსახურს ინდუსტრიალიზაციის მიზნებს. თუ ბიუჯეტი „კულაკისა და ნეპმანის საშუალებებს მრეწველობას" მოახმარს.

ეს პუნქტი ოპოზიციონური მსჯელობისათვის დამახასიათებელია, როგორც აშკარა დემაგოგია. თუ ბიუჯეტით მიღებული საშუალებები სოციალურ-კულტურულ მიზნებს ან ტრანსპორტს მოხმარდება (ტრანსპორტს კონტრ-თეზისები, როგორც სჩანს, ოპოზიციონური სპეციალისტების უყოლობის გამო, მუდამ ივიწყებენ),—ეს არ იქნება ინდუსტრიალიზაციის დაჩქარების იარაღი. აგრეთვე თუ ფასების პოლიტიკა და მოსახლეობის შემონახული თანხების მოზიდვა (მაგალითად, ინდუსტრიალიზაციის სესხი) მრეწველობის განვითარებას ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის საჭირო ტემპით უზრუნველყოფენ,—ეს, ოპოზიციის აზრით, მხოლოდ იმის დამამტკიცებელია, რომ ცეკას პოლიტიკას არა აქვს კლასობრივი ხაზი და არა იმის, რომ ადგილი აქვს მთელი სახალხო შემოსავლის მოფიქრებულ და მიზანშეწონილ განაწილებას სოციალისტური მშენებლობის მიზნებთან შეფარდებით.

ამ ოპოზიციონური თეორიის ფესვები ჩამარხულია ოპოზიციონური „მსოფლმხედველობის" სრულ აბნეულობაში. იმისათვის, რომ თავის ცილისწამებას პარტიისა და მის ხელმძღვანელობის სამეურნეო მშენებლობის დარგში მოუნახოს რაიმე საფუძველი, ოპოზიცია ლაპარაკობს მრეწველობისა და მისთვის ფინანსების მიწოდებაზე და ივიწყებს სახალხო მეურნეობის ყველა სხვა დარგებს; ამის შედეგად ის ქმნის სახალხო შემოსავლის ისეთი განაწილების თეორიას, რომელიც, არ უზრუნველყოფს რა ტრანსპორტის, სასოფლო მეურნეობის, სოციალურ-კულტურულ და სხვა მოთხოვნილებებს, მისი განხორციელების პირველი ცდისთანავე გამოიწვევდა ქვეყნის მეურნეობის განადგურებას.

პარტია სახალხო შემოსავლის გადანაწილების დროს ხელმძღვანელობს არა დემაგოგიური პოლიტიკანობით ოპოზიციის მსგავსად, არამედ სოციალისტური მშენებლობის განხორციელების აუცილებლობით ჩვენს ქვეყანაში ლენინის მიერ ნაჩვენები გზით.

სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის შესადგენად ცეკას მიერ მე-15 პარტყრილობისათვის შემუშავებული დირექტივები წარმოადგენენ იმ დისპროპორციების დაძლევის გეგმას, რომლებიც შექმნილი იყო სახალხო მეურნეობაში რევოლუციის წინაპერიოდითა და ოქტომბრის რევოლუციის მიერ გამოწვეულ კლასობრივი გადაჯგუფებით.

სახალხო შემოსავლის განაწილების დარგში დირექტივები გამოდის სახელმწიფო მრეწველობაში, ტრანსპორტში და სასოფლო მეურნეობაში დაბანდებულ კაპიტალების ოპტიმალური ე. ი. უფრო ხელსაყრელ შეფარდების აუცილებლობიდან, შეფარდების, რომელიც სახალხო მეურნეობის უფრო სწრაფ, მწყობრ და უკრიზისო განვითარების შესაძლებლობას მოგვცემდა მახლობელი ხუთი წლის მანძილზე. გმობენ რა ოპოზიციონურ წინადადებას სახალხო შემოსავლის გადანაწილების შესახებ სამრეწველო ფასების გადიდებისა, სასოფლო-სამეურნეო ფასების მნიშვნელოვნად დაკლებისა და არა მარტო კულაკობის, არამედ გლეხობის მთელი მასის გადასახადებით გადაჭარბებით დაბეგვრის გზით,—ცენტრალური კომიტეტის თეზისები სახალხო შემოსავლის გადანაწილებას საფუძვლად უდებენ სამრეწველო წარმოების გაძლიერებას თვითღირებულებისა და სამრეწველო ფასების დაკლებით, სასოფლო მეურნეობის ინდუსტრიალიზაციას და შემონახულ წვრილი თანხების ყოველნაირად მოზიდვას საკრედიტო სისტემაში. ამ გზის განხორციელება მოითხოვს უდიდესი სიძნელეების გადალახვას, მაგრამ ამავე დროს ეს გზა განსაზღვრავს სახალხო მეურნეობის ყველა დარგების თანაზომიერ განვითარებას მრეწველობის ხელმძღვანელობის როლის დაცვით, მრეწველობის, რომელიც უმთავრესად, უფრო მაღალ ტეხნიკაზე თანდათანობით გადასვლის წყალობით, საკუთარ დაგროვების ხარჯზე ვითარდება.

რომელ [illegible], მწყობრ და „ჭეშმარიტ ლენინურ" სისტემას უპირისპირებს ოპოზიცია ამ „გაურკვეველ სურვილების გროვას"?

II. ინდუსტრიალიზაციის ოპოზიციონური წყაროები

ცეკას თეზისებს საფუძვლად უდევს პოლიტცოდნის წრის ყოველი წევრისათვის ცნობილი დებულება იმის შესახებ, რომ ყველა ღირებულებას მხოლოდ მუშათა კლასი და გლეხობა ჰქმნიან და რომ გადამწყვეტ როლს ღირებულებათა შექმნაში თამაშობს მსხვილი მრეწველობა, სადაც შრომის ნაყოფიერება ბევრად სჭარბობს შრომის ნაყოფიერებას სასოფლო მეურნეობაში, რომელიც ჯერ კიდევ მეტად დაბალ ტეხნიკურ დონეზე იმყოფება. ამიტომ აუცილებელია ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკა, საწარმოო ძალების საერთო მასის უფრო მაღალი ტეხნიკურ ბაზისზე აყვანა, რაიც ერთად ერთი პირობაა იმისათვის, რომ გადიდებულ იქნეს სახალხო შემოსავალი, რომელიც სრულ შესაძლებლობას მოგვცემს გეგმიანი სოციალისტური მეურნეობის უპირატესობის გამოყენებით, უკვე მახლობელ ისტორიულ პერიოდში დავეწიოთ და გავუსწროთ იმ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს, რომლებმაც საუკუნოების განმავლობაში წინ გაუსწრეს ნახევრად ფეოდალურ რუსეთს. საბჭოთა კავშირის პროლეტარიატი, რომელმაც ოქტომბრის რევოლუციის დროს მოახდინა ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაცია, მსხვილი მრეწველობის ნაციონალიზაცია და გააუქმა კერძო საკუთრება მიწაზე,—ახორციელებს თავისი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას და ამ ბაზისზე განვითარებულ მრეწველობისა და იმ სასოფლო მეურნეობის ხარჯზე, რომელიც კოოპერაციისა და ელექტროფიკაციის საშუალებით თანდათან გარდაიქმნება.

მრეწველობისა, ვაჭრობისა და ტრანსპორტის განსაზოგადოებული სექტორების ძალა, რომლებიც თანდათან ძლიერდებიან, რამდენიმეჯერ სჭარბობს ამ დარგების კაპიტალისტურ მეურნეობის წილს და ბიუჯეტსა და დაგროვებაში კაპიტალისტური ელემენტების (ნეპმანისა და კულაკის) წონას მეტად უმნიშვნელოს ხდის.

პარტიის პოლიტიკა ამჟამად იქითკენაა მიმართული, რომ გადაჭრით აილაგმოს მათი ექსპლოატატორული ტენდენციები და **გადასახადებით გაძლიერებული დაბეგვრით [illegible] იქნეს მათი დაგროვების მაქსიმალური წილი სოციალისტური მეურნეობის საჭიროებისათვის.**

სულ სხვაგვარად ფიქრობს ოპოზიცია: დარწმუნებულია რა ღრმად იმაში, რომ სოციალისტური სექტორი სუსტია და რომ სამეურნეო მოქმედების სოციალისტური მეთოდებით ახლო ხანში შეუძლებელია სახალხო მეურნეობის განვითარების მაღალი დონის მიღწევა,—ოპოზიცია ქმნის ახალ თეორიას—სახალხო მეურნეობის სოციალისტური სექტორის კაპიტალისტური სექტორის დაგროვების მუდმივი ექსპროპრიაციით განვითარების აუცილებლობის თეორიას.

ჩვენი ქვეყნის ძლიერად განვითარებულ კაპიტალისტურ მეურნეობაზე მელე სოციალიზმის განვითარების ეს თეორია მოცემულია ოპოზიციის კონტრ-თეზისებში „ულტრა-მემარცხენე" თეორეტიკოსების ჭეშმარიტად გასაოცარი სიწრფელითა და გულწრფელი პათოსით: „ამავე დროს, ცეკას თეზისები დაბეჯითებით გვერდს უვლის საკითხს იმის შესახებ, რომ ამისათვის (ქარხნების ხელახალი მოწყობისა და ახლების ასაშენებლად ვ.მ.) საჭიროა სახალხო შემოსავლის გადანაწილება—მისი მნიშვნელოვანი ნაწილის კაპიტალისტური სექტორიდან სოციალისტურ სექტორში გადასროლა, კულაკური მეურნეობიდან—სახელმწიფო მრეწველობაში, ნეპმანური დაგროვებიდან—მუშათა კლასის მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, რაიც აუცილებელი პირობაა მისი შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის".

ოპოზიცია საბოლოოდ შიშვლდება და ააშკარავებს თავის მენშევიკურ სახეს მთელი მუშათა კლასისა და მისი მტრების წინაშე. არსებული ქარხნების ხელახალი მოწყობა და ახალი ქარხნების აგება, ე.ი. მუშათა კლასის მთავარი ამოცანა ინდუსტრიალიზაციის და სახალხო მეურნეობაში ახალი სოციალისტური ტეხნიკური ბაზისის შექმნის დარგში, თურმე სრულიად განუხორციელებელი ყოფილა კულაკისა და კაპიტალისტის დაუხმარებლად. მუშათა კლასის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებაც აგრეთვე უმთავრესად ნეპმანის დაგროვების ხარჯზეა შესაძლებელი. „ჩვენ საკუთარ, ჩვენ ახალ ქვეყანას შევქმნით"—იმღერებს ამიერიდან ოპოზიცია თავის ახალ „ინტერნაციონალში"—არა „საკუთარი ხელით", არამედ ნეპმანისა, კულაკისა და კაპიტალისტის ხარჯზე.

როგორ უნდა განხორციელდეს ოპოზიციის ეს პროგრამა, თუ „სახელმწიფო საგეგმო კომისიის საპერსპექტივო გეგმის" მინიმალური ციფრებითაც კი ვაჭრობის 90 პროც. და მრეწველობის 98 პროც. თვით მუშათა კლასის ან კოოპერაციის ხელში იქნება, თუ ამჟამად არსებული 3—4 პროც. კულაკური მეურნეობანი კიდეც რომ არ შემცირდნენ შემდეგში,—ამის გადაწყვეტა საკუთრად ოპოზიციონერ თეორეტიკოსებისათვის მიგვინდვია. მხოლოდ დიდ შემოქმედებითი მუშაობაში ჩაბმულ პროლეტარიატის ზურგს უკან „პარტიისა და მუშათა კლასის ხსნისათვის" ორი წლის განმავლობაში განზე დგომის შედეგია ეს თეორია, რომელიც ცდილობს დაამტკიცოს, რომ მუშათა კლასი თავის სოციალისტურ მშენებლობაში პირდაპირ დამოკიდებულია კაპიტალისტურ (ნეპმანურ და კულაკურ) მეურნეობის დაგროვების რაოდენობაზე. პარტია სხვანაირად მოიქცევა: კერძო კაპიტალის ალაგმვით ქალაქში და კულაკის წინააღმდეგ აჩქარებული შეტევის გაგრძელებით სოფლად, ის სისტემატიურად შეზღუდავს მათ დაგროვებას და ამ უკანასკნელს გამოიყენებს სახალხო მეურნეობის სოციალისტური სექტორის ძლიერი დაგროვების როგორც მეტად მცირე დამატებას.

III. ოპოზიციის „კონკრეტიული" წინადადებანი

კითხვაზე, თუ სად მოვნახოთ საშუალებანი ნამდვილი ინდუსტრიალიზაციის ამოცანათა უფრო ენერგიულად, უფრო რევოლუციონურად გადასაწყვეტად და მასების კულტურული დონის უფრო ჩქარა ასაწევად, ე. ი. იმ ამოცანების გადასაწყვეტად, რომლებზედაც დამოკიდებულია სოციალისტური კულტურის ბედი, ოპოზიცია გვიპასუხებს:

„საშუალებათა მთავარ წყაროს წარმოადგენს სახალხო შემოსავლის გადანაწილება ბიუჯეტის, კრედიტების და ფასების სწორად გამოყენების გზით. საშუალებათა დამატებით წყაროთ უნდა გახდეს სწორი გამოყენება იმ კავშირისა, რომელიც არსებობს მსოფლიო მეურნეობასთან".

ზოგადი რეცეპტი, რომელსაც იძლევა ოპოზიცია ასეთ განაწილებისათვის, ჰპოულობს თავის გამოხატულებას იმ უამრავ წინადადებებში, რომელიც გაბნეულია მთელ უსაზღვრო დაბეჭდილ და დაუბეჭდავ ოპოზიციონურ ლიტერატურაში.

საერთო რამ, რაც ახასიათებს ყველა ამ წინადადებებს ეს ისეთი ზედსართავი სახელებია, როგორც „აუცილებელი", „გადამწყვეტი". „მაქსიმალური" და სხვ. კაპიტალური ხარჯი უნდა იყოს მაქსიმალური, ხელფასის ზრდაც უნდა იყოს მაქსიმალური და სოფლის მეურნეობის განვითარების გეგმაზე დემაგოგიურ ვაჟკაცობის დროსაც, ოპოზიცია მოითხოვს, რომ ამ დარგში გაწეული ხარჯიც იქნეს მაქსიმალური.

კონტრსაბჭოთა კლემანსოს პატრიოტული გაფთრება იწვევს ასიგნობათა გაძლიერების მოთხოვნას თავდაცვისათვის და მხოლოდ ოპოზიციის მიერ დავიწყებული სოციალურ-კულტურული ხარჯები და მის მიერ შეძულებული ბრუნვის დარგი, საიდანაც ოპოზიციას სახელმწიფო საშუალებათა ამოღება სურდა ჯერ კიდევ 1926 წელს, არ იხსენიება ოპოზიციის სინოდიკებში.

ამ მოთხოვნათა თავმოყრით წარდგენის ნიმუშს წარმოადგენს ხუთწლიანი გეგმის წინააღმდეგ გამოქვეყნებული კონტრ-თეზისების ის ადგილი, სადაც ნათქვამია: „1927—28 წ. ბიუჯეტში საჭიროა საგრძნობლად გადიდდეს თავდაცვაზე გადადებული თანხები (განსაკუთრებით სამხედრო მრეწველობისათვის გადადებული თანხები), საერთოდ—მრეწველობაზე, ელექტრიფიკაციაზე, ტრანსპორტზე, საბინაო მშენებლობაზე და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის საქმეზე გადადებული თანხები".

ოპოზიციის სამომხმარებლო პროგრამა ჩვენ შეგვიძლია უფრო მარტივათ წარმოვიდგინოთ, თუ სიტყვას „საერთოდ" მივუმატებთ არა მარტო „მრეწველობას", არამედ მთლიანად „ასიგნობებსაც": ოპოზიცია არ გვითითებს არც ერთ რეალურ წყაროზე, რომლის ხარჯზე შესაძლებელი იქნებოდა ასიგნობების გადიდება სამაგიეროთ—ცდილობს შეძლებისამებრ გაბეროს ის სიძნელენი, რომელიც აუცილებელია ინდუსტრიის ჩქარი განვითარების დროს, და არ ერიდება გაუგონარ ცილისწამებასაც კი, რომ სახელი გაუტეხოს პარტიულ-სამეურნეო ხელმძღვანელობას.

ასეთია, მაგალითად, ოპოზიციის მტკიცება 1926-27 წ. საკრედიტო რესურსების სამჯერ შემცირების შესახებ და სხვ.

პირველივე „კონკრეტიული" წინადადება კონტრ-თეზისების თავიდან: „სად გამოვნახოთ საშუალებანი?"—ლაღადებს: „ინდუსტრიალიზაციის საჭიროებისათვის ბიუჯეტით გადადებული თანხები უახლოეს 5 წლის განმავლობაში შეიძლება და უნდა გადიდდეს 500—1000 მილ. მანეთამდე წელიწადში".

რაიმე განსაკუთრებული ახსნა-განმარტების გარეშეც ნათელია, რომ ეს არის არა საშუალებათა წყარო, არამედ ოპოზიციის ერთ-ერთი მოთხოვნა, რომელსაც ის უყენებს ბიუჯეტს. უკვე თავის პირველ წინადადებაში ოპოზიცია ივიწყებს თავის კეთილ სურვილებს, რომ ერჩია მუშათა კლასისათვის, თუ სად გამოენახა მას საჭირო საშუალებანი, ვერ ახერხებს თავის განთავისუფლებას მომხმარებლის ფსიქოლოგიის გავლენისაგან და მოითხოვს მილიარდებს.

ს. მ. უ. საბჭომ გამოიანგარიშა, რომ **5 წლის განმავლობაში** საჭიროა ბიუჯეტით გადაიდოს 700 მილ. მანეთი იმისათვის, რომ წარმოების უკეთესი ორგანიზაციის და წარმოების განახლების საშუალებით მივაღწიოთ მრეწველობის გარკვეულ განვითარებას. (ეს იმდენათ, რამდენათ აქ ლაპარაკია ანგარიშთა სალდოზე მრეწველობასა და ბიუჯეტს შორის).

რათ დასჭირდა ოპოზიციას 5 წლის განმავლობაში 2 ნახ.-დან 5 მილიარდ მანეთამდე—ეს მის საიდუმლოებას შეადგენს. თუ ეს არ ეხება ანგარიშთა სალდოს მრეწველობასა და ბიუჯეტს შორის, მაშინ გაუგებარია, რაზეა ლაპარაკი, ვინაიდან სახალხო მეურნეობის საჭიროებისათვის სახ. საგეგმო კომისიის წინაწარი გეგმით განზრახულია 5 წლის განმავლობაში 8 მილიარდ მანეთის გადადება, ან 1.500 მილ. მანეთი ყოველწლიურად, რაც ბევრად სჭარბობს იმას, რასაც მოითხოვს ოპოზიცია.

ოპოზიციის შემდეგი წინადადება მოითხოვს „კერძო მწარმოებლების ყველა სახის ზედმეტი მოგების ნამდვილ დაბეგვრას არა ნაკლებ 150—200 მილიონ მანეთის რაოდენობით"

ეს წინადადება დამყარებულია ოპოზიციისათვის ჩვეულებრივ ქედის მოხრაზე ოპოზიციის მიერ მოჭორილ კერძო კაპიტალის იმ ძლიერების წინაშე, რომელსაც ვითომდა აქვს ადგილი ჩვენს ქვეყანაში. კერძო მრეწველობის და სავაჭრო კაპიტალის წლიური დაგროვების ჯამი, ფინსახკომის ცნობების თანახმად,— ფინსახკომის აპარატი-კი ხაზინის ინტერესების დაცვის მიზნით მუდამ ადიდებს დაგროვების ნამდვილ ჯამს,—შეიძლება შეფასებული იქნეს 200—250 მილ. მანეთით. ამხ. პიატაკოვი, რომელმაც 1925 წ. გამოიკვლია კერძო კაპიტალისტის მდგომარეობა, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ კერძო კაპიტალისტის დაბეგვრა აღწევს მისი შემოსავლის 62—90 პროცენტს და რომ „ეს არის საზღვარი, რომელსაც შეიძლება მიუახლოვდეს ყველაზე უფრო დიდი შემოსავლის დაბეგვრა". ამის შემდეგ გატარებული იქნა კანონი, რომელმაც კერძო კაპიტალისტის დაბეგვრა გაადიდა 40 პროცენტით. ამ რიგათ ეს „საზღვარი" გადალახული იქნა, რამაც გამოიწვია კერძო წარმოებების შემცირება. კერძო წარმოების პროდუქცია, მაგალითად მრეწველობაში 1926-27 წელს, წინა წელთან შედარებით შემცირდა 13 პროცენტით „ყველა სახის ზედმეტი მოგების ნამდვილი დაბეგვრა" ამ შემთხვევაში წარმოადგენს არა კონკრეტულ წინადადებას, არამედ უაზრო ლაყბობას, რომელიც არ არის გამყარებული არც ერთი ციფრით. **ნამდვილი, ყოველგვარი პირობების გარეშე დაბეგვრა ტარდება პარტიის მიერ და გატარდება მომავალშიაც**, მაგრამ არა იმისათვის, რომ უმიზნოთ განადგურებული იქნეს კერძო კაპიტალი, **არამედ იმ მიზნით, რომ მისი მოქმედება სულ უფრო დაუმორჩილოთ სახელმწიფო მოწესრიგებას და მისი შემოსავლიდან მაქსიმალური საშუალებები ამოვიღოთ.**

ოპოზიციის შემდეგი „კონკრეტიული" წინადადება მდგომარეობს იმაში, რომ „შეძლებულ და კულაკურ ფენებს, დაახლოვებით გლეხობის 10 პროცენტს, სესხის სახით უნდა ჩამოერთვას ნატურალურ მარაგიდან არა ნაკლებ 150 მილ. ფუთი პურისა".

„პრავდა"-ს მე-261 ნომერში გამოქვეყნებულ ამხ. [illegible] წერილიდან თვალნათლივ მოჩანს, თუ როგორ დაშორებულია სინამდვილისაგან ოპოზიციის ფანტაზია. 1927 წ. 1 ივლისისათვის პურის მარაგი შეადგენდა 700 მილ. ფუთს აქედან ღარიბ და საშუალო ფენების ხელში იყო მთელი მარაგის 80-მდე პროცენტი, ხოლო სოფლის კულაკურ და შეძლებულ ნაწილის მთელი მარაგი შეადგენდა 140-მდე მილ. ფუთს ამ ნაწილში შედის სხვათა შორის საშუალო გლეხობის ზედა ფენებიც. ამ რიგათ ოპოზიცია გვირჩევს არა თუ ჩამოვართვათ შეძლებულ გლეხობას მთელი მისი მარაგი, არამედ 10 მილ. ფუთით მეტიც. მეორე მხრივ, ვინაიდან კულაკურ მეურნეობათა რაოდენობა შეადგენს მხოლოდ 3-დან 4 პროცენტამდე, მარაგის ჩამორთმევა „გლეხობის 10 პროცენტისაგან" ნიშნავს, რომ ოპოზიციის მიზანში აქვს ამოღებული 6-7 პროცენტი, ან 1 ნახ. **მილიონი საშუალო გლეხური მეურნეობა.**

პარტია აძლიერებს რა დაბეგვრის მხრივ თავის შეტევას კულაკის წინააღმდეგ და ანვითარებს რა კულაკის **ექსპლოატატორულ ტენდენციების შეზღუდვისაკენ აღებულ კურსს**, არ წავა ურთიერთობის გამწვავებაზე **საშუალო გლეხობასთან**; პარტიამ უარყო ეს რჩევა იმ ადამიანებისა, რომელნიც ღალატობენ ლენინის ანდერძს და რომელნიც ცინიკურად ცდილობენ მიითვისონ „ჭეშმარიტი ლენინელობის" სახელწოდება.

ოპოზიციის წინადადება საცალო და საბითუმო ფასების დაკლების შესახებ, როგორც ისეთ საშუალებების შესახებ, რომელიც წარმოადგენს „დაგროვების წყაროს", მეტად უცნაურია, ვინაიდან სამრეწველო ფასების დაკლება თავის თავად იწვევს სულ საწინააღმდეგო შედეგებს. ამ სამართლიან, ოპოზიციის მიერ პარტიისთვის მოპარულ ლოზუნგით პასუხის გაცემა კითხვაზე, „თუ სად ვპოვნოთ საშუალებანი", შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ ლოზუნგით ერთად დაუკავშირონ წინადადება ფასების მომატების შესახებ რასაც მოითხოვს ოპოზიცია. საგამოშვებო ფასების დაკლების „უფრო მოქნილ, უფრო ინდივიდუალიზაციაქმნილ, ე. ი. ისეთ პოლიტიკას, რომელიც ანგარიშს გაუწევს თვითეულ საქონლის მდგომარეობას ბაზარზე, ასეთ პოლიტიკას შეუძლია შეინარჩუნოს სახელმწიფო მრეწველობის ხელში დიდი თანხები"-ო—სწორედ ამ წინადადებაში მარხია „ოპოზიციური ძაღლის თავი". რამდენათ ეს წინადადება წარმოადგენს ზოგად დებულებას—ვინაიდან ბუნებრივია, რომ ფასების ყოველგვარი დაკლება უნდა აწარმოო ბაზარზე საქონლის მდგომარეობის მიხედვით,—იმდენათ ეს არის ფასების მომატების შესახებ ძველი წინადადების კონტრაბანდულად გახალება, ფასების მომატების შესახებ იმ წინადადებისა, რომელსაც ვერ ივიწყებს ტროცკისტული ოპოზიცია და რომელსაც დაჟინებით აყენებდნენ ტროცკი და ამხ. პიატაკოვი, ჯერ კიდევ ერთი წლის წინეთ.

წინადადებას მომჭირნეობის რეჟიმის შესახებ პარტია ატარებს ცხოვრებაში მიუხედავად ოპოზიციის დემაგოგიური განცხადებისა, იმ ოპოზიციის, რომელზედაც გავლენას ახდენენ წვრილ-ბურჟუაზიული ელემენტები, რომლებსაც თავის ზურგზე მეტად ავიწროებს მომჭირნეობის რეჟიმის გატარება. არანაყოფიერ ხარჯების შემცირების გატარება მარტო მმართველობის დარგში იძლევა 1927-28 წ. წინა წელთან შედარებით 20 პროც. რეალურ ეკონომიას. თავის წვრილ-ბურჟუაზიულ მიმდევრებისა და ბურჟუაზიულ ინტელიგენციიდან გამოსულ მოკავშირეების შიშით ოპოზიცია ხელს იბანს ამ საკითხში და გვირჩევს დავეცეთ უშუალოთ თვით მუშებს. პარტია ამ მიმართულებით ახორციელებს მუშათა კლასის ორგანიზაციულ შეტევას იმ მუშათა კლასისა, რომელიც ბედავს შეტევას, როგორც ამაში დარწმუნდა ოპოზიცია საკუთარ მწარე გამოცდილებიდან.

წინადადებები საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის, კრედიტის და კერძო დაგროვებათა მობილიზაციის შესახებ, წარმოადგენენ ისეთ უშინაარსო ზოგად დებულებებს, რომ ამ წინადადებებიდან ერთი ზედმეტი კაპიკის ამოღებაც კი, სოციალისტურ დაგროვებათა გასაძლიერებლად, სრულებით წარმოუდგენელია.

ოპოზიციას სურს საჭოჭმანი ხასიათი მისცეს საკითხს არაყით სახელმწიფო ვაჭრობის შესახებ. არაყის ხმარება ხუთწლედის დასასრულისათვის ძლივს მიაღწევს ომის წინა დროის 60 პროცენტს. მაგრამ ამ საკითხშიაც ოპოზიცია წინააღმდეგობაში ვარდება. ოპოზიცია თავის კონტრ - თეზისებში იცავს 1926 წლის აპრილის ცეკას პლენუმზე დამარცხებულ ტროცკის და მოჰყავს ადგილი მისი სიტყვიდან: „**პრაქტიკულად** თუ ვიმსჯელებთ, **ჭარბი მოსავალი** სამრეწველო საქონლის ნაკლებობის პირობებში ნიშნავს იმას, რომ პურიდან გაძლიერებული რაოდენობით გამოხდილი იქნება **არაყი და ქალაქად გაძლიერდება რიგები**".

არ ვფიქრობთ, რომ ოპოზიციას ჰქონდეს იმდენათ სუსტი წარმოდგენა სოფლის ცხოვრებაზე, რომ არაყს სთვლიდეს კულაკის განსაკუთრებულ კუთვნილებათ. კულტურის დღევანდელ დონეზე, რომელიც თუმცა ვითარდება უდიდესი სისწრაფით, ქალაქის და სოფლის სოციალისტურ მშენებლობის პროცესში, ალკოჰოლის ხმარების აკრძალვა მაინც უბრალო დეკრეტით შეუძლებელია. ამიტომ თვით ოპოზიცია ტროცკის სიტყვიდან ზემოხსენებული ადგილის ამოჭრით უარყოფს თავის საკუთარ არგუმენტაციას და ცინიკურად ცილს სწამებს პარტიას, თითქოს პარტია იცავდეს ლოთობას.

ჩვენ უკვე არაფერს ვამბობთ იმაზე, რომ ოპოზიციის ეს წინადადებაც ერთი სიტყვითაც არ იძლევა პასუხს კითხვაზე: „სად გამოვნახოთ საშუალებანი".

IV. ოპოზიციის ორგანიზაციული დასკვნები

ასეთია ოპოზიციის „კონკრეტიული" წინადადებანი სახალხო შემოსავლის გადანაწილების დარგში და ამ წინადადებებმა, ოპოზიციის აზრით, უნდა გააძლიერონ სახალხო მეურნეობის სოციალისტური სექტორის შემოსავალი და უზრუნველჰყონ მისი განვითარება. ოპოზიციის „თეორეტიკოსებმა" ვერ მონახეს ვერც ერთი ციფრი, რომელიც დაადასტურებდა მათ თეორიას სახალხო მეურნეობის სოციალისტური სექტორის პარაზიტული განვითარების შესახებ. ოპოზიციას გრძნობს რა იგი სრულ თავის უიმედო სილატაკეს და სისუსტეს. შეუთაქვს კიდევ რამდენიმე წინადადება, რომელთა ღირებულებაში სხვათა შორის, თვითონაც არ არის დარწმუნებული — ესაა წინადადება ადამიანების შერჩევის შესახებ, რაც „წარმოადგენს იმავე დროს ფინანსიურ საკითხსაც" და წინადადება „მაჩანჩალობის შესახებ სამეურნეო ხელმძღვანელობაში".

ოპოზიცია ვერ პოულობს ერთს არგუმენტსაც კი იმისათვის, რომ სახელი გაუტეხოს პარტიულ ხელმძღვანელობას სახალხო მეურნეობის დარგში., და ამ წინადადებებში, ოპოზიციის [illegible] მაინც დაუპირდაპიროს სახალხო მეურნეობის განვითარების იმ სისტემას, რომელიც წამოყენებული აქვს თავის თეზისებში ცეკას, ისეთი დებულება, რომელსაც შეეძლება ამ სისტემის შერყევა, და იძულებულია მიმართოს უბრალო ლანძღვა - გინებას, რაც მოწმობს იმ უიმედო მდგომარეობაზე, რომელშიაც ჩააყენეს თავიანთი თავი ოპოზიციის ბელადებმა. ოპოზიცია, დარწმუნებული იმაში, რომ ინდუსტრიალიზაციისათვის საჭირო ტემპის მიღწევა შეუძლებელია სოციალისტური გზებით და მალავს რა თავის დებულებათა სიღრმეში თავის ქედის მოხრას კაპიტალიზმის „ძლიერების" წინაშე, უკანასკნელ არგუმენტის სახით ცილს სწამებს მუშათა კლასს და პარტიას იმაში, რომ მათ არ შეუძლიათ სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებულ ამოცანათა ორგანიზაციულად გადაჭრა.

სხვანაირად არ შეიძლება აიხსნას მე-6 პუნქტი, რომელიც ლაპარაკობს „ადამიანების შერჩევაზე, რომელსაც ებრძვის პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების ბიუროკრატიული რეჟიმი""-ო. სამოქალაქო ომში გამარჯვება, რომელიც მოპოვებული იქნა მხოლოდ და მხოლოდ პარტიის და მუშათა კლასის რიგების სიმტკიცის წყალობით, და მიღწევები სამეურნეო მშენებლობაში მოწმობენ, თუ რა უსაზღვრო ძალების მქონეა დარაზმული მუშათა კლასი. სწორედ მუშათა კლასის მიერ დაწინაურებული პროლეტარები, რომლებიც პარტიის რიგებში აწარმოებდნენ ყოველდღიურ და ამასთანავე გმირულ ბრძოლას, როგორც სამოქალაქო ომის, ისე სამეურნეო მშენებლობის ასპარეზზე, იყვნენ, არიან და მომავალშიაც დარჩებიან სოციალიზმის ნამდვილ მშენებლებათ და არა ის ინტელიგენტ - ინდივიდუალისტები, რევოლუციონური ფრაზეოლოგიის და წვრილბურჟუაზიული რომანტიზმის გმირები, რომლებიც პარტიამ გამოყარა თავის რიგებიდან.

ვ. მეჟლაუკი.

პარტიის მთლიანობისათვის—ტროცკიზმის წინააღმდეგ

28 ნოემბრამდე საქართველოს ორგანიზ. ცეკას თეზისები 5 წლიან სამეურნეო გეგმისა და სოფლად მუშაობის შესახებ განიხილა 988 უჯრედმა.—კრებაზე სულ დაესწრო პარტიის 33.303 წევრი და კანდიდატი. კენჭის ყრაში მონაწილეობა მიიღო 30.297 კაცმა.—ცეკას თეზისებს ხმა მისცა 23.634 კაცმა; წინააღმდეგ—525. კაცმა, თავი შეიკავა 136 კაცმა, კრება დასტოვა 1 კაცმა

მოსკოვის საგუბერნიო პარტკონფერენცია

ამხ. ე. იაროსლავსკის მოხსენება

მოსკოვი, 28 ნოემბერი. მოსკოვის საგუბერნიო პარტკონფერენციაზე ამხ. იაროსლავსკიმ გააკეთა მოხსენება ცენტრ. საკონტრ. კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობის შესახებ. მომხსენებელმა, სხვათა შორის, სთქვა:

„ოპოზიციის მიმართ პარტიამ გაუგონარი მოთმინება გამოიჩინა. პარტიული მასები ცენტრალურ საკონტრ. კომისიას უსაყვედურებენ, რომ იგი რბილ ზომებს იღებს ფრაქციულ ბრძოლის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ. როგორ უნდა მოქცეულიყო ცენტრ. საკონტრ. კომისია, როცა მის სხდომაზე არალეგალური სტამბის მოწყობისათვის პასუხისგებაში მიცემული მრაჩკოვსკი აცხადებს, რომ „აკეთებდა, აკეთებს და გააკეთებს" (ანტიპარტიულ „ტეხნიკას"). ცენტრ. საკონტრ. კომისიამ გამორკვია, რომ ოპოზიციის ლიტერატურის დაბეჭდვის საქმეში იყენებდენ აშკარა მენშევიკებს. ტროცკის აზრით, პარტიული დისკუსია დაიწყება მხოლოდ მე-15 პარტყრილობის შემდეგ. მაგრამ პარტიამ თავისი სიტყვა უკვე სთქვა. ცხადია, რომ პარტიის მთელი ამ დამრღვეველი მუშაობის შემდეგ პარტიამ გადამჭრელი ზომები უნდა მიიღოს".

ამხ. იაროსლავსკი აცხადებს, რომ ცენტრ. საკონტრ. კომისიის სხდომაზე, რომელიც იხილავდა ოპოზიციის მოქმედებას, დაესწრო 5 ცენტრ. საკონტრ. კომისიის ყველა წევრები და 10 მუშა—სარაიონო საკონტრ. კომისიების წარმომადგენელნი. ყოველივე ეს ხდებოდა იმისათვის, რომ მუშებს ფაბრიკებში გაეცნოთ გაკოტრებული „ბელადების" ტაქტიკა. ცენტრ. საკონტრ. კომისიამ პირველად გადაწყვიტა, რომ ზინოვიევისა და ტროცკის გამორიცხვის საკითხი დააყენოს მე-15 პარტყრილობის წინაშე. მაგრამ როცა ცეკამ პარტიისადმი გამოაქვეყნა მიმართვა იმის შესახებ, რომ აუცილებელია ყოველგვარი საშუალებით შეუშალოთ ხელი ოპოზიციის არალეგალური კრებების მოწვევას, მეორე დღესვე მივიღეთ ცნობები, რომ ოპოზიციონერებმა კიდევ გამართეს არალეგალური კრებები ურალზე, უკრაინაში და სხ. მაშინ ცენტრ. საკონტრ. კომისიამ ოპოზიციონერების წინაშე პირდაპირ დასვა საკითხი: თანახმანი არიან თუ არა ისინი დაუყონებლივ დაშალონ ფრაქცია და შესწყვიტონ არალეგალური მუშაობა? ოპოზიციის ბელადებმა გვთხოვეს წერილობითი ფორმით გადაგვეცა ცენტრ. საკონტრ. კომისიის მოთხოვნილება, რათა წერილობითვე გვეპასუხათ მასზე, და შემდეგ კი გვთხოვეს მიგვეცა დრო მოფიქრებისათვის და სხ. პარტყრილობაზე დასმული იქნება საკითხი იმის შესახებ, რომ ტროცკისტულ ოპოზიციაში ყოფნა შეუთავსებელია საკავშირო კომპარტიის (ბ) წევრობასთან.

ამხ. იაროსლავსკი კონფერენციას აცნობს ოპოზიციის განცხადებას (31-ის განცხადებას). ამხელს მის თვალთმაქცობას და ამასთანავე აღნიშნავს, თუ რა შეუძლია გამოიწვიოს ოპოზიციონერთა ფრაქციულ ბრძოლამ.

თავის ბრძოლაში პარტიის წინააღმდეგ ოპოზიციონერები მიდიან აღმაშფოთებელ „საორგანიზაციო" დასკვნებამდე. მაგალითად, ერთი ჯგუფი დაწვრილებით იხილავდა საკითხს, თუ როგორ სჯობია გაუსწორდეს ამხ. დემიან ბედნის მისი სიტყვისათვის ზამოსკვორეჩიეს პარტკონფერენციაზე. პარტია მე-15 პარტყრილობას ეგებება დარაზმული და მთლიანი.

ამხ. იაროსლავსკის მოხსენებას არაერთხელ აწყვეტინებდენ ერთსულოვანი ტაშით. (ადს).

ავსტრიის კომპარტია ტროცკიზმის წინააღმდეგ

ვენა, 25 ნოემბ. ავსტრიის კომპარტიის ცეკამ მიიღო რეზოლუცია ტროცკისტულ ოპოზიციის ანტიპარტიულ მუშაობის შესახებ. რეზოლუციაში ნათქვამია:

„ჯერ უკვე თავის მეთერთმეტე ყრილობაზე ავსტრიის კომუნისტურმა პარტიამ დაგმო [illegible] ოპოზიციის ფრაქციული მუშაობა და პოლიტიკური შეხედულებანი. ის, რაც ოპოზიციამ ჩაიდინა საკავშირო კომპარტიის მიმართ ამტკიცებს მის წინანდელ ანტიპარტიულ მუშაობას. ამიტომ ავსტრიის კომპარტიის ცეკა სავსებით მხარს უჭერს საკავშირო კომპარტიის ცეკას და ცენტრალური საკონტროლო კომისიის დადგენილებას ტროცკის და ზინოვიევის პარტიიდან გამორიცხვის შესახებ და ოპოზიციის დანარჩენ ბელადების წინააღმდეგ მიღებულ ზომებს და აცხადებს, რომ ავსტრიის კომპარტია მომავალშიაც მტკიცედ დაიცავს კომინტერნის ხელმძღვანელ პარტიის საბჭოთა კავშირის და კომინტერნის ყველა მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში" (ადს).

ყოფ. ოპოზ. ამხ. პიკელის განცხადება

მოსკოვი. 28 ნოემბ. 28 ნოემბერს „პრავდა"-ში დაბეჭდილია ყოფილ ოპოზიციონერ ამხ. პიკელის განცხადება ტროცკისტულ ოპოზიციის რიგებიდან გასვლის შესახებ.

ამხ. პიკელი, პარტიის წევრი 1917 წლიდან, უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში იყო ოპოზიციის აქტიური მონაწილე და ამ ხნის განმავლობაში განაგებდა ზინოვიევის სამდივნოს. ამრიგად ის იმყოფებოდა „ახალ", და აგრეთვე „გაერთიანებულ" (ტროცკისტულ) ოპოზიციის საორგანიზაციო ურთიერთობის ცენტრში.

წერილში ნათქვამია:

„პარტია სავსებით მართალია, როდესაც ჩვენ, ოპოზიციონერებს, აშკარად გვიყენებს კითხვას: „ვისთან ხართ თქვენ?" ორი წლის გაფთრებულ იერიშების შემდეგ ლენინურ ხელმძღვანელობის წინააღმდეგ ხელის დაბანა და დამშვიდებით განზე გადგომა არ შეშვენის ბოლშევიკს. თვითეულ ჩვენთაგანის წინაშე ამჟამად ორი გზაა. ან პარტიასთან ერთად, მისი ხელმძღვანელობით ჩვენი ძალღონისა და უნარის მიხედვით მტკიცედ ვიმუშაოთ იმ კოლოსალურ ამოცანების განსახორციელებლად, რომლებსაც ისახავს პარტია, ან დავრჩეთ ოპოზიციის რიგებში, ვიბრძოლოთ პარტიის წინააღმდეგ და ამით უფრო ღრმად და საფუძვლიანად შევარყიოთ პროლეტარიატის დიქტატურა საბჭოთა კავშირში.

ეს ყოველ პირობის გარეშე და გადაჭრით ვადგებით პირველ გზას. დისკუსია ბოლოვდება. ოპოზიცია სულ უფრო და უფრო უმნიშვნელო ხმებს ღებულობს. ბრძოლის შედეგები თვალსაჩინოა. პარტია და მუშათა კლასი ერთსულოვნად გამოხატავენ თავის უსაზღვრო ნდობას ცენტრალური კომიტეტისადმი. 50.000 პროლეტარი შემოდის პარტიაში ხუთას გამორიცხულ ოპოზიციონერის ნაცვლად. პარტიის შიგნით ჩვენ განმარტოებული დავრჩით, პარტიის გარეთ კი აბუჩად აგდებულნი და დევნილნი მუშათა კლასის მტერ

არცერთ ოპოზიციას პარტიის ისტორიაში არ განუცდია ასეთი იდეური და ორგანიზაციული განადგურება. რა თქმა უნდა, აქ ყველაზე ნაკლები ბრალი მიუძღვის „აპარატის ყოვლის შემძლეობას". მასა პოლიტიკურად და კულტურულად იმდენად გაიზარდა, რომ შეუძლებელია აულო ალღო მიმდინარე დავის კლასიურ შინაარსს. ოპოზიციის ასე ერთსულოვნად დაგმობა პარტიულ მასის მიერ, რა თქმა უნდა, არ არის აპარატის მიერ მიღებული ზომების შედეგი. ეს არის დამაჯერებელი არგუმენტი. ჩვენი დამარცხების შედეგები იმალება არა იქ, სადაც სურს მათი პოვნა გაკოტრებულ ბელადებს.

ოპოზიციის უსარგებლო ყალბმა, ანტილენინურმა პოლიტიკურმა და ტაქტიკურმა ხაზმა და პარტიასთან ბრძოლამ გამოიწვია ჩვენი კატასტროფა.

ჩვენ ვიმყოფებით — სწერს ამხ. პიკელი თავის წერილის ბოლოში — ენერგიულ სოციალისტურ მშენებლობის პერიოდში. ბევრი რამ გაკეთებულია. მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი გვაქვს და ბევრი სიძნელე მოგველის წინ. საერთაშორისო მდგომარეობა ისეთია, რომ მოსალოდნელია მრავალი საფრთხე და მოვლენათა გართულება. სამუშაო გვაქვს უსაზღვრო ახლა უფრო, ვიდრე ოდესმე, ჩვენ გვესაჭიროება მაქსიმალური შეკავშირება, ერთსულოვნება, მთლიანი მიზნისაკენ მისწრაფება და ძმური კავშირი. დღევანდელ დავაში მთელი რიგი საკითხები ჩემთვის კიდევ გაურკვეველია. პირადად მე მაქვს ეჭვები ცეკას ხაზის სისწორეში ზოგიერთ კონკრეტულ საკითხების მიმართ. პარტიის შიგნით მე შევეცდები დავსძლიო და გავარკვიო ეს მერყეობა. მუშაობა, მუშაობა და მუშაობა პარტიასთან ერთად, პარტიისათვის და პარტიის დასაცავად.

გაუმარჯოს მთლიან მონოლიტურ კომუნისტურ პარტიას რკინის დისციპლინით და მის ლენინურ ხელმძღვანელობას" (ადს)

უბრუნდებიან ლენინურ რიგებს

კიევი, 28 ნოემბერი. პარტიის წევრი ამხ. ფილტოროვიჩი თავის განცხადებაში ოპოზიციიდან გამოსვლის შესახებ სწერს:

„გავეცანი რა ამხ. კუზნეცოვის განცხადებას და ამხ. ბუხარინის მოხსენებას მოსკოვის პარტკონფერენციაზე, მე დავრწმუნდი ოპოზიციის პოლიტიკის დამღუპველობაში. მივმართავ ამხანაგებს, რომლებიც ჯერ კიდევ ენდობიან ოპოზიციის ლიდერებს: ჩაუფიქრდით თუ ვისთან უნდა იყვნენ ისინი, ჩვენთან თუ ოპოზიციასთან".

ყოფილი ოპოზიციონერი ორდილოვი სწერს: „ოპოზიციას მოჰყავს მას უკან მესამე ძალა და ქმნის მეორე პარტიას. ამით ის ასუსტებს პროლეტარულ დიქტატურის საქმეს. მე უარს ვაცხადებ ოპოზიციის იდეურ და ორგანიზაციულ დახმარებაზე და ჩემს ხელმოწერას 13 პლატფორმაზე, მოხსნილად ვთვლი. ანალოგიური განცხადება შემოტანილია აგრეთვე ყოფილ ოპოზიციონერის ამხ. პლოტნიკოვის მიერ.

ლენინის პარტიაში

მოსკოვი, 28 ნოემბერი. 27 ნოემბრამდე შემოტანილია 59.325 განცხადება პარტიაში მიღების შესახებ. უკანასკნელ დღეს შემოტანილია 7.844 განცხადება (ადს).

მხარს უჭერენ ცეკას თეზისებს

ახალციხე, 25 ნოემბერი. შესდგა კომკავშირის საქალაქო აქტივის კრება, რომელზედაც მოსმენილი იქნა საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტ. და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის ოქტომბრის პლენუმის შედეგები და დადგენილება ტროცკის და ზინოვიევის პარტიიდან გამორიცხვის შესახებ, კომკავშირის ორგანიზაცია მიღებულ რეზოლუციაში მთლიანად იწონებს პლენუმის გადაწყვეტილებებს და აგრეთვე ტროცკის და ზინოვიევის გამორიცხვას. (ადს).

დისკუსიის შედეგი საქართვ. ორგანიზაციაში

ცენტრალური კომიტეტის თეზისები ხუთწლიანი გეგმის შესახებ საქ. კომპარტიის 15 ორგანიზაციაში (მათ რიცხვში თბილისისაც) დისკუსიის დაწყებიდან გარჩეული იქნა 495 უჯრედის კრებებზე.

კრებებს დაესწრო 16.753 წევრი და კანდიდატი. კენჭის ყრაში მონაწილეობა მიიღო—15.250 პარტიის წევრმა. ცეკას თეზისებს ხმა მისცა 14.906 კ. წინააღმდეგ—266, თავი შეიკავა 77 კაცმა, კრება დასტოვა 1 კაცმა.

ამავე ცნობებით ცეკას თეზისები სოფლად მუშაობის შესახებ გარჩეულ იქნა 493 უჯრედის მიერ, რომელზედაც დაესწრო 16.550 პარტიის წევრი. კენჭის ყრაში მონაწილეობა მიიღო—15.047 კაც. ცეკას თეზისებს ხმა მისცა 14.726 კ. წინააღმდეგ 261, თავი შეიკავა 59 და კრება დასტოვა 1 კაცმა.

პარტია ოპოზიციის წინააღმდეგ

საქართველოს კომპარტიის ყველა ორგანიზაციები უკვე ორ კვირაზე მეტია შეუდგა საკავშირო კომპარტიის ცეკას თეზისების დამუშავებას. როგორც ეს მოსალოდნელი იყო, საქართველოს კომუნისტური პარტიის ყველა ორგანიზაციებმა ერთხმად დაჰგმო ოპოზიციის გამოსვლები აღნიშნულ თეზისების წინააღმდეგ. საქართველოს პარტიამ, გარდა გაბოროტებული და ტროცკიზმის ჭაობში გადავარდნილ ერთი მუჭა ოპოზიციონერებისა, მთლიანად გაიზიარა ცეკას თეზისები და ერთხელ კიდევ დაჰგმო მენშევიკურ - ნაციონალისტურ ოპოზიციის გამოსვლები. ასე მაგალითად თბილისის ორგანიზაციაში ჩვენ შემდეგი სურათი გვაქვს:

თბილისი

არც ერთი ხმა ოპოზიციას

ტრამვაი

ტრამვაის პარკის კომუჯრედთა გაერთიანებულ კრებას დაესწრო 180-ზე მეტი პარტიის წევრი და კანდიდატი. საკავშირო კომპარტიის ცეკას ხუთწლიანი სამეურნეო გეგმის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. გუდავაძემ.

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათის დასრულების შემდეგ კრებამ ერთხმად მიიღო რეზოლუცია, სადაც ნათქვამია:

„ჩვენ მოვითხოვთ საკავშირო კომპარტიის (ბ) მე-15 ყრილობისაგან, რომ მან გადამწყვეტი ზომები მიიღოს ოპოზიციის გამთიშველ მუშაობის წინააღმდეგ. კმარა მოთმენა, ოპოზიციის გამოსვლებს ბოლო უნდა მოეღოს".

მეტი სისასტიკე პარტიის გამთიშველების წინააღმდეგ

ცენტრალური პარტსკოლა

ამხ. სერგო ორჯონიკიძის სახელობის ცენტრალურ პარტიულ სკოლაში შემდგარ კომუჯრედთა გაერთიანებულ კრებაზე სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი საპერსპექტივო გეგმის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. მთვარელიძე.

კამათის დასრულების შემდეგ ერთხმად მიღებულ იქნა რეზოლუცია, სადაც პარტსკოლის კომუჯრედთა გაერთიანებული კრება მთლიანად იწონებს და უერთდება ცეკას თეზისებს ჩვენი სახალხო მეურნეობის შესახებ.

თავის დადგენილებაში კრება მიუთითებს დაუნდობელი ზომები იქნას მიღებული ოპოზიციის წინააღმდეგ. კრება ერთსულოვნად იწონებს პარტიის რიგებიდან ტროცკისა და ზინოვიევის გამორიცხვას.

ხუთი „ლიდერი" ერთ კრებაზე

(განათლების მუშაკთა სახლი)

განათლების მუშაკთა სახლში შესდგა განათლების კავშირის, სახალხო კავების და მასწავლებელთა უჯრედების გაერთიანებული ჯგუფური კრება. დღის წესრიგში იდგა ერთი საკითხი. სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის განხილვა. მოხსენებით გამოვიდა ამხ. ლ. რუხაძე. მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო ათამდე კაცმა. ამათში ხუთი ოპოზიციის „ლიდერი" იყო.

ოპოზიციის ორატორები ჩვეულებრივ [illegible] ათჯერ გადაღეჭილი და გადაცოხნილი [illegible] წინააღმდეგ. კრებაზე [illegible] ღრმა აღშფოთება გამოიწვია [illegible] სიტყვით გამოვიდა ამხ. კ. ქაცარავა. [illegible] კომუნისტ მუშებში ოპოზიციის გამოსვლებმა [illegible] დოკუმენტებით ხელში ახადა ფარდა ოპოზიციის მთელ დეზორგანიზატორულ და ანტი-ლენინურ მუშაობას.

უჯრედთა გაერთიანებულმა კრებამ ათის წინააღმდეგ მიიღო რეზოლუცია, რომელშიაც იწონებს ცეკას მიერ წარმოდგენილ სახალხო მეურნეობის ხუთწლიან გეგმას და სასტიკად გმობს ოპოზიციის ანტი-ბოლშევიკურ მუშაობას.

ამნაირად, მიუხედავად იმისა, რომ ოპოზიციამ ამ დღეს თავისი ძალთა მობილიზაცია მოახდინა და თავისი „ლიდერები" გამოგზავნა კრების ჩასაშლელად, მან ნახევარი მაინც ვერ გამართლდა. ცეკას თეზისების წინააღმდეგ ხმა მისცა თვით ამ „ლიდერებმა" და მათ [illegible] ათი ოროლა კაცმა. ოპოზიცია იძულებული იყო კუდამოძუებული წასულიყო კრებიდან.

ა.-კ. საოლქო საკ. კომისიის პლენუმი

მეხუთე მოწვევის ამიერ-კავკასიის საოლქო საკონტროლო კომისიის პლენუმზე არჩეულია საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმი. პრეზიდიუმის წევრებათ არჩეული არიან: ამხ. ს. ლუკაშინი (თავმჯდომარე), ვ. სტურუა (პასუხისმგებელი მდივანი), ი. ვაცეკი, ა. ხუმარიანი, ა. დოლიძე, გ. სტურუა, ი. კირვალიძე, ი. პლიშაკოვი, ი. დოვლათოვი, ს. გოროზჩენკო, ი. ამირხანიანი, ტატიანი, მუზაფარ ნარიმანოვი.

კანდიდატებათ:—ამხ. ნ. ალაჯალოვი, ვ. პავერმანი, ი. კვარაცხელია, ი. სარქისიანი, იუს. ჯაფაროვი.

პარტკოლეგიის წევრებათ არჩეული არიან: ამხ. ვ. სტურუა, (თავმჯდომარე), ნ. ალაჯალოვი, ი. ვაცეკი, ა. იუსუფოვი, გუბინი.

კანდიდატებათ:—ლ. კამალოვა, ა. ფირცხალავა.

3—109 წინააღმდეგ

(მუშაოლოპის კომუჯრედი)

მიუხედავად იმისა, რომ ოპოზიცია ბევრჯერ შეეცადა ფეხი მოეკიდებია ჩვენს უჯრედში, მისი ცდები ყოველთვის უშედეგოთ თავდებოდა. უკანასკნელათ გამართულ კრებაზე, რომელსაც დაესწრო 112 კაცი, ოპოზიცია კვლავ შეეცადა თავდასხმა მოეხდინა პარტიაზე და დემაგოგიური გამოსვლებით მომხრეები ეშოვა დამსწრეთა შორის. მაგრამ ოპოზიციას აქაც კოვზი ნაცარში ჩაუვარდა.

დღის წესრიგში იდგა საკითხი პარტიის სოფლად მუშაობის შესახებ. მოხსენებით გამოვიდა ამხ. ვასილიევი. კამათში ოპოზიციის მხრივ მონაწილეობა მიიღო რამდენიმე კაცმა. მათი გამოსვლის შედეგი ის იყო, რომ იმ თითო ოროლა ოპოზიციონერმა, რომელნიც წინათ ხმას აძლევდენ ცეკას წინააღმდეგ, ეხლა კრების დიდ უმრავლესობასთან ერთად, ერთხმად გაიზიარა ცეკას თეზისები და გაუდგა ოპოზიციას.

ამრიგად, ოპოზიციის ორატორი ამ კრებაზე სრულიად გარიყული დარჩა. 112 კაციდან ოპოზიციამ მხოლოდ სამი ხმა შეკრიბა, დანარჩენ 109 ამხანაგმა ერთსულოვნად მიიღო რეზოლუცია, სადაც კრება ჰკიცხავს ოპოზიციას და მოითხოვს პარტიის ხელმძღვანელ ორგანოებისაგან გადამწყვეტი ზომების მიღებას უკლონისტურ შოვინისტურ ოპოზიციის წინააღმდეგ. კრება სავსებით იზიარებს აგრეთვე საკავშირო კომპარტიის ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის დადგენილებას ტროცკისა და ზინოვიევის პარტიიდან გამორიცხვის შესახებ.

თვითონ სწერს, თვითონ ხმას აძლევს

(მილიციის უჯრედში)

ჩვენს უჯრედს კარგა ხანია შემოეჩვია გასტროლიორი ოპოზიციონერები. ისინი არაერთხელ წასულან კრებიდან პირში ჩალაგამოვლებულნი, მაგრამ „ბედთან თამაშს" მაინც არ იშლიან. უჯრედის უკანასკნელ კრებაზე, როცა ირჩეოდა ცეკას თეზისები ხუთწლიან სამეურნეო გეგმის შესახებ, ოპოზიცია მეტი შემადგენლობით გამოცხადდა კრებაზე. მოხსენების მოსმენის შემდეგ ტრიბუნაზე თავი ამოჰყო ოპოზიციის ლიდერმა მილიციაში თაყაიშვილმა. ის ცნობილია მილიციის ორგანიზაციაში, როგორც დემაგოგი. ამიტომ წარსულ კრებაზე პარტიის წინააღმდეგ უხეშათ გამოსვლებისათვის, მას კრება ხშირათ აწყვეტინებდა სიტყვას.

თაყაიშვილს ეგონა, რომ ეხლაც ასე მოხდებოდა. მაგრამ მოსტყუვდა ანგარიშში. კრება დიდი მოთმინებით აღიჭურვა და განუსაზღვრელი დრო მისცა ოპოზიციონერ ორატორს სალაპარაკოთ. ეტყობოდა ორატორი მზათ არ იყო. ასეთი სიჩუმე მისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა, ამიტომ თაყაიშვილმა დემაგოგიით დაიწყო თავისი სიტყვა: „ამხანაგებო, დღევანდელი დისკუსია მიმდინარეობს არაჩვეულებრივ რეპრესიების პირობებში. ჩვენ არა გვაქვს საშუალება გამოვიდეთ საკუთარი კონტრ-თეზისებით". დარბაზში სიცილი ატყდა. მომხსენებელმა ამხ. ს. მამულიამ მიაწოდა ორატორს „პრავდა"-ს ნომერი, სადაც მოთავსებულია ოპოზიციის კონტრ-თეზისები და უთხრა: „ჩვენ მოგცემთ, თუ თქვენ არა გაქვთ". დარბაზში კვლავ სიცილი. დანარჩენი ოპოზიციონერები რეპლიკებით და დემაგოგიური წამოძახებით ხელს უწყობდენ ორატორს, მაგრამ არაფერმა გასჭრა. თაყაიშვილს სალაპარაკო გამოელია და ის იძულებული იყო დაეტოვებია ტრიბუნა.

დასასრულ შემოტანილ იქნა ორი რეზოლუცია, ერთი პარტიის უმრავლესობის და მეორე „თვითონ" თაყაიშვილის. აღსანიშნავია, რომ კენჭის ყრის დროს, თაყაიშვილის რეზოლუციას ხმა არ მისცა სხვა ოპოზიციონერებმა, ამრიგათ დარჩა ახლად მოვლენილი ჩვენი „ლიდერი" განმარტოებული. ასე დამთავრდა ოპოზიციის უკანასკნელი ანტი-ლენინური გამოსვლა მილიციის უჯრედში.

კომკავშირი პარტიის მთლიანობის სადარაჯოზე

ბაქო, 28 ნოემბერი. კომკავშირის სადისკუსიო კრებებში სურახანის რაიონის გამოკლებით, 25 ნოემბრამდე მონაწილეობა მიიღო—4.639 კომკავშირელმა. რეზოლუციები ცეკას ხაზის დასაცავად ყველგან მიღებულ იქნა ერთხმად. ყველა კრებებზე წინააღმდეგ მისცა ხმა 9 კაცმა, თავი შეიკავა 7. აზერბეიჯანის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის და აზერბეიჯანის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაერთიანებულ კრებას დაესწრო 370 მსმენელი. კრებაზე გამოსულ ოპოზიციონერ ბარხაშევს მისცეს 30 წუთი. მაგრამ ეს გამოსვლა გათავდა მისი მარცხით, ამავე კრებაზე პარტიული ოპოზიციონერის გამოსვლამ გამოიწვია კრების საერთო აღშფოთება.

ცეკას თეზისების დამუშავება

აჭარისტანში

აჭარისტანის ორგანიზაციის 34 ქალაქის უჯრედის 7 ჯგუფურ კრებაზე, რომელზედაც ირჩეოდა თეზისები მე-15 პარტყრილობისათვის ხუთწლიანი გეგმის და სოფლად მუშაობის შესახებ, დაესწრო 871 კომუნისტი. კამათში მონაწილეობა მიიღო 38 კაცმა, მათში 7 ოპოზიციონერმა. ცეკას თეზისებს ხმა მისცა 860, წინააღმდეგ 9, თავი შეიკავა 2.

ახალქალაქი

ახალქალაქის ორგანიზაციის 10 კრებაზე თეზისების გარჩევაში მონაწილეობას იღებდა 186 კაცი, კამათში გამოვიდა 37 ამხანაგი, მათში 2 ცენტრალურ კომიტეტის ხაზის წინააღმდეგ. კენჭის ყრაში 77 მონაწილეს შორის 75 ხმა მისცა თეზისებს და 2 წინააღმდეგ.

ფოთში

ფოთის ქალაქის ორგანიზაციის კრებებს დაესწრო 306 კომუნისტი. კამათში გამოვიდა 10 კაცი, მათში 1 ოპოზიციონერი. დამახასიათებელია ის, რომ ცეკას რეზოლუციის კენჭის ყრის დროს, რომელიც გავიდა ერთხმად, რეზოლუციას ხმა მისცა იმანაც, ვინც კამათში გამოვიდა ცეკას თეზისების წინააღმდეგ.

გორში

გორის ორგანიზაციის 6 სათემო და ერთ ქალაქის კრებას დაესწრო 326 კომუნისტი. რეზოლუცია მიღებულ იქნა ერთხმად.

სიღნაღში

სიღნაღის ორგანიზაციის 15 სათემო კრებაზე მონაწილეობდა 1011 კომუნისტი. კამათში გამოვიდა 96 კაცი. მათში 7 ოპოზიციონერი. ცეკას თეზისების სასარგებლოთ ხმა მისცა 601 კაცმა, წინააღმდეგ 3 (ადს).

თბილისის ორგანიზაციის ყველა რაიკომებს

უმაღლეს სასწავლებლებში პარტიული მუშაობის და პარტიის გავლენის გაძლიერების მიზნით საქ. კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტი წინადადებას იძლევა მიმაგრებულ იქნას ყველა სტუდენტები უმაღლეს სასწავლებლების უჯრედებზე.

საქ. კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტი.

გერმანიის მუშა-ახალგაზრდობის დელეგაციის გამგზავრება

გუშინ ტფილისიდან მოსკოვში გაემგზავრა გერმანიის მუშა-ახალგაზრდობის დელეგაცია, რომელიც ათი დღის განმავლობაში ეცნობოდა თბილისის წარმოება-დაწესებულებებს და მუშების ცხოვრებას.

გამგზავრების წინ ჩვენს თანამშრომელს საუბარი ჰქონდა დელეგატებთან საქართველოში მიღებულ შთაბეჭდილებების შესახებ.

— „ჩვენ არ შეგვიძლია მადლობა არ გადაუხადოთ იმ ორგანიზაციებს, რომლებმაც საშუალება მოგვცეს გავცნობოდით საქართველოს მრეწველობას და მუშების ცხოვრებას.

ჩვენ ვეთვალიერეთ თქვენი წარმოებები და დავრწმუნდით, რომ წარმოება სწრაფად იზრდება, იზრდება შრომის ნაყოფიერება და ამასთან დაკავშირებით შრომის ხელფასიც. ჩვენ განსაკუთრებით გვაინტერესებდა ახალგაზრდა მუშების ცხოვრება. ამ მხრივ ჩვენ საშუალება გვქონდა დაწვრილებით გავცნობოდით მათ შრომის პირობებს და ყოფა-ცხოვრებას. ჩვენ მიერ ამ დარგში შეკრებილი ცნობები ნათელყოფენ იმ დიდ მუშაობას, რომელსაც აწარმოებენ პროფესიონალური ორგანიზაციები ახალგაზრდა მუშების შრომის დასაცავად და მათი კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

გერმანიაში დაბრუნებისას ჩვენ მივიღებთ ყოველგვარ ზომებს, რომ სწორი ცნობები გავავრცელოთ თქვენი ქვეყნის შესახებ.

თბილისის საბჭოს პლენუმი

გუშინ საღამოს პროფკავშირთა საბჭოს დიდ დარბაზში შესდგა თბილისის საბჭოს მორიგი (მეცამეტე) პლენუმი, რომელმაც მოისმინა თბილისის აღმასკომის ადგილობრივი განყოფილების მთავარ ინჟინერის ზურაბოვის და თბ. აღმასკომის საგეგმო კომისიის გამგის ამხ. გ. გავაშელის მოხსენებები.

თბილისის ხის დასამუშავებელ ფაბრიკის აგების შესახებ

უმაღლესი ორგანოების მიერ უკვე დამტკიცებულ პროექტის თანახმად თბილისში შენდება ხის დასამუშავებელი ფაბრიკა, რომლის პროდუქცია დააკმაყოფილებს თბილისის და საქ. სხვა ქალაქების საჭიროებას. ფაბრიკა იქნება მრავალ განყოფილებიანი და მთლიანად მექანიზაციამქნილი. ფაბრიკა წლიურად დაამზადებს 2.00.000 მანეთის საქონელს და დასტოვებს 17 ათას წმინდა მოგებას. მექანიკური წესით ფაბრიკა დაამზადებს წლიურად 6 ათასს ფანჯარა, 7 ათასს კარებს, 740 ბუფეტის შკაფს, 80 გარდერობის შკაფს, 9 ათასს მუხის სკამს, ძნელს, ფიცრებს იატაკისა და ჭერისთვის, ბიბლებს და სხვა სტანდარტულ სამშენებლო საგნებს. ფაბრიკის მიერ გამოშვებულ პროდუქციის ღირებულება საშუალოდ 85 პროცენტით ნაკლები იქნება იმ ფასებთან შედარებით, რომელნიც ამჟამად ზემოხსენებულ საგნებზე არსებობს. ზოგიერთ საქონელზე (მაგ. ბორბლებზე) კი 50 პროც. ნაკლები. უმაღლეს ორგანოების მიერ უკვე დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვით ფაბრიკის აგება და მოწყობა ჯდება 1.93.000 მანეთი. აქედან მასალისა და სამშენებლო მუშაობისათვის გადადებულია 1.015.00 მანეთი, მანქანების შესაძენად (საზღვარგარეთ)—922 ათასი მანეთი. ოქტომბრის რევოლუციის ათი წლის თავზე ფაბრიკის შენობას უკვე ჩაეყარა საძირკველი და ამ დღიდან მიმდინარეობს ფაბრიკის სამშენებლო მუშაობა. ფაბრიკის შენება და მოწყობა გაგრძელდება 3 წელიწადს. 1931 წლის შემოდგომისათვის ფაბრიკა ამუშავებული იქნება.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ პლენუმმა დაამტკიცა ადგილობრივი მრეწველობის მიერ ფაბრიკის ასაშენებლად მიღებული ღონისძიებები.

ცვლილებები თბ. აღმასკომის პრეზიდიუმში

პლენუმმა დაამტკიცა თბილისის აღმასკომის მიერ შეტანილი წინადადება ამხ. ნ. კიკნაძის თბილისის აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების გამგის თანამდებობიდან და აღმასკომის პრეზიდიუმის წევრობიდან განთავისუფლების და მის ნაცვლად ამხ. ს. ფარნიევის დანიშვნის შესახებ. ამხ. ფარნიევი დროებით რჩება ტრამვაის დირექტორად, ვიდრე პრეზიდიუმი ახალ კანდიდატს არ წამოაყენებს.

აღმასკომის პრეზიდიუმის წინადადებით თანახმად აღმასკომის პრეზიდიუმის პასუხისმგებელი მდივანი ამხ. თხილავა განთავისუფლებულია საორგანიზაციო განყოფილების გამგის თანამდებობიდან, რომელიც მას შეთავსებით ეჭირა, და მის ნაცვლად ამ თანამდებობაზე არჩეულია თბილისის საბჭოს წევრი ამხ. სტ. აკოპოვი, რომელიც შევა აგრეთვე პრეზიდიუმში.

დასასრულ საბჭომ, სხვადასხვა მიზეზების გამო საბჭოდან გასულ წევრების ნაცვლად, წევრებად დაამტკიცა კანდიდატები.

ლიბანის სანატორიუმის გახსნა

მარცხნივ—ინჟ. გვერდწითელი, სანატორიუმის სამშენებლო სამუშაოთა უფროსი

მარჯვნივ—ექ. ნ. გეგეჭკორი, სანატორიუმის დირექტორი

კვირას, 27 ნოემბერს, გაიხსნა ლიბანის რკინის გზელთა სანატორიუმი. სანატორიუმის გახსნამ საზეიმო ხასიათი მიიღო. მარტო თბილისიდან გახსნას დაესწრო 300-მდე სტუმარი—საბჭოთა, ორგანიზაციების, მთავრობის, პროფესიონალურ და პარტიული ორგანიზაციების წარმომადგენელნი, სტუმრებს შორის იყვნენ საქ. პროფსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. ზ. ჟურულაშვილი, საქ. იუსტიციის სახ. კომისარი ამხ. ფარძული, ა.-კ. შრომის სახალხო კომისარი ამხ. ოშვილი, ა.-კ. რკინის გზების სამმართველოს უფროსი ამხ. ივანოვი, ა.-კ. საგზაო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. პ. საბაშვილი, პროფ. ლამბარაშვილი. საზეიმო სხდომის გახსნამდე სტუმრებმა დაათვალიერეს სანატორიუმი და დამხმარე დაწესებულებების შენობები.

შუადღის 12 საათზე გაიხსნა საზეიმო სხდომა. სხვათა შორის საზეიმო სხდომას დაესწრნენ ახლომახლო სოფლებიდან მოსული გლეხობა. სხდომა გახსნა სანატორიუმის სამშენებლო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. დიკამ.

„ლიბანის სანატორიუმი,—განაცხადა ამხ. დიკამ,—წარმოადგენს მთელი საბჭოთა კავშირის შრომელ მასების გაერთიანებულ ძალების ნაყოფს მუშებთან ერთად ამ სანატორიუმის აგებაში მხურვალე მონაწილეობა მიიღეს საინჟინრო ტეხნიკურმა ძალებმა, რომელთაც არ დაზოგეს თავისი ცოდნა და ენერგია, რომ მშრომელი მასებისათვის მიეძღვნათ იშვიათი საჩუქარი. დაუზოგველი მუშაობისათვის ამიერ-კავკასიის პროლეტარიატი უღრმეს მადლობას უცხადებს, სხვებს შორის, ინჟ. გვერდწითელსა და ინჟ. თუმანოვს, რომელთაც სახელოვნად შეასრულეს დაკისრებული მოვალეობა".

სანატორიუმის დირექტორი ექ. გეგეჭკორი აღნიშნავს ლიბანის იშვიათ მდებარეობას და ამავე დროს მოკლეთ აცნობს სანატორიუმის მუშაობის პერსპექტივებს. შემდეგ წარმოითქვა მისასალმებელი სიტყვები, ა.-კ. საგზაო კომიტეტის სახელით სიტყვა წარმოსთქვა ამხ. პ. საბაშვილმა, საქართველოს სახკომსაბჭოს სახელით ამხ. ფარძულმა, საქ. კომპარტიის ა.-კ. საოლქო კომიტეტის სახელით ამხ. მარდანიანმა, საქ. კომპ. ცეკას და საქ. პროფსაბჭოს სახელით ამხ. ზ. ჟურულაშვილმა, ა.-კ. სახკომსაბჭოდან ამხ. იაშვილმა, საქ. ჯანსახკომიდან ამხ. ფრანგულიანმა, ბუნებისმეტყველთა საზოგადოებიდან პროფ. ლამბარაშვილმა, აზერბეიჯანის რკინის გზის მუშათა სახელით ამხ. აგაზოვმა, თბილისის რკინის გზის სახელოსნოებიდან ამხ. ბერიძემ, თბილისის დეპოს მუშების სახელით ამხ. ბულაშვილმა და სხვ. შემდეგ მოსმენილ იქნა ამხ. სემაშკოსაგან (საბჭოთა რუსეთის ჯანსახკომი), ამხ. ანდრეიჩიკისაგან (რკინისგზელთა კავშირის ცეკა), ამხ. ლევანდოვსკისაგან (კავკ. წითელდროშოვანი არმიის სარდალი) და ამხ. ბატოვსკისაგან (რკინის გზელთა ცენტრალური სამმართველო) გამოგზავნილი მისასალმებელი დეპეშები.

დასასრულ სხდომამ მოისმინა ადგილობრივ კომიტეტის გადაწყვეტილება, რომლის თანახმად გულმოდგინე მუშაობისათვის წითელ დაფაზე შეტანილი არიან სანატორიუმის მშენებელი მუშები, მათ შორის ინჟ. გვერდწითელი, ინჟ. თუმანოვი, ტეხნ. სოკოლოვი და ამხ. დიკი. ამ გადაწყვეტილებას კრება აღფრთოვანებით შეხვდა. საზეიმო სხდომა დასრულდა სიმფონიური კონცერტით, რომელსაც დირიჟორობდა ზ. ფალიაშვილი.

სოლიარიუმი (მზის ვანების მისაღები ვერანდა) ლიბანის სანატორიუმთან

სამხედრო წვევამდელი მზადება

მიმდინარე წლის 5 დეკემბრიდან საქართველოში იწვევა 1906 წელში დაბადებულთა სამხედრო წვევამდელი მომზადება, რომელზედაც თავს მოიყრის მრავალი ათასი ახალგაზრდა.

საჭიროა გაირკვეს იმისა, თუ რა არის სამხედრო წვევამდელი მომზადება და რისთვის სჭირდება იგი საბჭოთა კავშირის მშრომელებს.

ყველასათვის და თვით უკიდურეს იმპერიალისტებისათვისაც ცხადია ის, რომ საბჭოთა კავშირს არ სურს ომი, ეს მან ბევრჯერ დაამტკიცა როგორც სიტყვით, ისე საქმით. მაგრამ, სანამ საბჭოთა კავშირი იმყოფება შეურიგებელ მტერთა რკალში, მას სჭირია ძლიერი არმია, რომელიც დაიცავს მის საზღვრებს და საჭირო დროს გაუმკლავდება თავდამსხმელებს.

ამისათვის წითელ არმიის საბრძოლო ძლიერების განმტკიცებას დღევანდელ პირობებში მიქცეული აქვს ყველა მშრომელთა ყურადღება. მხოლოდ, საბჭოთა კავშირის შრომელები, გამდგარნი უდიდეს სამშენებლო მუშაობაში, ვერ დახარჯავენ დიდ თანხებს მუდმივ შეიარაღებულ ძალების შესანახად. საჭირო იყო შექმნა ისეთი არმიის, რომელიც არ დაუჯდებოდა ძვირად საბჭოთა სახელმწიფოს, და რომელიც ამავე დროს, იქნებოდა ძლიერი. ტერიტორიალური სისტემის შემოღებით საბჭოთა ხელისუფლებამ სავსებით მიაღწია ამ მიზანს. დღეს უკვე ტერიტორიალური ნაწილების საშუალებით საბჭოთა კავშირს ჰყავს კარგად მომზადებული და გაწვრთნილი ჯარი.

ვინაიდან როგორც საკადრო, ისე ტერიტორიალურ ნაწილებში სამსახურის ვადა ძალიან მცირეა, საჭიროა გასაწვევი ახალგაზრდობის წინასწარი მომზადება, რომ ჯარში სამსახურის დროს მან შესძლოს სამხედრო ცოდნის ზედმიწევნით შეთვისება. ეს აუცილებელია მეტადრე დღევანდელ პირობებში, რადგან სამხედრო ტეხნიკის განვითარება სწრაფი ნაბიჯით მიდის წინ.

ამისათვის შემოღებულია ე. წ. სამხედრო წვევამდელი მზადება. ყოველი მოქალაქე ჯარში გაწვევამდე გადის სამხედრო მზადებას, მხოლოდ არა ყაზარმაში, არამედ თავის საცხოვრებელ ადგილას. წვევამდელი მზადების საშუალებით მომავალი წითელ არმიელები ეცნობიან სამხედრო საქმეს და ეწევიან ფიზიკურ-კულტურას.

სამხედრო წვევამდელი მზადება იწყება 19 წლიდან და გრძელდება წითელ ჯარში გაწვევის წლამდე, ე. ი. ორი წელი. მაგრამ, ამ ორი წლის განმავლობაში წვევამდელი მეცადინეობს საშუალოდ წელიწადში მხოლოდ ორ თვეს. [illegible] მზადების ხანგრძლივობა არ აღემატება წელიწადში ერთ თვეს. ამ ხანში წვევამდელი ეცნობა თანამედროვე სამხედრო ტეხნიკას და სწავლობს თოფის ხმარებას, საბრძოლო წყობილებას და სხვა. მზადების დროს წვევამდელი საერთოდ ითვისებს ისეთ ცოდნას, რომელიც საჭიროა მებრძოლისათვის ყველა სახის ჯარების მოქმედების პირობებში.

სამხედრო საქმესთან ერთად წვევამდელი მზადების დროს იძენს პოლიტიკურ ცოდნასაც, რომ იგი განვითარდეს პოლიტიკურად და გაეცნოს მიმდინარე ცხოვრების ყოველ მნიშვნელოვან მხარეს.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ დღევანდელ პირობებში სამხედრო წვევამდელ მომზადებას აქვს უდიდესი მნიშვნელობა საბჭოთა კავშირის თავდაცვისათვის.

ჩატარებულმა გაწვევამ წითელ ჯარის რიგებში დაამტკიცა, რომ საბჭოთა კავშირის ახალგაზრდობა მზად არის დაიცვას ყოველთვის მშრომელთა ხელისუფლება. წვევამდელები, უეჭველია, არ ჩამორჩებიან თავის უფროს ამხანაგებს და ერთგულად იღებენ სამხედრო საქმის შესწავლას.

ი. გ—ლი.

სახელმწიფო უნივერსიტეტში

სახ. უნივერსიტეტის გასამხედროებასთან დაკავშირებით დაიწყო ყველა ფაკულტეტების სტუდენტების რეგისტრაცია, მათი დამოკიდებულების გამოსარკვევათ სამხედრო სამსახურისადმი. რეგისტრაცია გასტანს ორ თვეს. პირველ რიგში რეგისტრაციაში გატარდებიან სოციალურ-ეკონ. ფაკულტეტის სტუდენტ. შემდეგ კი სამკურნალო, აგრონომიული და პოლიტეხნიკური ფაკულტეტების სტუდენტები.

ყველა სტუდენტები ვალდებული არიან რეგისტრაციის დროს წარადგინონ საბუთი სამხედრო ბეგარისადმი დამოკიდებულების შესახებ. ის სტუდენტები, რომლებიც თავს აარიდებენ რეგისტრაციას, მიცემულ იქნებიან პასუხისგებაში.

სახ. უნივერსიტეტში უკვე დაიწყო 1-ლი და მე-2 კურსის სტუდენტების უმაღლესი წვევამდელი მზადება. მზადება სწარმოებს ყოფ. სემინარიის შენობაში (ვაკე). ის სტუდენტები, რომლებიც რაიმე მიზეზის გამო გამოტოვებულ არიან წვევამდელთა სიიდან, ვალდებულნი არიან გატარდენ დამატებით რეგისტრაციაში უნივერსიტეტის სამხედრო მაგიდის გამგესთან.

უმაღლესი წვევამდელი მზადება არ ეხება იმ სტუდენტებს, რომელნიც მსახურობენ წითელ ჯარში და გაშვებულ არიან უვადო და გრძელვადიან შვებულებაში.

1928—29 სასწავლო წელი

განათლების სახალხო კომისარიატმა დაადგინა მომავალი 1928—29 სასწავლო წელი ყველა შრომის სკოლებს, ტეხნიკუმებს, დაბალ პროფტეხნიკური განათლების სკოლებს და მუშათა ფაკულტეტებზე დაიწყოს 1928 წლის პირველ სექტემბრიდან და გაგრძელდეს 1929 წლის 20 ივნისამდე. სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკუმები, დაბალი ტიპის სასოფლო-სამეურნეო სკოლები და მიწათმომწყობი ტეხნიკუმები მეცადინეობას იწყებენ სხვა სკოლებთან ერთად 1 სექტემბერს, ხოლო ამთავრებენ პირველ აგვისტოს, [illegible] სკოლები კი მეცადინეობას სწყვეტენ 15 ივლის.

უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდები, სწარმოებს 1928 წლის 10 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე, ხოლო ლექციების კითხვა იწყება 1 ოქტომბრიდან და შეწყდება 1929 წლის 1 ივნისს, 1 ივნისიდან 20 ივნისამდე კი იწარმოებს კურსიდან კურსზე გადასასვლელი გამოცდები. რაც შეეხება აგრონომიულ და პოლიტეხნიკურ ფაკულტეტებს, ამ ფაკულტეტებზე ლექციების კითხვა შეწყდება 1929 წლის 15 მაისს და ამ რიცხვიდან 1 ივნისამდე იწარმოებს გამოცდები.

ტყვარჩელის ქვანახშირის გამარჯვება

სწავლულ ტეხნიკოსთა დასკვნა

ს. მ. უ. საბჭოსთან არსებულ ტყვარჩელის ქვანახშირის დამმუშავებელ კომისიაში მიღებულია ცნობა, რომ 18 ნოემბერს ხარკოვში შესდგა „იუგ ოსტალის" სამეცნიერო-ტეხნიკურ საბჭოს გაფართოებული თათბირი, რომელზედაც განხილულ იქნა ტყვარჩელის ქვანახშირის დამუშავების საკითხი. თათბირზე მოწვეულ იყო გამოჩენილი სპეციალისტი-პროფესორები შევიაკოვი, ნოვოსილცოვი, ცეტლინი, კრინიცი, ზ. ივრეინოვი და სხვ.

ტყვარჩელის რაიონში ჩატარებულ გამოკვლევითი სამუშაოთა შესახებ ვრცელი საინჟ. მოხსენებით გამოვიდა გეოლოგი მოკრინსკი. თათბირმა მოხსენების მოსმენის შემდეგ გამოიტანა შემდეგი დასკვნა: „ტყვარჩელის რაიონი უნდა ჩაითვალოს ერთ უმდიდრეს საქვანახშირო მრეწველობის რაიონად, რომელიც საექსპლოატაციო სამუშაოების დაწყების შემდეგ დაიჭერს ერთ პირველ ადგილთაგანს მთელ საბჭოთა კავშირში".

ამასთანავე თათბირმა მოისმინა ინჟ. დანჩიჩის მოხსენება ტყვარჩელის რაიონის მნიშვნელობის შესახებ მძიმე ინდუსტრიალიზაციის განვითარებისათვის. მიღებულ რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ ვინაიდან ტყვარჩელის ქვანახშირი, ბევრ შემთხვევაში უფრო კარგი ხარისხისაა, ვიდრე დონის ნახშირი, ამიტომ ამ რაიონში მუშაობის დაწყებას დიდი მნიშვნელობა ექნება საბჭოთა კავშირის მძიმე ინდუსტრიის განვითარებისათვის.

თათბირმა დაადგინა იშუამდგომლოს გეოლოგიური კომიტეტის წინაშე, რომ მომავალი წლიდან გააფართოვოს გეოლოგიური გამოკვლევები ტყვარჩელის მთელ რაიონში.

თბილისის მაზრის ელექტროფიკაცია

თბილისის აღმასკომმა დაამტკიცა თბილისის მაზრის კეთილმოწყობის 5 წლიანი გეგმა. ამ გეგმის მიხედვით, როგორც აღნიშნულია გეგმაში, თბილისის მაზრაში უახლოეს 5 წლის განმავლობაში გაყვანილი იქნება სამაზრო, სათემო და სასოფლო მნიშვნელობის ახალი გზები, გაყვანილი იქნება წყალსადენები, ყველა თემებში მოეწყობა აბანოები, კლუბები, ბაღები, აშენებული იქნება სოფლები ახალ გეგმაზე და სხ. მაზრის კეთილმოწყობასთან ერთად, თბილისის აღმასკომს გადაწყვეტილი აქვს მთელი მაზრის ელექტროფიკაცია. ამ მიზნით საგეგმო კომისია ამუშავებს სათანადო გეგმას. წინასწარი პროექტით განზრახულია თბილისის მაზრის ელექტროფიკაცია მოეწყოს ზაჰესის ენერგიით. მაზრის ელექტროფიკაციის საქმეში ზაჰესის ენერგიის გამოსაყენებლად საჭირო იქნება მაზრაში ზაჰესის ენერგიის მთავარი მაგისტრალის გაყვანა, რაც დაახლოებით დაჯდება 300.000 მანეთი. მთავარი მაგისტრალის გაყვანის საშუალებით მოეწყობა სოფლების და ისეთი სამაზრო მნიშვნელობის გზების განათება, რომლებზედაც მთელი წლის განმავლობაში სწარმოებს მოძრაობა. ამასთან ერთად ზაჰესის ენერგია გამოყენებული იქნება სასოფლო-მეურნეობაშიც.

აჭარის-წყლის ჰიდრო-ელსადგური

მუშაობის მიმდინარეობა

აჭარისტანის ჰიდრო-ელსადგურის სამშენებლო სამუშაოები ამჟამად ასეთ მდგომარეობაშია: საწნევი-სადერივაციო გვირაბი დამთავრებულია, და ამჟამად სწარმოებს მისი შეკეთება. პროექტით განზრახული იყო, რომ გვირაბის რკინა-ბეტონის კედლის არმატურისათვის გამოყენებული ყოფილიყო რკინის სალტეები, რისთვისაც საჭირო 120 ტონა რკინა,—რომლის ღირებულება 125 ათასს მანეთს აღემატება.

ჰიდრო-სადგურის სამშენებლო კომიტეტმა, მიზნად დაისახა სადერივაციო გვირაბის შეკეთების დროს არ იხმაროს რკინის სალტეები და იმავე მიზნისათვის გამოიყენოს რკინის ნარჩენები. წინასწარ მოხდენილ იქნა რამდენიმე ცდა, რომელმაც დამაკმაყოფილებელი შედეგი გამოიღო. ბეტონს შეურთეს რკინის ნამტვრევები, თუნუქის ნამსხვრევები და ასბესტი. ასეთი ნარევი სავსებით გამოსადეგი გამოდგა, სადერივაციო გვირაბის შეკეთება ამ წესით გაცილებით უფრო იაფი ჯდება, რადგან თუნუქის ნარჩენები ბიდონის ქარხანაში დიდი ძალი მოიპოვება, და დღემდე სრულიად გამოუყენებელია. ამ საშუალებით დაზოგილი იქნება 100 ათასს მანეთზე მეტი თანხა.

ბრძოლა ეპიდემიასთან

აცრა დაიწყო

გუშინ ჩატარდა მასიური აცრა მე-7 შრომის სკოლაში. ჯერ-ჯერობით უცრიან ქუნთრუშას, ხოლო დიფტერიტის აცრა დაიწყება მეორე რიგში.

ავადმყოფთა რიცხვი

ამჟამად თბილისში ავად არის 129 ბავში ქუნთრუშით და 24 დიფტერიტით. ავადმყოფები მოთავსებული არიან საავადმყოფოში. გარდა ამ ავადმყოფებისა ავადმყოფი ბავშვები არიან ოჯახებში.

ეპიდემია არ სუსტდება

ეპიდემიასთან მებრძოლ საგანგებო სამეულში მოდის ცნობები, რომ უკანასკნელ დღეების განმავლობაში ქუნთრუშას და დიფტერიტის ეპიდემიას არ ეტყობა შესუსტება. მარტო 27 ნოემბერს ქალაქში ადგილი ჰქონდა ქუნთრუშათი დაავადების 8 და დიფტერიტით დაავადების 5 შემთხვევას.

შეჯიბრი სროლაში

შაბათს, 26 ნოემბერს, საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებამ საგარნიზონო სასროლო მოედანზე (ვაკეში) მოაწყო შეჯიბრი სროლაში. შეჯიბრში მონაწილეობას იღებდენ საზოგადოების სამხედრო ორგანიზაციები და თბილისის რაიონული საბჭოები. სულ მონაწილეობდა 94 კაცი. სროლა სწარმოებდა 200 მეტრის მანძილზე სამხაზიან შაშხანა თოფებით. პირველობა შეჯიბრში ხვდა ქუთაისის ორგანიზაციას. გამარჯვებულნი გამოდგნენ: ამხ. ზრუგაძე (32 მოხვედრა 50-ან), მანველიშვილი (25 მოხვედრა 50-ან) და გიორგობიანი (26 მოხვ. 50-ან). გამარჯვებულებს დაურიგდათ ჟეტონები და დიპლომები.

კვირას, 27 ნოემბერს ამიერ-კავკასიის თავდაცვა-ავიაქიმმა მოაწყო შეჯიბრი სროლაში რომელშიაც მიიღეს მონაწილეობა საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის თავდაცვა-ავიაქიმებმა.

შეჯიბრში მონაწილეობდა 78 კაცი. სროლა სწარმოებდა 200 მეტრის მანძილზე სამხაზიან შაშხანა თოფიდან, ნაგანიდან და „ზეკ"-ის სისტემის თოფიდან.

შეჯიბრის შედეგი შემდეგია: სამხაზიან თოფიდან სროლაში პირველობა ხვდა საქართველოს ავიაქიმს. ამხ. ზრიამ (საქ. ავიაქიმი) 50-ას ნიშანში მოახვედრა 36 ტყვია. მეორე ადგილი დაიკავა ამხ. პეტუხოვმა (აზერბეიჯანის ავიაქიმი), მესამე ადგილი—ამხ. არუშანიანმა (სომხეთის ავიაქიმი).

ნაგანიდან სროლაში პირველი ადგილი დაიკავა საქართველოს ავიაქიმმა. ამხ. ოინცევმა (საქ. ავიაქიმი) 70-დან ნიშანში მოახვედრა 66 ტყვია. მეორე და მესამე ადგილი დაიკავა აგრეთვე საქ. ავიაქიმმა.

„ზეკ"-დან სროლაში პირველობა ხვდა ისევ საქართველოს ავიაქიმს. ამხ. მერკულოვმა (საქ. ავიაქიმი) 50-დან მოახვედრა 47 ტყვია.

გამარჯვებულებს მიეცათ ფასიანი საჩუქრები.

ქრონიკა

თოვლი თბილისში

გუშინ, დილის 4 საათზე თბილისში დაიწყო თოვა. თოვა გაგრძელდა დილის 10 საათამდე. ქალაქის გარშემო მდებარე მთები თოვლითაა დაფარული; ალაგ-ალაგ თოვლის სიმაღლე აღწევს 3-დან—6 სანტიმეტრამდე. ქუჩებში თოვლი მალე გადნა.

ამხ. ს. თოდრია—ცაკის თავმჯდომარის მოვალეობის აღმასრულებელი

ცაკის თავმჯდომარის ამხ. ფ. მახარაძის საკავშირო კომპარტიის ყრილობაზე გამგზავრების გამო მისი მოვალეობის ასრულება დაევალა ცაკის პრეზიდიუმის წევრს ამხ. ს. თოდრიას.

ს. ჟულელი შეუდგა მოვალეობის ასრულებას

საქ. სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ხიმ. ჟულელი გუშინ დაბრუნდა სამსახურში და შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას.

პროფ. ვილიამ გუდი „სახელგამში"

შაბათს, 26 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე, პროფ. ვ. გუდი ეწვია საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობას. პროფ. გუდი გაეცნო წიგნის საქმის მდგომარეობას საქართველოში. სტუმარს გადაეცა იმ მწერალთა და მოღვაწეთა სია, რომლებიც დევნილი იყვნენ მეფის რეჟიმის დროს.

პროფ. გუდს აინტერესებდა აგრეთვე ქართული სკოლის მდგომარეობა რევოლუციის ხანამდე და საავტორო ჰონორარის საკითხი.

სტუმრის განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო საბავშვო წიგნებმა, რომლითაც ის კმაყოფილი დარჩა და წაიღო მათი რამდენიმე ნიმუში.

ყველა შეკითხვებზე პროფ. გუდს განმარტებებს აძლევდენ „სახელგამი"-ს გამგე ამხ. ბ. ბიბინეიშვილი და მისი მოადგილე ნ. მიწიშვილი.

სამზადისი 7 საათიან სამუშაო დღეზე გადასასვლელათ

ს. მ. უ. ს. შრომის ეკონომიკის განყოფილების ცნობით, ყველა წარმოებებში და სამრეწველო დაწესებულებებში დაწყებულია სამზადისი 7 საათიან სამუშაო დღეზე გადასასვლელათ.

ამჟამად სწარმოებს მასალებისა და ცნობების შეკრება. აღნიშნული მასალების დამუშავება დამთავრდება ერთ თვეში.

წითელარმიიდან განთავისუფლებულ პირთა მოწყობა სამსახურში

საქ. ცაკის სოციალურ - უზრუნველყოფის განყოფილებაში შესდგა თათბირი დემობილიზაციით ჯარიდან განთავისუფლებულ პირებისათვის დახმარების აღმოჩენის და სამსახურში მოწყობის შესახებ.

შრომის ბირჟის გამგის ინფორმაციული მოხსენების მოსმენის შემდეგ, თათბირმა დაადგინა: ეთხოვოს საქ. მუშათა და გლეხთა ინსპექციას საჭიროდ მოიწვიოს თათბირი ყველა იმ დაწესებულებათა წარმომადგენლების, რომელ დაწესებულებიდანაც სამხედრო სამსახურში გაიწვიეს მუშა-მოსამსახურეები. ამ თათბირმა უნდა გამოიტანოს დადგენილება, რათა ჯარში გაწვეულ თანამშრომლების ადგილზე აუცილებლად იქნენ მიღებული წითელი ჯარიდან დემობილიზაციით განთავისუფლებული პირები.

კულტთათბირი

ამ.-კავკასიის პროფსაბჭოს დადგენილებით, 5 დეკემბერს თბილისში მოწვეულია კულტგანყოფილებათა გამგეების თათბირი. თათბირზე რესპუბლიკებში ჩატარებულ კულტმუშაობის შესახებ მოხსენებებით გამოვლენ ამ.-კავკასიის ფედერაციაში შემავალ რესპუბლიკების პროფსაბჭოებთან არსებულ კულტგანყოფილებათა გამგეები.

საგზაო კულტთათბირი

დამთავრდა ამ.-კ. რკინისგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ მოწვეული მორიგი საგზაო კულტთათბირი.

თათბირმა განიხილა რკინისგზელების; პროფესიონალურ, საწარმოო, სოცდაზღვევის და კოოპერატიულ განათლების საკითხები; მოისმინა: თბილისის, ხაშურის და ლენინაკანის რკინის გზის კლუბების გამგეობათა საანგარიშო მოხსენებები და მოხსენებები გასამხედროების და პოლიტგანმანათლებელ მუშაობის შესახებ.

ა.-კ. საორგანიზაციო თათბირი

ა.-კ. პროფსაბჭომ დაადგინა მოიწვიოს იანვრის მეორე ნახევარში ამიერ-კავკასიის საორგანიზაციო თათბირი და პროლეტარულ სტუდენტთა რესპუბლიკანურ ბიუროების ამიერ-კავკასიის თათბირი.

საწევრო გადასახადი

ა.-კ. პროფსაბჭომ საჭიროდ სცნო ხელფასის მინიმუმად, რომელიც განთავისუფლებული უნდა იქნეს საწევრო გადასახადისაგან, დაწესებულ იქნეს: პირველი ზოლისათვის—115 მანეთი, მეორე—105 მან., მესამე—95 მანეთი და 90 მანეთი.

გეოლოგიური გამოკვლევები შროშის რაიონში

სამთო მრეწველობის ტრესტის მიერ ამჟამად შროშის რაიონში სწარმოებს გეოლოგიური გამოკვლევები ცეცხლგამძლე თიხის მარაგის გამოსარკვევად და აღნიშნული რაიონის ტოპოგრაფიული რუქის შესადგენათ. ამჟამად დაწყებულია და სწარმოებს რამოდენიმე ჭაბურღილის გათხრა.

საგამოკვლევო სამუშაოები დასრულდება მარტში.

თბილისის ქრონიკა

◆ **ახალი ხიდი.** კომუნალური განყოფილება შეუდგა ახალი ხიდის აგებას ვერის ბორანის ზევით.

◆ **დახურული ბაზარი.** თბ. აღმასკომმა გადასწყვიტა მალაკნის ქუჩაზე მოაწყოს დახურული ბაზარი.

◆ **კრემატორიუმი.** თბ. აღმასკომმა გადასწყვიტა დაარსოს კომისია კრემატორიუმის ასაშენებ ადგილის ამოსარჩევად.

◆ **ნაგვის საწვავი ღუმელები.** თბ. აღმასკომი ახლო ხანში საზღვარგარეთიდან მიიღებს ნაგვის საწვავ ღუმელებს.

◆ **კოოპერატივები სკოლებთან.** განათლების განყოფილება ამჟამად მოლაპარაკებას აწარმოებს მუშკოოპთან—სკოლებთან საბავშვო კოოპერატივების მოსაწყობად.

◆ **პარიკმახერების ჯანმრთელობის შემოწმება.** ჯანმრთელობის განყოფილება ახლო ხანში შეუდგება პარიკმახერების ჯანმრთელობის შემოწმებას.

◆ **სანიტარიის დაცვის მიზნით** თბ. აღმასკომმა აკრძალა ნახმარი ტანისამოსის ბაზარზე გამოტანა სადეზინფექციო კამერაში გაუტარებლად.

◆ **მოძრავი რადიო.** პოლიტგანათლების განყოფილებამ გადასწყვიტა მაზრაში მოაწყოს მოძრავი რადიო-მიმღები სადგური.

◆ **კონსულტაცია.** ჯანმრთელობის განყოფილება მაზრაში არსებულ საექიმო პუნქტთან აწყობს ბავშვთა კონსულტაციას.

◆ **დახურული ვაგონები.** ტრამვაის დირექციას განზრახვა აქვს რამდენიმე ვაგონს გაუკეთოს მინები ზამთრის განმავლობაში.

სახელმწიფო უნივერსიტეტში

სადოქტორო დისერტაცია. კვირას, 27 ნოემბერს, სახ. უნივერსიტეტის კლუბში, ლექტ. ი. სურგულაძემ საჯაროთ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, კამათი გაგრძელდა 4 საათს, იურიდიულმა ფაკულტეტმა მას მიანიჭა სამართლის დოქტორის წოდება.

◆ **რაციონალიზაციის გასატარებლად** სახ. უნივერსიტეტის გამგეობამ დაარსა კომისია პროფ. კეკელიძის თავმჯდომარეობით.

◆ **მივლინება.** უნ. გამგეობამ გადასწყვიტა სამეცნიერო მიზნით ლენინგრადში 1 წლით მიავლინოს აგრონ. ფაკულტეტის ასისტენტი ა. ქომეთიანი.

◆ **სახელმწიფო გამოცდები.** 20 ნოემბრიდან დაიწყო სახელმწიფო გამოცდები სამკურნალო ფაკულტეტის ასპირანტთათვის.

◆ **ბინების სიმცირის გამო** უნ. გამგეობამ აღძრა შუამდგომლობა უნ-ტის შენობაში მოთავსებულ საისტორიო-ეთნოგრაფიული მუზეუმის სხვაგან გადატანის შესახებ.

◆ **აკადემიური წრე.** ამხ. კ. სულაქველიძეს დაევალა წარმოადგინოს სტუდენტთა აკადემიური წრის გეგმა.

◆ **ორგანულ ქიმიურ ლაბორატორიაში** და ფიზიკურ კაბინეტში 15 ნოემბრიდან შემოღებულ იქნა ორცვლიანი მუშაობა.

◆ **უნივერსიტეტის შტატების გადასასინჯავად** დაარსდა კომისია პრ. კეკელიძის, პრ. ნუცუბიძის, კ. სულაქველიძის, ლ. სალუქვაძის და პრ. გ. ახვლედიანის შემადგენლობით.

◆ **შეკეთება.** უნივერსიტეტის შენობის ზოგიერთი ოთახის შესაკეთებლად გადაიდო 1931 მანეთი.

◆ **ხელოვნების კაბინეტისათვის** უნ. გამგეობამ გადასწყვიტა გადაიღოს წრომის ტაძრის გეგმა და სურათი.

◆ **პედაგოგიურ ფაკულტეტისათვის** მიკროსკოპის შესაძენად გადაიდო 750 მანეთი.

საბინაო მშენებლობა

◆ **სამშენებლო ამხ.-ბები.** ამჟამად საქართველოში ითვლება 132 საბინაო-სამშენებლო ამხ.-ბა.

◆ **ახალი სახლები.** ამჟამად თბილისში შენდება 18 ახალი სახლი.

◆ **სესხი.** ახალი სახლების ასაშენებლად წელს საბინაო-სამშენებლო ამხ-ბებს სესხად მიეცემათ 600,000 მანეთი.

◆ **თბ. რკინისგზელთა საბინაო-სამშენებლო ამხ-ბამ** დღემდე ააგო 60 ბინა, ამჟამად აგებს 24 ბინას.

◆ **მუშათა საბინაო კოოპერატივის ცნობით** მაზრებში მუშებისათვის შენდება 10 ახალი სახლი.

◆ **საბინაო-საიჯარო ამხ-ბებთან** დაარსდა სანიტარული უჯრედები.

◆ **ელექტრონით გათბობა.** საბინაო კოოპერატივმა გადასწყვიტა თბილისში ახალი სახლები შემდეგში ააგოს ისე, რომ მათი გათბობა შეეძლებოდეს ელექტრონით.

◆ **სამშენებლო მასალა.** მუშათა საბინაო კოოპერატივმა გადასწყვიტა თბილისში გახსნას სამშენებლო მასალების დიდი საწყობი.

სხვადასხვა

საქართველოს მუშათა პროფმოძრაობის წარმოშობისა და განვითარების ისტორიის შემსწავლელი ც. კომისია სთხოვს ამხ. კირილე ნინიძესა და ილიკო ბადრიძეს შემოიარონ საქ. პროფსაბჭოში „რუსთაველის პრ. № 17, შრომის სასახლე, მეორე სართული, ოთახი № 11).

ჩაუბარებელი დეპეშები

ლენინგრადიდან—სინოდალის ქ. № 10, ერევნიდან—შავიოანს, ქართლიდან—ფატასიძეს, ფერგანიდან—სინიცას, მესტიიდან—გუჯეჯიანს, კავკავიდან—სარუხანიანცს, თელავიდან—სულაქველიძეს, კავკავიდან—იანუშევს.

ხელოვნება

თეატრები მუშებისათვის

საქ. პროფსაბჭოს კულტ-განყოფილებასთან არსებული მუშათა ზოლის სალარო არსებობს მიმდინარე თეატრალური სეზონის დაწყებიდან. სალარომ მიზნათ—ხელი შეუწყოს თეატრში მუშა-მოსამსახურეთა დასწრებას შესაძლებლად ბილეთების შეღავათიან ფასებში მიწოდების გზით.

თბილისის თეატრებთან დადებულ ხელშეკრულების თანახმად, მუშათა სალარო ყოველ წარმოდგენისათვის ღებულობს 300-მდე ბილეთს 50 პროც. დაკლებულ ფასებში. ბილეთების გაყიდვას სალარო ამჟამად აწარმოებს დაწესებულებათა ადგილკომების რწმუნებულების მიერ წარმოდგენილი სიების მიხედვით. დღემდე ბილეთების გაყიდვა ხდებოდა პირადობის მოწმობისა და პროფკავშირის საწევრო წიგნაკის წარმოდგენით. ამ გარემოებით [illegible] სარგებლობდენ მოსამსახურენი (ხანდახან კერძო პირებიც), რომლებიც მრავალ ბილეთებს იძენდნენ და (ვინაიდან განსაზღვრული იყო ბილეთების რაოდენობა) მუშები თეატრის გარეშე რჩებოდნენ.

საქ. პროფსაბჭოს კულტ-განყოფილებამ ყურადღება მიაქცია ამ მდგომარეობას და შეადგინა საანგარიშო წიგნაკები, რომელიც ამ დღეებში დაურიგდება ადგილკომებს, წიგნაკებზე აღნიშნული იქნება ადგილკომების რწმუნებულთა მიერ წაღებულ ბილეთების რაოდენობა და წარმოდგენებზე დასწრების რიცხვი. ბილეთების გაყიდვის ასეთი სისტემა [illegible] წარმოებებში ჩაბმულ მუშებს, რომელთაც საშუალება ექნებათ დროს გაუცდენლად მიიღონ მათთვის საჭირო ბილეთები.

ხელოვნების ქრონიკა

მუშათა თეატრში

◆ ოთხშაბათს, 30 ნოემბერს, მუშათა თეატრის ქართული სექტორის მიერ წარმოდგენილი იქნება კომედია: „დიდების გამყიდველნი"—პანიოლის და ნივუასი. დადგმა რეჟ. გრ. სულიაშვილისა.

◆ მუშათა თეატრის ქართულ სექტორის მიერ მიღებულია დასადგმელად ახალი საბჭოთა კომედია: „კომისარი მოსკოვიდან"—გუგუშვილისა და შარლისა.

პროლეტარულ დრამატიულ სახელოსნოში დღეს, 29 ნოემბერს, მცირე თეატრში ([illegible] სახლი) პროლეტარულ დრამატიულ სახელოსნოს კოლექტივის მიერ წარმოდგენილი იქნება იონა ვაკელის პიესა: „შემომხვნენი". დადგმა: დ. კობახიძის, მხატვარი: დ. კაკაბაძე. მონაწილეობს მთელი დასი.

— რუსთაველის თეატრში [illegible] წარმოდგენილი იქნება „[illegible]".

— „თემინიატი". 30 ნოემბერს, ოთხშაბათს გაიხსნება „თემინიატი"-ს ქართული სექტორის წარმოდგენების სეზონი.

— ოპერის თეატრში დღეს წარმოდგენილი იქნება „კარმენი".

— ილია ჭავჭავაძის ნაწერები. გამოვიდა ილია ჭავჭავაძის ნაწერების მე-5 ტომი.

„ლეილა". 2 დეკემბერს ოპერის თეატრში პირველად ამ სეზონში წარმოდგენილი იქნება ვიქტ. დოლიძის ოპერა „ლეილა".

„კაცი და ლივრეა". ახლო ხანში თბილისის კინოებში ნაჩვენები იქნება ახალი სურათი „კაცი და ლივრეა".

— გრიგოლ რობაქიძე ახლო ხანში ქუთაისში წაიკითხავს ლექციას: „ახალი ევროპა".

5.300.000 მანეთი უმუშევრობასთან ბრძოლისათვის

ა.-კ. შრომის სახალხო კომისარიატის ცნობით, მიმდინარე საანგარიშო წელში ამიერკავკასიაში უმუშევრობასთან საბრძოლველად დაიხარჯება 5.300.000 მანეთი. აქედან 1 ნახევარ მილიონს, გაიღებს ადგილობრივი აღმასკომები თავიანთი ბიუჯეტიდან, 3.800.000 მანეთს კი იძლევა სოციალურ დაზღვევის ორგანოები. ეს თანხა დაიხარჯება საზოგადო მუშაობის და შრომის კოლექტივების მოსაწყობად. ნაწილი კი გადაცემული იქნება უმუშევრებზე ფულადი დახმარების სახით. ამასთან ერთად აღნიშნულია განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა უმუშევართა გადმზადების საქმეს, ვინაიდან უმუშევრებში უდიდესი ნაწილი შედგება არაკვალიფიციურ მუშებისაგან. ამ მიზნით განზრახულია ცალკე სახელოსნო-კოლექტივების მოწყობა; ამას გარდა ზოგიერთი უმუშევრები, განსაკუთრებით მოზარდები გაიგზავნებიან დიდ ფაბრიკა-ქარხნებში სპეციალურ ხელობის შესასწავლად.

გასულ წელს საზოგადო სამუშაოებზე მუშაობდა უმუშევართა 20 პროც.; შრომის კოლექტივებში გატარდა 30 პროც. ამას გარდა უმუშევრებს გასულ წელს დახმარების სახით დაურიგდა ორი მილიონი მანეთი. სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტით კი უმუშევრობასთან ბრძოლის საქმეზე დამატებით გაღებულ იქნა 800,000 მან.

წელს განზრახულია უფრო ვრცლად მოეწყოს სამეურნეო ხასიათის შრომის კოლექტივები, რომლის საშუალებით შესაძლებელია როგორც უმუშევრებისათვის ადგილის აღმოჩენა, ისე მათი კვალიფიკაციის ამაღლება. შრომის კომისარიატს გადაწყვეტილი აქვს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს უმუშევრობის ზრდის მიზეზებს. უმუშევრობის ზრდის ერთ-ერთ მიზეზად უნდა ჩაითვალოს სოფლიდან მუშა ხელის ლტოლვა ქალაქებისაკენ. ამიტომ შრომის კომისარიატი დაინტერესებულ უწყებებთან ერთად გამოიკვლევს იმ რაიონებს, საცა განსაკუთრებით მწვავედ სდგას სამუშაოს საკითხი და ამ რაიონებში მოაწყობს საზოგადო სამუშაოებს.

საკავშირო საბეითლო თათბირი

სრულიად საკავშირო საბეითლო თათბირი, რომელიც მოწვეული იყო თბილისში, დასრულდა. თათბირზე მონაწილეობას იღებდნენ—უკრაინის, თურქმენისტანის, უზბეკისტანის, აზერბეიჯანის, სომხეთის, საქართველოს, დაღესტანის და სხ. რესპუბლიკების წარმომადგენლები. თათბირზე ჩამოვიდნენ აგრეთვე საკავშირო შრ. და თავდაცვის საბჭოსთან არსებულ სავეტერინარო კომიტეტის წარმომადგენლები და რ. ს. ფ. ს. რ. სამეცნიერო საბჭოს წევრი პროფ. ტარტაკოვსკი.

მოსმენილ მოხსენებათაგან განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია პროფ. ტარტაკოვსკის მოხსენებამ საქონლის ჭირთან ბრძოლის ძირითადი ამოცანების შესახებ. თათბირმა მოისმინა აგრეთვე სავეტერინარო კომიტეტის წარმომადგენლის მოხსენება კომიტეტის მიერ შემუშავებული გეგმის, საქონლის ჭირთან ბრძოლის შესახებ და მოხსენება ეპიზოოტიასთან ბრძოლაზე საქართველოში, სომხეთში, თურქმენისტანში და სხვაგან.

თათბირზე გამოირკვა, რომ საქონლის ჭირთან თავდაცვის მხრით უფრო კარგი და საიმედო მდგომარეობაა ამიერ-კავკასიაში. თათბირმა ცალკე განიხილა მომთაბარეობის საკითხი. მოსმენილ მოხსენებათა შესახებ გამოტანილია რეზოლუციები.

სასამართლო

თავდასხმა „მხრჩოლავი გაზებით"

გასულ კვირას თბილისში სანაპირო ქუჩაზე № 3, ნაშუადღევის სამ საათზე, მოხდა „საზიზღარი" თავდასხმა სიბინძურით და „მხრჩოლავი გაზებით".

მილიციის გაძლიერებულმა რაზმმა მეეზოვეების ენერგიული დახმარებით ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ შეიპყრო თავდამსხმელი. ის აღმოჩნდა იულია პეტრეს ასული მიტრაჩენკოვა. შუახნის ქალი.

თავდასხმა მოხდა რომანიულ ნიადაგზე. როგორც, სასამართლოში განაცხადა თავდამსხმელმა, მან შური იძია მოქ. დარასელიაზე, რომელმაც მას ცოლად წაყვანაზე უარი უთხრა და სხვა შეირთო ცოლად.

საინტერესო არ არის რომანის ისტორია. საინტერესოა შურისძიების საშუალება, ანუ ხერხი, რომელსაც მიმართა იულიამ.

სიყვარულის ალში გახვეულმა და შურისძიების გრძნობით გამსჭვალულმა იულიამ აიღო „გარშოკი" (პატივი თქვენთან და დიდი მორიდება მკითხველო). გაავსო სიბინძურით, ჩადო კალათში და გაემართა „საბრძოლველად".

მიადგა სახლს, სადაც ცხოვრობდა მოქ. დარასელია და შესავალ კარებში ყუმბარასავით გადაისროლა თავისი „ბომბა".

„აფეთქება" იყო მეტად ძლიერი. დაისვარა კარები, კიბე და თვითონ თავდამსხმელიც. „მხრჩოლავი გაზები" მოედვა მთელს სახლს. მდგმურები ჩავარდნენ განსაცდელში, სცადეს გარედ გამოსვლა, მაგრამ ამაოდ. გზა გადაჭრილი იყო სიბინძურით.

ერთ-ერთმა მდგმურმა, როგორც იქნა თავი დააღწია გაზებს და დაედევნა თავდამსხმელს. იულია გაიქცა.

მილიციელი გამოუდგა. დაეწია, მაგრამ ხელი ვერ მოჰკიდა, რადგან „გასროლილ ყუმბარის" ნიშნებით აჭრელებული იყო თავდამსხმელი. გამოწვეულ იქნა მეეზოვე, ამ დროს თავი გაინთავისუფლეს მდგმურებმაც და ალყა შემოარტყეს თავდამსხმელს. იულია იბრძვის სასტიკად. ვინც ახლოს მივა, მუშტებით იგერიებს.

ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ თავდამსხმელი დაიმორჩილეს.

საქმე გუშინ გაირჩა სასამართლოში. **იულია მიტრაჩენკოვას** მიესაჯა ათი თვის ციხე.

სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ მსჯავრდადებულს ზავში ჰყავს გამოსაზრდელი და სასჯელი მისცა პირობითი. გამოსაცდელ ვადათ დაენიშნა 3 წელი.

ბერ.

კრიჟანგს მეტი ეხარჯება

სახლის პატრონი გაბრიელ ლონგო ძალიან ძუნწი და ანგარიშიანი კაცი გახლდათ. კაპეიკს კაპეიკზე აწებებდა.

ეს იქიდან სჩანს, რომ კაცი დაიქირავა ორი თვით, გაურიგდა დღეში თითო მანეთად და ბოლოს ორი თვის გასვლის შემდეგ მისცა მხოლოდ ხუთი მანეთი. წარმოგიდგენიათ, ხუთ მანეთად კაცი სახედარივით ამუშავა ორი თვის განმავლობაში.

ბევრი ედავა, ბევრი ეჭიჭყინა დაქირავებული **კონსტანტინე ლიტვიუნჩუკი** „ხაზეინს", მაგრამ ვერაფერს გახდა. კრიჟანგი კაცის ამბავი ხომ იცით? ყოველ კაპეიკს გამოიტირებს.

მაგრამ ანდაზა ხომ გაგიგონიათ, კრიჟანგს მეტი ეხარჯება. ასე მოუვიდა გაბრიელსაც.

საქმე გაასაჩივრა დაქირავებულმა ლიტვინჩუკმა, უჩიოდა გაბრიელს 55 მანეთს.

შრომის სასამართლომ დაადგინა გადახდეს გაბრიელს 55 მანეთი დაქირავებულის სასარგებლოდ, 1 მან. და 10 კ.—სალერბო, 1 მან. და 10 კ. ალმასკომის სასარგებლოდ.

ვერ გამოდგა გაბრიელი საბოლოო „იტოგში" ანგარიშიანი კაცი.

ნ.

შემთხვევები

კაცი ტრამვაის ქვეშ

გუშინ, დღისით ტრამვაის ვაგონი (მარშრუტი მეორე) № 215, რომელსაც მართავდა ვატმანი ცხოვრებაშვილი სადგურის ქუჩაზე დაეჯახა ართემ იაგორის ძე დემუროვს.

დემუროვი მოჰყვა ვაგონის ქვეშ და მძიმედ დაშავდა.

შემთხვევის ადგილზე გამოცხადდენ სისხლის სამართლის მილიციის აგენტები და მორიგე გამომძიებელი ამხ. ადამიძე.

კვლევა - ძიებით გამოირკვა, რომ ვატმან ცხოვრებაშვილს ვაგონი მიჰყავდა დიდი სისწრაფით და კაცის დანახვისას მან დროზე ვერ მოუჭირა მუხრუჭი, რამაც გამოიწვია უბედური შემთხვევა.

გამომძიებელ ადამიძის განკარგულებით, ვატმანი ცხოვრებაშვილი დააპატიმრეს.

გამოძიება გრძელდება.

1.300 მანეთის გატაცება

მოქ. პროკოფი ხაინდრავა ირიცხებოდა თბილისის ალმასკომის აგურის ქარხნების სამმართველოს თანამშრომლად. ა. წ. აპრილის თვეში სალაროდან მან გაიტაცა 1.300 მანეთი და მიიმალა.

გუშინ, სისხლის სამართლის მილიციის აგენტებმა ხაინდრავა დააპატიმრეს თბილისში.

კაცის დაკარგვა

ამ რამოდენიმე ხნის წინად უგზო-უკვლოდ დაიკარგა ალიოშა ალექსანდრეს ძე საბლერი (სერგეევის ქ. № 16).

როგორც ირკვევა, საბლერი იყო სულით ავადმყოფი.

დაჭრა

გუშინ, დღისით რუსთაველის პროსპექტზე მუშკოოპის პასაჟის წინ მოქ. გიორგი ივანეს ძე საგინოვმა დანით მსუბუქათ დასჭრა ვერა ივანეს ასული ივანოვა (მცხოვრები სასამართლოს ქ.) № 5).

დაჭრის მიზეზი გამოურკვეველია.

ბოროტმოქმედი დააპატიმრეს.

გვამის პოვნა

გუშინწინ მუხრანის ქ. № 3, (მე-3-ე სამილიციო რაიონი), აღმოჩენილ იქნა ახალგაზრდა მამაკაცის გვამი, რომლის ვინაობა გამოურკვეველია.

ექიმების შემოწმებით, გვამს ძალდატანებითი სიკვდილის ნიშნები არ ატყვია.

გვამი გაგზავნეს ქალაქის პირველ საავადმყოფოს პროზექტურაში.

თავის მოკვლის განზრახვა

გუშინწინ კომუნალურ ქუჩაზე, ამაიაკ სტეფანეს ძე არაქელიანმა თვითმკვლელობის მიზნით სუფრის დანა დაირტყა მარჯვენა ფეხში.

როგორც გამოირკვა, არაქელიანმა თვითმკვლელობა განიზრახა სიმთვრალის დროს.

თავდასხმა

გუშინწინ მოქ. სერგო ლოგინოვმა (გოგოლის ქ. № 53), განაცხადა სისხლის სამართლის მილიციაში, რომ შაბათს, 26 ნოემბერს, სახლში არ ყოფნის დროს მის ცოლს თავს დაესხა სამი ბოროტმოქმედი და სიკვდილის მუქარით მოსთხოვეს მას 300 მანეთი. უარის მიღების შემდეგ, ბოროტმოქმედნი მიიმალნენ.

მიღებულია ზომები თავდამსხმელთა დასაპატიმრებლათ.

— **2.100 მანეთის საქონლის მოპარვა.** 26 ნოემბერს, გაქურდეს კ. ჩაიზიდის საგალანტერეო მაღაზია (რუსთაველის პროსპექტი), და არამ ალექსანიანის ფეხსაცმელების სახელოსნო, მოიპარეს 2,100 მანეთის საქონელი.

— **ბოქლომის გატეხის საშუალებით** გაქურდეს დავით ჯიჯელავას ბინა (1-ლი პარალელური ჩიხი № 3), წაიღეს 70 მანეთის ნივთები.

— **ვერცხლის სათუთუნე.** გუშინწინ ნიკ. ინბაიძეს ბინიდან (ფლოდისიევის-მესამე ჩიხი) მოიპარეს ვერცხლის სათუთუნე.

— **პალტოს მოპარვა.** 26 ნოემბერს, ექიმ სტ. გაევსკის ბინიდან (ბესიკის ქ. № 3), მოიპარეს პალტო.

— **ცენტრალურ ბაზარში** სიმონ ჩანჩალაშვილს მოპარეს 14 წყვილი ამერიკული ფეხსაცმელები.

— **ჯიბგირობა.** გუშინ მოქ. სანბეკიანცს განოვის ქუჩაზე, ჯიბიდან ამოაცალეს 35 მანეთი.

— **სავაჭროს გაქურდვა.** 27 ნოემბერს, გაქურდეს მიხ. შემადულაშვილის სავაჭრო (მახათის ქ. № 17), მოიპარეს 126 მანეთის საქონელი.

— **პატიმრის გაქცევა.** გუშინ მეშვიდე სამილიციო კომისარიატის საპატიმროდან გაიპარა პატიმარი ქალი სონია აკობის ასული ხაჩატუროვა.

— **გუშინ,** გაქურდეს ლიდა კარულის ბინა (არსენალის ქ. № 10), წაიღეს 220 მანეთის ნივთები.

— **მორგებული გასაღების საშუალებით** გაქურდეს არმენაკ ტერ-მატეოზოვის სავაჭრო (რიყის ქ. № 60), წაიღეს 90 მანეთის საქონელი.

— **ჭერის ჩანგრევის საშუალებით** გაქურდეს მარიამ პატიევიჩის ბინა (ბიუროს ქ. № 15), მოიპარეს 416 მანეთის ტანსაცმელი.

— **27 ნოემბერს,** მილიციამ დააპატიმრა ქურდი-რეციდივისტი კონსტანტინე მიხეილის ძე ივანჩენკო.

— **ხანძარი.** მერვე კომისარიატის მილიციელთა საერთო საცხოვრებელ ბინას გაუჩნდა ხანძარი, რომელიც ჩააქრო ცეცხლის მქრობელმა რაზმმა.

— **კარის გატეხის საშუალებით** გაქურდეს ომიაძის სავაჭრო (პლეხანოვის პროსპექტი № 61), წაიღეს 100 მანეთის საქონელი.

— **კარლ მარქსის მოედანზე** გუშინწინ იპოვნეს 5 წყვილი ხელთათმანი.

— **მორგებული გასაღების საშუალებით** გაქურდის გიორგი მურადოვის საყასბო (ქორესის ქ. № 26). წაიღის 30 მანეთი ფულათ.

— **გლეხ გიორგი ნამიკაშვილს** ცენტრალურ ბაზარში ჯიბიდან ამოაცალეს 40 მანეთი.

ბიბლიოგრაფია

„მარქსისტული" სახელმძღვანელო შრომის სკოლაში

სერგო მაკალათია.—„საზოგადოებათმეცნიერება". სახელგამი, 1927 წ. გვ. 200, ფასი 1 მან. 30 კაპ.

უპირველეს ყოვლისა, რაიც აქედანვე აღსანიშნავია, არის ის, რომ მაკალათიას „საზოგადოებათ-მეცნიერება" აგებულია ჩვენი სკოლების მიუღებელ მეთოდზე. მარქსიზმი აქ ან ყალბათ არის გაგებული ან გაყალბებულია.

დავიწყოთ პირველ თავებიდან. პირველ ნაწილში ავტორი იხილავს მონობის ინსტიტუტს და მონათმფლობელურ კულტურას. ავტორი ესაუბრება მოსწავლეს მონობის გეოგრაფიულ გავრცელებაზე, აღუწერს მონობის ძველ ქვეყნებს და მონურ ქვეყნების სოციალურ და ეკონომიურ ვითარებას. ხოლო ბოლოს ცდილობს განუმარტოს მოსწავლეს მონობის წარმოშობა. მონობა ავტორის თქმით წარმოიშვა იმიტომ, რომ ომის დროს გამარჯვებული მხარე ხელში იგდებდა დამარცხებულ მხარის ტყვეებს და აქცევდა მათ მონებათ. ასეთია მაკალათიას მიერ მონობის, ამ მნიშვნელოვან სოციალურ ინსტიტუტის წარმოშობის ახსნა. აქ მარქსიზმის ნასახიც არ არის. ავტორს, როგორც სჩანს წარმოდგენა არ ჰქონია მონობის წარმოშობის ნამდვილ მიზეზზე, არ სცოდნია (ან თუ სცოდნია არ დაუწერია), რომ მონობა, როგორც ეს აღნიშნა, ჯერ კიდევ მარქსამდე როდბერტუსმა, წარმოიშვა ზედმეტი პროდუქციის წარმოშობისთანავე, რომ მონობის წარმოშობის მიზეზია ადამიანის მიერ იმაზე მეტის შექმნა, ვინემ საჭიროა მისი (როგორც ცოცხალი არსების) გამოსაკვებათ.

ავტორს, როგორც სჩანს, ნათლად არა აქვს წარმოდგენილი არც მონური წარმოების რაობა და შინაარსი; ის ამბობს, რომში თავისუფალი ხელოსანი; გლეხი, მონა „ერთი და იმავე იარაღით მუშაობენ"-ო (გვ. 49). მაგრამ დამტკიცებულია, რომ ის წარმოება, სადაც მონების შრომა ფართოდ იყო გამოყენებული, როგორც ტეხნიკურად ისე შრომის ნაყოფიერების მხრით უფრო დაბლა იდგა ვიდრე თავისუფალი გლეხურ - ხელოსნური მეურნეობა (მარქსი). ამით იყო გამოწვეული ის გარემოება, რომ სოციალური რეფორმები რომში ყოველთვის ძველი გლეხურ მეურნეობის აღდგენას ისახავდენ მიზნად. რამდენადაც ასეთ ახსნას ადგილი არა აქვს წიგნში, იმდენად ფაქტების სხვანაირი გაშუქება მარქსისტული თვალსაზრისით მიუღებელია.

წიგნში არა სჩანს უკიდურესობამდე შევიწროებული და მოთმინებიდან გამოსული მონები უწევდენ თუ არა რაიმე წინააღმდეგობას სულთა-მხუთავ ბატონებს. ეს დიდი ნაკლია! აუცილებლად უნდა მოეყვანა ავტორს მონების აჯანყების მაგალითები ბატონების წინააღმდეგ, როგორც კლასობრივი ბრძოლის კონკრეტიული გამოაშკარავება.

ავტორს ქართული ტომები მე-11-დან მე-7 საუკუნემდე ქრ. წ. ქალდეაში ეგულება (გვ. 54) და ამ ტომებში საგვარეულო წყობილება დარღვეულად მიაჩნია (გვ. 55). ნეტავ რომელ უხილავ წყაროდან ამოიღო მაკალათიამ ეს ცნობა? აქ ისტორიული ფაქტების სრული დამახინჯებაა. ქართველი ტომები აღნიშნულ საუკუნეებში კაპადოკიაში (მცირე აზია) ცხოვრობდენ და მათში ჯერ კიდევ გვაროვნული წყობილება ბატონობდა. შემდეგ წიგნში არეულია ქართული ტომების სახელები. „კოლხები" ავტორს ხან რამოდენიმე ტომის (აფხაზების, ჭანების, სვანების) საერთო სახელწოდებად მიაჩნია, ხან მას ისეთივე ცალკე ტომად სთვლის როგორც აკით აფხაზები, ჭანები და სვანებია. აფხაზები ავტორის აზრით კოლხების შტო ყოფილა. მაშინ როდესაც მეცნიერებას აფხაზები მესხების შტოდ აქვს აღიარებული.

ქართული ტომების ამიერ - კავკასიაში გადმოსახლების საკითხიც წიგნში არეულია. ერთი სიტყვით, მე-11—7 საუკ. ქრ. წ. ქართული ტომების ბინადრობისა და მათი გადმოსახლების საკითხები, როგორც მეცნიერულად ისე პედაგოგიურად სრულიად მიუღებლადაა დაწერილი.

ფეოდალიზმის წარმოშობას ევროპაში ავტორი უკავშირებს რომის დაწესებულებებს და მით იმეორებს ისტორიკოს — სიმანისტების მეტის-მეტად ცალმხრივ მტკიცებას. ამავე დროს ავტორი სრულებით არ ეხება მსხვილი მიწადმფლობელობის წარმოშობას და ამ მოვლენაში სამხედრო არისტოკრატიის როლს. ვასალიტეტის განვითარებაც ცალმხრივადაა გაშუქებული და წიგნში არსად არ სჩანს ის **წმინდა ეკონომიური მოტივები**, რომელნიც აიძულებდენ წვრილ მესაკუთრეებს მსხვილ მემამულეებთან ვასალურ დამოკიდებულებაში შესულიყვენ. გადაჭრილად უნდა ითქვას, რომ ფეოდალიზმის განხილვა ვერც დასავლეთ ევროპის მაგალითზე, ვერც რუსეთისა და ვერც, მით უმეტეს, საქართველოს შესახებ საკითხის განხილვის დროს ავტორი ფეოდალიზმის სწორ მიმოხილვას ვერ იძლევა.

სიტყვა „კოლონატ"-ში ავტორი გულისხმობს დამოკიდებულ გლეხს. ჩვენ კი უნდა აღვნიშნოთ, რომ ასეთ გლეხს რომში ერქვა „კოლონი". „კოლონატი" კი გამოხატავს კოლონსა და მემამულეს შორის არსებულ ურთიერთობას. ცნებები: „კოლონი" და „კოლონატი" ისეთსავე დამოკიდებულებაში არიან ერთმანეთთან, როგორც „ვასალი" და „ვასალიტეტი".

ავტორი ამბობს, საქართველოს გაერთიანება შეუძლებელი იქნებოდა, რომ „ერთ კეთილ შემთხვევას" ხელი არ შეეწყო მისთვის და ეს კეთილი შემთხვევა ყოფილა თურმე ბაგრატ მე-3-ეს „დინასტიური უპირატესობა", რომ ის იყო „სამი ძლიერი საერისთაოს მემკვიდრე" (69). და საშვებია ასეთი მეთოდით შრომის სკოლის მოწაფეებს აუხსნათ ისტორიული ფაქტები? ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისათვის დაიწყო ბაგრატზე უფრო ადრე და გაგრძელდა ბაგრატის შემდეგაც. მაშასადამე ბაგრატს ეს ბრძოლა არც დაუწყია და არც დაუმთავრებია. ამ ბრძოლას კვებავდა უფრო ღრმა ეკონომიური და პოლიტიკური პირობები. ავტორი სდუმს, ამაზე არაფერს არ ლაპარაკობს.

საჭიროდ მივაჩნია შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება ავტორის შემდეგ სიტყვებზე: „დავით აღმაშენებელთან დაიწყო ქართული ფეოდალურ ერთეულების გაერთიანება და ერთ მთლიან სახელმწიფოებრივ სხეულად ჩამოქნა. ფეოდალებმა **იგრძნეს მეფის ძლიერი ხელი***) და იძულებული იყვნენ მისი უპირატესობა ეცნოთ (73). ცოტა ქვემოდ: საქართველოს „ძლიერება უმთავრესად **დამყარებული იყო სამხედრო ძალაზე და არა რაიმე ეკონომიურ საფუძველზე**" (74). აი რას სწერს ის ავტორი, რომელიც წინასიტყვაობაში ისტორიული მოვლენების მატერიალისტურ განხილვას გვპირდება. ფეოდალებს უგრძვნიათ მეფის ძლიერი ხელი. მაგრამ თურმე ეს ძლიერება აღმოცენებულა არა ეკონომიურ ნიადაგზე, არამედ ის შეუქმნია სამხედრო მიზნებს და ძლიერ პიროვნებას; გამოდის, რომ მამოძრავებელია არა ეკონომიკა. არამედ პოლიტიკა და პიროვნება. ასეთია ჩვენი ავტორის „მატერიალიზმი".

ავტორის აზრით „ოქრო - ვერცხლის მაღალ ღირებულებას" განსაზღვრავს ამ ლითონების სარგებლიანობა, იშვიათობა, გამძლეობა და სხვა (120 გვ.). აქ ჩვენ ვხედავთ ავსტრიელ ეკონომისტების (მენგერ—ბემ-ბავერკის) სარგებლიანობის თეორიის პირწმინდათ გამეორებას, მაგრამ აქ ადგილი არა აქვს ღირებულების მარქსისტული თვალსაზრისით განმარტებას, ღირებულების საზომად არ არის აღიარებული შრომა. ავტორის მხრივ ეს ერთგვარი ბოროტებაა, მარქსიზმის საფარის ქვეშ ანტი-მარქსისტულ თეორიების გასაღება — ასეთია ავტორის მიზანი.

სავაჭრო კაპიტალიზმის დახასიათება რუსეთში არც სრულია და არც სწორი. მიუღებელია აგრეთვე ავტორის აზრი, რომ რუსეთში სოფლის ნაწარმოებით ვაჭრობა ქალაქების სიმრავლემ წარმოშვა. ავტორს უნდა აღენიშნა, რომ სოფლის ნაწარმოები საქონლად აქცია არა ქალაქების სიმრავლემ, არამედ საზოგადოებრივმა დიფერენციაციამ, ხელოსანთა მწარმოებელ კლასის გაჩენამ. ასეთია ფაქტები, ასეთია მარქსისტული ახსნაც.

წიგნის უკანასკნელ თავში განხილულია დეკაბრისტების აჯანყება. ავტორი ამ ისტორიულ მოვლენაში ხედავს მხოლოდ მსხვილი ბურჟუაზიისა და მემამულეების მოძრაობას. ასეთი დახასიათება ამოსწურავს მხოლოდ „ჩრდილოეთი საზოგადოებას" (პეტერბურგის რილეევ-ტრუბეცკის ჯგუფს), მაგრამ სრულიად არ შეეფერება „შეერთებულ სლავებს და სამხრეთის საზოგადოებას". უკანასკნელი ორი ჯგუფი გაცილებით უფრო მემარცხენე და რევოლიუციონური იყო. პესტელის პროგრამაში არავითარ საარჩევნო ცენზს ადგილი არ ჰქონია; საყურადღებოა ამ მხრით მისი აგრარული პროგრამაც. პესტელი დემოკრატი - რევოლიუციონერი. მას ფულის არისტოკრატია ისევე სძულდა, როგორც ფეოდალური. პროფ. პოკროვსკი სამართლიანად უწოდებს მას „ტიპიურ იაკობინელს". პესტელს როგორც მაკალათიას ჰგონია, სენატის მოედანზე აჯანყებული ჯარისკაცები არ გამოუყვანია. ის 13 დეკემბერს, ე. ი. ერთი დღით ადრე სანამ პეტერბურგში გამოსვლები მოხდებოდა, დაიჭირეს შორეულ სამხრეთ - რუსეთში. ამგვარად, დეკაბრისტების მოძრაობა წიგნში მეტად ცალმხრივად და დამახინჯებულადაა დახასიათებული.

მაკალათიას წიგნი ამგვარად სავსეა შეცდომებით და გაუმართლებელია იდეოლოგიურად. მაკალათიას „სახელმძღვანელო" იმის საუკეთესო ნიმუშია, თუ როგორი უყურადღებოთ და უპასუხისმგებლობით ეკიდებიან ჩვენს სკოლებში საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლებას და თუ როგორ საღდება მარქსიზმისთვის ამოფარებით ანტი-პროლეტარული იდეოლოგია.

დ. უჩანეიშვილი.

---

*) ხაზგასმული ყველგან ჩვენია—დ. უ.

რკინის გზებზე

დაჯახება

26 ნოემბერს ბაქოს მეორე სადგურში შავი ქალაქიდან მიმავალი მატარებელი დაეჯახა სამანევრო შემადგენლობას. დაჯახების დროს დაზიანდა სამი მაზუთით დატვირთული ვაგონი და ორთქლმავალი. ამასთანავე, შემადგენლობას მოსწყდა 20 ვაგონი, რომლებიც მიღებული ზომებით გააჩერეს.

ხაზი დაზიანდა 5 მეტრის მანძილზე, მოძრაობა არ შეწყვეტილა.

450 ცისტერნა

ამ.-კავკ. რკ. გზების ცისტერნების პარკის შესავსებად გზათა კომისარიატი აგზავნის 450 ცისტერნას.

ფოსტა-ტელ. კომისარიატის თხოვნა

ფოსტა-ტელეგრაფის სახ. კომისარიატმა ამ.-კავკ. რკ. გზ. გამგეობას მიმართა თხოვნით, ნავთლუღში დაუთმოს ერთი შენობა. ამ შენობაში ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატს განზრახვა აქვს მოაწყოს საერთო საცხოვრებელი თბილისის გადამცემ რადიო - სადგურის თანამშრომლებისათვის.

ხიდის ნაწილები

ამხ. პეტროვსკის სახელობის (უკრაინაში) ქარხნიდან ამ.-კავკ. რკ. გზებზე გადმოგზავნილია სხვადასხვა ლითონის ნაწილები მდ. რიონზე ხიდის ასაშენებლად.

სამკურნალო დაწესებულებების მშენებლობა

სამკურნალო - პროფილაქტიურ დაწესებულებების მშენებლობა ა.-კ. რკ. გზებზე ამჟამად ასეთ მდგომარეობაშია: ახალი საავადმყოფოს შენება ლენინაკანში შესრულებულია 70 პროცენტით, რკინის გზის აფთიაქის შენება თბილისში — 60 პროცენტით, გინეკოლოგიური საავადმყოფოსი თბილისში—25 პროცენტით და ამბულატორიის და ბავშთა საავადმყოფოსი ბაქოში—25 პროცენტით.

ყველა ამ შენობების საბოლოო დამთავრებისათვის საჭიროა 636.000 მანეთი. ეს თანხა გამოთხოვილი იქნება გზათა კომისარიატიდან.

ფეხბურთი

საქართველო—აზერბეიჯანი

კვირას, 27 ნოემბერს, ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართა საქართველოს და აზერბეიჯანის ნაკრები გუნდების შეჯიბრი ამიერკავკასიის პირველობაზე. მატჩს სჯიდა სკოლზნევი.

კვირის შეჯიბრში საქართველო გამოდიოდა შემდეგი შემადგენლობით: ბაღდოევი, ფოჩხუა სატიენკო, ფსხარიძე, პოლოსოვი, ლაზარევი ქოიავა, ფაჩულია, ახლამაზოვი, ჟორჟანია და ვლ. ცომაია.

აზერბეიჯანის მხრიდან თამაშობდენ ბაქოს საუკეთესო მოთამაშეები („დინამოდან" „პროგრესიდან" და რკინის გზელთა გუნდიდან): იკონნიკოვი, კოროტკოვი, ნიხეზინი, პანცევი, ივანოვი, ხარქისოვი; საროკინი; მაკგონოვი, რულვეცი, ვლ. თურქია და გნეზდოვი

მიუხედავად სიცივისა, მატჩს აუარებელი ხალხი დაესწრო.

შეჯიბრის დაწყებისას საქართველოს გუნდის მოთამაშეებმა ლამაზად გაათამაშეს ბურთი და რამოდენიმე საინტერესო მომენტი შექმნეს აზერბეიჯანის კარებთან, მაგრამ ჩქარა იძულებული იყვნენ უკან დაეხიათ, რადგან აზერბეიჯანის [illegible] ფორვარდებმა გააძლიერეს თამაშის ტემპი.

თამაშის შემდგომ პროცესში თანდათან გამოაშკარავდა აზერბეიჯანელების უპირატესობა. გახშირდა მათი იერიშები საქართველოს კარებზე, მაგრამ ბაღდოევი ღირსეულად იცავდა მისთვის ჩაბარებულ ჭიშკარს.

შუა ტაიმში აზერბეიჯანელი ნიხეზინ ლამაზად გაიტაცებს ბურთს და ძლიერი დარტყმით საქართველოს გუნდის ბადეში მოაქცევს მას. პირველმა გოლმა თამაში გააცხოველა საქართველოს გუნდი იკრეფს ძალღონეს და მძლავრად უტევს „მოწინააღმდეგეს", რომ გაქვითოს ანგარიში, მაგრამ ტაიმის ბოლომდე ამას ვერ ახერხებს.

თამაშის მეორე განყოფილებაში სურათი ერთბაშად შეიცვალა. თუ პირველ ტაიმში ინიციატივა უმეტესად აზერბეიჯანლების ხელში იყო, მეორე ტაიმში ინიციატივა თავიდანვე ხელთ იგდო საქართველოს გუნდმა, რომელმაც მეტად ძლიერი შეტევა განავითარა. დაახლოვებით მეათე წუთზე. ვლ. ცომაიამ მძლავრი დარტყმით გაქვითა ანგარიში. ამან მეტი სიხალისე შეიტანა საქართველოს მოთამაშეებში, რომლებიც უკვე აღარ შორდებოდენ აზერბეიჯანელების ჭიშკარს. გახშირდა „შტრაფები" და სახიფათო მომენტები, მაგრამ სტუმრების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათი მეკარე იკონნიკოვი ყოჩაღად ახერხებდა საშიშ მდგომარეობიდან თავის დაღწევას.

მთელი ტაიმის განმავლობაში სასტიკი ბრძოლა სწარმოებდა მეორე და გადამწყვეტ გოლისათვის, მაგრამ იგი გატანილი ვერ იქნა. შეჯიბრი დამთავრდა 1:1.

აღსანიშნავია, რომ ორივე გუნდის მოთამაშეები თითქმის ყველანი თავის ადგილზე იყვნენ თამაშის კლასის მხრივ ორივე გუნდი თითქმის თანასწორ ძალას წარმოადგენს.

შ. ა.

სომხეთი—აზერბეიჯანი

გუშინ სამხედრო სკოლის ეზოში გაიმართა უკანასკნელი მატჩი ამიერ-კავკასიის პირველობაზე სომხეთის და აზერბეიჯანის გუნდებს შორის.

შეჯიბრი დამთავრდა 6:3 აზერბეიჯანის სასარგებლოთ. ამრიგად, პირველობა ფეხბურთში იღო აზერბეიჯანმა (ერთი მოგება და ერთი ფრედ), მეორე ადგილზე გამოვიდა საქართველო (ორი ფრედ) და მესამეზე სომხეთი (ერთი წაგება და ერთი ფრედ).

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

— დღეს, 29 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტი პროფკავშირთა საბჭოს მცირე დარბაზში **იწვევს სამეურნეო დაწესებულებათა ხელმძღვანელ კომუნისტების თათბირს.** აუცილებლად უნდა დაესწრონ კომუნისტები: ტრესტების გამგეები, ფაბრ.-ქარხნების დირექტორები, კავშირების ცენტრ. გამგეობის მდივნები და თავმჯდომარენი კავშირების სატარიფო-ეკონომიურ განყოფილებათა გამგეები, უჯრედების მდივნები, (კოლექტივების) და საქარხნო-საფაბრიკო ადგილკომების თავმჯდომარეები (კომუნისტები) შემდეგ დაწესებულებათა: ამ.-კავკ. რკინისგზის დეპოს და მთავარ სახელოსნოს, „26 კომუნარების" სახ. ქარხნის, თამბაქოს ქარხანა—„პროლეტარის", საპონ-ზეთის, ტყავის ქარხნის, ლენინის სახ. ფაბრიკის, პოლიგრაფტრესტის პირველ და მეორე სტამბის, ლიტოგრაფიის, „ზარია ვოსტოკა" სტამბის და გრეხილ ავეჯეულობის ფაბრიკის.

დღის წესრიგშია: საკითხი კოლექტიურ ხელშეკრულებათა ხელმეორედ დადების კამპანიის შესახებ.

ჩამოთვლილ დაწესებულებებიდან ამხანაგების დასწრება სავალდებულოა.

— **საქ. კომპ. ცენტრ. საკონტროლო კომის.** სთხოვს ამხ. კატო მიქაძეს გამოცხადდეს ოთხშაბათს, 30 ნოემბერს ცენტრ. საკონტროლო კომისიაში (რუსთაველის პროსპ. 24, მესამე სართული, ოთახი № 11).

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის არსენალის რაიკომის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება იტყობინება, რომ ოთხშაბათს, 30 ნოემბერს საღამოს 6 საათზე რაიკომთან არსებულ აგიტპროპმუშაკის კაბინეტის შენობაში ხელმეორედ შესდგება საორგანიზაციო თათბირი პროპაგანდისტთა კურსების რუსულ ენაზე გახსნის შესახებ.

კურსებზე გამოყოფილ ამხანაგების დასწრება სავალდებულოა.

— **საქ. კომპ. ცენტრ. საკონტროლო კომისია** სთხოვს ამხ. ს. კარჩაულს, ალ. ცინცაძეს, იონა ჯავახიას და ირ. ძაგანიას გამოცხადდენ დღეს, 29 ნოემბ. საქ. კომპ. ცენტრ. საკონტრ. კომისიაში. (რუსთაველის პროსპ. 24, მესამე სართული, ოთახი № 11).

— ოთხშაბათს, 30 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე მუშათა ცენტრ. კლუბის შენობაში მოწვეულია თბილისის ბეჭდვითი და კედლის გაზეთების მუშკორთა საერთო საქალაქო კრება აგიტპროპორგანიზატორების უჯრედებთან ერთად.

დღის წესრიგშია ამხ. ასრიბეკოვის მოხსენება „მუშკორების მორიგი ამოცანები და კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიების გადარჩევის კამპანია".

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის არსენალის რაიკომი იტყობინება, რომ სამშაბათს, 29 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე შესდგება რაიკომის პრეზიდიუმის სხდომა.

პრეზიდიუმის ყველა წევრ-კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

— სახ. უნივერს. ეკონომ. ფაკულტ. არსებულ კომუჯრედის ბიურო უჯრედის ყველა წევრ-კანდიდატებს საყურადღებოდ იტყობინება, რომ დღეს, 29 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, მოწვეულია უჯრედის კრება.

დღის წესრიგშია: 1) უჯრედის ბიუროს ანგარიში, 2) ანკეტების განხილვა.

დასწრება სავალდებულოა.

— სახ. უნივერსიტეტთან არსებულ ამ. ლ. კ. კ. გაერთიანებულ უჯრედთა ბიურო-კოლექტივი წინადადებას აძლევს ყველა ფაკულტეტების უჯრედების წევრ-კანდიდატებს, რომელნიც წელს არ გატარებულან აღრიცხვაზე, გატარდენ სამი დღის განმავლობაში; წინააღმდეგ შემთხვევაში გამორიცხული იქნებიან კომკავშირის რიგებიდან.

რადიო-გადაცემა

სამშაბათი, 29 ნოემბერი

დღეს, 29 ნოემბერს, საქართველოს პროფკავშირთა საბჭოსთან არსებულ რადიო-სტუდიიდან გადაცემული იქნება:

წითელარმიელთა გაზეთი — ქართულ და რუსულ ენებზე.

მუშათა გაზეთი „რაბოჩაია პრავდა"—რუსულ ენაზე.

ფიზკულტურის როლი მშრომელთა გაჯანსაღების საქმეში—ქართულ ენაზე.

მოხსენება: მეფრინველეობა საქართველოში—ქართულ ენაზე.

მუსიკის ახსნა-განმარტება.

ოპერა „კარმენი"-ის ტრანსლიაცია.

ტეხნიკური კონსულტაცია.

ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია —ქართულ და რუსულ ენებზე.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 29 ნოემ., შრომის ბირჟის კვალიფიციურ მუშათა სექციას სჭირდება: 10 [illegible] რეულის მკერავი, ერთი [illegible] გამოცდილი. დღეს იგზავნება სამუშაოზე: ნინო აშხარუმოვა. მსურველებს აღნიშნულ მოთხოვნილებაზე შეუძლიათ გამოცხადდენ დღესვე ამხ. — შეროევთან.

ბაღი უმუშევართათვის

შრომის ბირჟის კომიტეტმა გადასწყვიტა გააშენოს უმუშევართა დასასვენებლათ ეზოში ბაღი. ამ მიზნით გადადებულია 200 მანეთი, ბაღი უნდა გაშენდეს მომავალი წლის 15 მარტისათვის.

გულდათუთქულნი მშობლები ირაკლი და ოლღა, ძმა კოწია, რძალი ლეონინა, ბიძაშვილები ვანო და რაჟდენ იოსებძე ნიკურაძეები (ოლღასი შვილით და დედიდან ბიძაშვილები ისონ და პაშა ილია ლეჟავას შვილები ამით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათთვის მუდა ჟამს დაუვიწყარ

მიშა ირაკლისძე ნიკურაძის

ტრაღიკულად დაკარგვას; რომლის დაკრძალვის დღეთ დანიშნულია ა | წ. 1-ლი დეკემბერს, დღით ხუთშაბათს, ნაშუადღევის 2 საათზე ქ. სამტრედიაში. გამოსვენება საკუთარ სახლიდან შორაპნის ქ. № 16.

ნ. 280

განუსაზღვრელ მწუხარებაში მყოფნი თანშეზრდილნი—ძმობრები: ბანიკო ნიკურაძე, გრიშა ჩომახიძე, სერგო ნინუა, ჭუტიკო ჩხეიძე, კოწია ჩხიკვიშვილი, საშა იონასძე თევზაძე, შალვა სტურუა, კოტე ფუტურიძე, გრიშა ფარულავა, საშა სტურუა, გრიშა ბერაძე, სერგო კორძაია, გრიშა სტურუა, დათიკო კიკაჩეიშვილი, საშა სოფ-ძე თევზაძე, კოლია ცქვიტარია და უფროსი მეგობრები: ვალიკო ხარებავა, აქვს. ნინუა, დავით სტურუა, ვანო არაქელოვი, საშა მგალობლიშვილი და ილიკო სტურუა აუწყებენ თავიანთ მეგობართ და ნაცნობთ, რომ ა | წ. 23 ნოემბერს ტრაღიკულად დაიღუპა ყარაიაზის რაიმილიციის თანამშრომელი და მათი მეხსიერებიდან ამოუშლელი მეგობარი

მიშა ირაკლისძე ნიკურაძე

რომლის გამოსათხოვარ დღეთ დანიშნულია ა | წ. 1 დეკემბერი, დღით ხუთშაბათი ქ. სამტრედიაში.

ნ. 280

გულდამწვარი მეგობრები: გუგული, თამარა და ცაცა ბერიძეები; ვერა ქაჯაია, იულია ასათიანი, თამარა და ნუცა ორმოცაძეები, ქსენია კანდელაკი და ძარუსია ხოშტარია, მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ და მეგობართ, რომ ა | წ. 23 ნოემბერს ტრაღიკულად გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი მეგობარი

მიშა ნიკურაძე

რომლის დაკრძალვა მოხდება 1 დეკემბერს დღით, ხუთშაბათს, ნაშუადღევის 2 საათზე ქ. სამტრედიაში.

ნ. 280

ულრმეს მწუხარებაში მყოფი: მეულლე ეველიანა ძანუჩარის ასული, შვილები გრეტა და კამა, ნინა და ვარია ლევამიჩავებისა, სიდედრი პელაგია ლევამიჩავა, კოლია ბარბაქაძე და კოწია ლევამიჩავა აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

კალისტრატე სპირიდონის ძე კედია

გამოსვენება დღეს, 29 ნოემბერს, დღის 5 საათზე კამოს სახელობის საავათმყოფოდან (დიდუბე) სადგურში. დასაფლავება ქ. ფოთში 1 დეკემბერს.

(8)

ღრმად დამწუხრებული შვილები: ანნა, სონია, ნინა, გიორგი, შალვა და აბრამი ფხალაძეები და ისაკი აბრამის ძე ჩიკულიშვილი თავის ცოლშვილით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ 27 ნოემბერს ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი უძვირფასესი და დაუვიწყარი პირველთა დედა და მეორეთა დაი

მარიამ აბრამის ასული ჩიკულიშვილი-ფხალაძისა

პანაშვიდი ყოველ დღე—დღის 12 საათზე, დაკრძალვა მოხდება ოთხშაბათს, 30 ნოემბერს, ვერის ახალ სასაფლაოზე. გამოსვენება დღის 3 საათზე ბინიდან—იზმაილოვის № 8.

(ე)

სახელმწიფო ოპერა

დღეს, სამშაბათს, 29 ნოემბერს **კარმენი**
მონაწ. მარკოვა, გოლჩანეცკაია, აგრანოვსკი, ინაშვილი, დემიანენკო, დირიჟორი—სახ. არტისტი ი. ფალიაშვილი.
ოთხშაბათს 30 ნოემბერს იაფფასიანი წარმოდგენა პროფკავშირების წევრებისათვის **დუბროვსკი**
ხუთშაბათს, 1 დეკემბერს **სამსონ და დალილა.** პარასკევს 2 დეკემბერს პრემიერა **ლეილა.**
ნ. 282 1—1

აპოლო
სოლეი
არფასტო
დარბაზი
სახკინმრეწვის თეატრები

მონოპოლიურად „მეჟრაბპომ-რუს"-ის ახალი სურათი
„მოსკოვი ოქტომბერში"
სურათში გადაღებულია ამხ. სტალინი, რიკოვი, ბუხარინი, იაროსლავსკი და სხვ.

ყოველდღიური ანშლაგები. დადგმის მეორე კვირა.
გრანდიოზული სურათი
„პოეტი და მეფე"
რეჟ. ვ. გარდინი.

ამერიკის ტრიუკებიანი კინო-რომანი
„კოვბოი ბუკ-რაველის თავგადასავალი".
ო—18 ნ.
ანონსი. მალე სეზონის საუკეთესო სურათი „კაცი და ლივრეა"

ცირკი „კოლოს"
ტელ. 16—67

სამშაბათს 29-ს, ოთხშაბათს 30 ნოემბერს
განახლებული სანახაობანი 3 განყ. 14 №№
მთელი დასის და დამსახურებულ მსახ. ძმ. ტანტების მონაწილეობით.
გამწვრთნელ ცხომელიძის გასაოცრებელი ძაღლების პირველი გამოსვლა.
„კატი ბუზი"-ს პირველი გამოსვლა
ანონსი! მალე მსოფლიო გენიოსი ტო-რამა.
ნ. 284 2—1
დირექცია ი. ზ. კუდრიავცევი. რწმუნებ. ქ. გროდზინსკი. ადმინისტრატ. მ. ტადე.

თეატრი მინიატიურის და ატრაქციონის „თემინიატი" ქართული სექტორი
რუსთაველის გამზირი 23 ყოფილ. „მუსიკ-ხოლის" შენობაში
სეზონის გახსნა. 1. „თემინიატი", 2. „ტელეფონთან", 3. „დეპუტატი და ქურდი". დასაწყისი 1 სეანსის 8 საათზე, 2 სეანსის 10 საათზე.
ნ. 279 3—2
ოთხშაბათს 30 ნოემბერს

ამ დღეებში თბილისში გავლით რამოდენიმე გასტროლს გამართავს
მსოფლიო 1 ნომერი მხეცების, ცხოველების და ფრინველების გიპნოტიზიორი.
ტო-რამა
ნ. 285

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20
1—25

„მეჟრაბპომ-რუს"-ის ნაწარმოები 1927—28 წ. სეზონი
დღეს და ყოველდღე
კინო-თეატრში „აპოლო"
მონოპოლიურად
მხატვრული ფილმი
მოსკოვი ოქტომბერში
რეჟისორი - ბ. ბარნეტი

სურათში გადაღებული არიან ამხანაგები: სტალინი, რიკოვი, ბუხარინი, იაროსლავსკი, უგლანოვი, უხანოვი, სკვორცოვ-სტეპანოვი, როზენგოლცი, პეჩე და სხვ.
მოქმედების მიხედვით მონაწილეობას იღებენ: მთავარსარდალი კერენსკი, მოსკოვის სამხედრო ოლქის ჯარების უფროსი რიაბცევი, მოსკოვის ქალაქის თავი რუდნევი, რიაბუშინსკი, ტრეტიაკოვი, კონოვალოვი, ბურიშკინი.
ნ. 283

თბილისის საბჭოს
მიერ ამა წლის 27 ივლისის თარიღით და მე-123 ნომრით გამოცემულ დადგენილების ასასრულებლად, რომელიც გამოქვეყნებული იყო გაზეთებში ა. წ. 4 აგვისტოს,
ყველა სახლთმფლობელებს, დაწესებულებებს და სავაჭრო-სამრეწველო წარმოებებს წინადადება ეძლევა დადგან ალმასკომის მიერ დამტკიცებულ ნიმუშის
საფურთხებლები
საფურთხებლების შეძენა შეიძლება აჭარპრომში, პუშკინის ქ. № 2; საფურთხებლები ღირს თითო ხუთი (5) მანეთი.
ალმასკომის კეთილ-მოწყ. ქ. I განყ.
ნ. 286 გამგის მოადგილე, მთ. ინჟინერი ჟურდიანი.

ვინაიდან მომავალ ზამთარში მოსალოდნელია ყინვები,
წყალსადენის ყველა აბონენტებს
(სახლის პატრონებს)
მოვაგონებთ, რომ თანახმად არსებული წესისა
მათ ევალებათ წყალსაზომების ყინვებისაგან დაცვას მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება, რისთვისაც საჭიროა:
შეაკეთონ წყალსაზომების ქვის ხუფები და მუდამ დახურული იქონიონ.
2. შეახვიონ მილები და გვერდებიდან წყალსაზომი ერთიანად მაუდით ან რაიმე თბილულით და ზევიდან საზომის ხუფსაც დააფარონ ცალკე თბილი ნაჭერი, რომ ჩვენების აღების დროს შეიძლებოდეს მისი აწევა.
3. ღამ-ღამობით, დიდი ყინვის დროს, საზომის წინ დაკეტოს ბოჭი და დამხარჯი ბოჭის საშუალებით შტოდან გამოუშვან წყალი.
ამ საკითხის გარშემო ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლიან მიიღოს რჩევა-დარიგება წყალსადენის ტეხნიკურ ნაწილში და აგრეთვე ადგილობრივ რაიკონტროლიორისაგან რაიონში ჩამოსვლის დროს.
წყალსადენი ამითვე მოაგონებს ყველას, რომ იმ სახლებში, სადაც ყინვისაგან წყალსაზომები და არმატურა გაიყინებიან, აბონენტ-სახლის პატრონებს გადახდებათ სრული ღირებულების საფასური და ამის შესახებ აღძრული რაიმე დავა არ იქნება განხილული.
ნ. 276 3—1 წყალსადენის დირექცია

ფიზიკურ მეთოდებით მკურნალობის ინსტიტუტში
ორჯონიკიძის ქუჩა (ყოფ. ანდრეევის) № 30. ტელეფონი 10—90
მიიღება ფასიანი ავადმყოფები
წყლით, ელექტრონით, სინათლით, რადიუმით, რენტგენით, ფინზენით და სხ. სამკურნალო კაბინეთებში. ავადმყოფების გასინჯვა სპეციალისტების მიერ, განსაკუთრებულ საათებში დღის 1-დან 3-მდე.
ყველა ცნობები მიიღება ინსტიტუტის რეგისტრატურაში
ინსტიტუტის დირექტორი მ. ზანდუკელი
25—1 ქვ. 288

იყიდება სახლი
ორ სართულიანი - აგურის (ქუჩის რიგში) 9 ოთახიანი—მშრალი და ნათელი, 5 თავისუფალი ოთახით — ზემო სართულში, წყალსადენით და სამზარეულოთი.
კოჩუბეის შესახვ. № 11 დონაძე.
611

ცნობათ მასწავლებელთათვის
განათლების კომისარიატის მეთოდორგანოს მიერ ი. ჯიშკარიანის „ტრიგონომეტრია" მიღებულია მე-2-ე საფეხურის შრ. სკოლებისათვის დამხმარე წიგნად.
615 3—1

ექიმი მ. ეგრაბიანცი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.
ფილტვების, [illegible] და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა
ხელოვნური მთის მზე. იონოთერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ.
ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ
2—5

ექიმი ჯალალოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9—საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად.
25—1.

ექიმი
ვლ. ა. თოხაძე
გადავიდა ალექსანდროვის ქუჩიდან ბესიკის (ყოფ. დავიდოვის) ქ. № 20.
ღებულობს ავადმყოფ ბავშვებს
ყოველ დღე საღ. 5—7 საათამდე

სახელმწიფო უნივერსიტეტის სტომატოლოგიურ
(კბილის სნეულებათა)
კლინიკაში
ავადმყოფების მიღება 1 დეკემბრიდან იწარმოებს
დილით 8—12 საათამდე
საღამ. 4— 6 საათამდე
საღამობით რჩევა-დარიგება უფასოა, მკურნალობა დაკლებულ ფასებში
კლინიკასთან არსებობს რენტგენის კაბინეტი. მისამართი: პლეხანოვის გამზირი 126, ტელეფ. 25—34.

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს") პირდაპირ „ჩოდრიშვილის" შესახვევი ყოფ. პლეხანოვის შესახვევი) № 6.
25—13

მედიც. დოქტორი
გ. ა. ახვერდოვი
ვენერიული ავადმყოფობანი და სიფილისი.
დილით 9—12 ს., საღამ. 6—8. საათ. პლეხანოვის პროსპექტი № 7, (შესავალი კუთხიდან ნარიყალის ქ. № 1)
25—1

ექიმი კ. ს. ფონ-ირბელი
პლეხანოვის პროსპ. № 10
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავად ყოფობის (სისივენი, ბუასილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები
ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და 4 ნ. ს. საათ.—საღ. 7 საათამდე. ქალების მიღება ცალკე დილ. 11—12 საათამდე და საღ. 7—8 საათამდე

ექიმი
ი. დ. თოფურიძე
მოსკოვის ქუჩა № 7
იღებს ავადმყოფებს (კანის, ვენერიული და სიფილისით) დაავადებულებს, აგრეთვე სასქესო ორგანოთა დაავადებით მკურნალობა [illegible] და ქრონიკული გონორეით
მიღება საღამოს 5—8 საათამდის
ნ. 25—1

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთი 5—6 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე.
ელისაბედის ქუჩა, № 3,
25-

თმის მკურნალობა
და
სამკურნალო კოსმეტიკა
ელექტრო-სინათლით მკურნალობის კაბინეტი.
ი. ზ. კანთოროვიჩი
დილით 11-დან 3 დე და 6-დან 8-დე. კოსმეტიური მასაჟი და პირის სახის მკურნალობა უცხოეთის უახლეს მეთოდებით.
საბა-სულხანის ქ. № 1 (ყ. ფრეილინის).
25—1

თვალის საავადმყოფო
მუდმივ საწოლებით და ამბულატორიით ღებულობენ ექიმები:
ა. ნ. შატილოვი
საოპერაციო დღეებში
ა. გ. მალაევი
დილით 8 9 საათ. საღამოთი 6—7 ს. სტაციონალური ავადმყოფების მიღება ყოველ დროზე. კლარა ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) № 47, ტელეფონი № 5—90.
25—1

ექიმი
ს. ი. ვოლოხი
ქალთა სნეულება და მეანობა. მიღება საღამოს 5—7 ს.-დე ყოველდღე (გარდა ხუთშაბათისა), ბელგიის ქ. № 5 მთავარ საავადმყოფოს (ყოფ. მიხეილის) მახლობლათ.
5—

ექიმი
ი. პ. მჭედლიშვილი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგანი სნეულებანი, სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქუჩა (ყოფ. ნაბერეჟნაია) № 7 გ რის ხიდთან. ტელ. № 15 02

---

20 ნოემბ., დავკარგეთ
მონადირე ძაღლი
„ირლანდიის სეტერი"
მუქი წითელი ფერის, თოკით ყელსაბმზე. საშუალო ტანის, [illegible] კოხოვლის ქუჩაზე № 11 (ყოფ. [illegible]) რამიშვილს მომყვანი მიიღებს საჩუქარს.
613

დაკარგულია [illegible] კავშირის წიგნაკი № 54188 ვანო იოს ბის-ძე [illegible] სახელზე, ჩ. გ.
614

დაკარგულია თბილისის ქალაქის [illegible] მიერ გაცემული [illegible] № 65930, ჩ. გ.
616

დაკარგულია კავშირის წიგნაკი № 5469 რიგოლ მგალობლიშვილის სახელზე, ჩ. გ.
612

დაკარგულია ცნობა № 814, რევოლვერი „ბრაუნინგი"-ს № 482023 ტარების შესახებ, გაცემული ქ. თელავში სილოვან დომენტის ძე ლორთქიფანიძის სახელზე, ჩ. გ.
ნ. 281

დაკარგულია მუშკოოპის საწევრო წიგნაკი ოლღა ვლადიმერის ასულის [illegible] სახელზე, ჩ. გ.

დაკარგულია კავშირის წიგნაკი და ლომბარდის ქვითარი № 031545 ხოჯა მიღორავას სახელზე, ჩ. გ.
617

პოლიგრაფტრესტის მე-5-ე სტამბა, კამოს ქ. № 68